ზაურ თეთრუაშვილი
მაია თეთრუაშვილი-ქარდავა

ეკონომიკური დემოკრატია და მისი განვითარების საკითხები საქართველოში

თბილისი
2006

ვუძღვნით ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ადამიანების, მშობლებისა და პაპა-ბებიის, გიორგი ალექსის ძე თეთრუაშვილის (1896-1977) და ელენე პავლეს ასული უშიკიშვილი-თეთრუაშვილის (1905-1990) ნათელ ხსოვნას, რომლებიც თავიანთი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაც კი ყოველთვის ლიბერალური ცხოვრების წესს გვასწავლიდნენ.

ავტორები

ISBN 99928-0-958-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

ანოტაცია;
შესავალი;

თავი I
ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური კატეგორია: არსი, შინაარსი, წინააღმდეგობები;

1.1. ეკონომიკური დემოკრატიის არსი;
1.2. ეკონომიკური დემოკრატია როგორც ცივილიზაციური სოციო-კულტურული ფენომენი და მისი წინააღმდეგობები;
1.3. ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება როგორც ეკონომიკური დემოკრატიის გამოვლინება: არსი და ფორმები;
1.4. არჩევანის თავისუფლება შეუძლებელია ეკონომიკური კონტროლისა და ტოტალიტარიზმის პირობებში;
1.5. იურიდიული და ფიზიკური პირების სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში;

თავი II
სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში;

2.1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლისა და ფუნქციების ზოგადი მიმოხილვა;
2.2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში;
2.3. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის რაოდენობრივი შეფასება, ანუ ეკონომიკური დემოკრატიის ინდექსი;
2.4. ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის ტალღისებური ზოგადი კანონი (მოკლე მიმოხილვა);
2.5. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ორი მაგალითი
2.5.1. ძველი ჩინეთის გამოცდილება;
2.5.2.სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების შესახებ საქართველოს საინვესტიციო საქმიანობაში;

თავი III
ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულება

3.1. ეკონომიკური ზრდის ფაქტორების მოკლე მიმოხილვა;
3.2. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დემოკრატიის შეზღუდვის გამოყენებული ფორმები;

3.3. ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირის ემპირიული დასაბუთება;
3.4. ეკონომიკური დემოკრატია და ხალხთა კეთილდღეობის ზრდა;
3.5. ეკონომიკურ დემოკრატიას და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დამადასტურებელი დამატებითი მონაცემები;

თავი IV
საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების წინააღმდეგობები

4.1. საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების წინააღმდეგობების ზოგადი მიმოხილვა;
4.2.საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე როგორც ეკონომიკური დემოკრატიის შემაფერხებელი ფაქტორი;
4.2.1. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზი;
4.2.2. საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი;
4.2.3. საფინანსო-საბიუჯეტო მდგომარეობის ანალიზი;
4.2.4. ეკონომიკური დემოკრატია ვერ განვითარდება ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე;
4.3. სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა როგორც ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების მთავარი ორიენტირი;
4.3.1.ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა: არსი, დამუშავების ეტაპები და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა;
4.3.2.საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა როგორც ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი;
4.4. ეკონომიკის რეგიონული (სამხარეო) მართვა როგორც ეკონომიკური დემოკრატიი განვითარების პირობა;
4.5. «ერის ეკონომიკური აღზრდა», ანუ ეკონომიკური ცოდნის გავრცელების საკითხები საქართველოში;
შინაარსი რუსულ ენაზე.

ა ნ ო ტ ა ც ი ა

წინამდებარე შრომა «ეკონომიკური დემოკრატია და მისი განვითარების საკითხები საქართველოში» წარმოადგენს ავტორების მიერ წლების განმავლობაში დამუშავებული და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წაკითხული ლექციების ციკლის შემადგენელ ნაწილს ეკონომიკურ თეორიაში. იგი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების, ბაკალავრების, მაგისტრების, მოსწავლე-ახალგაზრდების, მეცნიერების, პრაქტიკოსი მუშაკების და საერთოდ ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. მისი მიზანია გააცნოს მათ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი საკითხის, ამასთან თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების ყველაზე რთული და აქტუალური ამოცანის - ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. კერძოდ: ეკონომიკური დემოკრატიის არსი და შინაარსი, მისი გამოვლენის ფორმები და საზღვრები; იურიდიული და ფიზიკური პირების სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში; ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მაგისტრალური მიმართულება და სხვა. მათი შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკაში (და არა მარტო ეკონომიკაში) პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებიდან დღემდე განვლილ პერიოდში მიმდინარე მწვავე კრიზისულ მოვლენებს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ დაგროვებულ მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას: რომლითაც დასტურდება, რომ ეკონომიკური დემოკრატია იყო და არის, ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალური გზა.

იბეჭდება შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მის თანადამფუძნებლებს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს ზურაბ თეთრუაშვილს და თემურ ქარდავას.

რედაქტორი:

<u>ელგუჯა მექვაბიშვილი</u> – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რეცენზენტები:

<u>რევაზ გოგოხია</u> – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

<u>პარმენ ლემონჯავა</u> – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;.

А н н о т а ц и я

Предложенная работа „Экономическая демократия и вопросы её развития в Грузии" представляет собой составную частью разработанной и читаемой авторами в вузах республики цикла лекций по экономической теории. Предназначена для студентов, аспирантов, бакалавров и магистров, а также профессорско-преподавательского состава и для широких кругов читателей, заинтересованных теоретико-практическими вопросами экономической теории. Её цель - ознакомить их с пока ещё менее изученной грузинской экономической литературри, при этом с найболее сложными и актуальными проблемами формирования и развития экономической демократии. В частности: сушность и содержание экономической демократии; формы и пределы её проявления; правовые объязанности и ответственности юридических и физических лиц в условиях экономической демократии; экономическая демократия как магистральное направление экономического роста и улучшения благосостояния населения; противоречия, мешающие развитию экономической демократии в Грузии и др.

Изучение этих вопросов особенно актуальной становится сегодня, если учесть тяжелые кризисные экономические явление (да не только экономические), длившиеся в Грузии за весь период после провозглашения независимости, а также накопленный в развитых странах, богатый опыт по строительству экономики путем развития экономической демократии.

Печатается по решению Учёного совета и при финансовой поддержке Шида Картлийского светского университета.

Редактор:

Элгуджа Меквабишвили – доктор экономических наук,
профессор;

Рецензенты:

Реваз Гогохия– доктор экономических наук,
профессор;
Пармен Лемонджава – доктор экономических наук,
профессор.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. მისი სახელმწიფოებრიობა 3000 წელს ითვლის. საქართველომ ქრისტიანობა I საუკუნეში მოციქულთაგან მიიღო, ხოლო IV საუკუნეში ეს სარწმუნოება სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა აღიარებული, რამაც განსაზღვრა ქართველი ერის განვითარების ძირითადი ასპექტები, მისი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია (ილია II).

ქართული სახელმწიფო საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური და რელიგიური თემის თავისუფალი განვითარების უმთავრესი გარანტი იყო და არის.

ქართველთა არსებობის ხანგრძლივ ისტორიაში არასოდეს შენელებულა ერის სწრაფვა თავისუფლების, დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისადმი. მსოფლიოში არ დარჩენილა არც ერთი იმპერია, რომელსაც არ მოეტანა აქ სისხლი, ნგრევა, მცდელობა ქართველი ერის განადგურებისა (მ. სააკაშვილი). მაგრამ ვერავინ გაგვინადგურა, ვერავინ შეგვირყია რწმენა, ვერავინ ჩაგვიკლა დაუოკებელი სწრაფვა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ.

ქართველთა ბრძოლამ საბოლოო ნაყოფი XX საუკუნის მიწურულს გამოიღო. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რაც განსაკუთრებით ძალუმად გამოვლინდა «ვარდების რევოლუციის» შემდეგ. იგი «დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანაა, რომელიც წარმოადგენს ამ რეგიონში და მთელ მსოფლიოში თავისუფლების მაგალითს. ქართულ მიწაზე დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღვივდება» (ჯორჯ ბუში).

დამოუკიდებლობის, თავისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება იოლი არ არის. იგი უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული და მოითხოვს თითოეული ადამიანის, მთელი სახელმწიფოს ყოველდღიურ, დაუღალავ და მიზანმიმართულ შრომას. უნდა გავაძლიეროთ საქართველოს კონსტიტუციით (1995 წლის 24 აგვისტო) აღიარებული თავისუფალი, დემოკრატიული აღმშენებლობა. ამ მიმართულებით გადადგმული გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია წარმატებულად ფუნქციონირებადი თავისუფალი, დემოკრატიული ინსტიტუტები, განსაკუთრებით ეკონომიკური დემოკრატიის სფეროში. «ჩვენ კიდევ გრძელი გზა უნდა ვიაროთ დემოკრატიული რეფორმების კუთხით, ჩვენ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი» (მ. სააკაშვილი).

ეკონომიკური დემოკრატიის მშენებლობა რთული, მრავალწახნაგიანი, მრავალასპექტიანი პრობლემაა და დაძაბულ შრომას მოითხოვს როგორც სახელმწიფოს, ისე ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან. ამასთან, პირველი რიგის ამოცანად გვესახება ეკონომიკური დემოკრატიის თეორიული საკითხების დამუშავება, ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ცნობიერებაში მათი ჩამოყალიბება და პრაქტიკული რეალიზაცია. მხედველობაში გვაქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკური დემოკრატიის არსის და შინაარსის, მისი პრაქტიკაში გამოვლინების ფორმებისა და საზღვრების გარკვევა; ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა; ეკონომიკური დემოკრატიის მიმართება ეკონომიკური კონტროლისა და ტოტალიტარიზმისადმი; სახელმწიფოს როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში; ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების მაგისტრალური მიმართულება; საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის

ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობის შესწავლა შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება და სხვა.

აღნიშნული საკითხები ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერჯერობით არ განხილულა. ამდენად, წინამდებარე მოკრძალებული შრომა შესრულებულია ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურის საფუძველზე, რაც სათანადოდ არის მითითებული ტექსტში. ამასთან შევნიშნავთ, რომ რაიმე ორიგინალობას არ ვიჩემებთ. იგი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების, ბაკალავრების, მაგისტრების, მოსწავლე-ახალგაზრდების, ლექტორ-მასწავლებლების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში მომუშავე პირებისა და ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლით.

ვიმედოვნებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაინტერესდება აქ გადმოცემული საკითხებით და შემდგომში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად შეისწავლიან მას. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებას, დემოკრატიული რეფორმების გაფართოებას, ეკონომიკის გაძლიერებას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მეცნიერულად ხომ დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური დემოკრატია ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა.

პირველი თავი

ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური კატეგორია: არსი, შინაარსი, წინააღმდეგობები

1.1. ეკონომიკური დემოკრატიის არსი

ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე დემოკრატიას განვიხილავთ როგორც ძალაუფლების ხალხისათვის კუთვნილებას. ეს იქნება ინდივიდის, რომელიმე კოლექტივის (ფირმა, ორგანიზაცია, დაწესებულება და სხვა), ქვეყნის რეგიონის და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის (რაიონი, ქალაქი, სოფელი, დაბა, თემი, საკრებულო), თუ მთელი სახელმწიფოს დონეზე.

ძალაუფლების ხალხისადმი კუთვნილება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინდივიდები, სხვა ჩამოთვლილი სუბიექტები თანაბარი და თავისუფალი არიან თავიანთ მოქმედებაში, თვითონ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ მოწყობას, საზოგადოების განვითარების გზებს და საშუალებებს და თვითონვე განკარგავენ მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენების ბედს.

დემოკრატია გულისხმობს პიროვნების, როგორც ასეთის, პატივისცემას, ანუ ადამიანის შეხედულებებისა და მიდრეკილებების აბსოლუტური სუვერენიტეტის აღიარებას მისი ცხოველმყოფელობის ნებისმიერ სფეროში. როგორი სპეციფიკურიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. იგი გულისხმობს იმის თავისუფლებას, რომ ყოველმა ადამიანმა განავითაროს მისთვის დამახასიათებელი თვისებები, მასში არსებული ნიჭი, გონებრივი და ფიზიკური უნარი.

დემოკრატია ისეთი სისტემის გამოვლინებაა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს ეცადონ თვითონ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება და თვითონ მოახდინონ ცხოვრებისეული სხვადასხვა უამრავი ფორმებიდან მათი მიდრეკილების შესაბამისი და მათთვის მისაღები არჩევანი.

პოლიტიკური თავისუფლების უდიდესი დამცველებისათვის, რომლებიც პოლიტიკურ თავისუფლებას აიგივებენ დემოკრატიასთან, ეს სიტყვა ნიშნავდა ადამიანის თავისუფლებას სხვა ადამიანის ძალადობისაგან და თვითნებობისაგან, იმ ტვირთისაგან გათავისუფლებას, რომელიც ინდივიდს არავითარ არჩევანს არ უტოვებს და აიძულებს მას, დაემორჩილოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების მქონე სხვა ადამიანებს.

თუ ამ ზოგად მსჯელობას ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში გადმოვიტანთ, მაშინ დემოკრატია ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის ისეთ ურთიერთობებს, რომლის დროსაც ისინი თვითონ, დამოუკიდებლად ღებულობენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, დამოუკიდებლად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას, დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით ამყარებენ ერთიმეორესთან ეკონომიკურ ურთიერთობებს და საბოლოო ანგარიშით ასევე სხვებისაგან დამოუკიდებლად ახდენენ თავიანთი საქმიანობის შედეგების განკარგვას, აკეთებენ რა უამრავ ალტერნატიულ ვარიანტს შორის მათთვის სასარგებლო, მისაღებ არჩევანს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ეკონომიკური დემოკრატია არის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების და მისი მართვის ორგანიზაციის ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც შეზღუდული რესურსების პირობებში მიიღწევა პიროვნების, კოლექტივის, მთელი საზოგადოების, სახელმწიფო და სამეურნეო ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება, თუ ეს არჩევანი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და არ ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას.

ეკონომიკური დემოკრატია ეკონომიკურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება. მიუხედავად ღრმა ისტორიული ფესვებისა, ადრე მის შესახებ ნაკლებად წერდნენ და ლაპარაკობდნენ. თვით ტერმინი იშვიათად გამოიყენებოდა სამეცნიერო ბრუნვაში. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში უკვე საკმაოდ ხშირად იყენებენ მას და დღეს იგი ეკონომიკურ კატეგორიათა შორის შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე პოპულარულად ითვლება.

ეკონომიკური დემოკრატიის სინონიმებად ლიტერატურაში გამოიყენება ხოლმე «ეკონომიკური თავისუფლება», «ეკონომიკური ლიბერალიზმი» რაც, ჩვენი აზრით, არ სცვლის თვით ეკონომიკური დემოკრატიის შინაარსს. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული მის შესახებ, გარკვეული არ არის, თუ რას წარმოადგენს იგი, რა თავისებურებებით და წინააღმდეგობებით ხასიათდება, როგორია მისი გამოვლენის ფორმები და მასშტაბები, აქვს თუ არა მას ზღვარი, სად გადის ეს ზღვარი და სხვა.

ზოგჯერ ეკონომიკურ დემოკრატიას აიგივებენ კონკურენციასთან ამ უკანასკნელის თავისებურებებიდან გამომდინარე. მართალია, თანამედროვე ინდუსტრიული ცხოვრების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კონკურენცია. მაგრამ იგი ვერანაირად ვერ გამოდგება ეკონომიკური დემოკრატიის არსის დასახასიათებლად, რომლის მთავარ ნიშანს წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩევანის თავისუფლება. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ალფრედ მარშალი (1842-1924) თავისი შრომის სამტომეულის პირველ წიგნში «ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები» მიუთითებს, რომ ზოგიერთის მტკიცებით, ინდუსტრიული ცხოვრების თანამედროვე ფორმები ძველისაგან იმით განსხვავდება, რომ ისინი უფრო კონკურენტულნი არიან. მაგრამ ასეთი დახასიათება მთლად არ არის დამაკმაყოფილებელი. კონკურენციის ცნების ზუსტი მნიშვნელობა, - განაგრძობს იგი - როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანი ეჯიბრება მეორეს, განსაკუთრებით რაღაცის გაყიდვის ან ყიდვის დროს. შეჯიბრების ეს სახე ამჟამად უეჭველია, ინტენსიურია და ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე უწინ. მაგრამ ეს

მხოლოდ მეორე ხარისხოვანია და შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ინდუსტრიული ცხოვრების ძირეული თავისებურებების შემთხვევითი შედეგია.

არ არსებობს რომელიმე ისეთი რაიმე ტერმინი, - აღნიშნავს მეცნიერი, - რომელიც სათანადოდ დაახასიათებდა ამ თავისებურებებს. ეს თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ წარმოიშვა გარკვეული დამოუკიდებლობა და ყოველი ინდივიდის ჩვევა, თვითონ აირჩიოს თავისი საკუთარი გზა, რწმენა საკუთარ ძალებში; გადაწყვეტილების არჩევანში და მსჯელობებში წინდახედულობა და ამასთან სისწრაფე; ჩვეულება წინასწარ განჭვრიტო მომავალი და განსაზღვრო მოქმედების კურსი შორეული მიზნების გათვალისწინებით. ამ ფაქტორებს შეუძლიათ გაუღვივონ და უღვივებენ კიდეც ადამიანებს იმის სურვილს, რომ კონკურენცია გაუწიონ ერთიმეორეს. მეორეს მხრივ, ამ ფაქტორებს შეუძლიათ უბიძგონ და სინამდვილეში უბიძგებენ კიდეც თანამშრომლობისა და გაერთიანებისაკენ. მაგრამ ეს ტენდენციები ძირეულად განსხვავდებიან ანალოგიური ტენდენციებისაგან უწინდელ დროში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ არა ჩვევების, გაერთიანებისაკენ პასიური მიდრეკილების შედეგს, არამედ ყოველი ინდივიდის თავისუფალი არჩევანის შედეგს, რომელიც გულმოდგინე მოფიქრების შემდეგ მას წარმოუდგება მისი საკუთარი მიზნების მისაღწევად ყველაზე ხელსაყრელად.

აქ მოტანილი მსჯელობის შემდეგ ა. მარშალი საბოლოოდ აკონკრეტებს თავის დამოკიდებულებას განსახილველი საგნის მიმართ და აღნიშნავს, რომ ტერმინი «კონკურენცია» არ გამოგვადგება თანამედროვე ეპოქის ინდუსტრიული ცხოვრების სპეციფიკური ნიშნების დასახასიათებლად. ჩვენ გვესაჭიროება ტერმინი, რომელიც არ არის დაკავშირებული ზნეობრივ თვისებებთან, კარგი იქნება ის თუ ცუდი. ჩვენ გვესაჭიროება ტერმინი, რომელიც ასახავს იმ უდაო ფაქტს, რომ ჩვენი დროის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის დამახასიათებელია დიდი დამოუკიდებლობა, დიდი წანდახედულობა, გადაწყვეტილებების უფრო გონივრული და თავისუფალი არჩევანი. არ არსებობს ერთიანი ტერმინი, - ასკვნის იგი, - რომელიც ზუსტად შეესაბამება მოცემულ მიზანს, მაგრამ წარმოებისა და მეწარმეობის თავისუფლება, ანუ, მოკლედ, ეკონომიკური თავისუფლება, გვიჩვენებს სწორ მიმართულებას, და იგი შეიძლება გამოვიყენოთ უკეთესის არ არსებობის გამო. გასაგებია, ეს გონივრული და თავისუფალი არჩევანი თავის თავში შეიცავს ინდივიდუალური თავისუფლების ზოგიერთი შეზღუდვების შესაძლებლობას, როდესაც თანამშრომლობა ან გაერთიანება გვპირდება მიზნის მიღწევის საუკეთესო გზას.

ეკონომიკური დემოკრატიის არასწორად გაგებამ ჩვენს ქვეყანაში მიგვიყვანა იქამდის, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანსფორმაციული ცვლილებების მიუხედავად, ვერ მივიღეთ ის პოზიტიური შედეგები, რომლებსაც გვპირდებოდნენ ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რეფორმის ავტორები ერთი-მეორეში აიგივებდნენ სხვადასხვა ცნებებს: «ბაზარი» და «ეკონომიკური თავისუფლება», «საბაზრო ეკონომიკა» და «ლიბერალური ეკონომიკა», «საბაზრო პოლიტიკა» და «ლიბერალური პოლიტიკა». მაშინ როდესაც ეს ცნებები, ისევე როგორც სიტყვები «ბაზრის მომხრეები», «რეფორმატორები», «ლიბერალები» მასობრივ საზოგადოებრივ შეგნებაში აღიქმება როგორც სინონიმები, თუმცა მათ უკან იმალება პრინციპულად განსხვავებული შინაარსი.

ვფიქრობთ, ასეთი აღრევის შედეგია (სხვა მიზეზებთან ერთად) ის რომ ჩვენთან ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის, თუ როგორ საზოგადოებას ვაშენებთ და რა მიზნებს ვისახავთ მისგან.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში შესაძლებელია სხვადასხვანაირი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება – თანმიმდევრული ინტერვენციონისტული და

პოპულისტურიდან, თანმიმდევრულ ლიბერალურ პოლიტიკამდე. ესე იგი, ერთიდაიმავე დროს შეიძლება შექმნა საბაზრო ეკონომიკური სისტემა და გაატარო არალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების ერთი ჯგუფი შეიძლება მომხრე იყოს საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის და ამავე დროს, ერთდროულად იყოს ინტერვენციონისტი, პოპულისტი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არალიბერალები. სწორედ ასე მოხდა ჩვენთან. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას სათავეში უდგნენ ბაზრის მომხრეები (თუ გნებავთ ვუწოდოთ მათ რეფორმატორები). მაგრამ არა ლიბერალები. სწორედ ამიტომ არის, რომ რეფორმების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ინტერვენციონიზმი და პოპულიზმი, სახელმწიფოს პრივატიზაცია და ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა.

რა მოჰყვა ყოველივე ამას?

სახელმწიფოს კრიზისი, რომლის შესახებაც ბევრი იწერება, ამჟამად გამოვლინდა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ პოპულიზმში. იგი წარმოიქმნა იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ შეეძლო თავისი მოთხოვნები შეეფარდებინა დინამიურად ცვალებად საშინაო და საგარეო პირობებისათვის. იგი აფართოებდა თავის ფუნქციებს და ვალდებულებებს. მაშინ, როდესაც მათი შესრულების ძალა არ შესწევდა. უფრო მეტიც, ამ ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებას ცდილობდა რესურსების კერძო სექტორიდან ამოღების და მისი შემდგომი გადანაწილების მეშვეობით იმ მასშტაბებით, რომელიც არ შეესაბამებოდა არც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს და არც მის ეკონომიკურ პოტენციალს.

სახელმწიფოს მიერ რესურსების გადანაწილების მასშტაბების გაზრდას თან მოჰყვა მისი ერთდროულად წასვლა იმ სფეროებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის საკუთრების, მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვასთან, სამეურნეო ცხოვრების წესებისა და ნორმების დადგენის პროცესებთან.. სახელმწიფომ არა მარტო დაგვანახვა, რომ იგი უუნარო იყო იმისათვის, რომ გარანტი ყოფილიყო კერძო კონტრაქტების შესრულებისას, არამედ თვითონვე დაიწყო თავის მიერვე დადებული კონტრაქტების მასიური დარღვევა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან მოჰყვა სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის მასშტაბების გაფართოება. თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით – საგადასახადო და საბაჟო დაბეგვრა, რეპრესიული ფულადი პოლიტიკა და სხვა – სახელმწიფომ გაზარდა ეკონომიკური დატვირთვა კერძო სექტორზე და შეზღუდა იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური თავისუფლება. ნაცვლად იმისა, რომ შემოეღო სამეურნეო ცხოვრების ცივილური დემოკრატიული წესები გადასახადების ამოღებისა და საბაჟო შემოსავლების გაზრდის, აგრეთვე, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით. ერთ ადმინისტრაციულ ღონისძიებას სხვა სახელწოდებით ცვლიდა, მეორეთი, თანაც უფრო დიქტატორულით (პოპულისტურით).

მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების (თავიანთი შინაარსით ამკრძალავი) მასშტაბები. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვნად შემცირების, ეკონომიკაში დასაქმებული ადამიანების შემცირების და სხვათა პარალელურად გაიზარდა სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის რაოდენობა, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის აღიარებით ყველა ის უწყება, ვინც სახელმწიფო ბერკეტითაა აღჭურვილი, მეტნაკლებად კორუმპირებულია (გაზ. «კვირის პალიტრა», 7-13 აგვისტო, 2000).

უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური დემოკრატია მარტო ფიზიკური და იურიდიული პირების სამეურნეო საქმიანობით არ შემოიფარგლება. იგი მოიცავს აგრეთვე, სახელმწიფო საწარმოებს, პროფკავშირებს, მეწარმეთა კავშირებს და სხვა ორგანიზაციებს.

მაშასადამე, იგი მრავალწახნაგიანი, მრავალასპექტიანი კატეგორიაა. უფრო მეტიც, ეკონომიკური დემოკრატია ცივილიზაციური სოციო-კულტურული რიგის ფენომენია.

1.2. ეკონომიკური დემოკრატია როგორც ცივილიზაციური სოციო-კულტურული ფენომენი და მისი წინააღმდეგობები

როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ეკონომიკური დემოკრატია ცივილიზაციური სოციო-კულტურული რიგის ფენომენია, ვგულისხმობთ, რომ მისი მოქმედება არ შეიძლება მივაკუთვნოთ ერთ რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. ქვემოთ ამის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დემოკრატიული წესები არსებობდა მონათმფლობელურ წყობაშიც (ქალაქ-სახელმწიფოებში) და არსებობს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის მქონე ქვეყნებშიც. ამასთან, ერთი და იგივე ფორმაციის ფარგლებში შეიძლება არსებობდნენ ეკონომიკური დემოკრატიის მეტნაკლები სიმწიფის ქვეყნები და ისეთი ქვეყნებიც, სადაც ნამდვილი დემოკრატიზაციის საწყისებიც კი არ არის. უფრო მეტიც ზოგჯერ ეკონომიკურ დემოკრატიას საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებთანაც კი აიგივებენ და მიაჩნიათ, რომ იქ სადაც ფუნქციონირებს საბაზრო მექანიზმები ეკონომიკური დემოკრატიაც იქ არის მიღწეული.

საერთოდ, ლიბერალური იდეოლოგიის წარმომადგენლები საბაზრო ეკონომიკას და დემოკრატიას ერთიან მთლიან ფენომენად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე შეიძლება ნამდვილი დემოკრატიული წყობის აშენება და მხოლოდ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული სისტემა ქმნის თავისუფალი და ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ხელსაყრელ პირობებს.

რამდენად გამართლებული და დასაბუთებულია ასეთი კონცეფცია, მის განხილვას აქ არ შევუდგებით. ამისათვის ცალკე კვლევების ჩატარებაა საჭირო. ერთს კი ვიტყვით, რომ ისტორიამ იცის ისეთი ფაქტები, როდესაც რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანებს შორის ურთიერთობები, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საშუალებებზე საკუთრებითი ურთიერთობები, აგებულია საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ პრინციპებზე. მაგრამ ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია და მართვა არ ხორციელდება ამ პრინციპების ადექვატურად. უკვე ვთქვით და გავიმეორებთ, რომ ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ვამტკიცოთ თითქოს ქვეყანაში მიღწეულია, ან შეიძლება რომ მიღწეული იქნეს ეკონომიკური დემოკრატია, რომ ეკონომიკური არჩევანი ხორციელდება თვითონ ინდივიდების მიერ დამოუკიდებლად, ყოველგვარი გარეშე ძალების ჩაურევლად. როგორც ცნობილია, ჰიტლერული ფაშიზმი ვეიმარის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იყო გამოსული, ხოლო ყველაზე მკაცრმა დიქტატურამ გაამყარა საბაზრო ურთიერთობები ჩილეში.

დღეს მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს საბაზრო ეკონომიკის ესა თუ ის სახეობა (მოდელი). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით საბაზრო ურთიერთობის მასშტაბები მეტად დიფერენცირებულია, იგი ეკონომიკური საქმიანობის გაბატონებულ მექანიზმად არის ჩამოყალიბებული და გავლენას ახდენს ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები 6 მლრდ. ადამიანის ბედზე[1]. მაგრამ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ქვეყანაში საბაზრო პრინციპები დემოკრატიული გზით ვითარდება. მაშასადამე, საბაზრო ურთიერთობანი სულაც არ იძლევიან იმის გარანტიას, რომ არ წარმოიშვას დიქტატურა. თანამედროვე ეკონომიკური დემოკრატიის სიმწიფე განპირობებულია

[1] როგორც მეცნიერული გაანგარიშებები მეტყველებენ, იგი კეთილსასურველია მხოლოდ ე.წ. «ოქროს მილიარდისთვის».

მოცემულ ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, მორალურ-ზნეობრივი და სხვა პროცესების მიღწეული დონით. აღნიშნული, თავის მხრივ, განსაზღვრავს იმას, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური დემოკრატიის ერთიანი, რაღაც უნივერსალური, იდეალური მოდელი, იმ ქვეყნებშიც კი რომლებიც ითვლებიან თანამედროვე ეკონომიკური დემოკრატიის ნიმუშად, ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას, მოხელეების თავნებობას, თანამდებობის პირთა (მათ შორის ქვეყნის მაღალ ეშელონებში მომუშავე პირთა) კორუფციას, თანამდებობის ანგარებითი მიზნით გამოყენებას, მეწარმეთა უფლებების შეზღუდვას, რომლებიც ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

ეკონომიკური დემოკრატია, თავისი არსიდან გამომდინარე, თავის თავში შეიცავს <u>წინააღმდეგობებსაც.</u> განვიხილოთ ისინი:

1. დემოკრატია, მართალია, ხალხის, საზოგადოების ხელთ არსებული ძალაუფლებაა, მაგრამ იგი მაინც ძალაუფლებაა. ეს უკანასკნელი კი აუცილებლად გულისხმობს მმართველთა და მართულ სუბიექტთა არსებობას, მათ შორის წინააღმდეგობას; მათ ვინც ბრძანებებს, განკარგულებებს გამოსცემს, გეგმავს და აკონტროლებს და მათ ვინც ამ ბრძანებებს, განკარგულებებს ასრულებს, ვისაც უგეგმავენ და აკონტროლებენ. ამ შინაგანი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ეკონომიკური დემოკრატია გარკვეულად შეზღუდულია. ამასთან, შეზღუდულობის ხარისხი შეიძლება მაღალი იყოს ან დაბალი და მერყეობდეს ნულიდან ათ ერთეულამდე, თანაც აქ საქმე მარტო რაოდენობრივ შეზღუდულობაში არ არის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის თუ შეზღუდულობის ხარისხი რა ხასიათს ატარებს; მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება თუ მხოლოდ რეგიონების, რაიონების, ქალაქების, სოფლების, დაბების დონეზე; ყველა ადამიანზე ვრცელდება თუ მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე, კოლექტივებზე და სხვა. კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ შეზღუდვები არასოდეს არ ყოფილა აბსოლუტური სიდიდის (ათის ტოლი), ტოტალური. ამავე დროს არ შეიძლება რომ ადამიანებს აბსოლუტური თავისუფლება წაართვა და მხოლოდ დამჯერ, შემსრულებელ ავტომატად აქციო. მეორეს მხრივ, არ არსებობს საზოგადოებრივი მოწყობის არც ერთი ისეთი მოდელი, რომლის დროსაც შეზღუდვები მთლიანად იყოს მოხსნილი, რომ შეზღუდულობის მაჩვენებელი ნულის ტოლი იყოს. ერთი რამ კი უნდა ითქვას, რომ რაც მეტია შეზღუდვები, მით ნაკლებია თავისუფლება და, პირიქით. ეკონომიკური საქმიანობის სფეროში აქ ნათქვამი სხვაირადაც შეიძლება გამოიხატოს; რაც მეტია შეზღუდვები მით ნაკლებია ეკონომიკური დემოკრატიის ხარისხი (იგი ნულისაკენ მიექანება) და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია შეზღუდვები, მით უფრო მაღალია ეკონომიკური დემოკრატიის ხარისხი. (ათის ნიშნულისაკენ მიემართება). აღნიშნულიდან გამომდინერე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის ერთიანი მოდელი არ შეიძლება რომ არსებობდეს და არც უარსებია ისტორიაში. ზოგი ხალხებისათვის შეიძლება მისაღები იყოს ეკონომიკური დემოკრატიის კონკრეტული მოდელი, სხვებისათვის კი – არა. აღნიშნული დიდად არის დამოკიდებული მოცემული ხალხების (ქვეყნების) ისტორიულ ტრადიციებზე. ეროვნულ და ეთნიკურ შემადგენლობასა და ფსიქოლოგიაზე, ადათ-წესებზე, ზნეჩვეულებებზე, გაბატონებულ რელიგიაზე და სხვა. მაშასადამე, ეკონომიკური დემოკრატიის ხარისხი არ შეიძლება ერთიანი იყოს ყველა დროისათვის და ყველა ხალხისათვის. ამიტომ უსაფუძვლოა ზოგიერთი ავტორის მტკიცება, თითქოს დემოკრატიის ამერიკული მოდელი სანიმუშოა ყველა ქვეყნისათვის.

2. ეკონომიკური დემოკრატია ზოგადსაკაცობრიო პროცესია, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი მოწყობის ჰუმანიზაციისაკენ მიმავალ ზოგადისტორიულ

ტენდენციებს. მაგრამ ყოველი ცალკე აღებული ხალხებისათვის (ქვეყნებისათვის) იგი მიმდინარეობს განსაკუთრებული თავისებურებებით.

შეზღუდვების მიახლოება როგორც ერთ, ისე მეორე პოლუსთან (ნულთან ან ათთან) აუცილებლად იწვევს ეკონომიკური დემოკრატიის დაღუპვას. კერძოდ, თუ არ არსებობს არავითარი შეზღუდვა, ან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მას არ აღიარებს (არ სცნობს), დგება ქაოსი, ანარქია, ბატონდება თვითნებობა. პირიქით, თუ შეზღუდვები ტოტალურად იზრდება, მოქალაქეებს (ეკონომიკურ სუბიექტებს) ერთმევათ უფლებები, მაშინ წარმოიქმნება ავტორიტარული სახელმწიფოს ფენომენი, ტოტალიტარიზმი, ცხოვრებაში ავტორიტარიზმი და თვითნებობა შეიძლება, რომ შეხამებული იყოს ერთიმეორესთან. მაგრამ ერთიც და მეორეც, ცალცალკეც და ერთადაც არყევენ დემოკრატიას.

მაშასადამე, საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს თავისუფლებისა და შეზღუდვების მუდმივი ბალანსირება. შეზღუდვები აუტანელ ტვირთად არ უნდა აწვებოდეს ადამიანებს. სხვანაირად კონფლიქტები გარდაუვალია, რომლის გამწვავებასაც მივყევართ სოციალურ აფეთქებამდე. დემოკრატიას ცვლის ძალადობა. საზოგადოება გადადის ანარქიისა და ქაოსის ზღვრების უკიდურესობიდან ტირანიის უკიდურესობაში.

3. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს არა მარტო სხვადასხვა და ერთიმეორის მეტოქე ინტერესები, არამედ, აგრეთვე, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიც. ამიტომ ყოველთვის ადგილი აქვს იმის ცდუნებას, რომ შეზღუდოს მეტოქის უფლებები. დემოკრატია წარმოადგენს ამ წინააღმდეგობების მშვიდობიანი და კონსტრუქციული გადაწყვეტის ხერხს, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების შეხამების ხერხს. ამ გაგებით, დემოკრატია წინააღმდეგობების გადაწყვეტის იმ ხერხის ანტიპოდია, რომელიც ითვალისწინებს ერთი ინტერესის მეორეთი დათრგუნვას, ან კონკრეტული ინტერესის მატარებელი სუბიექტის მოშორებას. კონფლიქტის საფრთხე მის აფეთქებამდისაც კი განსაკუთრებით დიდია, თუ საზოგადოება აგებულია ანტაგონიზმზე, თუ იგი იყოფა «ღირსეულ» და «არაღირსეულ» ადამიანებად, თუ ეს «არაღირსეული» ადამიანები თავდახრით, წინააღმდეგობების გარეშე ემორჩილებიან «ღირსეულთა» ძალაუფლებას. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ინგლისელი მოაზროვნე თომას გრობსი ამის შესახებ აღნიშნავდა, რომ, რაკი ხალხი უსიტყვოდ სწრაფად თანხმდება ყველაზე გავლენიანი ლიდერების უზურპაციას, დგება დემოკრატიის სიკვდილი.

XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი შრომაში «გზა მონობისაკენ» (19944 წ.) აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის (ეკონომიკური დემოკრატიის – ავტ.). თვით ბუნება საშუალებას არ იძლევა გადავაქციოთ იგი დოგმატურ სისტემად, აქ არ არის ერთმნიშვნელოვანი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმები და წესები. ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციას ვუკეთებთ რა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს, ჩვენ უნდა მაქსიმალურად დავეყრდნოთ საზოგადოების სპონტანურ ძალებს და რაც შეიძლება ნაკლებად მივმართოთ იძულებას. ეს პრინციპი მისაღებია უთვალავი რაოდენობის სიტუაციაში. ერთი საქმეა, მაგალითად, მიზანმიმართულად შევქმნათ სისტემები, რომლებიც ითვალისწინებს კონკურენციის მექანიზმს და სულ სხვაა სოციალური ინსტიტუტები ისეთებად მივიღოთ როგორებიც არიან ისინი.

4. ეკონომიკური დემოკრატიის წინააღმდეგობად უნდა შეფასდეს საბაზრო პირობებში,განსაკუთრებით ამ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის წყალობით განვითარებული ბიზნესის (სამეწარმეო საქმიანობის) ობიექტური თავისებურება. საქმე იმაშია, რომ დღემდის არც ერთ ქვეყანაში ეკონომიკურ დემოკრატიას თავისი განვითარების ისეთი დონისათვის არ მიუღწევია

(უნდა ვივარაუდოთ, ვერც მიაღწევს) რომ მას შესძლებოდა ბიზნესი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და არ ეგრძნო მისი ზემოქმედება. ეკონომიკური დემოკრატიის მიზანი მთელი საზოგადოების ინტერესების დაცვისათვის ზრუნვა ყოველთვის არ ემთხვევა კერძო საკუთრებაზე დამყარებული სამეწარმეო საქმიანობის ინტერესებს და, პირიქით, კერძო ბიზნესის ინტერესი – მაქსიმალური მოგებისათვის ზრუნვა ყოველთვის არ ემთხვევა მთელი საზოგადოების ინტერესებს. ყოველივე აღნიშნული დამატებით სირთულეებს უქმნის სახელმწიფოს, რაც საჭიროებს მისგან დამატებითი შრომითი, მატერიალური და ფინანსური სახსრების დაბანდებას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ძალაუნებურად, ბუნებრივად გამოდის კერძო ბიზნესის ინტერესების დამცველად.

აქ თავს იჩენს როგორც ბიზნესის, ისე დემოკრატიისათვის დამახასიათებელი შემდეგი ორი თავისებურება: <u>პირველი:</u> თვით საბაზრო ეკონომიკა ხომ დემოკრატიის განვითარების გარკვეულ შედეგს წარმოადგენს. გამომდინარე თავისი არსიდან, თეორიულად იგი გულისხმობს ამ ურთიერთობებში ჩაბმული მეურნე სუბიექტების, ერთის მხრივ, მატერიალური დოვლათის მწარმოებლებისა და სოციალური სიკეთის შემქმნელების და, მეორეს მხრივ, მომხმარებლების თანაბარ უფლებებს. მაგრამ ეს თანაბარუფლებიანობა შეზღუდული ხასიათისაა, ვინაიდან მისი რეალური განხორციელება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (ფასები, მსყიდველობითი უნარი, ბაზრებთან სიახლოვე (სიშორე), ბაზრის ტევადობა, ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის კონკურენციული ბრძოლა და სხვა). ასეთ პირობებში ჩამოყალიბებული ნებისმიერი მონოპოლია ფორმალურადაც რომ არ დაარღვიოს თანაბარუფლებიანობის პრინციპი, მაინც, ფაქტიურად თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს კონკურენტებს და კონტრაგენტებს;

<u>მეორე</u>, დემოკრატიას, როგორც საზოგადოების სურვილებისა და მიზნების გამომხატველს, შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკის კოორდინაციაზე და მართვაზე. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ახორციელებენ სამეურნეო ცხოვრების არა მარტო სამართლებრივ უზრუნველყოფას, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების ფუნქციასაც. ასეთ დროს დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ეკონომიკური განვითარების ეროვნული, ნაციონალური და გლობალური, ინტეგრაციული პროცესების მიერ დაყენებული მოთხოვნების შესაფერისი ღონისძიებების ძიება და მათი ცხოვრებაში გატარება. ეს კი თავის მხრივ, მოითხოვს დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ ყველა დონის სახელმწიფო აპარატის მუშაკების (მოხელეების) საქმიანობისადმი კონტროლს, რათა მიღწეული იქნეს აღნიშნული ამოცანა.

5. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის დღემდის მიღწეული დონის პირობებში ევროპის ცენტრალური აღმოსავლეთის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიზაციის განვითარების პარალელურად მოხდა მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი უთანაბრობა თავისი მწვავე სოციალური შედეგებით. მოსახლეობის შემოსავლებს შორის პროგრესირებადი განსხვავება, მდიდართა და ღარიბთა ფენების ზრდა (საშუალო ფენის ჩამოუყალიბლებლობის ფონზე), სახელმწიფო საწარმოთა და სახელმწიფო ფინანსების, აგრეთვე, კრედიტების და გრანტების, სანედლეულო და ბუნებრივი რესურსების, საექსპორტო და საშუამავლო სავაჭრო მოგებების და სხვათა მითვისება და სხვა არაკანონიერი გზებით სახელმწიფო მოხელეთა უზომო გამდიდრება თავისი ნეგატიური მოვლენებით, ბუნებრივია, წინააღმდეგობას ქმნის ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებისათვის.

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი, სახელმწიფოს შესახებ უკვდავი მოძღვრების ავტორი, პლატონი ორიათას ხუთასი წლის წინ კარგად ხედავდა ამ წინააღმდეგობას და მის შედეგებს. იგი მისთვის ცნობილი სახელმწიფოების ტიპებს შორის («ტირანია» -

პიროვნების დიქტატურა; «ტიმოკრატია» - პატივმოყვარეობის ძალაუფლება; «ოლიგარქია» - მცირერიცხოვანთა, მდიდრების ბატონობა) ასახელებს «დემოკრატიასაც» - ფორმალურად თავისუფალი ადამიანების ხელისუფლება, რომელთა რიცხვში მონები არ მიიღებოდნენ მხედველობაში.

სახელმწიფოს ყველა ამ ტიპს, პლატონის მიხედვით, აქვს ორი საერთო ნიშანი: ჯერ ერთი, მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაპირისპირება. ყოველი ცალკეული ტიპი თავის თავში შეიცავს ორ მტრულ სახელმწიფოს – ღარიბების და მდიდრების სახით; მეორე, ერთიანი აზრის არ არსებობა, უთანხმოება, ძალადობა და იძულება, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა უმდაბლესი მიზნებისათვის, სიხარბე, ფულისათვის გამოდევნება და მომხვეჭელობა; ქცევის მთავარი მამოძრავებელია – მატერიალური ინტერესები, ზრუნვა და სტიმულები.

დემოკრატიის დროს, აღნიშნავს იგი, ყველა ეს უარყოფითი ნიშანთვისება მწვავდება: ღრმავდება ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. საზოგადოება იშლება სამ ნაწილად – მუქთახორები, მდიდრები, ხალხი, ძლიერდება ფულის ძალაუფლება, ჰყვავის მევახშეობა, რომელიც ითრევს ახალგაზრდებს; იზრდება გაბოროტება სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც მივყევართ აჯანყებამდის. თუ ღარიბები გაიმარჯვებენ, მდიდრების ნაწილს სპობენ, ან განდევნიან და ხელისუფლებას იყოფენ დანარჩენები.

პლატონისათვის მიუღებელია სახელმწიფოს ჩამოთვლილი ტიპები, მათ შორის დემოკრატიაც და აყალიბებს მისთვის მისაღებ სახელმწიფოს იდეალურუტოპიურ მოდელს. მის საფუძველს წარმოადგენს «სამართლიანობა», რომლის ძირითადი კანონი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ცალკეული წევრი «აკეთებს თავის საქმეს» - დაცულია შრომის მკაცრი დანაწილება: «ფილოსოფოსები»- მართავენ, «დამცველები» - იცავენ, იფარავენ სახელმწიფოს, «მიწათმოქმედები და ხელოსნები» (მესამე ფენა) – აწარმოებენ ყველაფერ მატერიალურ დოვლათს არა მარტო თავისთვის, არამედ ყველასათვის. მესამე ფენას აქვს «პირადი (კერძო) საკუთრება», მაგრამ შეზღუდულია ისე, რომ სიმდიდრე და სიღარიბე უკიდურესობამდე არ მივიდნენ, რომელიც ანგრევს თვით ფენას და «იდეალურ» სახელმწიფოს თავისებურ ჰარმონიას.

მართალია, პლატონის იდეალურ სახელმწიფოში საქმე გვაქვს მონათმფლობელური ფორმაციის დემოკრატიასთან, რაც ერთგვარად ართულებს მის შედარებას თანამედროვე საბაზრო ურთიერთობის პირობებში განვითარებულ დემოკრატიასთან. მაგრამ მთელი რიგი არსებითი მომენტები, რომლებიც აღწერილი აქვს მას, დამახასიათებელია თანამედროვე საბაზრო დემოკრატიისათვისაც.

ქვემოთაც გვექნება საუბარი და აქაც აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის ეს წინააღმდეგობა დაიძლევა პიროვნების იურიდიული თავისუფლების უფლებების გათანაბრების, ანუ კანონის წინაშე ყველას ერთნაირი უფლებებისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფით.

6. ეკონომიკური დემოკრატიის წინააღმდეგობას განაპირობებს არასწორი, წინასწარმოფიქრებული პოლიტიკის გარეშე განხორციელებული პოსტსოციალისტური გარდაქმნები, განსაკუთრებით თუ ისინი დროში ძალიან გაიწელა. (საქართველოში ეს პერიოდი უკვე 15 წელიწადს მოიცავს და რამდენხანს კიდევ გაგრძელდება, ზუსტი პასუხი ჯერ არ არსებობს).

აღნიშნული ფაქტორის შედეგია: საზოგადოების უპრეცედენტო სოციალურ შრეებად დაყოფა, რომელიც გამოიწვია საერთო სახელმწიფო რესურსების მაფიოზურ-კრიმინალურმა განაწილებამ, მათი მოსახლეობის ვიწრო წრის ხელში თავმოყრამ.

ვინ იყვნენ და ვინ არიან ისინი? – პარტიულკომკავშირული მოღვაწეები და სახელმწიფო მოხელეები, სახელმწიფო საწარმოთა ყოფილი დირექტორები, კომპარტიის

ხელმძღვანელობის ინიციატივით შექმნილი კოოპერატივის ხელმძღვანელები, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები და სხვა.

ვეთანხმებით პოსტსაბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში დამკვიდრებულ შეფასებას: საბჭოთა პარტიულ-კომკავშირული და სამეურნეო აქტივი არსად არ წასულა. ისინი ახლაც თავიანთ ადგილებზე არიან. მათ მხოლოდ სამოსელი გამოიცვალეს და დღეს ხმამაღლა ლაპარაკობენ დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. უფრო მეტიც, ისინი, მათი შთამომავლები, გადანაწილებული არიან სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით (აღმასრულებელი და საკანონმდებლო) და დემოკრატიის მანტიაში გამოწყობილნი სხვას მოძღვრავენ დემოკრატიის სიკეთეზე.

აღნიშნულმა გარემოებამ დიდი დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. მთელი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში ერთ დროს მაღალ-განვითარებული აგრარული და საშუალო განვითარების ინდუსტრიული ქვეყანა საქართველო, რომელიც გამოირჩეოდა მთელს სოციალუსტურ სივრცეში მაღალი ინტელექტუალური დონით, ბოლო 15 წლის განმავლობაში გადაიქცა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად. აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ 15 წელი ცოტა დრო არ არის ქვეყნის ცხოვრებაში, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის (მცირე რაოდენობის მოსახლეობისათვის) როგორც საქართველოა. მეორე მსოფლიო ომის შედეგად მთლიანად დანგრეული, გაპარტახებული და ტერიტორიებწართმეული, დანაწევრებული გერმანია 15 წლის დაუღალავი შრომისა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მსოფლიოში მესამე ადგილზე გამოვიდა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის შემდეგ და დღესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციებზე დგას. საქართველოში სწორედ აღნიშნულის საპირისპირო მოვლენები განვითარდა. სამწუხაროდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს (ჩვენი დაკვირვებით მათი რაოდენობა არც თუ ისე მცირეა) არც კი აწყობთ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლა – მღვრიე წყალში უფრო მეტი თევზი დაიჭირება. ამ ხნის განმავლობაში არ გამოჩნდა არც ერთი პოლიტიკური პარტია, ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შეიმუშავებდა შესაბამის ეკონომიკურ პოლიტიკას და ქვეყანას სწორი გზით წაიყვანდა. ასევე მთელ საზოგადოებაში არ აღმოჩნდა პიროვნება (თუნდაც იმავე გერმანიის მაგალითი), რომელიც თავის თავზე აიღებდა ქვეყნის განვითარების ბედს და ააცილებდა კატასტროფულ შედეგებს, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს. ხოლო ის პიროვნებები ვისაც აღნიშნული ამოცანის შემსრულებლის მონაცემები გააჩნდათ ან მოვკალით და სამშობლოში დამარხვაც კი არ ვაღირსეთ, ან ავტოავარიები მოვუწყვეთ და ამით მოვუსწრაფეთ სიცოცხლე.

ქვემოთ განვიხილოთ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების არსი და მისი გამოვლინების ფორმები.

1.3. ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება როგორც ეკონომიკური დემოკრატიის გამოვლინება: არსი და ფორმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური დემოკრატია არის ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება. განვიხილოთ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების შინაარსი და მისი ფორმები.

ცხოვრებაში ყველაზე ძნელია არჩევანი, რომლის გაკეთებაც ადამიანებს უხდებათ ყოველდღე, ყოველ ნაბიჯზე იყენებენ რა თავიანთი სურვილებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეზღუდულ რესურსებს. ეკონომიკური არჩევანი კეთდება, როდესაც ადამიანები ყიდულობენ ტანსაცმელს, ან საკვებს, როდესაც მუშაობენ და მაშინაც კი, როდესაც ცოდნის შესაძენად სასწავლო განრიგში შეაქვთ ესა თუ ის დისციპლინა. ეკონომიკური არჩევანი კეთდება ყველგან: ფაბრიკაში, რომელიც კომპიუტერებს უშვებს, სამთავრობო დაწესებულებებში, სადაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, არამომგებიან ორგანიზაციებში, სხვა უამრავ ადგილებსა და სიტუაციებში.

უფრო ფართო მასშტაბით თუ ვიტყვით, საზოგადოების უკიდეგანო და დაუცხრომელი მოთხოვნილებებისა და რესურსების შეზღუდულობის იშვიათობის პირობებში ადამიანები ობიექტურად დგებიან არჩევანის წინაშე: ეს არჩევანი ერთნაირად ისმის ნებისმიერი ფორმისა და ტიპის სისტემისათვის, მეურნეობისათვის; ერთნაირად ბუნებრივია პრიმიტიული საზოგადოების პირობებშიც და მაღალგანვითარებული თანამედროვე და მომავალი ცივილიზაციის პირობებშიც; ერთნაირად ისმის ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ პირობებში.

მაგრამ იმისათვის, რომ არჩევანი იქნეს გაკეთებული, საჭიროა მოცემულმა კონკრეტულმა სისტემამ გამოიმუშაოს (გამომუშავებული ჰქონდეს) რაღაც გზები, ხერხები, მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მოხდებოდა ადამიანების არჩევანის კოორდინაცია. კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება კოორდინაციის ორი ხერხი, ორი მეთოდი:

<u>პირველი:</u> ეს არის სტიქიურად წესრიგის დამყარება, რომლის დროსაც საზოგადოება მთლიანად, მისი ცალკეული წევრები (იურიდიული და ფიზიკური პირები) შეუხამებენ რა ერთიმეორეს თავიანთ მოქმედებას მათ გარშემო ჩამოყალიბებულ ინფორმაციასა და სტიმულირებაზე დამყარებულ პირობებს, აკეთებენ თავისუფალ არჩევანს. ამის ტიპიური მაგრამ მარტივი მაგალითია ავტოტრანსპორტის მოძრაობა ტრასაზე, რიგში მდგომი ადამიანების მოქმედება მაღაზიაში და სხვა. საყოველთაოდ აღიარებული მაგალითია ბაზარი, რომლის მეშვეობითაც ყოველი ადამიანი აკეთებს თავის საკუთარ არჩევანს, თავისი საკუთარი მიზნების განხორციელების დროს. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ა. სმითი ჯერ კიდევ 1776 წელს თავის წიგნში «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ» მიუთითებდა, რომ: კონკურენციულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანები მოქმედებენ რა მხოლოდ თავისი საკუთარი სარგებლობისათვის, ამავე დროს წარიმართებიან «უხილავი ხელით» და ამით ხელს უწყობენ საზოგადოების ინტერესებს; რომ სრულყოფილი კონკურენცია წარმოადგენს სიკეთეს მთლიანად ეკონომიკისათვის, ვინაიდან მას მივყევართ რესურსების ეფექტიან განაწილებასთან, ანუ ისეთ განაწილებასთან რომლის დროსაც რესურსები არაეფექტურად, არარაციონალურად არ იხარჯება.

ბაზარი, მისი მრავასახეობისა და სხვადასხვა ტევადობის მიუხედავად, წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების, არჩევანის მიღებისათვის საჭირო ინფორმაციას და სტიმულებს და ამით ამ გადაწყვეტილების, არჩევანის კოორდინაციას ახდენს, სტიქიურ წესრიგს ამყარებს, საბაზრო ურთიერთობის პროცესში.

ისევე როგორც მაღაზიაში შესულ მყიდველს ესაჭიროება ინფორმაცია სხვა მყიდველთა რიგების, მათი სიგრძის შესახებ, რათა განსაზღვროს თავისი მოქმედება და

დროის ნაკლები დანახარჯით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, ასევე საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე მომწოდებელს და მომხმარებლებს ესაჭიროება ინფორმაცია ბაზარზე არსებულ პროცესებზე და მოვლენებზე: მიწოდებული საქონლის რაოდენობა სახეების მიხედვით, მათი ალტერნატიული ღირებულება; მყიდველების რაოდენობა, მათი შესაძლებლობა და სურვილი, შეიძინონ მოცემული სახის და რაოდენობის საქონელი და სხვა. თუ საქონელი აღმოჩნდა ნაკლები რაოდენობა (იშვიათი), ანუ მისი მიწოდება ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნას, მაშინ ამ საქონლის ღირებულება ფასში გამოხატული გაიზრდება. ფასის გაზრდა მომხმარებელს ნიშანს აძლებს რომ საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული საქონლის დაზოგვას, ეკონომიას. იგი მომხმარებელს ნიშანს აძლევს რომ საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული საქონლის დაზოგვას, ეკონომიას. გაზრდილი ფასი ასევე ნიშანია მწარმოებლისათვის, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოცემული საქონელი აწარმოოს. დავუშვათ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე გაფართოებული იქნა მოცემული საქონლის გამოყენების სფერო. მაშინ ეს გამოიწვევს ბაზარზე ახალი მყიდველების გამოჩენას და ბაზრის კიდევ უფრო გაზრდილი მოთხოვნილების უფრო მეტად დაუკმაყოფილებლობას. ამ საქონლის მიღებისათვის კონკურენციული ბრძოლა კიდევ უფრო გაზრდის მის ფასს. ეს კი იმის ნიშანია, რომ საჭიროა ყველა ღონე გამოვიყენოთ, რათა მიღწეულ იქნას ეკონომია მოცემულ საქონელზე მისი წარმოების გაზრდის პარალელურად.

ისევ ამ სახის საქონელზე გავაგრძელოთ საუბარი და დავუშვათ, რომ ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქონლის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების და მაშასადამე ფასის შემცირება. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება მომხმარებლის მიერ შესყიდული საქონლის რაოდენობა, ხოლო მწარმოებლები თავიანთი რესურსების ნაწილს დააბანდებენ სხვა სახის საქონლის საწარმოებლად.

აღნიშნული ინფორმაციების გარდა, საბაზრო პროცესებში მონაწილე სუბიექტებს რესურსების ეფექტურად განაწილების (გამოყენების) მიზნით არჩევანის გასაკეთებლად ესაჭიროებათ კიდევ სტიმულები. ბაზარი ისევ ფასის მეშვეობით, გაყიდვების გაფართოების სტიმულს იძლევა – საქონელი გაიყიდოს იქ, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ფასები. ფასისმიერი სტიმულები ასევე აიძულებენ ადამიანებს, რომ მიისწრაფოდნენ – საქონელი იყიდონ დაბალი ფასებით. მაღალი მოგების მიღების წყურვილი აიძულებს მწარმოებლებს გააუმჯობესონ წარმოების ორგანიზაცია, დანერგონ ახალი საქონელი და სხვა და ამით დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილებები. თავის მხრივ, ასეთ წარმოებაში მომუშავე ადამიანები დაინტერესებული არიან თავიანთი შრომის მაღალმწარმოებლურობაში და მაშასადამე დაინტერესებული – მაღალი შემოსავლების მიღებაში. ბაზარზე მიმდინარე პროცესების და მოვლენების შესახებ კარგად ინფორმირებული მომხმარებელი ყაირათიანად ხარჯავს ფულს და კარგად ცხოვრობს მოცემული სახსრების ფარგლებში.

ადამიანების მიერ არჩევანის გაკეთების კოორდინაციის <u>მეორე</u> ხერხი, მეთოდი არის იერარქიულად წესრიგის დამყარება, რომლის დროსაც ცალკეული ინდივიდის მოქმედება დაქვემდებარებულია ხელისუფლების, სახელმწიფოს, (მისი ყველა დონით) ინსტრუქციებზე, კანონებზე, კანონქვემდებარე აქტებზე, ნორმატივებზე და სხვა ამგვარ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებზე.

ეკონომიკური არჩევანის კოორდინაციის განხილული ორი გზიდან, ორი ხერხიდან პირველი დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მეორე – ტოტალური, მბრძანებლურ – ადმინისტრაციული სისტემისათვის.

დემოკრატიული გზით ეკონომიკური არჩევანის გამოვლინების მრავალი ფორმა შეიძლება არსებობდეს. ზოგიერთი მათგანის არასრული ჩამონათვალი ჩვენი აზრით შემდეგია:

ინდივიდების, ან ჯგუფების (იურიდიული და ფიზიკური პირების) მიერ საკუთრების ფლობის, გამოყენების და განკარგვის თავისუფლება.

თავისუფალი არჩევანის ძირითადი გარანტი კერძო საკუთრების სისტემაა. ვიდრე საკუთრებაზე კონტროლი განაწილებულია ერთიმეორესთან დამოუკიდებელ უამრავ ადამიანებს შორის, არავის არა აქვს აბსოლუტური ძალაუფლება მათზე. პირიქით, საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი იგეგმება ზევიდან, ყოველი ადამიანის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა მის უნარზე და გამართლებაზე, არამედ უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე. ამიტომ უკეთესად იცხოვრებენ არა ისინი, ვინც მეტს მისცემენ საზოგადოებას, არამედ ისინი, ვინც უფრო სწრაფად და უკეთესად შეძლებენ მოიპოვონ ხელისუფლების კეთილი განწყობა;

არჩევანის თავისუფლება ეწოდება ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული და რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შრომაში თანაბარი ანაზღაურების მიღებას. საქმიანობის (სამუშაოს) არჩევანის თავისუფლებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ალბათ მსოფლიოში ბევრს არ შეუძლია თავისი თავი ჩათვალოს აბსოლუტურად თავისუფლად საქმიანობის არჩევანში, ვინაიდან მასზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. მაგრამ აქ აბსოლუტური თავისუფლება არა გვაქვს მხედველობაში. როდესაც საქმიანობის არჩევანის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ინდივიდებს უნდა გააჩნდეთ თუნდაც რაღაცა არჩევანის თავისუფლება, რომ ისინი მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში მიჯაჭვული არ იყვნენ რომელიმე კონკრეტულ სამუშაო ადგილს, რომელიც მათ შეიძლება არც აურჩევიათ, ან აირჩიეს ოდესღაც წარსულში, მაგრამ ახლა ჰქონდეთ საშუალება, თუნდაც რაღაცა მსხვერპლის ფასად აირჩიოს სხვა სამუშაო;

არჩევანის თავისუფლება, აწარმოო და ბაზარზე გაყიდო და იყიდო ნებისმიერი საქონელი ნებისმიერ ფასად, როდესაც ამის მსურველი გამოჩნდება. ინდივიდი თავისუფალი უნდა იყოს, რომ აწარმოოს ყველა ის საქონელი, რისი წარმოებაც კი პრინციპში შეიძლება და არც აკრძალულია კანონით, რაც ზიანს არ მოუტანს საზოგადოებას;

არჩევანის თავისუფლება, გამოხვიდე ნებისმიერ ბაზარზე, იმოქმედო შენი ინტერესების მისაღწევად და ამით დააკმაყოფილო სხვების, შენთვის უცნობი ადამიანების ინტერესები;

არჩევანის თავისუფლება დაფუძნებულია იმაზე, რომ ბაზარზე თუ ვინმე უარს იტყვის დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილებები, შეგვიძლია მივმართოთ სხვას, თუ ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ესა თუ ის გზა და საშუალებები ჩვენი შესაძლებლობებისათვის მიუწვდომელია, მაშინ უფლება უნდა გვქონდეს, ვსინჯოთ სხვა გზა, სხვა საშუალებები;

არჩევანის თავისუფლება, მონაწილეობა მიიღო საწარმოს მართვაში, მოგების განაწილებაში;

დარგში შესვლისა და გამოსვლის თავისუფლება;

მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ დარგში შესვლა, შეშვება ყველასათვის თანაბარ საფუძველზე ღია იყოს და რომ კანონი აღკვეთდეს ინდივიდების ან ჯგუფების მცდელობას, რომ ეს შესვლა, შეშვება ღიად ან ფარულად შეზღუდოს;

ბაზარზე შესვლის და ბაზრიდან გამოსვლის თავისუფლება;

თავისუფლება იმისა, რომ რეგიონმა, ქალაქმა, სოფელმა, დაბამ თვითონ ზემდგომი ორგანოს გარეშე სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობის პირობებში განსაზღვროს რესურსების გამოყენების ეფექტიანი გზები, თვითონ განახორციელოს სახალხოსამეურნეო კომპლექსის ანტიკრიზისული მართვა თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული, ბუნებრივი-კლიმატური, ეკოლოგიური, ეთნიკური და სხვა სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ცენტრსა და ქვეყნის სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან;

არჩევანის თავისუფლება რეგიონმა, რაიონმა, ქალაქმა, სოფელმა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა წარმონაქმნმა განახორციელოს ურთიერთხელსაყრელი საფინანსოეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ინვესტიციურ-ინოვაციური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, კულტურული და სხვა კავშირები სხვა ქვეყნების ფედერაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებთან, დადონ მათთან ხელშეკრულებები, გახსნან წარმომადგენლობები და სხვა.

ეკონომიკური დემოკრატიის (თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის) გამოვლინების კიდევ სხვა მრავალი ნიშანი შეიძლება არსებობდეს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება ყოველთვის განხილული უნდა იქნეს საზოგადოებრივი პროდუქტის მოძრაობის მთლიან ციკლში – წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების სტადიებზე და ყოველ მოცემულ მომენტში შეიძლება იგი ხასიათდებოდეს გამორჩეული ნიშნებით, რომელიც განპირობებული იქნება თვით ამ სტადიის თავისებურებებით.

ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების არსისა და მისი გამოვლინების ფორმების უკეთ წარმოჩენის მიზნით ეს საკითხები განვიხილოთ ისეთ ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური კონტროლი, დაგეგმვა და ტოტალიტარიზმი.

1.4. არჩევანის თავისუფლება შეუძლებელია ეკონომიკური კონტროლისა და ტოტალიტარიზმის პირობებში

როგორც კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების მიღწევის ყველაზე მეტი ხელსაყრელი პირობები იქმნება დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები განთავისუფლებულნი არიან სხვადასხვა სახის ნორმებისა და დადგენილებებისაგან, რომლებიც ზღუდავენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას და სადაც ადამიანი განთავისუფლებულია სხვა ადამიანების ძალადობისა და თვითნებობისაგან და შესუსტებულია ეკონომიკური სისტემის ბორკილები.

ჯერ კიდევ დე ტოკვილი ერთიმეორეს ადარებდა რა დემოკრატიას და სოციალიზმს, 1848 წელს წერდა: დემოკრატია ინდივიდუალური თავისუფლების სფეროა, სოციალიზმი ზღუდავს მას. დემოკრატია ამკვიდრებს ყოველი ადამიანის უმაღლეს ფასეულობებს, სოციალიზმი ადამიანს გადააქცევს უბრალო საშუალებად, ციფრებად, დემოკრატიას და სოციალიზმს ერთიმეორესთან არაფერი აქვთ საერთო, გარდა ერთი სიტყვისა: თანასწორობა, მაგრამ შეხედეთ, როგორი განსხვავებაა: თუ დემოკრატია ისწრაფვის თანასწორობისაკენ თავისუფლებაში, სოციალიზმი – თანასწორობისაკენ მონობაში და იძულებაში.

როდესაც ეკონომიკური დემოკრატიის არსის შესახებ ვლაპარაკობთ არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე, რომ იგი უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია ადამიანის

ინდივიდუალური თავისებურებების, ინდივიდუალური შესაძლებლობების რაც შეიძლება უკეთ გამოვლინებასთან, უადგილო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ინდივიდუალიზმმა, რომლის ფესვები მოდის ქრისტიანობიდან და ანტიკური ფილოსოფიიდან, სრული გამოხატულება პირველად მიიღო რენესანსის პერიოდში და სათავე დაუდო იმ მთლიანობას, რომელსაც დღეს დასავლეთის ცივილიზაციას უწოდებენ. მის ძირითად ნიშანს წარმოადგენს პიროვნების, როგორც ასეთის პატივისცემა, ე. ი. ადამიანის შეხედულებებისა და მიდრეკილებების აბსოლუტური სუვერენიტეტის აღიარება მისი ცხოველუნარიანობის სფეროში, როგორი სპეციფიკურიც არ უნდა იყოს იგი და იმის რწმენა, რომ ყოველმა ადამიანმა უნდა განავითაროს მისთვის დამახასიათებელი ნიჭი.

ეკონომიკური თავისუფლება არის, უწინარეს ყოვლისა, ყოველი ცალკეული ადამიანის დამახასიათებელი ყველა რესურსი იმ ერთადერთი შეზღუდვით, რომელიც მას საშუალებას არ აძლევს შეზღუდოს სხვა ადამიანების ინდივიდუალური თავისუფლება.

ეკონომიკური თავისუფლების საფუძველი მდგომარეობს არა მატერიალური რესურსების მეტნაკლებად თანაბარზონმიერად განაწილებაში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და რომელიც ამ განაწილებით იქვემდებარებს ცალკეულ ინდივიდებს, არამედ – ყოველი ცალკეული ადამიანის უფლებაში, თავისუფლად განაგოს თავისი კაპიტალი და თავისი უნარი, რაც, თავის მხრივ ბადებს განმკარგულებლის რისკს და პასუხისმგებლობას. ეს არის არჩევანი ორ დაპირისპირებულ სისტემას შორის: ერთის მხრივ, სისტემას შორის, რომლის დროსაც ვის რა ერგება, გადაწყვეტს რამოდენიმე ადამიანი, და, მეორეს მხრივ, სისტემას შორის, რომლის დროსაც ეს დამოკიდებულია, ნაწილობრივ მაინც ადამიანის უნარზე და გერგილიანობაზე, ხოლო ნაწილობრივ – წინასწარგანუჭვრეტელ გარემოებებზე. (ფ. ჰაიეკი).

პირველი შესაძლებელია ადმინისტრაციულ მბრძანებლური სისტემის პირობებში, რომლის საფუძველს საზოგადოებრივი საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი წარმოადგენს, მეორე - იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკურ თავისუფლებაზე დამყარებული დემოკრატიული სისტემის პირობებში.

განვიხილოთ მათი დამახასიათებელი შედეგები ფ. ჰაიეკის მიხედვით («გზა მონობისაკენ». 1944).

როგორც იგი აღნიშნავს, დაგეგმვის მომხრეთა რწმენით ეკონომიკური ცხოვრების მართვა შესაძლებელია მხოლოდ მეტნაკლები მკაცრი დიქტატურის გზით. იმისათვის, რომ ასეთ პირობებში უხელმძღვანელო ერთიმეორესთან დაკავშირებული მრავალი ადამიანის მოქმედებას, საჭიროა, ერთის მხრივ, ექსპერტთა მუდმივი ჯგუფი, ხოლო მეორეს მხრივ, ვიღაცა მთავარსარდალი, რომელიც არ არის დაკავშირებული არავითარ დემოკრატიულ პროცედურებთან და რომელიც აღჭურვილია პასუხისმგებლობისა და ძალაუფლების მთელი სისრულით, რათა მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც ვხედავთ, აქ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვიღაც მთავარსარდალი ღებულობს და ადგილი არა რჩება იმისათვის, რომ ადამიანებმა თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, თავიანთი ამოცანებიდან გამომდინარე, თვითონ გააკეთონ არჩევანი. ყოველივე აღნიშნული ცენტრალიზებული დაგეგმვის იდეის ჩვეულებრივი შედეგია და მისი მომხრეები გვაიმედებენ, რომ ეს «მხოლოდ» ეკონომიკას ეხება და მეტი არაფერი. ამ იდეის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი სტიუარტ ჩეიზი პირდაპირ აცხადებდა, რომ გეგმიურ საზოგადოებაში «პოლიტიკური დემოკრატია შეიძლება არსებობდეს ყველაფერში, რაც კი არ ეხება ეკონომიკურ ცხოვრებას». ასეთი სახის გამონათქვამებს, ჩვეულებრივ, თან სდევს დაპირება, დარწმუნება იმის შესახებ, რომ გამოვეთხოვებით რა თავისუფლებას ისეთ სფეროში რომელიც, მათი აზრით, არც თუ ისე მნიშვნელოვანია (იგულისხმება ეკონომიკა – ავტ.). სამაგიეროდ, მოვიპოვებთ უფრო დიდ თავისუფლებას უმაღლესი ფასეულობების

სფეროში. მართლაც, თუკი, როგორც დაგეგმვის მომხრეები გვპირდებიან, ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების უმდაბლეს მხარეებს ეხება, მაშინ ალბათ ღირდა ყველაფერი გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ მასზე (ეკონომიკაზე) არ ვყოფილიყავით დამოკიდებული და ჩვენი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ემუშავათ რაღაცა მანქანებს და ჩვენს წილად დაეტოვებინათ მხოლოდ ცხოვრების არსზე ფიქრები. მაგრამ ამ დაპირებებს არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ, ვინაიდან იგი გამომდინარეობს მცდარი წარმოდგენიდან, თითქოს არსებობს რაღაცა წმინდა ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც იზოლირებული არიან სხვა ცხოვრებისეული ამოცანებისაგან. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამ მოსაზრების მიმდევრები მოგვიწოდებენ ეკონომიკის სფეროში დიქტატურისაკენ, რაც თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ თავისუფლებას.

ასევე შეიძლება ითქვას შემოსავლების სფეროში შეზღუდვების დაწესების და, მაშასადამე, ჩვენი შრომის ნაყოფის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ.

გეგმიურ საზოგადოებაში ადამიანის შესაძლებლობების შეზღუდვის ძირითად ფორმას წარმოადგენს მისი შემოსავლების შეზღუდვა. ამიტომ არის, - მიუთითებს ფ. ჰაიეკი, - რომ ბევრს ეზიზღება ფული, ფული, როგორც ასეთი, ვინაიდან მასში ხედავენ ამ შეზღუდვების სიმბოლოს. მაგრამ აქ მიზანი არეულია შედეგთან. უფრო სწორი იქნებოდა თუ ჩვენ ფულში ადამიანის მიერ როდისმე გამონაგონთაშორის ამ უდიდეს გამონაგონში დავინახავდით თავისუფლების ინსტრუმენტს. იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ფულის არსი, უნდა წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუ «ეკონომიკურ მოტივებს» შევცვლით «გარეეკონომიკური სტიმულებით». როდესაც ფულადი ჯილდოს მაგიერ ადამიანები მიიღებენ საზოგადოებრივ გამორჩეულობას, პრივილეგიებს ან გავლენიან თანამდებობებს, უკეთეს საცხოვრებელს ან საკვებს, მოგზაურობისათვის, ან განათლების მიღებისათვის უპირატეს შესაძლებლობებს და სხვა. ეს იმის აღმნიშვნელი იქნება, რომ ამ ადამიანებს მოსპობილი აქვთ არჩევანის თავისუფლება. ისინი კი ვინც ყოველივე აღნიშნულს გაანაწილებენ ჩვენს მაგიერ, გადაწყვეტილებას მიიღებენ არა მარტო ჯილდოს სიდიდის შესახებ, არამედ ფორმის შესახებაც.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ვწყვეტთ რა ეკონომიკურ საკითხებს, საშუალება გვაქვს, ავირჩიოთ რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და რა არა. სხვანაირად, ასეთ საზოგადოებაში ჩვენ თვითონ პირადად ვწყვეტთ ჩვენს ეკონომიკურ პირობებს. ჩვენი ეკონომიკური მოქმედება თუ კონტროლს ქვეშ აღმოჩნდება, მაშინ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ, თუ არ განვაცხადებთ ჩვენი განზრახვების შესახებ და არ დავამტკიცებთ კიდეც მათ კანონზომიერებას, რათა ხელისუფლებისაგან სანქცია მივიღოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტროლის ქვეშ ექცევა მთელი ჩვენი ცხოვრება. ამიტომ, ეკონომიკური დაგეგმვის პრობლემა მარტო იმით არ შემოიფერგლება, შევძლებთ თუ არა დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილება ისე, როგორც ჩვენ ეს გვინდა. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ თუ არა, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, თუ ამას ჩვენ მაგიერ გადაწყვეტს მგეგმავი ინსტანციები. დაგეგმვა შეეხება არა მარტო ჩვენს მარგინალურ საჭიროებებს, არამედ ჩვენ როგორც ინდივიდებს ნებართვაც კი არ გვექნება ვიმსჯელოთ რა წარმოადგენს ჩვენთვის მარგინალურს?

ხელისუფლები, რომლებიც მართავენ ჩვენს ეკონომიკურ საქმიანობას არა მხოლოდ ცხოვრების მატერიელურ მხარეებს გაგვიკონტროლებენ, არამედ მათ გამგებლობაში აღმოჩნდება, აგრეთვე, ჩვენი ნებისმიერი მიზნების მისაღწევად აუცილებელი ლიმიტირებული საშუალებების განაწილებაც და, ვინც არ უნდა იყოს ეს უზენაესი კონტროლიორი, განაგებს რა ჩვენს საშუალებებს, თვითონ გადაწყვეტს, თუ რომელი მიზნები იმსახურებენ განხორციელებას და რომელი არა.

ეკონომიკური კონტროლი განუყოფელია ადამიანების მთელი ცხოვრებისადმი კონტროლისაგან, ვინაიდან აკონტროლებენ რა საშუალებებს, არ შეიძლება არ გააკონტროლონ მიზანიც. საშუალებების მონოპოლიური განაწილება მგეგმავ ინსტანციებს აიძულებს თვითონვე გადაწყვიტონ ფასეულობების შესახებ საკითხიც. დაადგინონ, დააწესონ თუ მათგან რომელია უფრო მაღალი და რომელი დაბალი რანგის და საბოლოო ჯამში განსაზღვრონ, ადამიანებმა რომელი რწმენა აღიარონ და რისთვის უნდა იღწვოდნენ. ცენტრალიზებული დაგეგმვის იდეაც იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკურ პრობლემებს წყვეტს არა ადამიანი, არამედ საზოგადოება (უფრო ზუსტად მისი წარმომადგენლები), და, მაშასადამე საზოგადოება მსჯელობს ამა თუ იმ მიზნების შეფარდებითი ფასეულობების შესახებ.

ეგრეთ წოდებული ეკონომიკური თავისუფლება, რომელსაც დაგეგმვის მომხრეები გვპირდებიან, სწორედ იმას ნიშნავს, რომ გათავისუფლებული ვიქნებით ჩვენი საკუთარი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მძიმე ვალდებულებებისაგან და მასთან დაკავშირებული არჩევანის პრობლემისაგან. არჩევანს ჩვენს მაგიერ გააკეთებენ სხვები და რამდენადაც თანამედროვე პირობებში ჩვენ პირდაპირ ყველაფერში დამოკიდებული ვართ იმ საშუალებებზე, რომლებსაც აწარმოებენ სხვა ადამიანები, ამდენად ეკონომიკური დაგეგმვა მოიცავს პრაქტიკულად ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს. ალბათ არ მოიპოვება რაიმე, დაწყებული ჩვენი ელემენტარული საჭიროებებიდან და დამთავრებული ჩვენი ოჯახური და მეგობრული ურთიერთობებით, დაწყებული იმისაგან რით ვართ დაკავებული სამუშაოზე და დამთავრებული იმით რას ვაკეთებთ თავისუფალ დროს, რაც არ აღმოჩნდება ასე თუ ისე შეგნებული კონტროლის ფხიზელი, რულმოურეველი თვალის გარეშე.

მგეგმავი ორგანოების ძალაუფლება ჩვენს კერძო ცხოვრებაზე შესუსტებული არ იქნება მაშინაც კი, თუ ისინი უარს იტყვიან პირდაპირ აკონტროლონ ჩვენი მოხმარება. შესაძლებელია გეგმიურ საზოგადოებაში დამუშავებული იქნეს კვების პროდუქტების და სამრეწველო საქონლის მოხმარების რაღაცა ნორმები, მაგრამ პრინციპში სიტუაციებზე კონტროლი ამით არ განისაზღვრება და შეიძლება მოქალაქეებს მიეცეს ფორმალური უფლებაც კი, რათა შემოსავლები ხარჯონ თავიანთი შეხედულებების მიხედვით. მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მოხმარებაზე ძალაუფლების განხორციელების რეალურ წყაროდ მაინც რჩება მისი კონტროლი საწარმოო სფეროზე.

კონკურენტულ საზოგადოებაში არჩევანის თავისუფლება დაფუძნებულია იმაზე, რომ თუ ვიღაცა უარს ამბობს ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მაშინ შეგვიძლია მივმართოთ სხვას, ხოლო ორგანო, რომელიც მართავს მთელ ეკონომიკას, ყველაზე მხვილი მონოპოლისტი იქნება, რომელიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ეს ორგანო თავის ძალაუფლებას გამოიყენებს ისევე, როგორც კერძო მონოპოლისტი, ე. ი. მისთვის მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღების ამოცანა ძირითადი არ იქნება, მაგრამ იგი მაინც აღჭურვილი იქნება აბსოლუტური უფლებით, გადაწყვიტოს რის მიღებას შევძლებთ და რა პირობებით. ეს ორგანო გადაწყვეტს არა მარტო იმას, თუ რომელი საქონელი და მომსახურება იქნება ჩვენთვის ხელმისაწვდომი და რა რაოდენობით, არამედ განახორციელებს კიდეც მატერიალური სიკეთის განაწილებას რეგიონებს და სოციალურ ჯგუფებს შორის, ექნება რა სრული ძალაუფლება დისკრიმინაციული პოლიტიკის გასატარებლად.

წარმოებაში და ფასებზე კონტროლი მართლაც განუსაზღვრელ ძალაუფლებას იძლევა. კონკურენტულ საზოგადოებაში ფასი, რომელსაც ჩვენ ვიხდით საგნებზე, დამოკიდებულია რთულ ბალანსზე და ითვალისწინებს სხვა უამრავი საგნებისა და მოთხოვნილებების არსებობას. ეს ფასი შეგნებულად არავის მიერ არ არის დადგენილი და

თუ ჩვენი მოთხოვნილების რომელიმე გზა არ აღმოჩნდება ჩვენი შესაძლებლობის შესაბამისი, მაშინ უფლება გვაქვს, მოვსინჯოთ სხვა გზა. ამასთან წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვა გვიხდება ამ მიმართულებით, წარმოიშობა არა იმიტომ, რომ ვიღაცა არ იწონებს ჩვენს განზრახვას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ საქონელი, რომელიც აუცილებელია ჩვენთვის მოცემულ მომენტში, ესაჭიროება სადღაც ვიღაცას. შეგნებულად მართული საზოგადოება, სადაც ხელისუფლები ახორციელებენ მოქალაქეების მიზნებზე ზედამხედველობას, ცხადია, მხარს დაუჭერენ ერთი რიგის განზრახვებს და წინააღმდეგობას გაუწევენ სხვა განზრახვების განხორციელებას. მაშასადამე, ასეთ საზოგადოებაში ის, რასაც ჩვენ შევძლებთ, რომ მივიღოთ, დამოკიდებულია არა ჩვენს სურვილზე, არამედ ვიღაცა სხვის წარმოდგენებზე იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენს მიერ მისაღები საგნები. რამდენადაც ხელისუფლები შეძლებენ აღკვეთოთ საწარმოო სფეროში დირექტიული კურსიდან გადახვევის ნებისმიერი მცდელობა, ასევე შეძლებენ ისინი კონტროლის ქვეშ მოაქციონ ჩვენი მოხმარებაც.

მაგრამ ხელისუფლები ჩვენ გვიხელმძღვანელებენ არა მხოლოდ და არა იმდენად როგორც მომხმარებელს, არამედ უფრო მეტი ზომით - როგორც მწარმოებლებს, ვინაიდან ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტი განუყოფელია. და რამდენადაც ადამიანების უმეტესობა თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაოზე ატარებს, ხოლო სამუშაოს ადგილს და პროფესიას კი ხშირად განსაზღვრავს ის თუ სად ვცხოვრობთ და ვისთან გვაქვს ურთიერთობა, სამუშაოს არჩევანის თავისუფალებაც ხშირად უფრო არსებითი აღმოჩნდება ჩვენი კეთილდღეობის შესაგრძნობლად, ვიდრე თავისუფალ დროს ჩვენი შემოსავლების ხარჯვის თავისუფლება.

რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაშიც კი ეს თავისუფლება არსებითად იქნება შეზღუდული. მხოლოდ უმცირესობას შეეძლება თავისი თავი ჩათვალოს ნამდვილ თავისუფლად საქმიანობის არჩევანში. მაგრამ, აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ გვქონდეს თუნდაც რაღაცა არჩევანი, იმისათვის, რომ მიჯაჭვული არ ვიყოთ ერთ რომელიმე კონკრეტულ სამუშაო ადგილს, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია, ან ავირჩიეთ წარსულში, მაგრამ ახლა გვინდა უარი ვთქვათ თუნდაც რაღაცის შეწირვის ფასად, ვცადოთ ჩვენი ძალები სხვა ადგილას. არაფერი ისე არ ხდის აუტანელ პირობებს, როგორც იმის რწმენა, რომ არ შეგვიძლია იგი შევცვალოთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ არასოდეს არ გვეყოფა სითამამე, რათა გავიღოთ მსხვერპლი.

მართალია ამ მიმართულებით საზოგადოებას ჯერ არც წარსულში და არც დღეს არ მიუღწევია სრულყოფისათვის. საჭიროა ბევრი რამის გაკეთება იმისათვის, რომ ადამიანების წინაშე გადაიშალოს არჩევანის მართლაც ფართო შესაძლებლობები, ამაში კი შეიძლება არსებითად დაგვხმარებოდა სახელმწიფო, თუ იგი მოახდენდა ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას, ხელს შეუწყობდა მოსახლეობის მობილურობის ამაღლებას. მაგრამ ასეთი ღონისძიებები ხომ დაგეგმვის პრინციპების პირდაპირ საწინააღმდეგო ქმედებად ითვლება. ამ დროს დაგეგმვის მომხრეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახალი ტიპის საზოგადოებაში საქმიანობის არჩევანის თავისუფლება არა თუ დღევანდელ დონეზე იქნება შენარჩუნებული, არამედ უფრო მეტად ამაღლდება. დაგეგმვას, თავისი არსიდან გამომდინარე, არ შეუძლია, რომ კონტროლის ქვეშ არ მოაქციოს ამა თუ იმ დარგში სამუშაო ძალის მოდინება, ან შრომის ანაზღაურების პირობები, ან ერთიც და მეორეც. დაგეგმვის ყველა ცნობილ შემთხვევაში ეს შემზღუდავი ღონისძიებები ყოველთვის პირველ რიგითი შეძღუდვები იყო ხოლმე და თუ ერთიანი საგეგმო ორგანო სხვადასხვა დარგების მიმართაც ასე იმოქმედებს იოლია იმის წარმოდგენა, თუ რა დაგვრჩება დაპირებული საქმიანობის არჩევანის თავისუფლებისაგან.

შედეგი არსებითად იგივე იქნება, თუ მგეგმავი ორგანოები წავლენ შრომის ანაზღაურების მტკიცე პირობების შემუშავების გზით და ეცდებიან დაარეგულირონ მუშაკთა რიცხვი ამ პირობების შეცვლით, მაშინ ხელფასის დონე გახდება არანაკლებ ეფექტურ წინააღმდეგობად მრავალი პროფესიის არჩევისათვის, ვიდრე მათი პირდაპირი აკრძალვა. კონკურენტულ საზოგადოებაში ულამაზო გოგონას, რომელიც ოცნებობს გამყიდველობაზე, ან ჯანმრთელობით სუსტ ახალგაზრდას, რომელიც ცდილობს მიიღოს ისეთი სამუშაო, რომელიც ფიზიკურ წრთობას თხოულობს და საერთოდ ყველა ადამიანს, რომელიც პირველი შეხედვით არც თუ მთლად მოერგება რომელიმე საქმიანობას, შანსი აქვს, განახორციელოს თავისი სურვილები ასეთი სამუშაოს მიღებაზე: ისინი დაიწყებენ რა მუშაობას უმნიშვნელო და ნაკლებანაზღაურებად თანამდებობაზე, თანდათან წინ წავლენ თავიანთი ფარული ღირსებების წყალობით. მაგრამ როდესაც ხელისუფლები დაადგენენ რომელიღაც კატეგორია მუშაკებისათვის ხელფასის ერთიან დონეს და მუშაკთა შერჩევა ხდება ფორმალური, ანკეტური მონაცემებით, ადამიანის მისწრაფება, მიდრეკილება ამ სამუშაოსადმი უკვე საინტერესო არ არის. ჩვეულებრივი დახასიათების ან არაჩვეულებრივი დახასიათების მქონე ადამიანს არ შეუძლია მოეწყოს სამუშაოზე მაშინაც კი, თუ სამუშაოს მიმცემი პირადად მზად არის, აიყვანოს იგი. მაგალითად, იმას ვინც უპირატესობას ანიჭებს ყოველდღიური რუტინული სამუშაოს მაგიერ არანორმირებულ სამუშაო დღეს და, შეიძლება, არარეგულარულ გამომუშავებასაც კი, ასეთ სიტუაციაში სამუშაოს მიღების არავითარი შანსი არა აქვს. შრომის პირობები, ნებისმიერი დიდი ორგანიზაციის მსგავსად, ყველგან ერთი და იგივე იქნება (თუ არა უარესი), რაც სამუშაოს მიღების მსურველს უსპობს სხვაგან წასვლის შესაძლებლობას. აღნიშნულის შედეგად, ადამიანს არავითარი არც სურვილი და არც შესაძლებლობა არა აქვს სამუშაოზე გამოიჩინოს ინიციატივა ან გერგილიანობა, მოსაზრებულობა, ვინაიდან მისი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, რომლებიც ამოცანებს უმსუბუქებს ხელისუფლებას. იმისათვის, რომ ხელისუფლები მოერიონ ისეთ გრანდიოზულ საქმეს, როგორიცაა ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა, მათ ადამიანთა უნარის და მიდრეკილებების მთელი მრავალფეროვნება უნდა დაიყვანონ რამოდენიმე მარტივ კატეგორიამდე, რომელიც უზრუნველყოფს კადრების ურთიერთშენაცვლებას და იგნორირებას გაუკეთებს ყველა პირადულ განსხვავებას.

როგორც ცნობილია, კონკურენტულ საზოგადოებაში შეიძლება იყიდო ყველაფერი, თუ გადაიხდი განსაზღვრულ ფასს. თანაც ეს ფასი შეიძლება ზოგჯერ უზომოდ დიდიც იყოს. ამ ფაქტორის მნიშვნელობა ძნელია შეაფასო და განსაზღვრო, თუ რით შეიძლება იგი შეცვლილი იქნას. გეგმიურ საზოგადოებაში ეს შეიძლება სულაც არა არჩევანის სრული თავისუფლებით, არამედ განკარგულებებით და აკრძალვებით, რომლებსაც არ შეიძლება არ დაემორჩილო. სწორედ ამის გამო არის, რომ განსაზღვრული ფასით ყველაფრის ყიდვის შესაძლებლობას გეგმიური მეურნეობის მომხრეები განიხილავენ, როგორც კონკურენტული საზოგადოების მანკიერებას და თვლიან, რომ არ უნდა გავიღოთ არავითარი მატერიელური მსხვერპლი არჩევანის თავისუფლებისათვის, რომ არჩევანი ჩვენს მაგიერ უნდა გააკეთოს ვიღაც სხვამ. ასეთი აზრი, თუ ზოგადადამიანური ღირებულებების კუთხით განვიხილავთ შეუთავსებელია პიროვნების ღირსების შესახებ წარმოდგენებთან. ის, რომ სიცოცხლე და ჯანმრთელობა, სიკეთის კეთება და სილამაზე, პატიოსნება და სინდისი შეიძლება შევინარჩუნოთ ხშირად მატერიალური კეთილდღეობის შეწირვით, – ისეთივე უცილობელი ფაქტებია, როგორც ის, რომ ჩვენ მზად არ აღმოვჩნდებით ხოლმე, რათა გავიღოთ ასეთი მსვერპლი. აღნიშნულის ნათელსაყოფად, განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ჩვენ შეგვეძლო საავტომობილო კატასტროფების რაოდენობა დაგვეყვანა ნულამდე რაღაცა მატერიალური თუ სულიერი

სიკეთის მოკლებით. მაგალითად, ავტომობილზე სრული უარის თქმა. ასე შეიძლება მოვიქცეთ ყველაფრის მიმართ. ჩვენ მუდმივად რისკს ვეწევით ცხოვრებაში ჩვენი და ჩვენი ახლობლების სიცოცხლით, ჯანმრთელობით, სულიერი ღირსების გრძნობით და სხვა, რათა შევინარჩუნოთ ის რასაც აგდებულად ვუწოდებთ მატერიალურ კომფორტს. სხვანაირად არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენი საშუალებები უსაზღვრო არ არიან და ამიტომ უნდა ავირჩიოთ რათა რაიმე მიზნის მისაღწევად წარვმართოთ ისინი. ჩვენ რომ აღჩევანის ეს შესაძლებლობა არა გვქონდეს მაშინ დავისახავდით მხოლოდ უმაღლესი ფასეულობების მიღწევას. გასაგებია, რომ მრავალ სიტუაციაში ადამიანებს სურთ, რომ განთავისუფლდნენ არჩევანის ძნელი პრობლემისაგან მაგრამ აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ამ არჩევანს მათ მაგიერ აკეთებდნენ სხვები.

ხშირად ამბობენ, რომ პოლიტიკური თავისუფლება შეუძლებელია ეკონომიკური თავისუფლების გარეშე. ეს მართალია, მაგრამ არა იმ აზრით, რომელსაც ამ ფრაზაში აქსოვენ დაგეგმვის მომხრეები. ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს რა ნებისმიერი სხვა თავისუფლების აუცილებელ წანამძღვარს, ამავე დროს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი ეკონომიკური ზრუნვისაგან თავისუფლებად.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების შესახებ ზემოთ გადმოცემულ მსჯელობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს საზოგადოებრივი მოწყობის ორ ერთიმეორესთან შეუთავსებელი და დაპირისპირებული ტიპების ფუნდამენტალურ კონცეფციასთან: ან იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ვაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ თავიანთი ამოცანებიდან გამომდინარე, თვითონ გააკეთონ თავისუფალი არჩევანი, ან ვუსპობთ მათ ამის შესაძლებლობას.

ქვემოთ განხილული იქნება სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში.

1.5. იურიდიული და ფიზიკური პირების სამართლებრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში

ეკონომიკური დემოკრატიის განსაკუთრებულ ნიშანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი ვალდებულებების და პასუხისმგებლობის არსებობა, მათი ცხოვრებაში განუხრელი გატარება. დემოკრატიული საზოგადოება დამყარებულია კანონის უზენაესობაზე. ამასთან, იგულისხმება, რომ კანონი უნდა იყოს სამართლიანი.

ადამ სმითის შენიშვნით, უსაზღვრო თავისუფლება არც ერთ ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების განვითარება განუყოფელია ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი ვალდებულებებისაგან და პასუხისმგებლობისაგან, მათ მკაცრ დაცვასთან. ამასთან, ბუნებრივია, რომ გარკვეული სამართლებრივი და მორალური ხასიათის აკრძალვები ნებისმიერ საზოგადოებაში გარდაუვალია. ყველაფრის ნებადართულობა საზოგადოებას აუცილებლად მიიყვანს ანარქიამდე და ქაოსამდე. როგორც ინდივიდები, ისე სახელმწიფო ორგანოები დემოკრატიის პირობებში თანასწორუფლებიანი არიან კანონის წინაშე და ასევე თანაბრად პასუხისმგებლები მის დაცვაზე. ადამ ფერგიუსონი მიუთითებდა, რომ ისეთი ცნების არსი, როგორიცაა თავისუფლება და სურვილი წარმოადგენს ყველა შეზღუდვებისაგან განთავისუფლებას. იგი უფრო მეტად გულისხმობს ნებისმიერი სამართლიანი შეზღუდვების შესაძლო ქმედით

გამოყენებას თავისუფალი საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, იქნება ეს მსოფლიო მოსამართლე თუ უბრალო ქვეშევრდომი.

XVI ს-ის ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი აღნიშნავდა, რომ ადამიანების თავისუფლება მართვის სისტემის არსებობის პირობებში იმაში მდგომარეობს, რომ იცხოვრო მუდმივი კანონის შესაბამისად, რომელიც საერთოა ყველასათვის ამ საზოგადოებაში და რომელიც დადგენილია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ; ეს არის თავისუფლება მიჰყვე შენს საკუთარ სურვილებს ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას არ კრძალავს კანონი და არ იყო დამოკიდებული არა მუდმივ, განუსაზღვრელ, უცნობ, სხვა ადამიანის თვითმპყრობელურ სურვილზე. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სასამართლო ორგანოები სამართალდარღვევების გამო ყოყმანის გარეშე პასუხისმგებლობაზე გადასცემენ ხოლმე როგორც კერძო პირებს, ისე ორგანიზაციებს, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებენ ისინი საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ არსებული კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის შესუსტება დაუყოვნებლივ გამოიყენება გარკვეული ჯგუფების მიერ იმისათვის, რომ სხვათა ინტერესების საზიანოდ მიაღწიონ საკუთარ სარგებელს.

XX ს-ის უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი ფ. ჰაიეკი როდესაც ერთიმეორეს ადარებს ეკონომიკური დემოკრატიისა და ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებს, აღნიშნავს, რომ მართლაც ისე ნათლად არაფერი არ მოწმობს თავისუფალ ქვეყნებში ცხოვრების თავისებურებებს, რომელიც განასხვავებს მათ ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებისაგან, როგორც მართლკანონიერების უდიდესი პრინციპები. თუ დეტალებს არ მივიღებთ მხედველობაში ეს ნიშნავს, რომ მთავრობა შეზღუდულია თავის ქმედებებში წინასწარ დადგენილი საჯარო წესებით. ეს წესები საშუალებას იძლევიან დიდი სიზუსტით განჭვრიტოთ იძულების როგორ ღონისძიებებს გამოიყენებენ ხელისუფლების წარმომადგენლები ამა თუ იმ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, ინდივიდს შეუძლია გაბედულად დაგეგმოს თავისი მოქმედება. თუმცა ამ იდეალის მთლიანად განხორციელება ცხოვრებაში შეუძლებელია, ვინაიდან ის, ვინც კანონებს ღებულობს და ის, ვინც მას ასრულებს, ცოცხალი ადამიანები არიან, რომელთაც ახასიათებთ შეცდნენ. მაგრამ ამ პრინციპის არსი საკმაოდ ნათელია: სფერო, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ, რომ თავიანთი შეხედულებების მიხედვით იმოქმედონ, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ნებისმიერი კანონი ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, ავიწროებს რა იმ საშუალებების წრეს, რომლითაც ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი მიზნების მისაღწევად. მაგრამ მართლკანონიერება ზღუდავს მთავრობის შესაძლებლობას, მას არ აძლევს თვითნებურად ჩაერიოს ინდივიდების მოქმედებაში მინიმუმამდე დაიყვანს რა მათ ძალისხმევას. იცის რა თამაშის წესები, ინდივიდი თავისუფალია თავისი პირადი მიზნების განხორციელებაში და შეუძლია დარწმუნებული იყოს რომ ხელისუფლები ამაში ხელს არ შეუშლიან.

ერთიმეორეს უპირისპირებს რა მუდმივად მოქმედი წესების სისტემას, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები ღებულობენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და ზემოდან ეკონომიკის ცენტრალიზებულად ხელმძღვანელობის სისტემას, ფ. ჰაიეკი ასკვნის, რომ ეს საკითხი კერძო შემთხვევაა, რომელიც ექცევა მართლკანონიერებისა და დესპოტური მართვის ფუნდამენტური გამიჯვნის ქვეშ. ან მთავრობა იზღუდება არსებული რესურსების გამოყენების წესების დადგენით და ინდივიდებს უფლებას აძლევს თვითონ გადაწყვიტონ მიზნების შესახებ საკითხი, ან იგი ხელმძღვანელობს მთელ ეკონომიკურ პროცესებს და თავის თავზე იღებს წარმოების საშუალებების შესახებ საკითხებსაც და საბოლოო მიზნების შესახებ საკითხებსაც. პირველ შემთხვევაში წესები

შეიძლება დადგენილი იქნეს წინასწარ ფორმალური მითითებების სახით, რომლებიც არანაირად არ უფარდდება კონკრეტული ადამიანების ინტერესებს და მიზნებს. ისინი ხანგრძლივვადიანი არიან, რათა არსებობდეს იმის იმედი, რომ ზოგიერთი ადამიანი ვერ შეძლებს გამოიყენოს მეტი სარგებლით, ვიდრე სხვები. უკეთესია, რომ ეს მითითებები წარმოადგინონ, განსაზღვრონ როგორც წარმოების განსაკუთრებული იარაღი, რომელიც საშუალებას იძლევა პროგნოზი გაკეთდეს იმ ადამიანების მოქმედების შესახებ, ვისთანაც მეწარმეს მოუხდება ურთიერთობა და არავითარ შემთხვევაში, როგორც ინსტრუმენტი კონკრეტული მიზნების მისაღწევად ან კერძო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კოლექტიური ტიპის ეკონომიკური დაგეგმვა ბადებს აღნიშნულის რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგოს. მგეგმავ ორგანოებს არ შეუძლიათ შეზღუდონ (შემოიფარგლონ) იმ შესაძლებლობების შექმნით, რომლითაც ისარგებლებენ ვიღაცა უცნობი ადამიანები თავიანთი შეხედულებების მიხედვით. მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ კოორდინატების სტაბილურ სისტემაში, რომლებიც მოცემული იქნება საერთო ხანგრძლივვადიანი ფორმალური წესებით და რომლებიც არ დაუშვებენ თვითნებობას. მათ ხომ უნდა იზრუნონ რეალური ადამიანების აქტუალური, მუდმივად ცვალებადი საჭიროების შესახებ, ამოირჩიონ მათგან ყველაზე აუცილებელი. ესე იგი ისინი მუდმივად უნდა წყვეტდნენ საკითხებს, რომლებზედაც პასუხს ვერ გაგვცემენ ფორმალური პრინციპები. როდესაც მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენი ღორი გაზარდოს, ან რამდენმა ავტობუსმა იმოძრაოს ქვეყნის გზებზე, რომელი ქვანახშირის საბადოებია მიზანშეწონილი, რომ მოქმედებაში დატოვონ, ან მაღაზიაში რამდენად გაყიდონ ჩექმები, – ყველა ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება, რომ გამოყვანილი იქნეს ფორმალური წესებიდან, ან მიიღონ ერთხელ და სამუდამოდ, ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ყველაფერი ეს დამოკიდებულია გარემოებებზე, რომლებიც ძალიან სწრაფად იცვლება. მივიღებთ რა ასეთი სახის გადაწყვეტილებას, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს სხვადასხვა ადამიანების და ჯგუფების ინტერესთა ბალანსი. ბოლოს და ბოლოს ვიღაცა პოულობს საფუძველს, რომ მოცემულ ინტერესს მეორეთი მისცეს უპირატესობა. ეს საფუძველი იქცევა კანონმდებლობის ნაწილად.

მართლკანონიერების კონცეფცია შეგნებულად იქნა დამუშავებული მხოლოდ ლიბერალურ ეპოქაში და იქცა მის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად. იგი გახდა არა მარტო თავისუფლების ფარად, არამედ მისი რეალიზაციის გამართულ იურიდიულ მექანიზმადაც. როგორც ემანუილ კანტმა თქვა (ხოლო მასზე ადრე თითქმის იმავე სიტყვებით ვოლტერმა), «ადამიანი თავისუფალია, თუ იგი უნდა დაემორჩილოს არა მეორე ადამიანს, არამედ კანონს». ამ იდეის გამოკრთომა გვხდება ჯერ კიდევ ძველი რომის დროიდან, მაგრამ, -აღნიშნავს ფ. ჰაიეკი, - უკანასკნელი რამოდენიმე ასეული წლის განმავლობაში იგი ისე არასოდეს არ აღმოჩენილა ისეთი საშიშროების წინაშე, როგორც ამჟამად.

როდესაც ვლაპარაკობთ, რომ გეგმიურ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს მართლკანონიერებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ არ არის კანონები, რომ მთავრობის მოქმედება ლეგალური არ არის. ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ ძალადობის აპარატის მოქმედება, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს ხელში, არანაირად არ არის შეზღუდული წინასწარ დადგენილი წესებით. კანონს შეუძლია, ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში სანქციაც კი მისცეს თვითნებობას. თუ კანონმდებლობით დადგენილია, რომ რომელიღაც ორგანოს შეიუძლია იმოქმედოს თავისი შეხედულებების მიხედვით, მაშინ როგორიც არ უნდა იყოს ამ ორგანოს მოქმედება, იგი წარმოადგენს კანონიერს, მაგრამ არა მართლკანონიერს. მივანიჭებთ რა მთავრობას შეუზღუდავ

ძალაუფლებას, შეგვიძლია დავაკანონოთ ნებისმიერი რეჟიმი. ამიტომ, დემოკრატიას უნარი აქვს მიგვიყვანოს ყველაზე მკაცრი დიქტატურის დამყარებამდე.

ამრიგად, თავისუფლება და კანონი სულაც არ წარმოადგენენ კონფლიქტურ მხარეებს. უკვე ჯონ ლოკმა გვიჩვენა, რომ თავისუფლება არ შეიძლება კანონის გარეშე. რეალური კონფლიქტი – წინააღმდეგობაა ორი ტიპის კანონებს შორის, რომლებიც ერთიმეორეს იმდენად არ ჰგვანან, რომ აღსანიშნავად არ შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი და იგივე ტერმინი. პირველ ტიპს, რომელიც შეესაბამება მართლკანონიერების პრინციპებს მიეკუთვნება ზოგადი, წინასწარდადგენილი «თამაშის წესები». ისინი საშუალებას აძლევენ ინდივიდს, რომ სამთავრობო ორგანოების მოქმედების პროგნოზი გააკეთოს და ნამდვილად იცოდეს, თუ რა არის მისთვის ნებადართული და რა აკრძალული (სხვა მოქალაქეებთან ერთად) ამა თუ იმ სიტუაციაში. მეორე ტიპის კანონებს მიეკუთვნება ხელისუფლების კანონმდებლურად გამაგრებული უფლებამოსილებანი, იმოქმედონ თავიანთი შეხედულებების მიხედვით. ამიტომ დემოკრატიის პირობებში, თუ იგი მიდის სხვადასხვა ინტერესებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტილების გზით, არა წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით, არამედ «დავის არსის» მიხედვით, მაშინ მართლკანონიერება შეიძლება იოლად იქნეს განადგურებული.

თუ კანონი ხელისუფლებას აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მართოს ეკონომიკური ცხოვრება, მაშინ მან იმის უფლებამოსილებაც უნდა მიანიჭოს, რომ წინასწარგანუსაზღვრელ გარემოებებში მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ისინი. ამის შედეგად დაგეგმვის გავრცელების კვალობაზე კანონმდებლური უფლებამოსილება აღმოჩნდება სამინისტროებისა და სხვა აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დელეგირებული.

ქვემოთ განხილული იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში.

მეორე თავი

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში

2.1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლისა და ფუნქციების ზოგადი მიმოხილვა

ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ღირებულების პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრა, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის ფუნქციონირებაში მონაწილეობის ისეთი ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო საკუთრების დაცვას და საზოგადოებრივი წარმოების ზრდას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ისევე როგორც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების რთული პროცესი, გვიჩვენებს, რომ აღნიშნული პრობლემის მიმართ ჩამოყალიბებულია ორი დიამეტრალურად განსხვავებული და დაპირისპირებული მიმართულება. <u>პირველი მიმართულების</u> მომხრეები ამტკიცებენ, რომ ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალურ გზას წარმოადგენს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, მისი ფუნქციონირება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ხოლო <u>მეორე მიმართულების</u> წარმომადგენლების თვალსაზრისით, პროგრესის მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს მარეგულირებელი ეკონომიკური როლისა და ფუნქციების გაზრდა.

ამ ორი მთავარი მიმართულებიდან მეტნაკლები გადახრა სხვადასხვა ვარიაციებით ცნობილია ისტორიაში, მაგრამ ძირითადი არსი ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა: არც ეკონომიკის უსაზღვრო ლიბერალიზაცია და არც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ზღვარს გადასული ჩარევა არ იძლევა სასარგებლო შედეგს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა დემოკრატიული ურთიერთობის მატარებელი ეკონომიკა («laisser faire»-ს ტიპის კაპიტალიზმი) ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, რომ რეალური ცალმხრივ განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობები არასოდეს არ არსებულა თვით მისი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზეც კი რაღაცა ფორმით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. «ჯერ არც ერთ განვითარებულ ცივილიზაციას არ მიუღწევია წარმატებებისათვის მთავრობის გარეშე, რომელიც თავის მთავარ მიზანს ხედავს კერძო საკუთრების შესახებ მზრუნველობაში» (ფ. ჰაიეკი). საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა მხოლოდ სახელმწიფოს როლი და ამოცანები ეკონომიკაში, მისი განხორციელების ფორმები, ინსტრუმენტები და მასშტაბები. დასაწყისში თუ ეს იყო მეწარმეთა ახალი ფენის კერძო საკუთრების დაცვა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ეროვნული მრეწველობისა და სასაქონლო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა უცხოური კონკურენტებისაგან შინაური ბაზრის დაცვის გზით და სხვა, შემდგომ ეტაპზე ეკონომიკის განვითარების, საკრედიტო-საფინანსო სისტემის ფორმირების, წარმოების დარგობრივი სტრუქტურის და თვით საზოგადოების სტრუქტურის გართულების კვალობაზე დღის წესრიგში დგებოდა ეკონომიკური მექანიზმების მუშაობის შედეგების სხვადასხვა სახის კორექტირება. ამ მექანიზმის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების რეგულატორის პირობებშიც კი მოთხოვნისა და მიწოდების მუდმივად ცვალებადობის შესაბამისად მის «კომპეტენციაში» შედიოდა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების რაღაც შედარებით ვიწრო სეგმენტი, რომლის ფარგლებს იქით რჩებოდა ფართო დიაპაზონი, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოციალური, ეკონომიკური, ეროვნებათაშორისო, სახელმწიფოთაშორისო და სხვა ურთიერთობები. მართალია, ბაზარი არსებით გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროზე, მაგრამ არ შეეძლო მათი რეგულირება. ამ ფუნქციის აღება თავისთავზე უწევდა სახელმწიფოს. უფრო მეტიც, თვით საბაზრო მექანიზმს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლია მოგვცეს შეფერხებები, როდესაც მას აზიანებენ მონოპოლისტური ავადმყოფობები. მაშინ საჭიროა მისი მკურნალობა და ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს[1].

საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ასეთი ურთიერთშეხამება რთული თვითგანვითარებადი სისტემაა. მისი ევოლუციის პროცესში სრულყოფილი ხდებიან როგორც საბაზრო, ისე სახელმწიფოებრივი მექანიზმები, ახალი პირობების შესაბამისი ხდებიან და ერთიმეორეს ერგებიან. სასაქონლო ბაზარს ემატება ფულის ბაზარ, ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზარს, კაპიტალის ბაზარი. ბაზრის ყოველ ამ სეგმენტში მუდმივად ჩნდებიან საქონლის (მომსახურების), ფინანსური რესურსების ყიდვა-გაყიდვის სულ ახალი და ახალი ინსტრუმენტები, ფორმები და მეთოდები. თავის მხრივ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ასევე მუდმივად ვითარდება, რთულდება და მრავალგანშტოებულ ფორმებს ღებულობს. ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი მოთხოვნილების უზრუნველყოფასთან ერთად (ჯანდაცვა, განათლება, ქვეყნის შიგნით მართლწესრიგის დამყარება, მისი ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო არენაზე და სხვა). სახელმწიფო თავისი ცენტრალური და რეგიონული ორგანოების ბაზაზე

[1] აღნიშნულის შესახებ კიდევ გვექნება მსჯელობა საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მეთოდების სიმბიოზის ტალღისებური ხასითის ზოგადი ეკონომიკური კანონის განხილვის დროს.

სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ასაკის ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის, სხვადასხვა დარგის საწარმოებსა და ქვეყნის რეგიონებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილებაში და გადანაწილებაში.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ დასახელებული ორი მიმდინარეობის ევოლუციური გზის, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ცალკე თემები იქნება დამუშავებული. სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ეხება აგრეთვე ჩვენს მიერ შესრულებული შრომა. ფრიდრიხ ჰაიეკი სახელმწიფოს როლის შესახებ საბაზრო ეკონომიკაში (გორი, 2000 წ.).

ამიტომ ამ საკითხებზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. შენიშვნის სახით კი აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა გათვალისწინებული და მხედველობაში იქნეს მიღებული მოცემული ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების ერთობლიობა, მისი ტრადიციები და თანამედროვე პირობები. უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბების ზოგადი ტენდენციები, რომლის მსვლელობაშიც არსებითად თუ არა, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. ყოველ შემთხვევაში საჭიროა მოცემული პრობლემის მიმართ ტრადიციული წარმოდგენების კრიტიკული გააზრება.

განვიხილოთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გამოვლინდება მის ფუნქციებში, ვალდებულებებში, რომლებიც მეცნიერ–ეკონომისტების მიერ დღემდის ერთნაირად არ არის შეფასებული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

<u>ლ. აბალკინი</u> გარდამავალი ეკონომიკის პირობებში გამოყოფს სახელმწიფოს შემდეგ ძირითად ფუნქციებს და ამოცანებს: ზოგადი საკანონმდებლო და სამართლებრივი წანამძღვრების საბაზრო ეკონომიკისათვის თავისებური თამაშის წესების შექმნა;

სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტის ბუნებრივი მონოპოლიების, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოების (თავდაცვითი პროდუქცია, ძვირფასი ლითონების, ალმასის, ალკოჰოლური სასმელების) პირდაპირი სახელმწიფო ფლობა და მართვა;

აქტიური სამრეწველო პოლიტიკის დამუშავება და გატარება, საკვანძო ინვესტიციურ, სტრუქტურულტექნოლოგიურ პროგრამებში მონაწილეობა სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების, ეკონომიკური გარანტიების, შეღავათიანი კრედიტების და ფინანსური დახმარების სხვა სახეების გაცემის გზით;

შიდა ეროვნული პროდუქტის განაწილებაში და გადანაწილებაში სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება, როგორიცაა გადასახადები, აქციზები, ტარიფები, ბაჟები, საბანკო პროცენტი, ფასებზე ანტიმონოპოლიური კონტროლი, ფულის მიმოქცევის მართვა და ა. შ.;

საერთო ფედერაციული საწყისების განვითარება და განმტკიცება ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირებაში უნიტარული ტენდენციების დაუშვებლობისას და, ამავდროულად, რეგიონების მაქსიმალური დამოუკიდებლობის, თვითდაფინანსებისა და მართვისათვის პირობების შექმნა, რომლებიც გამორიცხავენ თვითმართვას, სეპარატისტულ მოქმედებას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება მთლიანად ფედერაციის ინტერესებს ან მისი სხვა სუბიექტების ინტერესებს;

მოქნილი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება, ჯერერთი, ქვეყნის ნორმალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის თანდათანობით შესვლისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნული ეკონომიკის

გამოჯანმრთელებისა და განვითარების ძირითადი კერების დაცვისაკენ პროტექციონისტული ღონისძიებების დახმარებით იმ მომენტამდე ვიდრე ისინი არ აღმოჩნდებიან ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ წარმატებით შეძლონ კონკურენციის გაწევა მსოფლიო ბაზარზე.

სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალური პროცესების მართვა;

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, სახელმწიფო აპარატის გახრწნასთან ცენტრებში და ადგილებზე, კორუფციასთან, ჩრდილოვან ეკონომიკასთან, მაფიოზურ სტრუქტურებთან. ამის მთავარი საშუალებები: სახელმწიფო მშენებლობაში ავტორიტარული ტენდენციების გადალახვა, არჩევითი, წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ამაღლება, სახელმწიფო აპარატის საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ფორმების ყოველმხრივი მხარდაჭერა და განვითარება ყველა დონეზე.

<u>გ. ადეიშვილის და რ. ასათიანის</u> რედაქტორობით 1998 წელს გამოცემული ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოს მიხედვით სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს მიაკუთვნებენ სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფას და კონკურენციის დაცვას.

ამასთან, დასახელებულ სახელმძღვანელოში გაზიარებულია ამერიკელი ეკონომისტის რ. რ. მიუსგრავის მიერ ჩამოყალიბებული ტოპოლოგია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ახორციელებს სამ ფუნქციას:

1. აფექტაციის ფუნქცია. იგი ვლინდება არასასაქონლო დოვლათისა და მომსახურების წარმოებაში, როდესაც ეკონომიკური აგენტები მარაგდებიან უფასოდ ან თითქმის უფასოდ;

2. გადანაწილების ფუნქცია. საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკური აგენტების შემოსავალთა გადანაწილებით;

3. რეგულირებადი ფუნქცია. სახელმწიფო თავის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკით ცდილობს არეგულიროს ეკონომიკური საქმიანობა, ანუ გამოასწოროს ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა.

<u>ვ. ბალიკოევი</u> სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის მრავალ ასპექტს განიხილავს და საბოლოო ჯამში ყველა ამათ სამ ჯგუფად აყალიბებს;

მაპროექტირებელი ფუნქცია;

მასტაბილიზირებელი ფუნქცია;

განმანაწილებელი ფუნქცია;

<u>რ. ბასარია და ი. მესხია</u> სახელმწიფოს სამი სახის ფუნქციას განიხილავენ:

სტაბილიზაციური ფუნქცია. მისი შინაარსი და დანიშნულება ეკონომიკურ კანონშემოქმედებაში და მის განხორციელებაში, დასაქმების მაღალი დონის, ფასების სტაბილურობის მხარდაჭერაში, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში მდგომარეობს;

განაწილებითი ფუნქცია: მისი მიზანია საზოგადოებაში შემოსავლების განაწილებაში მეტი სამართლიანობის მიღწევა;

ალოკაციური ფუნქცია (ესეც განაწილებითია). მისი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკაში რესურსების ეფექტური განაწილების ფუნქცია.

<u>რ. გოგოხია</u> ლექციების კურსში საბაზრო ეკონომიკის შესახებ (თბ. 1996 წ.), ასევე შრომაში: «შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების პერსპექტივები» (თბ. 2004წ.) ცალკე თავებს უძღვნის სახელმწიფოს (მთავრობის) როლს ეკონომიკაში. მათში ფართოდ იხილავს, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ განსხვავებულ შეხედულებებს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანებს და მექანიზმებს, სახელმწიფოს (მთავრობის) ეკონომიკურ ფუნქციებს და სხვა.

იგი აღნიშნავს რომ მთავრობის ეკონომიკური ფუნქციები ბევრი და მრავალფეროვანია, იზიარებს მაკონელისა და ბრიუს შეხედულებებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მშესახებ და ფართო პლანით წარმოადგენს მათ. ესენია:

1. საბაზრო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფა;
2. კონკურენციის დაცვა;
3. შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;
4. რესურსების განაწილების კორექტულობა ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით;
5. ეკონომიკის სტაბილიზაცია, ე.ი. კონტროლი დასაქმებასა და ინფლაციაზე, რასაც წარმოშობს ეკონომიკური კონიუნქტურის რეალობა, ასევე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება;

<u>კ. მაკონელის და ს. ბრიუს</u> აზრით, მთავრობის ეკონომიკური ფუნქცია ბევრია და მრავალნაირი. ფაქტიურად მთავრობის ეკონომიკური ფუნქცია ხორციელდება ისე ფართო მასშტაბებში, რომ შეუძლებელია შევადგინოთ მისი ეკონომიკური ფუნქციების ამომწურავი ჩამონათვალი. მიუხედავად აღნიშნულისა ისინი გამოჰყოფენ შემდეგ ხუთ ფუნქციას:

სამართლებრივი ბაზის და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას;

კონკურენციის დაცვა;

შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;

რესურსების განაწილების კორექტირება ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით;

ეკონომიკის სტაბილიზაცია, ანუ დასაქმების და ინფლაციის დონისადმი კონტროლი, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება.

<u>ე. მექვაბიშვილი</u> სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს და ფუნქციებს განიხილავს ორ ასპექტში: 1. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები გარდამავალ პერიოდში და 2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები ჩამოყალიბებულ საბაზრო ეკონომიკაში.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს კონკრეტულ ეკონომიკურ ფუნქციებად იგი განიხილავს: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას და დაცვას; ეკონომიკის სტრატეგიული პოლიტიკის განსაზღვრას; საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი სივრცის შექმნას; სამეურნეო პროცესების მართვის დებიუროკრატიზებას და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება-განხორციელებას.

ჩამოყალიბებულ საბაზრო ეკონომიკაში კი, ავტორის აზრით, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებია:

1. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფა;
2. კონკურენციის დაცვა;
3. შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;
4. რესურსების გადანაწილება ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით;
5. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ანუ ინფლაციასა და დასაქმებაზე კონტროლი საბიუჯეტოფისკალური, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება;
6. სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირება;
7. ეკონომიკური პროგრამირება და პროგნოზირება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. მექვაბიშვილი როდესაც სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს იხილავს, ჩამოყალიბებულ საბაზრო ეკონომიკაში საკმაო ადგილს უთმობს ჟ. ბ. სეის, ა. სმითის, ლ. ვალრასის, ა. ნოზიკის, ფ. ჰაიეკის და სხვათა ფუძემდებლურ მოსაზრებებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. იგი ცალკე გამოჰყოფს ლიბერალური (თავისუფალი) საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლს და მიუთითებს, რომ ლიბერალური, ანუ თავისუფალ კონკურენციაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;
2. მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება;
3. პირადი ინტერესებისადმი პრიორიტეტის მინიჭება;
4. შეუზღუდავი კონკურენცია;
5. მთავრობის (სახელმწიფოს) უკიდურესად შეზღუდული როლი ეკონომიკაში.

ე. მექვაბიშვილის მიერ ლიბერალური (თავისუფალი) ეკონომიკის პირობებისათვის სახელმწიფოს ეკონომიკური როლის აქ გადმოცემული ნიშნები, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს და საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის მშენებლობის პროცესში სწორედ ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს ყურადღება.

<u>გ. ჟურავლიოვა</u> გამოჰყოფს სულ მცირე სამ ფუნქციას:

ეკონომიკის უზრუნველყოფა საჭირო ფულის რაოდენობით;

ეგრეთწოდებული «გარეგანი» (ანუ თანმდევი) ეფექტების რეგულირება;

«კოლექტიურ საკითხზე» (ანუ «საზოგადოებრივ საქონელზე») მოთხოვნების უზრუნველყოფა.

<u>ს. ფიშერის, რ. დორნბუშისა და რ. შმალენზის</u> მიხედვით სახელმწიფოს სტრუქტურების ფუნქციებში შედის:

კანონების, ნორმებისა და წესების დამუშავება, ანუ სამართლებრივი საფუძვლების დამუშავება, რომელთა შესაბამისადაც რეგულირდება საკუთრების ფლობის და ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი ნორმები (წესები);

საქონლის (მომსახურების) ყიდვა და გაყიდვა;

ტრანსფერტების გადახდა;

გადასახადებით დაბეგვრა;

ეკონომიკის სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარება;

რესურსების განაწილებაზე ზემოქმედება;

<u>ა. შიშკინი</u> იხილავს სახელმწიფოს ზოგად და ეკონომიკურ ფუნქციებს. ზოგად ფუნქციებში იგი ასახელებს სახელმწიფო წყობის დაცვას, ეკონომიკური და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებას, ქვეყნის შინაგანი პოლიტიკის როგორც მისი კონკრეტული გამოვლინების საერთო სისტემას (სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური, სამეცნიერო, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა) ქვეყნის ინტერესების დაცვა საგარეო ეკონომიკური ფუნქციის განხორციელებას.

მისი აზრით აღნიშნული ფუნქციები აისახება სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზაციულ საქმიანობაში შემდეგი გზებით:

გაფართოებული კვლავწარმოების რეგულირება;

მატერიალური წარმოების, კაპიტალური დაბანდებების და საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის პროგნოზირება;

სახალხო მეურნეობის დარგების ზრდის ტემპებისა და განვითარების მიმართულებების რეგულირება;

სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის განაწილება, გადანაწილება და გამოყენება;

ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში, მათ შორის ინტეგრაციულ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

საგარეო ვაჭრობისა და სავალუტო ურთიერთობის რეგულირება.

სახელმწიფოს ზოგად ფუნქციებთან არის დაკავშირებული მისი ეკონომიკური ფუნქციები. ესენია:

სოციალური ფუნქცია;

ეკოლოგიური ფუნქცია;

გადასახადით დაბეგვრა და გადასახადების აკრეფა;

მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, კანონიერების და მართლწესრიგის დაცვა;

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები;

მსოფლიო მეცნიერებაში ინტეგრაციის ფუნქცია;

საგარეო ეკონომიკური პარტნიორობის და უცხოური ინტეგრაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ფუნქცია;

თავდაცვის ფუნქცია;

მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების ფუნქცია;

სხვა სახელმწიფოსთან გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში თანამშრომლობის ფუნქცია;

<u>ლ. ჩიქავა</u> საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებას მიაკუთვნებს:

ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

ანტიმონოპოლიური რეგულირება;

მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური სტაბილიზაცია;

ფინანსური რეგულირება;

მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

<u>ი. ქვაჩახია</u> სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში (ტ. I. 1996. გვ. 103-116) მიუთითებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური მოწყობა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ამომწურავი ჩამოთვლაც კი ერთობ ძნელია და ასახელებს სახელმწიფოს შემდეგ ხუთ ძირითად ეკონომიკურ ფუნქციას:

1. ეკონომიკური ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის შექმნა და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;
2. კონკურენციის დაცვა;
3. შემოსავლების გადანაწილება;
4. საწარმოო რესურსების განაწილების კორექტირება;
5. სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდის წახალისება.

2.2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს, თითქოს ყველა ავტორი მეტნაკლები თანმიმდევრობითა და სიზუსტით სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს განიხილავს იმის მიხედვით, რომელიც მიესადაგება ზოგადად საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის

პირობებს. ამდენად ყველა ამ ავტორის მოსაზრება მისაღებია. მაგრამ ამასთანავე, არც ერთი მათგანი არსად არ მიუთითებს, თუ რა ნიშნებით განსხვავდება ერთიმეორისაგან სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ზოგადად საბაზრო ეკონომიკის პირობებში და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ე. მექვაბიშვილი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ცალკე გამოჰყოფს ლიბერალური (თავისუფალი) საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობს აბსოლუტურად თავისუფალ, «წმინდა კაპიტალისტურ» სისტემას, ისევე როგორც არ იცნობს წმინდა ადმინისტრაციულ–მბრძანებლურ სისტემას (თვით სოციალისტურ-კომუნისტური სისტემის რუსული მოდელიც კი არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იყო აბსოლუტურად წმინდა «ყაზარმული» სისტემა, რომ იგი არ შეიცავდა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პრინციპებს), მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში ე. მექვაბიშვილის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ნიშნები ყველაზე მეტად არის მისაღები. ამდენად, საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის მშენებლობის პროცესში სწორედ ამ ნიშნებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ასევე ეკონომიკური დემოკრატიის პირობებისათვის მისაღებად მიგვაჩნია ა. ილარიონოვის მოსაზრებები. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის ასახელებს:

- ბაზრის მონაწილეთა (იურიდიული და ფიზიკური პირები) საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას;
- ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის სამეურნეო ცხოვრების ერთიანი, თანაბარი, გამჭვირვალე და სტაბილური პირობების შექმნას და ამ პირობების კანონმდებლური სახით გაფორმებას;
- ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის ხელოვნური, ბიუროკრატიული შეზღუდვების ლიკვიდაციას, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობას;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სამეურნეო კონტრაქტების აღსრულების უზრუნველყოფას;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კანონების პატივისცემას, მათი აღსრულების უზრუნველყოფას;

აღნიშნული ფუნქციები და ვალდებულებები გულისხმობენ რომ სახელმწიფო უარს ამბობს, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესებზე, მის აქტიურ მონაწილეობაზე ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ასრულებს, რა შეზღუდულ როლს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამით უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თანაბარ ეკონომიკურ თავისუფლებას.

აღნიშნული პრინციპის დანერგვა საქართველოში როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მისაღებია და შეესაბამება მოწინავე ქვეყნების მიერ დღემდე განვლილ გზას. სხვათა შორის მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები საქართველოში შემოსვლის პირველი დღიდანვე სამართლიანად (მათი საქმიანობის მიმართ ჩვენთან გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკული შეფასებების მიუხედავად) მოგვიწოდებდნენ, რომ ეს პრინციპი აქტიურად განგვეხორციელებინა.

ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ჩვენეული გაგება ემყარება კლასიკური ეკონომიკური სკოლის და ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლების თეორიულ დებულებებს. კერძოდ. მხედველობაში გვაქვს კლასიკური სკოლის ფუძემდებლის და მთავარი შემოქმედის ადამ სმითის (1723-1790) და

ნეოლიბერალიზმის მთავარი წარმომადგენლის ფ. ჰაიეკის (1899-1992) თეორიული დასკვნები და წინადადებები, რომლებიც ეხება ეკონომიკურ თავისუფლებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. სმითი ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციას არც ერთ თავის შრომაში («ზნეობრივი გრძნობების თეორია» - 1759 წ. და «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ – 1776 წ.) არ მიუძღვნის ცალკე, სპეციალურ თავებს ან პარაგრაფებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მოძღვრების ცალკეული ადგილების განხილვა და ცალკეული განმარტებების შეფასება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახალხო მეურნეობის არსებობისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ეს არის ეკონომიკური თავისუფლება, რომლის საფუძველს წარმოადგენს «ეკონომიკური ინტერესი», «ეკონომიკური ეგოიზმი».

სამეურნეო ცხოვრების ყველა ფენომენს შრომის დანაწილების, ფულის, რენტის, კაპიტალზე მოგების და სხვათა სახით ბოლოსდაბოლოს საფუძვლად უდევს ერთი მამოზრავებელი ძალა – პირადი ინტერესი, ამ ინტერესის დაკმაყოფილება. «პირადი ინტერესი» ა. სმითის განმარტებით არის ყოველი ადამიანის ბუნებრივი სწრაფვა უკეთესი მდგომარეობისათვის. ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია ამ პირადი ინტერესით, ეკონომიკური ეგოიზმით და განაგებს მთელ თავის სამეურნეო საქმიანობას არის ის ეკონომიური ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ნორმალურ, იდეალურ ტიპს. ეს ადამიანი ზრუნავს რა თავისი ინტერესების შესახებ, ამავე დროს არის საზოგადოების ყველაზე სასარგებლო წევრი. დაე ყოველმა ადამიანმა ხელმძღვანელობს რა სწრაფვით გაიუმჯობესოს თავისი პირადი კეთილდღეობა, ააწყოს თავისი ცხოვრება – შედეგად მიიღება მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. საზოგადოება ხომ სხვა არაფერია თუ არა ცალკეული ნებელობითი იმპულსების არითმეტიკული ჯამი, რომელიც მიმართულია კეთილდღეობის მისაღწევად. მაგრამ თუ ყველა ადამიანი გაჟღენთილია ამ იმპულსით, მაშინ მთელი საზოგადოება მიაღწევს თავის უმაღლეს მიზანს – უმაღლეს კეთილდღეობას და სიმდიდრეს.

საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საჭიროა მხოლოდ ამ ფაქტის შეცნობა და ყოველი ადამიანის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მას შეეძლოს განახორციელოს თავისი ეს სწრაფვა. სახელმწიფო ხელისუფლებამ მხოლოდ უნდა გაათავისუფლოს ეს ინტერესი და ეს სწრაფვა იმ წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მის განხორციელებას. სახელმწიფომ ადამიანს უნდა მისცეს თავისი სამეურნეო ეგოიზმის განხორციელების სრული თავისუფლება და არ ჩაერიოს მისი განხორციელების გზებსა და ხერხებში, თვითონ კი უნდა შემოიფარგლოს მინიმალური ამოცანებით – დაიცვას კერძო მეწარმეობა.

ნეოლიბერალიზმი როგორც ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემა კლასიკური სისტემიდან მოდის და დაფუძნებულია ინდივიდუალური საქმიანობის წამყვანი როლის აღიარებაზე, რომელიც განპირობებულია პირადი ინტერესით. ინდივიდუალურ ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა შეზღუდულია.

თანამედროვე ეკონომიკური ლიბერალიზმისათვის ძირითადად მთავარია ორი დებულება: ჯერერთი, ისინი გამომდინარეობენ იქიდან, რომ ბაზარი როგორც მეურნეობრიობის ყველაზე ეფექტური ფორმა ჰქმნის ეკონომიკური ზრდისათვის საუკეთესო პირობებს და, მეორე, პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონკურენციისათვის შესაბამისი პირობები და კონტროლი განახორციელოს იქ სადაც არ არის ასეთი პირობები[1].

[1] ნეოლიბერალიზმის შეხედულებები სახელმწიფოს როლზე ეკონომიკაში დაწვრილებით იხ. ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი-ქარდავა. «სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის კონცეფციის მიხედვით». თბ. 2002 წ.

ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, მაგრამ აქ მაინც აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს შეზღუდული როლის შესახებ პრინციპი წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას.

აქვე იმასაც დავსძენთ, რომ როდესაც ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს შეზღუდული როლის შესახებ არის საუბარი, სულაც არ იგულისხმება, რომ იგი სულ უნდა წავიდეს ეკონომიკიდან. პირიქით, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ მიუღწევია ეფექტიანი განვითარებისათვის სახელმწიფოს გარეშე.

მაგრამ აქ საკითხი დგას არა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ტოტალურ «ჩარევაზე», არა მის მიერ «ღამის დარაჯის» როლის შესრულებაზე, არამედ სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე და ფუნქციებზე.

ქვემოთ განვიხილოთ სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობის რაოდენობრივი შეფასების მეთოდიკა.

2.3. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის რაოდენობრივი შეფასება, ანუ ეკონომიკური დემოკრატიის ინდექსი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სახელმწიფო უარს ამბობს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესებზე, მის აქტიურ მონაწილეობაზე ეკონომიკურ საქმიანობაში. ამით იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებას, მის დამკვიდრებას ბაზრის მონაწილე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის თანაბარ ეკონომიკურ თავისუფლებას.

ბუნებრივია ისმის კითხვა, თუ როგორ განვსაზღვროთ ეკონომიკური დემოკრატია (თავისუფლება), შეიძლება თუ არა მისი ხარისხი გამოვხატოთ რაოდენობრივ მაჩვენებელში, ან პირიქით, როგორ გამოვხატოთ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის რაოდენობრივი მაჩვენებელი?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ – შეიძლება. თუმცა, ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ პრობლემის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს.

კ. რ. მაკონელის და ს. ლ. ბრიუს განმარტებით მთავრობის ეკონომიკური როლის რაოდენობრივი გამოსახვა ძნელია. ისინი როდესაც ასეთ დასკვნას აკეთებენ, იქიდან გამოდიან, რომ ყველა რეალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემა «შერეული» ხასიათისაა; ყველგან მთავრობა და საბაზრო სისტემა ერთიმეორეში იყოფენ ფუნქციებს, როდესაც ეძებენ პასუხს ხუთ ფუნდამენტალურ კითხვაზე:

1. რამდენი უნდა ვაწარმოოთ? არსებული რესურსებიდან რა რაოდენობით ან რა ნაწილი გამოვიყენოთ საწარმოო პროცესში?
2. რა უნდა ვიწარმოოთ? საქონლისა და მომსახურების როგორი ნაერთი უფრო სრულად დააკმაყოფილებს საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნებს?
3. ეს პროდუქცია როგორ უნდა ვაწარმოოთ? როგორ უნდა იყოს ორგანიზებული წარმოება? რომელმა ფირმებმა უნდა განახორციელონ წარმოება და წარმოების რომელი ტექნოლოგია გამოვიყენოთ?
4. ვინ უნდა მიიღოს ეს პროდუქცია? კერძოდ, როგორ უნდა იქნეს განაწილებული ეკონომიკაში შექმნილი პროდუქცია ინდივიდუალურ მომხმარებლებს შორის?
5. უნარი აქვს თუ არა სისტემას ადაპტირებული იქნეს ცვლილებების მიმართ? შეუძლია თუ არ მას საჭირო კორექტირებებს მიაღწიოს იმ ცვლილებებთან დაკავშირებით,

რომლებიც ხდება სამომხმარებლო მოთხოვნილებაში, რესურსების მიწოდებაში და წარმოების ტექნოლოგიაში?

ცნობილია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური სისტემები მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისგან ეკონომიკის მართვაში, მთავრობისა და ბაზრის როლით, მაგალითად, ყოფილი სსრკ-ის ეკონომიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, მაშინ როდესაც აშშ-ის ეკონომიკა წარმოადგენს უპირატესად საბაზრო სისტემას. ამასთან მთავრობის ეკონომიკური ფუნქციები ხელისუფლების ფედერალური, შტატების, ადგილობრივი ორგანოების დონეზე არსებითი როლით არიან წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული ავტორები ეკონომიკაში ბაზრისა და მთავრობის ხვედრითი წონის მეტად უხეშ მაჩვენებლად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ეროვნული პროდუქტის 4/5 წარმოებულია საბაზრო სისტემის მიერ, ხოლო მისი დანარჩენი ნაწილი – მთავრობის ეგიდით. მაგრამ წარმოების ფინანსირების გარდა მთავრობა ახორციელებს აგრეთვე სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის მთელ რიგ პროგრამებს, ისახავს რა თავის მიზნად შემოსავლების გადანაწილებას ეკონომიკის კერძო სექტორში. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ გადასახადები და სამთავრობო ხარჯების საერთო მოცულობა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე და სოციალურ პროგრამებზე შეადგენენ ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 1/3. ბოლოს, მრავალი ისეთი მარეგულირებელი ღონისძიება, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან რაოდენობრივ გაზომვას და რომელთა დანიშნულებაა გარემოს დაცვა, მუშების ჯანმრთელობისა და შრომის დაცვა, მომხმარებელთა დაცვა საშიში პროდუქტებისაგან და სხვა პრაქტიკულად მთავრობას რთავს ეკონომიკური საქმიანობის მრავალ სფეროში.

ეკონომიკური თავისუფლების მომხრეების მსოფლიო ასოციაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ (რომელიც ამჟამად აერთიანებს მსოფლიოს 55 ქვეყნის ეკონომისტებს) შემოთავაზებულია სახელმწიფოს მიერ თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულების და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების უნარის რაოდენობრივი გაზომვის მაჩვენებელი. ამ მაჩვენებელს უწოდებენ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს ანგარიშობენ ყოველი ცალკეული ქვეყნისა და ცალკეული წლების მიხედვით სტანდარტული მეთოდიკით. ჯერ განისაზღვრება ქვემოთ ნაჩვენები 25 მაჩვენებლის სიდიდე რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკური თავისუფლების დონეს შემდეგ 7 სფეროში;

I. <u>სახელმწიფოს ხვედრითი წილი ეკონომიკურ ცხოვრებაში.</u>

(მოხმარება, ტრანსფერები, სუბსიდიები):

a. სახელმწიფოს მოხმარების ხვედრითი წილი ერთობლივ მოხმარებაში, %-7,4; 21,6

ა.1.სახელმწიფო მოხმარების ხვედრითი წილი მშპ-ში, %-4,2; 14,8

ბ. სახელმწიფო ტრანსფერების და სუბსიდიების ხვედრითი წილი მშპ-ში, %-1,7; 13,9

II.<u>ეკონომიკის სტრუქტურა და საბაზრო მექანიზმების გავრცელება</u> (რესურსების წარმოება და განთავსება სახელმწიფო მექანიზმების, აგრეთვე კერძო საწარმოებისა და ბაზრის მეშვეობით):

ა. სახელმწიფო საწარმოების და სახელმწიფო ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში, %-0,0; -30;

ბ. ფასებზე კონტროლი: ფასების წილი, რომელსაც ადგენს და არეგულირებს სახელმწიფო, %-0,0; -25;

გ. საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი, %-0,0; 30;

დ. სამხედრო ვალდებულებების არსებობა – არა, კი;

III. ფულადი პოლიტიკა და ფასების სტაბილურობა (ფულის, როგორც ღირებულების საზომის და გაცვლის საშუალების დაცვა):

ა. ფულის მასის მატების საშუალო წლიური ტემპები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მინუს რეალური მშპ-ის მატების საშუალო წლიური ტემპები უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, %-0,0; 86,2;

ბ. ინფლაციის წლიური ტემპების სტანდარტული გადახრა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 0,0; 83,9;

გ. ინფლაციის ტემპები უკანასკნელ ერთ წელს, %-0,0; 85,9;

IV. ალტერნატიული ვალდებულების გამოყენების თავისუფლება (უცხოური ვალუტებისადმი ხელმისაწვდომობა);

ა. მოქალაქეებისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნის თავისუფლება ქვეყნის შიგნით – კი; არა;

ბ. მოქალაქეებისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნის თავისუფლება საზღვარგარეთ – კი; არა;

გ. ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაზე კონვერტირების თავისუფლება საერთაშორისო ოპერაციებში მიმდინარე და კაპიტალური ოპერაციების მიხედვით მონაწილეობისათვის – კი; არა;

V. საკუთრების უფლების დაცვა (საკუთრების უფლების უზრუნველყოფა და კონტრაქტების დაცვა):

ა. კერძო საკუთრების უფლების იურიდიული უზრუნველყოფის ინდექსი (კონფისკაციის რისკი) –100; 81;

ბ. კონტრაქტების დაცვის ინდექსი (სახელმწიფოს მიერ კონტრაქტების დარღვევის რისკი) – 10,0; 6,8;

გ. კანონის უზენაესობის ინდექსი (არადისკრიმინაციული იურიდიული დაცვისადმი ხელმისაწვდომობა) – 6,0; 4,0;

VI. საერთაშორისო გაცვლა: საგარეო ვაჭრობის თავისუფლება:

ა. საგარეო ვაჭრობის სატარიფო ბარიერები:

გადასახადები საგარეო ვაჭრობაზე საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მიმართ, %-0,0; 6,4

საშუალო სატარიფო განაკვეთი, %-0,0; -12

სატარიფო განაკვეთების სტანდარტული გადახრა – 0,0;

ბ. საგარეო ვაჭრობის არასატარიფო ბარიერები

საგარეო ვაჭრობის წილი, რომლის მიხედვითაც გამოიყენება სატარიფო შეზღუდვები – 0,0; 100,0;

საგარეო ვაჭრობის ფაქტიური სიდიდე წინასწარ განჭვრეტილთან შედარებით, %-265,4; 62,5;

გ. ოფიციალურ სავალუტო კურსსა და შავი ბაზრის სავალუტო კურსს შორის განსხვავება, %-0,0; 0,0;

VII. კაპიტალის და ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის თავისუფლება:

ა. დეპოზიტების საერთო მოცულობაში კერძო ბანკებში მოთავსებული დეპოზიტების ხვედრითი წილი, -100; 0/26,7;

ბ. კრედიტების საერთო მოცულობაში კერძო სექტორისადმი გაცემული კრედიტების ხვედრითი წილი, %-100; 0-45,1;

გ. პროცენტულ განაკვეთებზე კონტროლი, აგრეთვე, მათი სხვა სახით რეგულირება, რომელსაც მივყევართ საპროცენტო განაკვეთების უარყოფით მნიშვნელობამდე – არა; არა;

დ. უცხოეთთან კაპიტალურ ოპერაციებში მოქალაქეების თავისუფლად მონაწილეობის შეზღუდვა – კი; არა;

ამის შემდეგ ყოველი ჩამოთვლილი მაჩვენებლის მიხედვით ანგარიშობენ მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას და ანიჭებენ შესაბამის რანგს 0-დან 10-მდე ისეთნაირად, რომ 0 შეესაბამება ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე დაბალ დონეს, ხოლო 10 – თანამედროვე (მაღალ) დონეს. ბოლოს, შემაჯამებელი შედეგის მისაღებად იყენებენ მთავარი კომპონენტის მეთოდის სტატისტიკურ პროცედურას. შედეგად, ყოველი ქვეყანა (უფრო ზუსტად, ყოველი ქვეყნის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა) ღებულობს მის მიერ იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიცემული ეკონომიკური თავისუფლების რაოდენობრივ შეფასებას.

ერთხელ კიდევ მივაქციოთ ყურადღება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ჩამოთვლილ კომპონენტებს (25 მაჩვენებელი 7 სფეროში). აქ ყოველი კომპონენტის გასწვრივ მიწერილია სათანადო ციფრები ორ წყებად. პირველი წყება ციფრებისა აღნიშნავენ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საუკეთესო შედეგებს მსოფლიო 119 ქვეყნის მიხედვით, რომლებიც გაანგარიშებულია 1995-1998 წლების მონაცემების საფუძველზე. მეორე წყება ციფრებისა კი – რუსეთის მიხედვით, გაანგარიშებული 1999 წლის მონაცემების საფუძველზე.

სამწუხაროდ საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება იშვიათად თუ ვინმეს უცდია. რუსეთის მონაცემები მოგვყავს ილუსტრაციის მნიშვნელობით და გვინდა გარკვეული მინიშნება გავაკეთოთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე, ვინაიდან ეკონომიკური რეფირმები საქართველოში მთელი ბოლო 15 წლის განმავლობაში მეტნაკლები სიზუსტით მიმდინარეობდა რუსეთში გატარებული რეფორმების ანალოგიურად.

ქვემოთ მოვიყვანთ მსოფლიო ბანკის, თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და წამყვანი ჟურნალ–გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც პირდაპირ არ მიუთითებენ ეკონომიკური თავისუფლების ფაქტობრივ სიდიდეებზე საქართველოში, მაგრამ გარკვეულწილად ასახავენ ჩვენთან ეკონომიკური დემოკრატიის სფეროში შექმნილ მდგომარეობას.

1. ბი-ბი-სი-ს მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ ჟურნალმა «უილ სტრიტ ჟურნალმა» და კვლევითმა ორგანიზაციამ Heritage Foundation-მა 2004 წლის შედეგების მიხედვით გამოაქვეყნეს მსოფლიოს ქვეყნების «ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი», რომლებიც ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილი; «თავისუფალი», «მეტად თავისუფალი», «მეტწილად არათავისუფალი» და «რეპრესირებული». რაც უფრო თავისუფალია ქვეყნის ეკონომიკა, მით დიდია მისი მოქალაქეების კეთილდღეობა. რეიტინგი ითვალისწინებს ათ ძირითად ფაქტორს, მათ შორის: სახელმწიფო სავაჭრო, მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას; ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს; საკუთრების უფლების დაცვის დონეს; უცხოური ინვესტიციების დინამიკას; და ა. შ.

საქართველო ამ შედეგების მიხედვით მოხვედრილია: «მეტწილად არათავისუფალ» ეკონომიკურ ჯგუფში (იხ. გაზ. «კვირის პალიტრა» 10-16 იანვარი 2005 წ.).

2. საერთაშორისო ორგანიზაციამ «რეპორტიორები საზღვრების გარეშე «მსოფლიოში პრესის თავისუფლების ანგარიში წარმოადგინა, რომლის თანახმად საქართველო 91-ე ადგილზე აღმოჩნდა. დსთ-ს ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი (164-ე ადგილი) რეიტინგი თურქმენეთს აქვს. თუმცა არც სხვები ბრწყინავენ: რუსეთი პრესის თავისუფლების დონით – 140-ე ადგილზეა, ბელორუსია – 144-ზე, აზერბაიჯანი – 136-ზე. (იხ. იქვე).

3. ამერიკის მემკვიდრეობის ფონდმა მსოფლიოს 165 ქვეყნის ეკონომიკის თავისუფლების ხარისხის რეიტინგი შეადგინა. აქ პირველ ადგილზე ჰონკონგის ეკონომიკა აღმოჩნდა (1997 წელს იგი უკვე ჩინეთის დაქვემდებარებაშია) მაგრამ როგორც უძველესმა ბრიტანულმა კოლონიამ ავტონომიის ხარისხი შეინარჩუნა. თავად ჩინეთი ამ სიაში 112-ე

ადგილზეა. მეორე და მესამე ადგილი სინგაპურსა და ლუქსემბურგს ერგო. მეოთხე ადგილზე კი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა – ესტონეთი აღმოჩნდა.

ბოლო 11 წლის მანძილზე პირველად, ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ათეულში არ მოხვდა აშშ. იგი რეიტინგის შემდგენლებმა – მე-12 ადგილზე ირლანდიის, ახალი ზელანდიის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, ისლანდიის, ავსტრალიის და სხვების შემდეგ მოათავსეს. რუსეთის ეკონომიკა აქ 124-ე ადგილზეა. სიის ბოლოშია კუბა, ლაოსი, თურქმენეთი, ზიმბამბვე, ლიბია, მიანმა (ყოფილი ბირმა) და ჩრდილოეთ კორეა (იხ. გაზ. «კვირის პალიტრა», 2005 წ. 10-16 იანვარი).

4. საქართველოს «ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი» წინა წლებთან შედარებით (1996 წელს 3,94 იყო, 2005 წელს –3,34) მნიშვნელოვნად დაეცა. ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritage Foundation-ის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში საქართველომ «ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის» მიხედვით 91-ე ადგილიდან მე-100-ზე გადაინაცვლა და საქართველოს ეკონომიკა «მეტად არათავისუფალ» კატეგორიაში მოხვდა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და გაზრდილია არალეგალური ვაჭრობა. 0,5%-ით გაიზარდა «ჩრდილოვანი ეკონომიკა»(!). შედეგად საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 0,15%-მდე დაეცა.

5. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, 2004 წელს საქართველო სწრაფად აღმავალ რეფორმატორად არის შეფასებული და 155 ქვეყანას შორის მეორე ადგილზეა. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საკუთრების რეგისტრაციის, საგადასახადო ადმინისტრირების, ლიცენზირებისა და ნებართვების სფეროებში.

6. როგორც გაზეთი «კვირის პალიტრა» (19-25 სექტემბერი, 2005 წ.) იუწყება ნიუ-იორკში გაეროს 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამიტზე (2005 წ. სექტემბერი) საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სერიოზული ფინანსური პრობლემაც მოაგვარა. გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიის გახსნის წინ, აშშ-ის სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან ერთად მონაწილეობა მიიღო ვაშინგტონის სამხრეთკავკასიელი სტრატეგიური პარტნიორობისათვის 295 მლნ დოლარის გამოყოფის დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაში დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თბილისმა ეს გრანტი აშშ-ის სამთავრობო პროგრამის, «ათასწლეულის გამოწვევის», კონკურსის საფუძველზე მიიღო. საქართველო, ნათქვამია დოკუმენტში, პრემირებულია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასა და თავისუფალი ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის».

7. სავალუტო ფონდის ინფორმაციით, ინვესტორები საქართველოს ბიზნესგარემოს ძირითადად აღიქვამენ, როგორც ბიუროკრატიულს, არაგამჭვირვალეს და კორუფციისკენ მიდრეკილს. საინვესტიციო კლიმატის განვითარებას ხელს უშლის გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცედურები, მეწარმეთათვის ქრთამის გამოძალვის მცდელობები. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის დონე ძალიან დაბალია, რაც ბუნებრივია, საეჭვოს ხდის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ცხადია, საქართველო «ერთიან ევროპულ ოჯახში» მანამ ვერ ჩაეწერება, ვიდრე კერძო მესაკუთრეს დაუცველობის შიში არ გაუნელდება და არ დარწმუნდება, რომ სახელმწიფო მისი საკუთრების დაცვის გარანტიაა.

8. Heritage Foundation-ი აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა კვლავ კორუმპირებულია და აქედან გამომდინარე, არაეფექტიანი. «ბიზნესმენები საქართველოში უამრავ წვრილმან დაბრკოლებას აწყდებიან და მუდმივად იმედგაცრუებულნი რჩებიან. მრავალი მონაცემი მიუთითებს, რომ საქართველოში ბიზნესის მთავარ დაბრკოლებას კორუფცია წარმოადგენს. ამის გამო ინვესტირების მაჩვენებელი ერთი საფეხურით დაეცა. მოხსენებაში განხილულია საქართველოს საბანკო

სექტორის მდგომარეობაც. კერძოდ, ნათქვამია, რომ საბანკო სექტორი არ არის სტაბილური, ამიტომ მოსახლეობა ბანკებს არ ენდობა და მხოლოდ 3%-ს აქვს საბანკო ანგარიშები. ერთი საინტერესო დეტალიც: ამერიკულ კვლევით ინსტიტუტს ქალაქის მმართველობაში შექმნილი ვითარებაც არ გამოჰპარვია: «ქალაქის მთავრობა მართალია, დამოუკიდებელია, მაგრამ მაინც განიცდის ცენტრალური ხელისუფლების ზეგავლენას», - ნათქვამია მოხსენებაში.

რაც შეეხება იმპორტს, საქართველოს პარტნიორი ქვეყნები არიან – რუსეთი (16,3%), თურქეთი (11,8%), აზერბაიჯანი (10,8%), უკრაინა (7,9%), გერმანია (7,6%). იმპორტის მთავარ პროდუქტებად დასახელებულია ნავთობპროდუქტები, ავტომანქანები, მოწყობილობები და სამედიცინო დანიშნულების პროდუქცია (იხ. გაზეთი «კვირის პალიტრა», 1-7 აგვისტო).

9. ერთი ცნობაც: მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გამოაქვეყნა თავისი კვლევის შედეგები პროგრამით: «ბიზნესის წარმოება – 2007». მის მიხედვით საქართველომ ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება 10-დან 6 სფეროში შეძლო. რეფორმების გატარების კუთხით კი 175 ქვეყნიდან პირველი ათეულის პირველ ადგილზე მოვხვდით (რუმინეთის, საფრანგეთის, მექსიკის, ჩინეთის, ხორვატიის და სხვა ქვეყნებთან ერთად). კვლევა დეტალურად სწავლობს მსოფლიოს 175 ქვეყანაში არსებული სამეწარმეო გარემოს და მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს (სამეწარმეო გარემოს გასაუმჯობესებლად). რეფორმების ტემპების გარდა ეს ორგანიზაცია მსოფლიო ბიზნეს წრეებისთვის აქვეყნებს ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე სასურველი ქვეყნების ნუსხას. ამ ნუსხაში საქართველომ 112-ე ადგილიდან 37-ზე გადაინაცვლა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ «რეფორმატორებმა» გაამარტივეს ბიზნესის მარეგულირებელი წესები, გააძლიერეს კერძო საკუთრების ინსტიტუტი, შეამცირეს საგადასახადო ტვირთი, უფრო ხელმისაწვდომი გახადეს საბანკო კრედიტები, შეამცირეს ექსპორტიმპორტის რისკი.

როგორც კვლევის ავტორი, მსოფლიო ბანკის ექსპერტი აცხადებს, ასეთი მიღწევა ჯერ არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მთავარ მიზეზად შემდეგ სფეროებში გატარებულ რეფორმებს ასახელებს: ბიზნესის დაწყება, ლიცენზიების გაცემა, მუშახელის დაქირავება, კრედიტების გაცემა, საგარეო ვაჭრობა და კონტრაქტების შესრულება. იგი ამბობს, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად გაიოლებულია ბიზნესის დაწყების პროცესები – 2000 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი მინიმალური კაპიტალის ოდენობა, ხოლო კომპანიების ოდენობა ბოლო პერიოდში 20%-ით გაიზარდა. სფერო, რომელიც საქართველოში რეფორმირებას საჭიროებს, ინვესტორების დაცვაა. ამ პუნქტში საქართველომ 175 ქვეყნიდან 135-ე ადგილი დაიკავა.

ექსპერტთა მტკიცებით, საქართველოს მთავრობა მართალია, რეფორმების გასატარებლად თავს არ ზოგავს, თუმცა, ჯერჯერობით შედეგები ფართო მასებისათვის ხელშესახები არ არის. (იხ. «კვირის პალიტრა» 18-24 სექტემბერი, 2006 წ).

კიდევ გავიმეორებთ, რომ არც ერთ ეკონომიკურ სისტემას, რაც არ უნდა დემოკრატიული ხასიათისა იყოს, არ შეუძლია იარსებოს სახელმწიფოს გარეშე.

ეკონომიკური დემოკრატია აუცილებლად გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს გარკვეული დონით მონაწილეობას. მაგრამ აქ მხედველობაში გვაქვს არა სახელმწიფო «ღამის დარაჯი», არამედ სახელმწიფო როგორც კერძო საკუთრების დამცველი, ეკონომიკურ საქმიანობაში საიმედო პარტნიორი, როგორც ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობილი საზოგადოებრივი საქმიანობის მარეგულირებელი ორგანო – ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს, მეურნეობრიობის

საბაზრო და სახელმწიფო ფორმებს შორის თანაფარდობის სიმბიოზი და მათი ოპტიმიზაცია. ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებისათვის აღნიშნული წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას და გამომდინარეობს ამ მეთოდებსა და ფორმებს შორის თანაფარდობის ტალღისებური ხასიათის ზოგადი კანონის მოქმედებიდან.

ქვემოთ განვიხილოთ ამ კანონის არსი.

2.4. ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის ტალღისებური ზოგადი კანონი (მოკლე მიმოხილვა)

ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის საკითხი მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების პრობლემაა. არც თუ იშვიათად მეურნეობრიობის ამ ორ მეთოდს ცალცალკე განიხილავენ როგორც საზოგადოების განვითარების ანტაგონისტურ, ურთიერთ-დაპირისპირებულ საშუალებას, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა და, მაშასადამე, მიუღებელია. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მართლაც არის არსებითი განსხვავება, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამით შექმნილია რაღაც გაუვალი კედელი, რომელიც არ გულისხმობს მათი ერთიანი მიზნებისათვის გამოყენებას. პირიქით, გონივრულად ჩამოყალიბებული და ასევე გონივრულად გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში გაითვალისწინება ორივესათვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი ნიშნები და დადებითი ნიშნების ურთიერთშეხამებით, სიმბიოზით, მიიღწევა მაღალი შედეგები. უფრო მეტიც, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში (ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში) ისინი ისე გადადიან (შეიჭრებიან) ერთიმეორეში, ერთიმეორეს ისე გადაეჯაჭვებიან, რომ ჰქმნიან ერთიან მექანიზმს, ერთიანი მიზნების მიღწევისათვის საჭირო ოპტიმალურ ვარიანტთან მიახლოებულ მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში იქცევა საზოგადოებრივი განვითარების მძლავრ ფაქტორად.

აღნიშნული პროცესების გამოხატულებაა «ეკონომიკური სასწაულის» მომხდენი ქვეყნების გამოცდილება. სამხრეთ კორეაში, მაგალითად, 1950-1990 წ.წ. მთლიანი შიდა პროდუქტი არანაკლებ 120-ჯერ გაიზარდა და ამის მიზეზად ეკონომიკურ ლიტერატურაში დასახელებულია არა მარტო სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და გარდამავალი პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირება, არამედ მართვისა და მეურნეობრიობის საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის ოპტიმალური შეხამება, მათი სიმბიოზი, ადგილობრივი სპეციფიკისა და პირობების გათვალისწინებით. სწორედ სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების მძლავრი საწყისების ორგანულმა შეხამებამ, მათმა გონივრულად, ეფექტიანად გამოყენებამ საშუალება მისცა სამხრეთ კორეას შედარებით მოკლე პერიოდში გადაელახა სუსტად განვითარებულობის ბარიერი და საპატიო ადგილი დაეკავებინა მსოფლიო ეკონომიკაში. ცალკე აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკის მართვისა და მეურნეობრიობის საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის ტალღისებური ხასიათი გამოვლინდება როგორც კანონზომიერება. მხოლოდ ტენდენციის ფორმით. თანაც რეალურად ობიექტურ-სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე არსებით გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორიც (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომები, სახელმწიფო რეგულირების შესუსტება ან გაძლიერება) და სხვა. საბაზრო რეგულირების გაძლიერების (შესუსტების) ტალღისებური ციკლური ხასიათი გამოვლინდება როგორც კანონზომიერება არა მარტო გარდამავალ პერიოდში, არამედ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ნებისმიერ

მდგომარეობაში არსებობის პირობებში. ერთი კია, როდესაც იგი იმყოფება შედარებით მდგრად მდგომარეობაში, მაშინ ტალღისებური ხასიათის გამოვლინება უფრო რთულია.

აღნიშნულის დასადასტურებლად ისევ სამხრეთ კორეის მაგალითი ავიღოთ: იქ ყოველთვის არ ატარებდნენ ინდუსტრიულ პოლიტიკას და მისდევდნენ იაპონიის მოდელს. 50-იან წლებში მათი ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა ბაზრის ბუნებრივ კანონებს. მხოლოდ 1961 წელს მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ მთავრობამ კარდინალურად შეცვალა პოლიტიკა სახელმწიფო საგეგმო რეგულირების გაძლიერების მიმართულებით. მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაჩნდა იმის ნიშნები, რომ ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში, რომლის არსი მდგომარეობდა ეკონომიკის ლიბერალიზაციაში, სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო «სტიქიური» საწყისების სულ უფრო არაკონტროლირებად გამოვლინებაში. ეკონომიკური კურსის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა მხოლოდ სუბიექტური ფაქტორების შედეგი არ იყო (თუმცა მათაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ). იგი იყო ობიექტური კანონზომიერების გამოვლინება. 60-იან წლებში ეკონომიკური კურსის შეცვლა განპირობებული იყო იმით, რომ წმინდა საბაზრო ძალებზე გათვლილმა პოლიტიკამ ვერ მიიყვანა ეკონომიკური განვითარების ტემპების არსებით ზრდამდე. 80-იანი წლების ლიბერალიზაცია დაკავშირებული იყო იმასთან, რომ აღწარმოებით პროცესებში სახელმწიფოს ზომაზე მეტად ჩარევამ მას შემდეგ რაც სამხრეთ კორეა გადაიქცა მაღალინდუსტრიულ ქვეყნად, იწყო მწარმოებლურ ძალთა განვითარების არსებითი შეფერხება.

ამრიგად, ეკონომიკური კურსის ცვლა თვითნებური ნაბიჯი არ იყო. იგი წარმოადგენდა წინა პერიოდში ჩამოყალიბებული ობიექტური ძალებისა და ტენდენციების შედეგს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იაპონიის ეკონომიკის აღდგენის გამოცდილებაც გვისაბუთებს გარდამავალი პროცესების ტალღისებური ხასიათის კანონის არსებობას. კერძოდ, 1945 წლის აგვისტოში შეინიშნებოდა ეკონომიკური ქაოსი. შემდგომ წლებში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის თანდათანობით ზრდა. მაგრამ 70-იანწლებში ხდება ეკონომიკაში ლიბერალური ტენდენციების გაძლიერება. ამ დროს იაპონიის საგარეო ვაჭრობა თითქმის მთლიანად განთავისუფლებული იქნა სახელმწიფოს მიერ დადგენილი რესტრიქციის ნორმებისაგან (რესტრიქცია – ლათ, შეზღუდვა – წარმოების, გაყიდვისა და ექსპორტის შეზღუდვა.), პრივატიზირებული იქნა რიგი სახელმწიფო საწარმოებისა, განხორციელებული იქნა შემდგომი დერეგულირების ღონისძიებები. ამრიგად, იაპონიაში ფინანსურ-ეკონომიკური სისტემაც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სახელმწიფოს მძლავრი გავლენის ქვეშ, ხოლო საბაზრო სტიქიის გავლენის ქვეშ – 80-იანი წლებიდან.

ყოფილი სსრკ-ის განვითარების ეტაპებიც ტალღისებური კანონის მოქმედებას უნდა მიეწეროს: «სამხედრო კომუნიზმის» ეპოქის შეცვლა ნეპით, რომელიც შემდეგ შეცვალა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ; სოციალისტური ეპოქის პერიოდში სასაქონლო – ფულადი ურთიერთობების მნიშვნელობის ხან გაძლიერება, ხან შესუსტება; 1965 წლის რეფორმა; 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში გატარებული რეფორმა და ა. შ.

საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების თანაფარდობის ტალღისებური კანონის მოქმედებას გვისაბუთებს დიდი დეპრესიის მაგალითი აშშ-ში, სადაც წმინდა საბაზრო ძალების მოქმედებამ ქვეყანა მიიყვანა არნახულ კრიზისამდე, რომლისაგან თავის დაღწევა შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ სახელმწიფო რეგულირების სისტემის გაძლიერების საფუძველზე. აღნიშნულის დადასტურებაა აგრეთვე ომის შემდგომი გერმანიის რეფორმები, «თეტჩერიზმი» ინგლისში, «რეიგანომიკა» აშშ-ში.

ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარების სტრატეგია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაფუძნებული იყო სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვან ხვედრით წილზე, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევაზე და ძლიერ პროტექციონიზმზე, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას იფარავდა კონკურენციისაგან. 50-60-იან წლებში ამ სტრატეგიამ საშუალება მისცა მათ აემაღლებინათ კონტინენტის ინდუსტრიული პოტენციალი, ყველაზე მსხვილ და განვითარებულ ქვეყნებში (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა) შეექმნათ მრეწველობის რთული და დივერსიფიცირებული სტრუქტურა. მაგრამ, უკვე 70-იანი წლების დასაწყისში ასეთი სისტემის შესაძლებლობებმა ამოწურვა იწყეს. იმის მცდელობამ, რომ მოეხდინათ მისი კორექტირება, დაეჩქარებინათ სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და ვერ მოხდა ეკონომიკური განვითარების ტემპების შემცირების ტენდენციის შემობრუნება. შედეგად, 80-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებმა განიცადეს ხანგრძლივი და ღრმა ეკონომიკური კრიზისი. მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა კონტინენტის უმეტეს ქვეყნებში დავიდა 70-იანი წლების, ხოლო სხვებში 60-იანი წლების დონემდე. სწორედ 80-იანი წლების კრიზისულმა სიტუაციამ უბიძგა ლათინო-ამერიკული ქვეყნების მთავრობებს შესდგომოდნენ საბაზრო ტიპის კარდინალური ეკონომიკური რეფორმების გზას (გავიხსენოთ ჩილეში და სალვადორში სამხედრო დიქტატურა და ტაივანსა და იამაიკაში გამოცხადებული სოციალისტური ორიენტაციის კურსი). სხვანაირად რომ ვთქვათ მძლავრი სახელმწიფო რეგულირების სისტემამ, როგორც ეფექტური აღწარმოების საფუძველმა 80-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში თავისი თავი მნიშვნელოვნად ამოწურა. აღნიშნულის გამო იქ მოუწიათ უფრო ფართო მასშტაბებით დაენერგათ მეურნეობრიობის საბაზრო პრინციპები. თუმცა არც ამ პრინციპებს აქვთ უსაზღვრო შესაძლებლობები. ადრე თუ გვიან დადგება სახელმწიფო რეგულირების სისტემის გაძლიერების მომენტი (ზოგიერთ ლათინო ამერიკულ ქვეყანაში ეს მომენტი უკვე დამდგარია).

ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო და საბაზრო მეთოდების სიმბიოზი, მათ შორის თანაფარდობა, მისი მასშტაბები და მნიშვნელობა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სიდიდე არ არის და მუდმივ ცვლილებას განიცდის იმის მიხედვით თუ ქვეყანა თავისი განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება.

ყოველივე აღნიშნული, ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარეობს და, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ემყარება ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის ტალღისებური ზოგადი კანონის მოქმედებას.[1] იგი ახალი ფენომენი არ არის და მოქმედებს უკვე რამოდენიმე ათასწლეულია – მონათმფლობელური წყობილებიდან მოყოლებული.

ტალღისებური ზოგადი კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხდება ხელფასების (მათ გაყინვამდისაც კი), ფასების, ექსპორტ-იმპორტის, პრივატიზაციის პერიოდებისა და მათზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის პერიოდებს შორის მონაცვლეობა, რომელსაც ტალღისებური ხასიათი აქვს.

მაგრამ საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მეთოდების თანაფარდობის მიღწევის, მათი ოპტიმალურ ზღვრამდე მისასვლელი გზა სულაც არ არის იოლი და მხოლოდ დისპროპორციებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრის გავლით მიიღწევა.

მაგალითად, მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემის პირობებში თითქმის კანონზომიერი ხასითის მქონე დისპროპორციები (წარმოებასა და მოხმარებას შორის,

[1] К. Павлов. Общий закон о волнообразном характере соотношения рыночных и государственных методов регулирования экономики. ж. «Общество и економика», №7.2000. გვ. 49-60

წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარების დონეებს შორის, გადახრები ფასწარმოქმნის სფეროში განაპირა, შორეული რეგიონების მკვეთრი ჩამორჩენა ცენტრალური რეგიონების განვითარების დონისაგან და სხვა.), რომელთაც განაპირობეს ამ სისტემის საბოლოო კრახი, შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ მართვისა და რეგულირების სტიქიური და შეგნებული მეთოდების შეხამების გზით, ვინაიდან მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფის მეთოდების გამოყენებით შეუძლებელი ხდება ამ დისპროპორციების და წინააღმდეგობების დაძლევა.

უფრო მეტიც, ერთი სახის დისპროპორციის და წინააღმდეგობის წარმოშობა. რეგულირებისა და მართვის ერთი მეთოდის მეორესთან რაციონალური შეხამება კი ხდება ეკონომიკის წონასწორობის მდგომარეობაში ეტაპობრივად გადასვლის გზით.

აქ მნიშვნელოვანია გამოვყოთ, აგრეთვე, ტალღისებური კანონის მეორე მხარეც, რაც ეკონომიკის რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მეთოდების ურთიერთ შემავსებელ ხასიათში მდგომარეობს. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ შეუძლებელი ხდება მხოლოდ სახელმწიფო, ან მხოლოდ საბაზრო მეთოდების გამოყენებით მიღწეული იქნეს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე წარმატებული გადასვლა.

ეკონომიკური განვითარების რეგულაციის საბაზრო და სახელმწიფო მეთოდებს შორის თანაფარდობის ოპტიმალური შეხამება საზოგადოებრივი წარმოების წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სამწუხაროდ, ეკონომიკის რეგულაციის პრობლემა საქართველოში არასწორადაა გაგებული რაც სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგში შექმნილი მარეგულირებელი კომისიების არაეფექტურ პრაქტიკულ მუშაობაში აისახება.

რეფორმირების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის შეფასებით (გაზ. «კვირის პალიტრა» 19-25 სექტემბერი 2005), რასაც ჩვენც ვეთანხმებით მარეგულირებელი კომისიები გადაქცეულნი არიან სახელმწიფო ბიუროკრატიულ ერთეულებად, რაც კორუფციის ნაყოფიერ ნიადაგს ჰქმნის. ისინი ძირითადად მუქთახორების, არაეფექტურად, უმიზნოდ მომუშავეთა თავშესაფარია. მათში 500-მდე კაცია დასაქმებული და რაში ხარჯავენ სახელმწიფო ფულს, გაუგებარია. მათზე წელიწადში 15 მილიონი ლარი იხარჯება, იმდენი, რამდენიც სასამართლოზე. რაც ყოვლად გაუმართლებელია. იმის მაგივრად, რომ მარეგულირებელი კომისიები მუშაობდნენ მართლაც თავიანთი დარგის განვითარების რეგულირებაზე, მათ ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემაზე ან მათ აღკვეთაზე. მათი საქმიანობის ეს სფერო კი საქართველოში ყველაზე ნეგატიურად არის შეფასებული. მარეგულირებელი კომისია ეკონომიკურ მოვლენებს უკან კი არ უნდა მისდევდეს და მომხდარი მოვლენების მარტო დაფიქსირებას კი არ უნდა ახდენდეს (მაგალითად ბენზინზე, პურზე და სხვა პროდუქციაზე ფასების ზრდას, რომელიც ყოველთვის უცხო ქვეყანას ბრალდება). ისინი წინასწარ უნდა სწავლობდნენ კონიუნქტურის ცვალებადობას საზღვარგარეთ, ამ ცვალებადობის შესაძლო გავლენას ჩვენს ქვეყანაზე, და, ასევე წინასწარვე ამუშავებდნენ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებებს (კანონშემოქმედებიდან დაწყებული, პრაქტიკულად გატარებული ღონისძიებებით დამთავრებული).

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკის რეგულირების სანიმუშო მაგალითად მიგვაჩნია ძველი ჩინეთის გამოცდილება, რომელსაც არც დღეს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

2.5. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი
(ორი მაგალითი)

2.5.1. ძველი ჩინეთის გამოცდილება

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კლასიკურ მაგალითად მივიჩნევთ ძველი ჩინეთის გამოცდილებას, რომელიც გამორიცხავს ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარ ბიუროკრატიულ ჩარევას და დაფუძნებულია წმინდა ეკონომიკური მექანიზმების გამოყენების პრინციპებზე. ამ მხრივ დავასახელებთ «გუანძის» ტრაქტატს.[1] მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩინეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

IV საუკუნის დასაწყისში ცის უმძლავრესი სამეფოს მმართველმა დააარსა თავისებური აკადემია - «მეცნიერების სასახლე დასავლეთის კარიბჭესთან», სადაც მუშაობდა რამდენიმე ათასი მეცნიერი. აკადემიის მეცნიერებმა დაწერეს 500-ზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთი საერთო დასახელებით «გუანძი». ჩვენამდის მოღწეულია ამ ნამდვილად ენციკლობედიური შრომის მხოლოდ 76 თავი.

როგორც ჩანს, აკადემიის მეცნიერებს შორის იყვნენ ეკონომისტებიც. აღნიშნულს ის ფაქტი ადასტურებს, რომ ტრაქტატში თავის დროისათვის საკმაოდ სიღრმისეულად არის დამუშავებული მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთელი სისტემა.

მათ შეისწავლეს რა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, წინადადება წამოაყენეს, გამოყენებულიყო იგი ნატურალური მეურნეობის სტაბილიზაციის მექანიზმის შესაქმნელად. ტრაქტატში განსაკუთრებით მწვავედ დგას საბაზრო სტიქიისაგან ნატურალური მეურნეობის დაცვის პრობლემა სასაქონლო ფასების გამოთანაბრების მეშვეობით. ტრაქტატში აღნიშნულია, რომ «ბაზარი – ეს ის არის, რითაც გავიგებთ მეურნეობის მდგომარეობაში წესრიგს და უწესრიგობას». თუ მმართველს თვითონ უპყრია ხელთ პურის, ფულის და ლითონების რეგულირების შესაძლებლობა, მაშინ მთელ ქვეყანას შეუძლია იმყოფებოდეს მდგრად მდგომარეობაში.

«გუანძი»-ში აღნიშნულია, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს «მიწათმოქმედების გაძლიერება», აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ პურის შემნახველი მუდმივი ბეღლების შექმნა. მაგრამ, არც ხელოსნობა, არც ვაჭრობა არ ითვლება უნაყოფო საქმიანობად. ტრაქტატში დაყენებული იყო საკითხი მოეხდინათ მომსახურე ადამიანების, მიწათმოქმედების, ხელოსნების, ვაჭრების შრომისა და ცხოვრების ფართო რეგლამენტაცია. მათი მოვალეობა იყო თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გადაეცათ ახალგაზრდობისათვის.

მოსახლეობის ძირითადი სოციალური ჯგუფის – მიწათმოქმედთა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის საჭირო იყო გაეტარებინათ მთელი რიგი ღონისძიებები იმისათვის, რომ «მართო მიწა», აღნიშნულია ტრაქტატში. სახელმწიფომ უნდა იცოდეს მისი ბუნებრივი თვისებები, დაადგინოს მიწის ხარისხის შკალები. «მიწის გათანაბრებისათვის» უნდა გათვალისწინებული იყოს ნიადაგის ნაყოფიერება.

ტრაქტატში მითითებული იყო, რომ საჭიროა უფრო თანაბრად განაწილდეს სათესი ნაკვეთები და არ მოაცდინონ გლეხები მიწათმოქმედების სამუშაოებისაგან. უფრო მოქნილი უნდა გახადონ სახარკო სისტემა: დაბეგვრის დონე უნდა შეესაბამებოდეს მიწის ხარისხს. ამრიგად საქმე ეხება მიწის კადასტრის შექმნას. შემოთავაზებული იყო დაენერგათ ხარკის რაოდენობრივი ნორმები, ისე რომ შეცვლილიყო იგი ქვეყანაში

[1] Всемирная история экономической мысли. Том I .гл.5.«Древный Китай». стр.104-107.М. 1987.

შექმნილი სიტუაციის მიხედვით. საინტერესოა, რომ ტრაქტატში არის სახელმწიფო ფინანსების აგების იდეა პირდაპირი გადასახადების გარეშე. ამისათვის საჭირო იყო შეცვლილიყო ხაზინაში საგადასახადო შემოსულობები ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული მოგებით.

«გუანძის» მიხედვით სახელმწიფოს მართვისათვის ყველაზე კარგი იყო ხაზინაში აეღოთ მთები და ზღვები და მარილისა და ლითონის ფასისადმი დამატებებმა უნდა შეცვალოს საგადასახადო ანაკრებები. ამ ღონისძიებების გარდა, ტრაქტატის ავტორები სთავაზობდნენ, აგრეთვე, «როგორც შრომის, ისე მიღებული მიწის ნაკვეთების გამოთანაბრებას». იმისათვის, რომ მივაღწიოთ მეურნეობის მდგრადობას, მათი აზრით, აუცილებელი იყო ზუსტი რაოდენობრივი თანაფარდობა მწარმოებელთა რაოდენობასა და «ქურუმებს» შორის და გაეთვალისწინებინათ, აგრეთვე, ნიადაგის პროდუქტიულობა.

ტრაქტატი სახელმწიფოს წინაშე სვამდა მნიშვნელოვან ამოცანას – დაერეგულირებინათ ფასები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამას უნდა აღეკვეთა ფასებზე კონტროლის შესაძლებლობების გადასვლა ვაჭრების, სპეკულიანტების და სხვათა ხელში.

«გუანძიში» წამოყენებული იქნა «მეურნეობის გაწონასწორების» პრინციპი. ამისათვის მმართველთან უნდა დაგროვდეს მთელი პურის ნახევარი. იგი «განაგებს თავისი ქვეშევრდომების სურსათს, მართავს მას მოხმარების საშუალებებით, არეგულირებს მათ ზედმეტობას და აკონტროლებს მათ არასაკმარისობას. რეგულირების მთელი მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ «გამოცდილი მმართველი მიმოქცევაში უშვებს იმას, რაზეც ხალხი განიცდის უკმარისობას და თავისთან ინახავს იმას, რაც ხალხს ზედმეტი აქვს. სახელმწიფომ უნდა დააგროვოს ფონდები პროდუქტების სიიაფის დროს და საქონელმიმოქცევაში გაუშვას სიძვირის პერიოდში, რათა მიიღოს ხაზინაში მთელი მოგება. სურსათისა და პროდუქტების აკუმულაციისათვის იგი შეისყიდის იაფ საქონელს.

ეკონომიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად «გუანძიში» შემოთავაზებულია გამოეყენებინათ წარმოების რეგლამენტაციის რაოდენობრივი ნორმატივები. იმისათვის, რომ გაეწონასწორებინათ ეკონომიკის მდგომარეობა გადასახადების მეშვეობით, ტრაქტატის ავტორები სთავაზობდნენ აღნიშნულის მიღწევას ფულის მეშვეობით. სახელმწიფომ იცის რა მოხმარების ნორმის ზევით ნაყოფიერი მიწების მცხოვრებლების, გლეხების პურის სიჭარბე, ადგენს ფულის გამოშვების ნორმას, რის მეშვეობითაც ხდებოდა ნამეტი პურის შესყიდვა. სურსათზე მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ხელს შეუწყობდა პურის ფასების ზრდას. იცოდა რა პურის უკმარისობა მთიან რაიონებში, სახელმწიფო მოსახლეობას მისცემდა ფულად კრედიტს სურსათის შესასყიდად, რომლის ფასიც გაიზარდა. ასეთი ოპერაციის შედეგად სახელმწიფო გააკონტროლებდა თავის ხელში უდიდეს ფულად რესურსებს. ასეთ პირობებში პური იქნება ძვირი, ხოლო ნივთები იაფი და სახელმწიფოს ისევ შეუძლია გაიმეოროს მოსახლეობასთან საქონელგაცვლის შეთავაზებული ფორმა. მაგრამ ხაზინისათვის სასარგებლო ოპერაცია შეჩერდება «მხოლოდ მაშინ, როდესაც ფული იწყებს ღირებულების მიხედვით აწევას».

«გუანძიმ» შეძლო დაედგინა ზოგიერთი ფულადი მეურნეობის განვითარების კანონზომიერება მარტივი საქონლური წარმოების პირობებში. ტრაქტატის ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდის, რომ სასაქონლო ფასების ზრდას მივყევართ ფულის გაიაფებასთან. ასეთ პირობებში სავაჭროსავახშო კაპიტალის ნეიტრალიზაციისათვის სახელმწიფომ უნდა აამაღლოს სასურსათო ფასები.

ეკონომიკის რეგულირების ზემოთ მოტანილი ძველი ჩინეთის გამოცდილება როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღესაც აქტუალურია (მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიცავს ცენტრალიზაციის ელემენტებს) და ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში

განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო პროდუქციის პურის, ხილის, ნავთობის და ნავთოპროდუქტების და სხვა უამრავი პროდუქციის ფასების რეგულირების დროს.

აღნიშნული არა თუ წმინდა ეკონომიკური, არამედ დიდი სოციალური დატვირთვის მქონე პრობლემაცაა და სახელმწიფოს მიერ (მისი მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით) გატარებული ღონისძიებები სრულადაც არ არის საკმარისი.

დღეს საქართველოში ფართო მსჯელობის საგნად არის ქცეული ქართველი გლეხების მიერ მოწეული ხორბლის, ყურძნის, ხილის და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის საკითხი. სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. ასევე გაზის და სხვა სახის ენერგორესურსებზე ფასის მოსალოდნელი გაძვირების პრობლემა. ჯერჯერობით უცნობია იგი რა სოციალურ უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა კახეთში დიზელის გაძვირებას უკვე აშკარა უკმაყოფილება მოჰყვა, რაზეც ხელისუფლება დუმს და სუბსიდირებას არც აპირებს.

სხვათაშორის, რუსეთში ცნობილი მიზეზების გამო, საწვავი ჩვენთან შედარებით იაფია. მაგრამ აქ ოდნავი გაძვირებისთანავე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სუბსიდიებსა და დახმარებებზე დაიწყო ზრუნვა... იციან, რომ სოციალური უკმაყოფილება სახელმწიფოს უსაფრთხოების ნომერ პირველი მტერია (ს. ცინცაძე. «კვირის პალიტრა», 19-25 სექტემბერი. 2005.).

2.5.2. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების შესახებ საქართველოს საინვესტიციო საქმიანობაში

საბაზრო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების პარალელურად საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის დაჩქარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციურ პროცესებში მარეგულირებელი როლის გაძლიერება, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე, მით უმეტეს როდესაც სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს არ გააჩნია საინვესტიციო შიმშილის დაკმაყოფილების ფინანსური წყაროები.

საქართველო დღეს თავისი განვითარების ისეთ ეტაპზეა, რომ ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს საბაზრო ურთიერთობისა და სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მძლავრი საწყისების შეხამება (სიმბიოზი) მათ შორის თანაფარდობის ჰარმონიზაცია, რაც დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ზოგადად, და საინვესტიციო საქმიანობას, კერძოდ. ცივილიზებული სამყაროს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ განვითარებასა და საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას შორის პირდაპირი კორელაციური კავშირია.

საქართველოში პოსტსოციალისტური გარდაქმნების განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ არ გაამართლა თეორიულმა მტკიცებებმა და პრაქტიკულმა მცდელობამ ეკონომიკიდან, მათ შორის, საინვესტიციო საქმიანობიდან სახელმწიფოს წასვლის შესახებ. ჩვენთან შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, ტექნოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების გათვალისწინებით სახელმწიფოს ჯერ კიდევ დიდ ხანს მოუწევს შეასრულოს თავისი მარეგულირებელი როლი და ფუნქციები. აღნიშნული განსაკუთრებით ეფექტური ხდება დღეს, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებაა (რომელსაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უჭერს მხარს) განამტკიცოს სახელმწიფოებრივი დისციპლინა და კანონიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბოლო მოუღოს კორუფციას

და სახელმწიფო საკუთრების დატაცებას, სხვა ნეგატიურ მოვლენებს და შექმნას ახალი, მძლავრი, დემოკრატიული ქვეყანა.

საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების საწყისი ეტაპი უნდა გახდეს მიზანმიმართული საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა მოიცავდეს საზოგადოებრივი წარმოების (მატერიალური დოვლათსა და სოციალური სიკეთის) ყველა სფეროს. საკუთრების იურიდიული ფორმის მიუხედავად, იერარქიულად იგი ასე წარმოგვიდგენია: სამუშაო ადგილი-ფირმა-დარგი-სოფელი-რაიონი-ქალაქი-რეგიონი-სახელმწიფო. ყველა ამ სფეროსა და დონის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს (დამუშავდეს) განსახორციელებელ სამუშაოთა (ღონისძიებათა) პროექტები, ბიზნეს-წინადადებები[1], მოხდეს მათი დაჯგუფება პრიორიტეტულობის მიხედვით, რომლებიც საბოლოო ჯამში აისახებიან ქვეყნის საინვესტიციო განზრახულობათა ნაკრებ პაკეტში. ეს უკანასკნელი უნდა გახდეს საჯარო განხილვის საგანი და მთავრობის მიერ იქნეს დამტკიცებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის სახელწოდებით, ითარგმნოს მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, დაეგზავნოს ყველა ქვეყანას და განთავსდეს ინტერნეტში. იგი იქნება საინვესტიციო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებული განვითარების უნიფიცირებული სამუშაო ფორმა, რომელიც მოახდენს ინვესტორისათვის საჭირო ინფორმაციის ოპტიმიზაციას და რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე მსოფლიო საინვესტიციო საქმიანობის პრაქტიკის საფუძვლებზე ჩამოყალიბებულ კითხვებზე პასუხის გაცემა. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, ჯერ ერთი, გავაფართოოთ ინვესტორი ქვეყნების გეოგრაფია და ინვესტიციების მიმართულებები. მეორე, მრავალ ვარიანტს შორის საუკეთესოს არჩევანი გავაკეთოთ. ამასთან, უპირატესობა მივანიჭოთ იმ ვარიანტს, რომელიც უფრო მეტად არის დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიებთან. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საინვესტიციო ბაზრის სიმცირის (ან სივიწროვის, შეზღუდულობის) გამო ერთ ან ორ ინვესტორზე საქართველოს მიბმა შეცდომაა, მრავალფეროვანი ინვესტიციების მოზიდვა კი წარმატების საწინდარია. ამასთან, ცენტრალურმა და ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანოებმა (ისევე, როგორც კერძო სტრუქტურებმა) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინვესტორებთან გაფორმებული კონტრაქტების პირობებს. აღარ უნდა დავუშვათ განვლილ წლებში დაშვებული შეცდომები, ამაღლდეს მენეჯმენტის დონე. თუ სახელმწიფომ (მმართველობის ყველა დონეზე) გააქტიურა თავისი მარეგულირებელი როლი, ინვესტიციებთან დაკავშირებული შესაძლო ეკონომიკური საფრთხე თავიდან იქნება აცილებული. ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის პოლიტიკურ განცხადებებს საფუძველი გამოეცლება.

საინვესტიციო განზრახულობათა ბიზნეს-წინადადებების დასამუშავებლად, ჩვენის აზრით, უნდა შეიქმნას ცენტრალური (ქვეყნის დონეზე) და რეგიონული საინვესტიციო საინფორმაციო ცენტრები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების წილობრივი მონაწილეობით. მათი დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტების (ცენტრალური, რეგიონული, რაიონული, საქალაქო) ხარჯზე ეკონომიკურად მიზანშეუწონელი და ამ ბიუჯეტების სიმწირის გამო, შეუძლებელიც იქნება. მათი პროდუქციის (მომსახურების) აქტიური მომხმარებლები ხომ არასახელმწიფო ფიზიკური და იურიდიული პირებიც იქნებიან. ცენტრების პროდუქციას (მომსახურებას) ეს უკანასკნელნი, ისევე, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები, კომერციულ საწყისებზე მიიღებენ.

ცენტრების ამოცანებში ბიზნეს-წინადადებების დამუშავების პარალელურად უნდა შედიოდეს საინვესტიციო პროგრამების, საინვესტიციო რუკების შედგენა, ინვესტორების

[1] ბიზნეს-წინადადებების დამუშავების მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ დაწვრილებით გადმოცემული გვაქვს: ზაურ თეთრუაშვილი, ზურაბ თეთრუაშვილი, მაია თეთრუაშვილი. ბიზნეს-გეგმა: როგორ შევადგინოთ იგი?. გორი, 1996.

მოძიება, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება, ეკონომიკური მონიტორინგის განხორციელება და სხვა. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა მოახდინონ, აგრეთვე, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა სახის მონიტორინგები თავიანთი მოქმედების ზონის ფარგლებში[1].

ჩვენი დაკვირვებით, ერთ საინფორმაციო ცენტრს შეუძლია მოემსახუროს ორ, ან მეტ რეგიონს.

საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერების თვალსაზრისით საჭიროა, რომ ხელისუფლების ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა (განსაკუთრებით ამ უკანასკნელებმა) გამოიმუშაონ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსხვილი კომერციული ორგანიზაციების მუშაობაზე კონტროლის საკუთარი მეთოდოლოგია, მათი მართვის ორგანოებში პირდაპირი შესვლის საფუძველზე დამფუძნებელის უფლებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთ უმსხვილეს წარმონაქმნებს, როგორებიცაა ფინანსურ-სამრეწველო-სამშენებლო ჯგუფები. მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი მუდმივ კონტაქტში იმყოფებიან ადგილობრივ ორგანოებთან მიწის გამოყოფის, არქიტექტურის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და სხვა საკითხების გამო.

რეგიონული სახელმწიფო ორგანოების მსხვილ ფინანსურ-სამრეწველო-სამშენებლო ჯგუფებში დამფუძნებლის სახით შესვლა დამატებით ქმნის იმის ტენდენციას, რომ ფორმირებული იქნეს ფასიანი ქაღალდების რეგიონული ბაზარი.

როგორ მოვიქცეთ, როცა საქმე გვაქვს მცირე და საშუალო საწარმოებთან? როგორც ცნობილია, მცირე და საშუალო საწარმოები პოტენციურად ნაკლებად ექვემდებარებიან სახელმწიფოს მხრიდან მართვას და კონტროლს. ისინი ფუნქციონირებენ მაღალი კონკურენციის პირობებში და თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, საკმაოდ მობილურნი არიან. მათთვის სახელმწიფო განსაზღვრავს ხელშეწყობის სისტემას, რაც განაპირობებს მათ წარმატებულ განვითარებას. მაგრამ განვითარების დღევანდელ ეტაპზე მცირე და საშუალო საწარმოებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ მყარი პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდეთ მოცემული რეგიონის გარეთ, მათ შორის უცხოეთში ფუნქციონირებად მსხვილ, მცირე და საშუალო საწარმოებთან. მათთვის ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ნაცადი და ნაკლებრისკიანი კომერციული არხები, რათა მიიღონ და განაზოგადონ სათანადო წინადადებები და დადგენილებები. ამიტომ, ადგილობრივ სახელმწიფო ადმინისტრაციას შეუძლია დამაკავშირებელი როლი შეასრულოს რეგიონის გარეთ ფუნქციონირებად საწარმოებთან და ორგანიზაციებთან. ისინი მათთან ურთიერთობაში უნდა გამოდიოდნენ თავიანთი რეგიონის მცირე და საშუალო საწარმოების სახელით.

რეგიონული ადმინისტრაციის მუდმივი ურთიერთქმედება რეგიონის საწარმოებთან ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების გამო გულისხმობს საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებასაც, უწინარეს ყოვლისა კი, ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გამოყენებას, სადაც ხდება კაპიტალის გადადინება სტრუქტურული ცვლილებების შედეგად.

სახელმწიფო ცანტრალური და ადგილობრივი ორგანოების მარეგულირებელი როლის გაზრდის ერთერთი დიდი რეზერვია ინვესტიციურ პროცესებში მათი, როგორც ფინანსურ გარანტად გამოსვლა.

---

[1] აქ აღნიშნული და სხვა ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების დამუშავების მიზ-ნით, ჩვენი აქტიური მონაწილეობით, 2000 წლის იანვარში ქ. გორში გორის რაიონის გამ-გეობისა და შპს «შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის» მიერ, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლოს წესით დაფუძნებული იქნა გორის «ბიზნეს-ცენტრი» (წილობრივი თანაფარდობით 49:51). მაგრამ რაიონის გამგეობის ხელმძღვანელის შეცვლის შემდეგ ახალმა ხელმძღვანელობამ საჭიროდ აღარ ჩათვალა «ბიზნეს-ცენტრის» არსებობა და მას ფაქტიურად, არც უმუშავია. სამწუხაროდ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ზოგიერთი მოხელე ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებისა და გაღრმავების საქმეში სა-კუთრების სხვადასხვა ფორმების ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, არასრულყოფილი სამართლებრივი საგადასახადო, საბაჟო და ფინანსურეკონომიკური სისტემების და სხვა ასპექტების დროსაც კი ფიზიკური და იურიდიული პირები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, შეიძლება მზად იყვნენ თავიანთი კაპიტალის დაბანდებაზე ინვესტიციურ პროექტებში, თუ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან გარანტიები. მათ შორის გარანტიები ადგილობრივი (რეგიონული) სახელმწიფო ორგანოებისაგან. ასეთი გარანტიების დროს ისინი ინვესტირებას ახდენენ იმ შემთხვევებშიც კი, თუ გარკვეულწილად წაგებული რჩებიან დაბალი საინვესტიციო განაკვეთების გამო. სახელმწიფო რეგიონული ორგანოების გარანტიები უზრუნველყოფენ სრულიად სხვადასხვა მასშტაბის და სხვადასხვა წარმომავლობის ინვესტიციური პროექტების ეფექტიან რეალიზაციას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებები (აღნიშნულ წინადადებებს 1996-1997 წლებიდან ვაყენებთ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და დააჩქარებს ინვესტიციურ საქმიანობას.

მესამე თავი.

ეკონომიკური დემოკრატია როგორც ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულება

3.1. ეკონომიკური ზრდის ფაქტორების მოკლე მიმოხილვა

საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, ეკონომიკური ზრდა განიხილება როგორც მოცემული ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების წლიდან წლამდე ზრდა. იგი საშუალებას აძლევს ქვეყანას, აწარმოოს სულ უფრო მეტი და მეტი მატერიალური დოვლათი და სოციალური სიკეთე. აღნიშნული განმარტება დავას არ იწვევს. თუმცა სტატისტიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, რომ განიხილებოდეს და აღირიცხებოდეს არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ ყველგან, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე სადაც კი ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობა (ინდივიდის, საოჯახო მეურნეობის და ფირმის დონეზე; სოფლის, საკრებულოს, თემის, დაბის, რაიონის, ქალაქის, რეგიონის დონეზე).

საზოგადოების განვითარების, მისი ეკონომიკური ზრდის მაგისტრალურ მიმართულებად ჩვენ მივიჩნევთ ეკონომიკურ დემოკრატიას. როგორც დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს «ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია თავისუფლება».

ვიდრე ამ დებულებას დავასაბუთებდეთ, მოკლედ განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის ფაქტორები, რომლებიც მოცემული აქვთ სხვადასხვა ავტორებს.

<u>ი. ლიპსიცი</u> ეკონომიკური ზრდის ფაქტორებად ასახელებს: 1. შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდას. 2. წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების საფუძველზე. 3. მუშაკთა საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, 4. შეზღუდული რესურსების განაწილების მეთოდების გაუმჯობესებას, 5. წარმოების მასშტაბით ეფექტის გამოვლინებას.

დღეს მსოფლიო მასშტაბით ყველაზე გავრცელებული სახელმძღვანელოს («ეკონომიკსი») ავტორები კ. რ. მაკონელი და ს. ლ. ბრიუ ეკონომიკური ზრდის წყაროდ

ნებისმიერი ქვეყნისათვის განიხილავენ შემდეგ ექვს ძირითად ფაქტორს, რომელთაგანაც პირველი ოთხი დაკავშირებულია ეკონომიკის ზრდის ფიზიკურ უნართან.

ეს ფაქტორებია:

1. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
2. შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი;
3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა;
4. ტექნოლოგია.

ეკონომიკური ზრდის ამ ოთხ ფაქტორს განიხილავენ როგორც <u>მიწოდების ფაქტორების</u> სახელწოდებით. სწორედ ისინი ხდიან წარმოების ზრდას ფაქტიურად შესაძლებელს. მხოლოდ საუკეთესო ხარისხის რესურსების დიდი რაოდენობის ხელმისაწვდომობა ტექნოლოგიური პოტენციალის ჩათვლით იძლევა საშუალებას გაიზარდოს რეალური პროდუქტის წარმოება.

მაგრამ განასხვავებენ ზრდის უნარს და თავისთავად რეალურ ზრდას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია შემდეგი ორი ფაქტორი (ბოლო მეხუთე და მეექვსე ფაქტორი); ჯერ ერთი (5), ზრდა დამოკიდებულია მოთხოვნის ფაქტორებზე. მზარდი საწარმოო პოტენციალის რეალიზაციისათვის ქვეყნის ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს რესურსების გაფართოებადი მოცულობის სრული გამოყენება. ამისათვის კი საჭიროა ერთობლივი ხარჯების დონის ამაღლება. მეორე (6), ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენენ განაწილების ფაქტორები. საწარმოო პოტენციალის ყველაზე მიზანშეწონილად გამოყენებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას არა მარტო რესურსების სრული მოზიდვა ეკონომიკურ ბრუნვაში, არამედ მათი ეფექტური უტილიზაციაც. პროდუქციის საერთო გამოშვების გაფართოებისათვის საკმარისი არ არის წარმოების გაფართოების უნარიანობა, აუცილებელია, აგრეთვე, რესურსების მზარდი მოცულობის რეალური გამოყენება და მათი განაწილება ისეთნაირად, რომ მივიღოთ სასარგებლო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, ურთიერთკავშირში იმყოფებიან. მაგალითად, უმუშევრობა ჩვეულებრივ ანელებს კაპიტალის დაგროვების ტემპებს და ასევე გამოკვლევებზე ხარჯების ზრდას.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ წყაროებში ეკონომიკური თავისუფლება არსად არ არის აღიარებული ეკონომიკური ზრდის ფაქტორად.

უფრო მეტიც, ხალხთა მოსახლეობის კეთილდღეობის დონის (რაც უშუალო კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან), მისი ზრდის ტემპების ამაღლების წყაროდ ეკონომიკური კეთილდღეობის შესახებ არსებული თეორიები უამრავ ფაქტორს ასახელებენ. კერძოდ: ქვეყნის ხელსაყრელი მდებარეობა, ხელსაყრელი კლიმატი, ბუნებრივი რესურსების არსებობა (ან არ არსებობა), მოსახლეობის რიცხოვნობა (სიდიდის მიუხედავად), ფიზიკური კაპიტალი და მისი დაგროვება (დანაზოგები და ინვესტიციები), ადამიანური კაპიტალი (მოსახლეობის ჯანმრთელობა და განათლება) და მისი დაგროვების ტემპები, მოსახლეობის კულტურული, მორალური და რელიგიური ფასეულობები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური განვითარების სტადია და დონე, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა, უცხოეთის ექსპლუატაციაში მოქცევა (ან საგარეო დახმარების მიღება), «საბაზრო სტიქიის მეცნიერული მართვა») და მრავალი სხვა.

როგორც ჩანს, ამ ჩამონათვალშიც შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდის ფაქტორებში დასახელებულია ყველაფერი, გარდა ეკონომიკური დემოკრატიისა, რაც ყველაზე მთავარს წარმოადგენს.

ყველა დასახელებული ფაქტორი თავისთავად საინტერესოა. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ არც ერთი მათგანის მიმართ კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიას არ მოუცია მეტნაკლებად დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც დაასაბუთებდნენ თითოეული მათგანის როლს და ადგილს ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობაში. ამასთან, ამ თეორიებში არც სტატისტიკური ანალიზით არის დამოწმებული, რომ მყარი კავშირი არსებობს ამ ფაქტორებსა და ხანგრძლივვადიანი ეკონომიკური განვითარების ტემპებს შორის. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში ეკონომიკურმა თეორიამ ვერ მოგვცა ამ კავშირების შესახებ დამაჯერებელი ახსნა. ის რაც მიღწეული იყო ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორიის სახით. ა. სმითი (1723-1790) თავის კლასიკურ შრომაში «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრისა და ბუნების შესახებ» (1776 წ.) ქვეყნების და მათი მცხოვრებლების აყვავების უმნიშვნელოვანეს პირობად ასახელებს: კარგ კანონებს, არადამამძიმებელ გადასახადებს და მშვიდობას, რომელთაც განიხილავს, როგორც სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების კანონიკური განსაზღვრის ძირითად კომპონენტებს. ამავე შრომაში მის მიერ ფორმულირებულია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი წესი: რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკაში, მით უკეთესია ეკონომიკისათვის.

შემდგომ ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ეკონომიკური ლიბერალიზმის განვითარებაში არაერთმა მკვლევარმა შეიტანა თავისი წვლილი. განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ავსტრიული, ჩიკაგოს და ფრაიბურგის სკოლების წარმომადგენლების ღვაწლი («ავსტრიული» სკოლიდან: კ. მენგერი, ფ. ფონ ბემ ბავერკი, ფ. ფონ მიზერი, ლ. ფონ მიზესი, ფ. ფონ ჰაიეკი, გ. ხაბერლირი, ფ. მახლუპი, მ. როტბარდი, ლ. ლახმანი; «ჩიკაგოელები»: ფ. ნაიტი, ჯ. ვინერი, გ. საიმონსი, მ. ფრიდმენი, ჯ. სტიგლერი, რ. კოუზი, ჯ. ბიუკენენი, გ. ბეიკერი, ა. ხარბერგერი, ა. ალკინი; ფრაიბურგის უნივერსიტეტიდან ნეოლიბერალები: ა. რუისტოვი, ვ. რეპკი, ვ. ოიკენი, ლ. ერხარდი).

ამის კვალობაზე XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარში და 90-იანი წლების დასაწყისში არნახული შემობრუნება მოხდა ეკონომიკური ზრდის თეორიაშიც. აქ ეკონომიკური ზრდის ტრადიციული ფაქტორების (შრომა და კაპიტალი) გვერდით, რომლებიც განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის მოდელის მიმართ ეგზოგენურ (გარეგან) ფაქტორებად და რომელთა ძირითად მახასიათებლად გამოდის მათი გამოყენების კლებადი შედეგი, წარმოიშვა მოდელების, ახალი კლასი, რომელმაც მიიღო ენდოგენური ზრდის მოდელის სახელწოდება. («ეგზოგენური», - რაც წარმოიშვა გარე ძალების ზემოქმედებით; «ენდოგენური»- ბერძნ., რაც აიხსნება შინაგანი მიზეზებით)». ამ უკანასკნელის მიხედვით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური ზრდის მუდმივი, ან მზარდი ტემპებიც კი შრომისა და კაპიტალის დანახარჯების ფიქსირებულ დონეზე შენარჩუნების დროს. ასეთი მოდელის დროს ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული ფაქტორების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხარჯზე (მეურნეობის საერთო პირობების ცვლილების კვალობაზე). ამ პირობების ცვლილებებში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

ზევით აღვნიშნეთ, რომ კეთილდღეობის არსებული თეორიების მიერ მოცემული არ არის სტატისტიკური ანალიზი, რომელიც დაასაბუთებდა ეკონომიკური ზრდის ეგზოგენურ ფაქტორებსა და ეკონომიკური განვითარების ტემპებს შორის პირდაპირ კავშირს. სამაგიეროდ ენდოგენური მოდელების საფუძველზე საზღვარგარეთ ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ემპირიულმა დაკვირვებებმა დაგვანახვეს მყარი უარყოფითი კავშირი ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის: რაც არ უნდა კონკრეტული ფორმები და სახეები

ჰქონდეს სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას (სახელმწიფო მეწარმეობა, საბიუჯეტო, საფინანსო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და სხვა) ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ნიშნავს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას.

ვიდრე ამ კავშირების შედეგებზე ვისაუბრებთ, გავეცნოთ, თუ შეზღუდვების რა ფორმებს იყენებს სახელმწიფო და რა შედეგებს იწვევს ის?

3.2 სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დემოკრატიის შეზღუდვების გამოყენებული ფორმები

სახელმწიფო ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს ისეთი ინსტრუმენტების დახმარებით, როგორიცაა: კერძო საკუთრების კონფისკაცია; კონტრაქტების შეუსრულებლობა; სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი პირობების შექმნა და ამ პირობებში წინასწარგანუჭვრეტადი ცვლილებების შეტანა; პირდაპირი სახელმწიფო საგადასახადო დაბეგვრა; სახელმწიფოს ხარჯები; საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალები; ინფლაცია; რეპრესიული სავალუტო-ფულადი პოლიტიკა; სახელმწიფოებრივი რეგულირება, საგარეო ეკონომიკური პროტექციონიზმი.

განვიხილოთ მათი მოქმედების უარყოფითი შედეგები: (იხ. ჟ. «ვოპროსი ეკონომიკი» 4. 2000 წ).

<u>მაღალი საგადასახადო დაბეგვრა</u> ზრდის წარმოების ხარჯებს, აძვირებს მათ პროდუქციას, რაც ნაკლებ კონკურენტულს ხდის მას, აუარესებს სამამულო კომპანიების პოზიციებს ახალ და ძველ ბაზრებზე. სხვა თანაბარ პირობებში მაღალი საგადასახადო დაბეგვრის დროს ქვეყნიდან გატანილი პროდუქცია უფრო ძვირი აღმოჩნდება და, მაშასადამე, ნაკლებად კონკურენტუნარიანი.

ეკონომიკური რესურსების უკმარისობა, რომელიც წარმოიშობა გადასახადებისა და სხვა გადასახდელების მიზეზით, სახელმწიფოს აიძულებს მიმართოს სესხებს. შინაურ ბაზარზე სესხების აღება ამცირებს ეროვნულ დანაზოგებს და ინვესტიციებს, ამაღლებს საპროცენტო განაკვეთებს, აძვირებს კომერციულ კრედიტს. საგარეო ბაზარზე სესხების აღება, ზრდის რა საგარეო ვალს, იმუქრება სავალუტო კრიზისით და სახელმწიფოს ბანკროტობით.

ტრადიციული საბიუჯეტო შემოსავლების უკმარისობის დროს სახელმწიფო მიმართავს ფულის ემისიას და, მაშასადამე, <u>ინფლაციურ საგადასახადო დაბეგვრას.</u> ინფლაციური საგადასახადო დაბეგვრა წარმოადგენს საბიუჯეტო სფეროს მუშაკების, პენსიონერების და სხვა იმ პირთა ეკონომიკურად ყველაზე არაეფექტურ და ყველაზე დამამძიმებელ მეთოდს, რომლებიც ფიქსირებული გადასახადის ფორმას ღებულობენ.

<u>ეკონომიკური პროცესების რეგულირების დროს</u> სახელმწიფო ახდენს ფინანსური რესურსების გადანაწილებას სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით. აწესებს რა ნორმებს, წესებს, შეზღუდვებს, ქვოტებს, შეღავათებს, ნებართვებს და ახორციელებს რა სხვა მარეგლამენტირებელ ქმედებებს სახელმწიფო ცვლის ეკონომიკური რესურსების მიმართულებას და მასშტაბებს, რაც ნაკლებეფექტურს ხდის მათ. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო არეგულირებს ფასებს სამომხმარებლო საქონელზე, პროდუქციაზე და «ბუნებრივი მონოპოლიების» მომსახურებაზე, ამით ხელოვნურად ახდენს ერთი სახის საქონლის სუბსიდირებას და აძვირებს მეორე სახის საქონელს. ამით იგი ამახინჯებს სამომხმარებლო უპირატესობების ორიენტირებას და აფერხებს მოთხოვნის სტრუქტურის მომწიფებულ ადაპტაციას.

<u>საგარეო ვაჭრობაზე, სავალუტო გაცვლების ოპერაციებზე, ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობაზე სახელმწიფო შეზღუდვები</u> აძნელებს სამამულო მწარმოებლების მსოფლიო ბაზრის პირობებისადმი ადაპტაციას, იწვევს კაპიტალის გადინებას, ანელებს ეროვნულ ეკონომიკურ ზრდას, აძლიერებს სამეურნეო სტაგნაციას. საბაჟო გადასახადები და არასატარიფო ბარიერები ზღუდავენ უცხოური საქონლის შემოსვლას, ასუსტებენ მსოფლიო ბაზრიდან მიღებულ ინფორმაციულ სიგნალებს, ზრდის ეროვნული ბაზრის იმ პროცესებისაგან იზოლაციას, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკაში.

ეკონომიკური კანონმდებლობის მუდმივი ცვლილებები და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს კოორდინატთა არასტაბილურობა (ინფლაციის ტემპები, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთები, გადასახადების რაოდენობა და საგადასახადო დაბეგვრის დონე, საბაჟო გადასახადები და სხვა რეგულეტორები) ზღუდავენ ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას, ამცირებენ მათ სამეურნეო აქტივობას, ანელებენ ეკონომიკურ ზრდას. მეურნეობრიობის პირობების სტაბილურობა და წინასწარ-განჭვრეტადობა წარმოადგენენ ეკონომიკური თავისუფლების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტებს.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნას შეზღუდვები არასახელმწიფო იურიდიული სუბიექტებისგანაც, რომლებიც კონკურენტულ ურთიერთობაში იმყოფებიან სახელმწიფოსთან, იყენებენ რა ძალადობის ან დაშინების მეთოდებს. ბაზრის მონაწილეების მიმართ მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებს მიეკუთვნება მოქალაქეების ფიზიკური უსაფრთხოების არ არსებობა. (დამნაშავეობა), კერძო საკუთრების დაუცველობა (რეკეტი), კერძო პირებს შორის კონტრაქტების შეუსრულებლობა (კრედიტორების, მეანაბრეების, აქციონერების უფლებების დარღვევა). არასახელმწიფო პირების მიერ ძალის გამოყენებაზე სახელმწიფოს მონოპოლიური უფლების უზურპაცია მოწმობს მათ კვაზისახელმწიფო პირებად გადაგვარებას. კერძო დაცვის, კერძო არბიტრაჟების და სხვა ამგვარი არასახელმწიფო სტრუქტურების შემოღება სახელმწიფოს მიერ თავისი პირდაპირი ფუნქციების შეუსრულებლობის აშკარა გამოვლინებაა.

ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ფორმებისა და მათი შედეგების გაცნობის შემდეგ განვიხილოთ ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის პირდაპირი კავშირის ემპირიული დასაბუთება, რომელიც მოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნებში უკანასკნელ დროს ჩატარებულ გამოკვლევებში. ეს გამოკვლევები ჩვენთვის ცნობილია რუსი მეცნიერების ა. ილარიონოვის და ს. ნედელის პუბლიკაციებიდან (ჟურნალები: «ვოპროსი ეკონომიკი»: №7, 1996 წ. №1 და №4 2000წ. და «მიროვაია ეკონომიკა ი მეჟდუნაროდნიე ოტნოშენია»: №1 და 2, 2000 წ.)

3.3 ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირის ემპირიული დასაბუთება

ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის რუსეთში განვითარებული პროცესების შესადარებლად ა. ილარიონოვს მოჰყავს სხვა უცხოური ქვეყნების ანალოგიური მაგალითები და ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები ერთიმეორისგან განსხვავდებიან. ამ

განსხვავების ფაქტორებად ასახელებენ: ქვეყნის სიდიდეს ანუ მის ეკონომიკურ სიძლიერეს, ეკონომიკური განვითარების სასტარტო დონეს, წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურას და ეკონომიკური სისტემის ტიპს. შემდგომ იგი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის ტიპს.

თუ როგორ მიდის ამ დასკვნამდის, უფრო კონკრეტულად მივყვეთ მისი მსჯელობის თანმიმდევრობას.

ანალიზისათვის მოტანილი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა სიძლიერის და სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის 50 ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები 1913-1998 წლებში.

ეს ქვეყნები ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით ძალიან განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და ამის მიზეზად არ მიიჩნევს არც ქვეყნის სიდიდეს, ანუ ეკონომიკურ მასშტაბებს, არც ეკონომიკური განვითარების სასტარტო დონეს და არც წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურას. მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზეზების (ფაქტორების) ძიებაში ავტორი მიდის იმის აუცილებლობამდე, რომ გაარკვიოს რაიმე მნიშვნელობა ხომ არ აქვს ამ საქმეში ისეთ ფაქტორს, როგორიცაა ეკონომიკური სისტემის ტიპი და ამ სისტემის შიგნით გამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკა - მბრძანებლურ-ადმინისტრაციული თუ ლიბერალური. ამ მიზნისათვის, ქვეყნები დაჯგუფებული აქვს დროის რაღაცა მონაკვეთის განმავლობაში იქ მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის ნიშნის მიხედვით. 50 ქვეყნიდან პირველი ჯგუფის ქვეყნებში აღმოჩნდება 8 ქვეყანა, ხოლო დანარჩენი 42 – მეორე ჯგუფში. პირველი ჯგუფის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის საშუალოწლიური მაჩვენებლები ძალიან დაბალია (1,18%), ვიდრე მეორე ჯგუფის 42 ქვეყანაში (1,94%), ვიდრე საშუალოდ 50 ქვეყანაში (1,82%) და ვიდრე საშუალოდ მთელ მსოფლიოში (1,56%). უფრო მეტიც, ცენტრალიზებულად გეგმიური ეკონომიკის მქონე არც ერთ ქვეყანაში წლიური ტემპების მაღალი დონე არ ჰქონია ვიდრე საშუალოდ 50 ქვეყანას (1,82%). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გეგმიური ეკონომიკის ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი (2,9-ჯერ – 1568 დოლარიდან 4541 დოლარამდე), მათი შეფარდებითი პოზიციები შესამჩნევად გაუარესდა. ამ ჯგუფის ქვეყნების მაჩვენებელი შემცირდა საშუალო მსოფლიო დონის მიმართ 94,5%-დან 73,6%-მდე, 50 ქვეყნის დონის მიმართ - 66,5%-დან 36,9%-მდე და ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნების მიმართ (42 ქვეყანა) 62,5%-დან 32,9%-მდე. შესაბამისად ამ უკანასკნელთა შეფარდებითი პოზიციები (მათ შიგნით დიდი განსხვავების მიუხედავად) არსებითად გაუმჯობესდა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური ზრდა ორჯერ უფრო სწრაფი აღმოჩნდა გეგმიური ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით (5,93 და 2,89-ჯერ).

აქ მოყვანილი შედეგებისა და დასკვნების მიმართ, როგორც ავტორი აღნიშნავს, შესაძლებელია უნდობლობა იქნეს გამოთქმული. რადგანაც ბევრი ყოფილი სოციალისტური ქვეყნისათვის 90-იანი წლები იყო ღრმა ეკონომიკური კრიზისის წლები. მათი ეკონომიკური განვითარების შედეგები აღმოჩნდა უფრო ცუდი, ვიდრე ეს იყო კრიზისის დაწყებამდე. ამიტომ, იმისათვის, რომ შემოწმებულიყო თუ რამდენად დასაბუთებულია ეს უნდობლობა ავტორის მიერ ჩატარებული იქნა გეგმიური ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ანალიზი (რეგიონების ჩათვლით – ყოფილი რესპუბლიკები, რომლებიც მოგვიანებით დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ) მათი ეკონომიკური ზრდის «ოქროს ხანაში»- 1950 წლიდან 1989 წლამდე ჩათვლით (სსრკ-სათვის და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის 1950 წლიდან 1991 წლამდე ჩათვლით). აღმოჩნდა, რომ გეგმიური ეკონომიკის არც ერთი ქვეყანა მათთვის

ყველაზე კეთილსასურველ პერიოდშიც კი არ ვითარდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ლიბერალური ეკონომიკის შესადარი ქვეყნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით გამომდინარეობს დასკვნა: ეკონომიკური სისტემა, რომელიც დამყარებულია ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე წინააღმდეგობებს უქმნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. როგორც წესი, ცენტრალიზებულად გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნები მნიშვნელოვნად უფრო ნელა ვითარდებიან, ვიდრე ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნები. ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საბოლოოდ დავასაბუთოთ ლიბერალური ეკონომიკის უპირატესობა. ბევრ საკითხზე იგი ვერ იძლევა სათანადო პასუხს, ვინაიდან:

<u>ჯერ ერთი</u>, საკმაოდ გავრცელებული მოლოდინის მიუხედავად გეგმიური ეკონომიკის მთელ რიგ ქვეყნებში ლიბერალურ ეკონომიკაზე გადასვლამ ვერ მიგვიყვანა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასთან და მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვან ამაღლებასთან. პირიქით, ბევრ ქვეყანაში ლიბერალიზაციის პროცესს თან სდევდა ეკონომიკური კრიზისის გამძაფრება. დიდხანს არ შემდგარმა ეკონომიკურმა ზრდამ (ზოგიერთ შემთხვევაში კი – წარმოების მკვეთრმა დაცემამაც კი), ცხოვრების დონის მნიშვნელოვანმა შემცირებამ ზოგიერთ დამკვირვებელში გამოიწვია დაეჭვება ასეთ ეკონომიკაზე გადასვლის დასაბუთებულობაში. ბევრი მათგანისათვის გეგმიური ეკონომიკის პირობებში მიღწეული თუნდაც დაბალი მაგრამ დადებითი ტემპები, უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე ლიბერალური ეკონომიკის პირობებში წარმოების სწრაფი შემცირება ან მისი სტაგნაცია.

<u>მეორე</u>, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლიბერალური ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები შეესაბამებოდა (ან უფრო დაბალი იყო) გეგმიური ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, ეკონომიკური ზრდა ჩინეთში უფრო სწრაფი აღმოჩნდა, ვიდრე ლიბერალური ეკონომიკის ნებისმიერ დიდ აზიურ ქვეყანაში (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია). ჩეხეთის ეკონომიკა ვითარდებოდა უფრო სწრაფად, (90-იანი წლების კრიზისის გათვალისწინებითაც კი), ვიდრე ავსტრიაში და ახალ ზელანდიაში. ხოლო უნგრეთში და ბულგარეთში შეინიშნებოდა ზრდის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე არგენტინაში ან ფილიპინებში.

<u>მესამე</u>, ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპების მნიშვნელობების გაბნევა მეტად დიდია და 3,2% აღწევს (ტაივანისა და მაიამის მაჩვენებლებს შორის). ეს იმას ნიშნავს, რომ ლიბერალური ეკონომიკის პირობებში 85 წლის განმავლობაში შეიძლება სულადობრივი შემოსავალი ქვეყანაში გაიზარდოს 20-ჯერ და მეტადაც, და მხოლოდ 45%-ითაც. ამის მიზეზი აისახება მოცემულ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათით. აღნიშნულის დასასაბუთებლად 42 ქვეყანა დაჯგუფებულია ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ მკაფიო უარყოფითი კავშირი არსებობს ამ მაჩვენებელსა და სახელმწიფო ფინანსების (სახელმწიფო ხარჯები და საბიუჯეტო დეფიციტი) მაჩვენებლებს შორის. თუ სხვანაირად ვიტყვით, იქ სადაც ატარებენ უფრო ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას და აქვთ სახელმწიფო ხარჯების და საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლები, შეინიშნება ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპები. და პირიქით, ეკონომიკური ზრდის ყველაზე დაბალი ტემპებით გამოირჩევიან ის ქვეყნები, სადაც ეკონომიკაზე ყველაზე მაღალი სახელმწიფო ფისკალური დატვირთვაა.

იმისათვის, რომ შემოწმებული იქნას აღნიშნული კანონზომიერება იგივე 42 ქვეყანა დაჯგუფებული იქნა იმის მიხედვით, თუ როგორია მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკაზე სახელმწიფო ფისკალური დატვირთვის სიმძიმე. კანონზომიერება აქაც შენარჩუნებულია. ქვეყნები, რომლებსაც ეკონომიკაზე უმცირესი სახელმწიფო დატვირთვა აქვთ, უფრო

სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე ქვეყნები, სადაც სახელმწიფო დატვირთვა ეკონომიკაზე დიდია.

იგივე კანონზომიერება შემოწმებული იქნა გეგმიური ეკონომიკის ქვეჯგუფის 8 ქვეყანაზე. თუმცა ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვის აბსოლუტური მაჩვენებლები ამ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ვიდრე 42 ქვეყანაში იყო, მაინც კანონზომიერება აქაც შენარჩუნებულია: გეგმიური ეკონომიკის ქვეყნებს შორისაც სწრაფად ვითარდებოდნენ ისინი, სადაც ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვის შეფარდებითი დონე დაბალი იყო, ვიდრე საშუალო ჯგუფის. ქვეყნები. რომლებსაც ეკონომიკაზე ყველაზე მაღალი სახელმწიფო დატვირთვა ჰქონდათ, ვითარდებოდნენ ყველაზე ნელი ტემპებით. როგორც ჩანს, გამოვლენილი დამოკიდებულება, რომელიც ერთიმეორეს აკავშირებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და სახელმწიფო ფინანსური დატვირთვის მოცულობას, უნივერსალურ ხასიათს ატარებს.

აღნიშნულიდან კეთდება დასკვნა, რომ ყოფილმა საბჭოთა კავშირმა და ამჟამად მის ნანგრევებზე წარმოქმნილმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომაც) დაკარგა მთელი XX საუკუნე. მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სამოცდაათი და მეტი წლის განმავლობაში გაბატონებული იყო ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკური სისტემა და განუზომელი იყო სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში.

აქ იმასაც დავძენთ, რომ არასწორია ზოგიერთი ავტორის დასკვნა, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის ასე დიდხანს გაგრძელების მიზეზად მოცემულ ქვეყნებში ასახელებენ ცენტრალური გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის დამახასიათებელ თავისებურებას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის მთავარი მიზეზი გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურება კი არ არის, არამედ ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის პირობებში ზომიერი სახელმწიფო ფისკალური დატვირთვის პოლიტიკიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი გაზრდის პოლიტიკაზე გადასვლა. ასეთი პოლიტიკის გაგრძელება აღარ შეიძლება. იგი გარდუვალად მიგვიყვანს თავისი სიღრმითა და ხანგრძლივობით უპრეცენდენტო ეკონომიკური კრიზისის გაძლიერებასთან, ეკონომიკურ და სოციალურ დეგრადაციასთან. ერთადერთი გონივრული ალტერნატიული გარიანტია – თანმიმდევრული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

3.4 ეკონომიკური დემოკრატია და ხალხთა კეთილდღეობის ზრდა

ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება ეკონომიკური ზრდის მეშვეობით უშუალო გავლენას ახდენს ხალხთა კეთილდღეობის ზრდაზე. აღნიშნული დებულების დასასაბუთებულად მოვიშველიოთ ისევ ა. ილარიონოვის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (ჟ. «ვოპროსი ეკონომიკი» №4. 2000) თანაც უკვე მსოფლიოს 119 ქვეყნის შესახებ XIX-XX სს-ის განმავლობაში (1820-1913 წწ. და 1913-1998 წწ.) აღნიშნული სტატისტიკური მასალების ანალიზი დაბეჯითებით გვიჩვენებს მყარ ურთიერთკავშირს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ხალხთა კეთილდღეობას შორის. 119 ქვეყნიდან, რომელთა მიხედვითაც მიღებული იქნა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასება, XX ს-ის 90-იან წლებში ერთ მეხუთედს (ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით) ჰქონდათ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, – თითქმის 19 ათასი დოლარი და ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები, – წლიურად 2%-ზე მეტი. ეკონომიკური თავისუფლების დონის შემცირებასთან ერთად მცირდება სულადობრივი შემოსავლის სიდიდეც და ეკონომიკური

ზრდის ტემპებიც. ამ ქვეყნებში (ქვეყნების საერთო რაოდენობიდან 20%) ჰქონდათ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ყველაზე დაბალი სიდიდეც (2200 დოლარზე ცოტა მეტი) და ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპიც (წელიწადში საშუალოდ – 1,9%).

პრინციპულად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მყარი სტატისტიკური კავშირი არსებობს არა მარტო ეკონომიური თავისუფლების აბსოლუტურ დონესა და კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის, არამედ მათ ნაზარდ მაჩვენებლებს შორისაც. იმ ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლებმაც 90-იან წლებში აამაღლეს ეკონომიკური თავისუფლების დონე, (მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი სასტარტო მნიშვნელობა), ეკონომიკური ზრდის ტემპები გაიზარდა და აღმოჩნდა ყველაზე მაღალი. იმ ქვეყნებში კი, რომელთა ხელისუფლებმაც მეტად შეზღუდეს ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა და ყველაზე დაბალი – ფაქტიურად უარყოფითი აღმოჩნდა (-1,0%).

ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები წარმატებებს აღწევენ არა მარტო ეკონომიკური ზრდის სფეროში. ამ ქვეყნებში სოციალური და ადამიანური განვითარების პრაქტიკულად ყველა გამოყენებული მაჩვენებელი არსებითად უკეთესია, ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფალ ქვეყნებში. ასე მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მაღალია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, (პირველი ჯგუფის ქვეყნები) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 20 წლით უფრო მეტია, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი ყველაზე დაბალი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მქონე ქვეყნებში (ბოლო, უკანასკნელი ჯგუფის ქვეყნები) –76,4 წელი და 55,2 წელი შესაბამისად (ქვეყნები დაჯგუფებულია ხუთ ჯგუფად). ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში საშუალოდ 11-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფალ ქვეყნებში (შესაბამისად 7,3 და 83,3 გარდაცვალებული 1 წლამდე ასაკში 1000 დაბადებულზე).

ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში სოციალური დიფერენციაცია ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით ასევე არსებითად დაბალია. ასე მაგალითად, მამაკაცებსა და ქალებს შორის სკოლაში სწავლების წელთა რაოდენობა ყველაზე მაღალი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (პირველი ჯგუფი) მქონე ქვეყნებში საშუალოდ მინიმალურია. ეკონომიკური თავისუფლების დონის შემცირების კვალობაზე იგი იზრდება და მაქსიმალური ხდება ბოლო უკანასკნელი ჯგუფის ქვეყნებში.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ სოციალური და ადამიანური განვითარების მაჩვენებლების შესახებ, მოვიყვანოთ მათი ჩამონათვალი: დაბადებიდან სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (წელი); 15 წლის ასაკში სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (წელი); ბავშვების დაბადების ხვედრითი წილი სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით (%); ბავშვების ხვედრითი წონა, რომლებიც დაიბადნენ არასაკმარისი ფიზიკური წონით (%); 5 წლამდე ბავშვების ხვედრითი წილი რომელთაც ფიზიკური გადახრები აქვთ ცუდი კვების გამო (%): ა) სიმაღლის მიხედვით; ბ) წონის მიხედვით; კონტრაცეპციის მეთოდების გავრცელება (ქალთა % 15-დან 49 წლის ასაკში); დედების სიკვდილიანობა (100 ათას დაბადებულ ბავშვზე); ბავშვთა სიკვდილიანობა (5 წლის ასაკამდე 1000 დაბადებულზე); 5 წლამდე ასაკში სიკვდილის ალბათობა (%); სასმელი წყლით უზრუნველყოფა (%); სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებით უზრუნველყოფა (%); ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (%); ექიმთა რაოდენობა 1000 კაცზე; მოსწავლეთა რაოდენობა ერთ მასწავლებელზე: ა) პირველი საფეხურის სკოლაში; ბ) მეორე საფეხურის სკოლაში; მეორე საფეხურის მოსწავლეთა ხვედრითი წილი (% სკოლის ასაკის მოსწავლეთა რაოდენობის

მიმართ); უწიგნურობის დონე 15 წლის ასაკში და ზევით (%); სკოლაში სწავლების წელთა რაოდენობა: ა) მამაკაცებისათვის; ბ) ქალებისათვის; გაზეთების ტირაჟი 1000 კაცზე (ეგზემპლიარი); ადამიანური განვითარების ინდექსი; ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯები (% მშპ-ის მიმართ); სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე (% მშპ-ის მიმართ); სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯები (% მშპ-ის მიმართ).

ამ მაჩვენებლებს იყენებს მსოფლიო ბანკი, იუნესკო, გაერო, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია.

საბოლოო დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: მოსკოვის ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტში მსოფლიოს იმ 50 ქვეყნის მიხედვით, რომელთა შესახებაც არსებობს ეკონომიკური ზრდის შესაბამისი მონაცემები XX ს-ის 1913-1998 წწ. მონაკვეთში, გაანგარიშებული იქნა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მნიშვნელობები. ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე კიდევ ერთხელ ჩამოყალიბებულია კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ძირითადი კანონზომიერება: ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები ვითარდებიან უფრო სწრაფად, ვიდრე ქვეყნები, რომელთა ხელისუფლები ზღუდავენ ეკონომიკურ თავისუფლებას და ერევიან სამეურნეო ცხოვრებაში. ეკონომიკური თავისუფლების დაბალი მაჩვენებლების ქვეყნებში (2-ზე დაბალი ინდექსის მაჩვენებლით) ეკონომიკური ზრდის ტემპი არ აღემატებოდა საშუალოდ 1% წელიწადში, ისე რომ ასი წლის განმავლობაში მათ შეძლეს ერთ სულზე მშპ-ის სიდიდის გაზრდა არაუმეტეს 5 ათასი დოლარით. ეკონომიკური თავისუფლების დონის ამაღლების კვალობაზე ხდება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი დაჩქარება. ყველაზე მაღალი ტემპებით – წელიწადში 2% ზევით ვითარდებოდნენ ქვეყნები, რომელთა ხელისუფლები მხარს უჭერდნენ ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს და თანმიმდევრულად აფართოებდნენ მის საზღვრებს (7-ზე მაღალი ინდექსის მნიშვნელობით). ამ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ ასი წლის განმავლობაში გაიზარდა 17 ათასი დოლარით და მეტად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური თავისუფლების დონის არსებითმა ამაღლებამ შექმნა ყველასათვის ცნობილი მაგალითები, რომლებმაც მოგვიანებით მიიღეს «ეკონომიკური სასწაულის» სახელწოდება. ყველგან – დასავლეთი გერმანიიდან და იტალიიდან იაპონიამდე და ტაივანამდე, ჩილედან და მავრიკიიდან ირლანდიამდე და კონტინენტალურ ჩინეთამდე – ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ მიიყვანა შთამბეჭდავ, მაგრამ სრულიად კანონზომიერ შედეგებამდე: იზრდებოდა ეკონომიკური ზრდის ტემპები; მაღლდებოდა ცხოვრების დონე და ხარისხი; მცირდებოდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია; ეკონომიკური განვითარების ნაყოფით სარგებლობა იწყეს მოქალაქეების ფართო ფენებმა. მთელ მსოფლიოში არ აღმოჩნდა არც ერთი ქვეყანა, რომელშიც ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას არ მიეყვანა მნიშვნელოვან დადებით ცვლილებებამდე. ამავე დროს, მსოფლიოში არ იყო არც ერთი ქვეყანა, სადაც ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკის (ინტერვენციონისტული და პოპულისტური) გატარებას ჰქონოდა ეკონომიკური შედეგები, რომელიც თუნდაც მიახლოებით მაინც შეედრებოდა მის მაჩვენებლებს.

ქვემოთ განვიხილოთ ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირის დამადასტურებელი დამატებითი მონაცემები.

3.5. ეკონომიკურ დემოკრატიას და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დამადასტურებელი დამატებითი მონაცემები

განვიხილოთ დამატებითი მონაცემები ცხრილების სახით იმის შესახებ, თუ ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმა (ფულის ემისია, ინფლაცია, სახელმწიფო მეწარმეობა, სახელმწიფო მოხმარება, საგარეო ეკონომიკური კავშირები) როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ცხრილები 1,2,3,4,5); (იხ. ჟ. «ვოპროსი ეკონომიკი» №7. 1996, გვ.8-17)[1].

ა) <u>ფულის ემისია და ეკონომიკური ზრდა (ცხრილი 1)</u>. ცხრილის ზედა ნაწილში (1ა) მოცემულია ფულადი მასის მატების საშუალოწლიური ტემპები («გასუფთავებული» რეალური მშპ-ის მატების ტემპებისაგან) 1975-1995 წწ. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა მინიმალურია (7%-ზე ნაკლები საშუალოდ წელიწადში) აღინიშნება ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები (2,3% წელიწადში), ფულის ემისიის მასშტაბების თანმიმდევრული ზრდის დროს ეკონომიკური ზრდის ტემპებიც თანმიმდევრულად მცირდება, თანაც იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც ფულის ემისიის საშუალოწლიური ტემპები წელიწადში 35%-ზე მეტია, ეკონომიკური ზრდის ტემპები უარყოფითი მნიშვნელობისა ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ფულის მასის მატების ტემპები 100%-ს აჭარბებს წელიწადში, მაშინ ეკონომიკური ზრდის ტემპები ეცემა მინიმალურ მნიშვნელობამდე (-2,4% წელიწადში).

ასეთივე დამოკიდებულება შეიძლება შევამოწმოთ მეორე მხრიდანაც და დავადგინოთ, თუ როგორია ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ტემპების მქონე ქვეყნებში ფულადი ემისიის სიდიდე (ცხრილი 1ბ).

გაირკვევა, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც უარყოფითია ეკონომიკური ზრდის ტემპები, ფულის მასის მატების ტემპები საშუალოდ შეადგენს 38%-ს წელიწადში. ეკონომიკური დინამიკის მაღალი ტემპების ქვეყნებზე გადასვლისას საჭირო ხდება ფულის ემისიის მასშტაბების არსებითი შემცირება. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები (5%-ზე მეტი წელიწადში) შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ ფულის მასის მატების ტემპების შემცირებისას საშუალოდ 9,8%-დე წელიწადში.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების გამოცდილება უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ ლიბერალური (რბილი) ფულადი პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედებს დამთრგუნავად, ხოლო მკაცრი ფულადი პოლიტიკა – სასიკეთოდ. რაც უფრო მაღალია ფულის ემისიის ტემპები, მით დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები. როდესაც ფულის ემისიის საშუალოწლიური ტემპები გადააჭარბებენ წლიური 35%ის ზღვარს, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდა წყდება და იწყება ეკონომიკური დაცემა.

ბ) <u>ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა (ცხრილი 2).</u> ლიბერალური ფულადი პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენს ინფლაცია. მსოფლიოს 140 წვეყნის დაჯგუფება ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით ინფლაციის საშუალო წლიური ტემპებთან კავშირში გვიჩვენებს შემდეგს: (ცხრილი 2).

---

[1] <u>შენიშვნა</u>: ცხრილებში მოცემულია ეკონომიკური განვითარების დინამიკა (მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალო წლიური ტემპები) უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა მოდელის მქონე ქვეყნებში. ასეთი შედარების ობიექტებად იქცა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, რომელთა მიხედვითაც კი არსებობს შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია. ორი დაჯგუფება. პირველ ჯგუფში შესულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ამჟამინდელი ქვეყნები, მშპ-ის წარმოებაში ნავთობის მაღალი ხვედრითი წილით, რომელთა ეკონომიკური განვითარების ტემპებზე უფრო მეტი გავლენა იქონია ნავთობზე მსოფლიო ფასების რყევებმა, ვიდრე საშინაო ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ამრიგად, იმის მიხედვით, თუ როგორია გამოყენებული მაჩვენებელი, შესადარ სახელმწიფოთა რიცხვმა შეადგინა 76-დან 140-მდე, ე. ი. თანამედროვე მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები.

ცხრილი 1

ფულადი მასის ნამეტი და მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე 1975-1995 წ.წ. (გვ.8)

	ქვეყნების რაოდენობა	ფულადი მასის მატების ტემპების საშუალო წლიური გადაჭარბება რეალური მშპ-ის მატების ტემპებზე,%	მშპ-ის მატების საშუალო წლიური ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე,%
ა) ფულადი მასის ნამეტის ტემპების გადაჭარბების დონე რეალური მშპ-ის მატების ტემპებზე			
სულ	130	21,8	1,2
7-ზე ნაკლები	22	5,6	2,3
7-10	26	8,2	1,8
10-15	34	12,3	1,3
15-35	30	21,6	0,9
35-100	13	49,4	-0,1
100-ზე მეტი	5	156,2	-2,4
ბ) მშპ-ის ნამეტის ტემპები ერთ სულ მოსახლეზე			
სულ	130	21,8	1,2
0-ზე ნაკლები	37	38,0	-1,5
0,0-1,0	27	19,1	0,5
1,0-2,5	36	15,4	1,7
2,5-5	19	12,8	3,7
5-ზე მეტი	11	9,8	5,9

ინფლაციის ყველაზე დაბალი ტემპების პირობებში (5%-ზე ნაკლები წელიწადში), აღინიშნება ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპები (საშუალოდ 2,6% წელიწადში), ინფლაციის დონის ამაღლების შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ტემპები მონოტონურად მცირდება. ისინი უარყოფითად მყარი ხდებიან, თუ ინფლაციის დონე გადააჭარბებს საშუალოწლიურ სიდიდეს 40%. ინფლაციის საშუალოწლიური დონე კი, თუ გადააჭარბებს 100%, - ეკონომიკური დაცემის ტემპები მაქსიმალური ხდება – 3,3%.

ცხრილი 2

ინფლაცია და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ნამეტის ტემპები 1975-1995 წწ. (გვ. 9)

	ქვეყნების რაოდენობა	ნამეტის საშუალო წლიური ტემპები	
		სამომხმარებლო ფასების	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე
ა) ინფლაცია %			
სულ	140	23.4	1.0
5-ზე ნაკლები	16	3.5	2.6

5-10	54	7.2	1.5
10-15	25	11.7	1.4
15-25	17	19.3	0.4
25-40	10	29.5	0.3
40-100	13	53.8	-0.7
100-ზე მეტი	5	243.8	-3.3
ბ) მშპ-ის ნამეტის ტემპები ერთ სულ მოსახლეზე			
სულ	140	23.4	1.0
-1,0-ზე ნაკლები	24	53.4	-2.6
-1,0-0,0	20	37.8	-0.5
0,0-1,0	27	18.4	0.5
1,0-2,5	40	12.8	1.8
2,5-5,0	18	8.6	3.9
5-ზე მეტი	11	6.8	5.9

იგივე კანონზომიერება შეგვიძლია შევამოწმოთ მეორე მხრიდანაც (ცხრილი 2ბ). იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებშიც ეკონომიკური დაცემის ტემპები წელიწადში 1%-ზე მეტია, ინფლაციის საშუალო წლიური ტემპები შეადგენს 53,4%, ხოლო 0-დან 1%-დე დაცემის ტემპების ქვეყნების ჯგუფში – 37,8%. ეკონომიკური ზრდის დადებითი ტემპების მიღწევის დროს ინფლაციის დონემ, როგორც წესი, არ უნდა გადააჭარბოს 37,8% წელიწადში. ამასთან ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მისაღწევად საჭიროა ინფლაციის უფრო დაბალი ტემპები. ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპების მისაღწევად (5%-ზე მაღალი წელიწადში) აუცილებელია ინფლაციის ტემპების შემცირება საშუალოდ 6,8%-მდე წელიწადში.

ამრიგად, მაღალი ინფლაცია ეფექტურად ეწინააღმდეგება ეკონომიკურ ზრდას. 40%-ს მიახლოებული და მეტი ინფლაციის საშუალოწლიური ტემპების დროს, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდა წყდება.

აღნიშნულის საწინააღმდეგო დასკვნაც სწორეა: ქვეყანაში რაც უფრო დაბალია ინფლაციის ტემპები, როგორც წესი, მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპები. თანაც ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპები უზრუნველიყოფა ინფლაციის მინიმალური ტემპების დროს.

გ) <u>სახელმწიფო მეწარმეობა და ეკონომიკური ზრდა (ცხრილი 3</u>). მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი იწარმოება სახელმწიფო საწარმოებში.

სახელმწიფო მეწარმეობის მასშტაბების ყველაზე სრულ სტატისტიკას შეიცავს 1995 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა: «ბიუროკრატები ბიზნესში», რომელიც შეეხება მსოფლიოს 76 ქვეყანას 1978-1991 წლებში.

სახელმწიფო საწარმოებში მშპ-ის წარმოების წილის შედარება ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის მატების ტემპებთან (ცხრილი 3ა) გვიჩვენებს ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო მეწარმეობის უარყოფით ზემოქმედებას. სახელმწიფო მეწარმეობის მინიმალური სიდიდის დროს (თუ სახელმწიფო საწარმოები აწარმოებენ მშპ-ის 7%-ზე ნაკლებს) ეკონომიკური ზრდის ტემპები აღწევენ მაქსიმალურ მნიშვნელობას (1,5% საშუალოდ წელიწადში). სახელმწიფო მეწარმეობის მასშტაბების ზრდის კვალობაზე ეკონომიკური ზრდის ტემპები ეცემა. ამასთან ისინი უარყოფითი ხდებიან თუ სახელმწიფო საწარმოებში წარმოებული მშპ-ის მოცულობა აჭარბებს 20%.

სწორეა საწინააღმდეგო დამოკიდებულებაც (ცხრილი 3ბ). ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპები აღინიშნება იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც სახელმწიფო მეწარმეობის

წილი მშპ-ის წარმოებაში მაქსიმალურია (15,3%). იმ ქვეყნებში, სადაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, სახელმწიფო საწარმოების წილი მშპ-ის წარმოებაში არსებითად დაბალია. იგი მინიმალურია (მშპ-ის 9,4%) იმ წვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან ყველაზე დინამიური განვითარებით (1%-ზე მეტი წელიწადში).

ცხრილი 3

სახელმწიფო საწარმოთა პროდუქცია %-ში მშპ-თან მიმართებაში და მშპ-ის ნამეტის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე (გვ. 10)

	ქვეყნების რაოდენობა	საშუალო წლიური	
		სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციის მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში 1978-1991 წ.წ.	მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე
ა) სახელმწიფო საწარმოთა პროდუქცია %-ში მშპ-თან მიმართებაში			
სულ	76	11.8	1.0
7-ზე ნაკლები	34	4.3	1.5
7-10	11	8.3	1.2
10-20	24	13.4	1.1
20-ზე მეტი	11	32.8	-0.7
ბ) მშპ-ის ნამეტის ტემპები ერთ სულ მოსახლეზე, %			
სულ	76	11.8	1.0
0,0-ზე ნაკლები	28	15.3	-1.1
0,0-1,0	14	10.9	0.6
1,0-ზე მეტი	34	9.4	2.9

ამრიგად სახელმწიფო მეწარმეობა ანელებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. სახელმწიფო მეწარმეობის მასშტაბების შემცირება, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

დ) <u>სახელმწიფო მოხმარება და ეკონომიკური ზრდა (ცხრილი 4)</u>. ეკონომიკური ზრდის ტემპების კავშირი სახელმწიფო მოხმარების მასშტაბებთან წარმოდგენილია ცხრილი 4ა სახით, სახელმწიფო მოხმარების მინიმალური მნიშვნელობის დროს (მშპ-ის 12%-ზე ნაკლები) აღინიშნება ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპები (1,7%-ზე მეტი წელიწადში). სახელმწიფო მოხმარების დონის ამაღლების კვალობაზე ნელდება ეკონომიკური განვითარების ტემპები. ისინი მინიმალური ხდებიან (0,3% წელიწადში) სახელმწიფო მოხმარების მაქსიმალური სიდიდის დროს (20%-ზე მეტი).

ცხრილი 4

სახელმწიფო მოხმარება %-ში მშპ-თან მიმართებაში და მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე 1975-1995 წ.წ. (გვ. 11)

	ქვეყნების	საშუალო წლიური

	რაოდენობა	სახელმწიფო მოხმარების მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში	მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე,%
ა) სახელმწიფო მოხმარება %-ში მშპ-თან მიმართებაში			
სულ	92	14.9	1.4
12-ზე ნაკლები	29	9.6	1.7
12-20	55	16.3	1.4
20-ზე მეტი	8	25.0	0.3
ბ) მშპ-ის ნამატის ტემპები ერთ სულ მოსახ			
სულ	92	14.9	1.4
2,0-ზე ნაკლები	56	15.5	0.1
2,0-5,0	30	14.5	2.8
5-ზე მეტი	6	12.0	6.1

საპირისპირო კანონზომიერება საბუთდება ცხრილი 4ბ-ის მონაცემებით. ეკონომიკური ზრდის მინიმალურ ტემპებს (2%-ზე ნაკლები წელიწადში) შეესაბამება სახელმწიფო მოხმარების მაქსიმალური სიდიდეები (მშპ-ის 15,5%).

ამრიგად, სახელმწიფო მოხმარების მნიშვნელოვანი სიდიდეები ხელს უშლიან სწრაფ და მყარ ეკონომიკურ ზრდას. რაც მაღალია მშპ-ის წილი, რომელიც მოიხმარება სახელმწიფოს მიერ, მით, როგორც წესი, დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები. მშპ-ის ხვედრითი წილის შემცირება, რომელიც ამოიღება სახელმწიფოს მიერ, ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

ე) <u>საგარეო ეკონომიკური კავშირების შეზღუდვები და ეკონომიკური ზრდა (ცხრილი 5).</u> საგარეო ეკონომიკური კავშირების შეზღუდვები მრავალმხრივია, მაგრამ ყველა მათგანი იოლად არ ექვემდებარება ფორმალიზაციას. ამიტომ საკმაოდ ხელსაყრელი იქნება თუ გამოვიყენებთ ასეთ მაჩვენებელს: ექსპორტსა და იმპორტზე გადასახადების ჯამი საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვის მიმართ პროცენტებში. ეს მაჩვენებელი შემოთავაზებულია 1996 წელს გაკეთებულ მოხსენებაში «ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში 1975-1995 წწ». (ცხრილი 5ა).

საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე საგადასახადო დატვირთვის მინიმალურ დონეს (6%-ზე ნაკლები) შეესაბამება ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები (2,2% წელიწადში). ამ მაჩვენებლის ამაღლების კვალობაზე ეკონომიკური დინამიკის ტემპები ნელდება, ისინი მინიმალური ხდება (0,2% წელიწადში) საგადასახადო დატვირთვის მაქსიმალური დონის დროს (10%-ზე მეტი). ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპები (ცხრილი 5ბ) აღინიშნება იმ ჯგუფის ქვეყნებში, სადაც მაქსიმალურია საგადასახადო დატვირთვა (8,8%), ხოლო ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპები (2,5%-ზე მეტი წელიწადში) – ქვეყნებში საგარეო ვაჭრობის საგადასახადო დაბეგვრის მინიმალური დონით.

ამრიგად, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვები ანელებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. პროტექციონისტური პოლიტიკა, რომელიც «სამამულო წარმოების» დაცვისათვის იყენებს სატარიფო და არასატარიფო მეთოდებს, იწვევს ეროვნული ეკონომიკის დეგრადაციას.

საგარეო ეკონომიკური ბარიერების ლიკვიდაცია, საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია ხელს უწყობს მოცემული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში სრულ ინტეგრაციასა და უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევას.

ცხრილი 5

ექსპორტზე და იმპორტზე გადასახადები %-ში საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში, და მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე
1975-1995 წ.წ. (გვ.12)

	ქვეყნების რაოდენობა	საშუალო წლიური	
		სახელმწიფო მოხმარების მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში	მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე,%
ა) ექსპორტზე და იმპორტზე გადასახადები %-ში საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში			
სულ	101	6.0	1.4
6-ზე ნაკლები	55	8.0	2.2
6-10	29	7.9	0.7
10-ზე მეტი	17	12.8	0.2
ბ) მშპ-ის ნამეტის ტემპები ერთ სულ მოსახლეზე, %			
სულ	101	6.0	1.4
0,0-ზე ნაკლები	24	8.8	-1.2
0,0-2,5	56	5.3	1.4
2,5-ზე მეტი	21	4.9	4.4

საბოლოო დასკვნის სახით მოვიყვანოთ შემაჯამებელი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ პირდაპირ დამოკიდებულებას ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს) და ეკონომიკურ ზრდას შორის (ცხრილი 6). იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე დაბალია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მნიშვნელობა (50%-ზე ნაკლები), მიმდინარეობს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის შემცირება, იმ ქვეყნებში კი, სადაც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს 50% და 60% შორის – საშუალოდ ზრდის ტემპების ნულოვანი მნიშვნელობა აქვთ (ცხრილი 6ა). ინდექსის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდის ტემპები იზრდება.

ცხრილი 6

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე
1975-1995 წ.წ. (გვ. 17)

	სახელმწიფო მოხმარების მოცულობა %-ში მშპ-თან მიმართებაში	მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე,%
ა) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, %		
33,7 (რუსეთი)	33.7	-8.5
35-50	45.3	-1.7
50-60	56.3	0.0
60-70	65.8	0.3
70-80	74.7	1.5
80-ზე მეტი	83.3	2.4
ბ) მშპ-ის ნამეტის ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე, %		
-8.5 (რუსეთი)	33.7	-8.5
-1.0-ზე ნაკლები	62.1	-2.5
-1.0-0.0	68.9	-0.5
0.0-1.0	72.5	0.5
1.0-2.5	72.7	1.7
2.5-5.0	75.1	3.5
5.0-ზე მეტი	79.2	6.1

ყველაზე მაღალი ტემპებით (2,4%-ზე მეტი წელიწადში) ვითარდებიან ის ქვეყნები, რომლებიც ატარებენ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას (ინდექსის მნიშვნელობა 80%-ზე ზევით). ასევე სწორეა უკუ დამოკიდებულება (ცხრილი 6ბ): ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები (5%-ზე მეტი წელიწადში) უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკური პოლიტიკა იყო ყველაზე ლიბერალური (ამ ჯგუფის ქვეყნებისათვის ინდექსის საშუალო მონაცემები – 79,2%). ქვეყნები, რომელთაც მიაღწიეს ნაკლებ შედეგებს, ატარებდნენ ნაკლებ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. და ბოლოს, ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპების მქონე ქვეყნები ანალიზის პერიოდში გამოირჩეოდნენ ყველაზე ინტერვენციონისტული ეკონომიკური პოლიტიკით.

მოტანილი მონაცემები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ეკონომიკური ზრდის იმ დიდ პოტენციურ შესაძლებლობას, რომელიც ჩაქსოვილია ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, ეკონომიკურ დემოკრატიაში (ეკონომიკურ თავისუფლებაში).

საქართველოს ეკონომიკის მუდმივად მზარდი ეფექტიანი განვითარების მაგისტრალური მიმართულება სწორედ ეკონომიკური დემოკრატია უნდა იყოს. ნებისმიერი სხვა ალტერნატიული ვარიანტი მიუღებელია.

ქვემოთ განვიხილოთ ზოგიერთი ის წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში.

მეოთხე თავი.

საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების წინააღმდეგობები

საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების წინააღმდეგობების ზოგადი მიმოხილვა

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური დემოკრატია, ეკონომიკური ზრდის მაგისტრალური მიმართულება და რეალური ეკონომიკური შედეგების მიღწევის საიმედო, ეფექტური გზაა. იგი ძირითადად შესაბამისი კანონშემოქმედებითი მუშაობის გაძლიერებაზე და მიღებული კანონების აღსრულებაზე არის დამოკიდებული. ამდენად მისი განხორციელება თავისთავად არ მოითხოვს რაიმე დიდ კაპიტალურ დაბანდებებს (თუ არ გავითვალისწინებთ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე გაწეულ ხარჯებს). თუმცა აღვნიშნავთ, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ისევე როგორც თვით ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება, რთული, ხანგრძლივი და მრავალი წინააღმდეგობების შემცველი პროცესია.

სამწუხაროდ, საქართველოში ეკონომიკური ზრდის ამ დიდ რეზერვს არასაკმარისად ვიყენებდით და ამიტომაა, რომ ასე გაგვიგრძელდა კრიზისული მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

პირველ რიგში უნდა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომლებიც არსებობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში და რომლებიც წინ ეღობებიან ეკონომიკური დემოკრატიის დანერგვასა და განვითარებას.

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები («მეწარმეობის შესახებ», «ანტიმონოპოლიური სამსახურის შესახებ», «საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ», «საგადასახადო კანონი» და სხვა.), საკანონმდებლო აქტები საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ დემოკრატიულობის საკმაოდ მაღალი ხარისხის დოკუმენტებად არიან მიჩნეულნი, ამ კანონების ძალით ქვეყანაში გამოცხადებულია ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული ფიზიკური და იურიდიული პირების ეკონომიკური თავისუფლება. ასევე, 2000 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ შემუშავებული «სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა»-ში მნიშვნელოვან რეზერვად აღიარებული იყო სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირება, რომელიც უნდა დაყრდნობოდა ლიბერალიზაციას.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური დემოკრატია იყო განვითარებული, შექმნილი არ იყო ისეთი ეკონომიკური «თამაშის წესები», რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. უნდა ვაღიაროთ, რომ რეფორმაციის განვლილ პერიოდში ჩვენთან ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა არ ტარდებოდა. ფართოდ გავრცელებული და აფიშირებული მითი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ – თითქოს იგი ტარდებოდა, სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებულია იმ თეორიული დაბნეულობით, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ბევრის ცნობიერებაში, განსაკუთრებით მართვის მაღალ ეშელონებში. საქმე იმაშია, რომ როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ერთიმეორეში იყო გაიგივებული სხვადასხვა ცნებები -»ბაზარი» და «ეკონომიკური თავისუფლება», «ლიბერალური

პოლიტიკა». მაშინ როდესაც ეს ცნებები, ისევე როგორც სიტყვები: «ბაზრის მომხრეები», «რეფორმატორები», «ლიბერალები» - აღიქმება როგორც სინონიმები, სინამდვილეში მათ უკან იმალება პრინციპულად განსხვავებული შინაარსი.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ეკონომიკურ ისტორიაში იშვიათად ცნობილი სიტუაცია: ქვეყანას არ ჰქონდა შემუშავებული განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის არანაირი მოდელი (სამწუხაროდ იგი დღესაც არა გვაქვს) და ტარდებოდა უპირატესად ერთეული პიროვნებების სურვილის შესაბამისი სხვადასხვა სახის «ეკონომიკური პოლიტიკა»- თანმიმდევრული ინტერვენციონისტული და პოპულისტურიდან თანმიმდევრულ ლიბერალურ პოლიტიკამდე. ესე იგი ერთსა და იმავე დროს ცდილობდნენ შეექმნათ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შთაბეჭდილება და ამავე დროს ატარებდნენ არალიბერალურ პოლიტიკას. ეკონომისტების თუ პოლიტიკოსების ესა თუ ის ჯგუფი შეიძლება მომხრეები იყვნენ საბაზრო ეკონომიკისა, მაგრამ ამავე დროს – პოპულისტები, ინტერვენციონისტები, ნებისმიერ შემთხვევაში არა ლიბერალები. გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ტარდებოდა საბაზრო ეკონომიკის მომხრეების, თუ გნებავთ რეფორმატორების მიერ, მაგრამ არა ლიბერალების მიერ. ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ამ ხნის განმავლობაში იყო და არის ეკონომიკური პოპულიზმი, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია და ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვები.

კრიზისი, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა ეკონომიკურ პოპულიზმში. იგი წარმოიქმნა: სახელმწიფოს უუნარობით – შეესაბამებინა თავისი მოთხონები დინამიურად ცვალებად საშინაო და საგარეო პირობებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან, თავისი მოვალეობის მნიშვნელოვანი გაფართოებით; სახელმწიფოს მიერ ძირითადი ფუნქციის ზღვარს გადასული ვალდებულებების შესრულების წარუმატებელი მცდელობით (კერძო სექტორიდან, რესურსების ამოღებისა და შემდგომი გადანაწილების, აგრეთვე ბიუჯეტზე «მჯდომი» სტრუქტურების გაზრდის ხარჯზე), რომელიც არ შეესაბამებოდა არც ქვეყნის განვითარების მიღწეულ დონეს და არც მის ეკონომიკურ პოტენციალს.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რესურსების გადანაწილების მასშტაბების გაზრდას თან სდევდა მისი ერთდროულად წასვლა იმ სფეროებიდან, რომლებიც თვით სახელმწიფოს განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოედგენს. მოხდა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების ღრმა პრივატიზაცია, ფუნქციებისა, რომლებიც დაკავშირებულია ძალადობის განხორციელებასთან, ძალმომრეობასთან და სამეურნეო ცხოვრების წესებისა და ფორმების დადგენასთან. სახელმწიფომ არა თუ გამოავლინა კერძო კონტრაქტების შესრულების გარანტიების უნარი, არამედ, პირიქით, მასიურად დაიწყო თავისსავე მიერ დადებული ხელშეკრულებების დარღვევა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან მოჰყვა სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბების გაფართოება. ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება და შექმნილია იმისი რეალური პირობები, რომ იგი უფრო მეტად გაფართოვდება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სახელით. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ შემუშავებული და ჩვენს მიერ უკვე ნახსენები პროგრამა ითვალისწინებდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების წინ წამოწევას. მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ: პროგრამის მიღების შემდეგ აქტიური მცდელობა იყო, რომ დემოკრატიული გარდაქმნების მაგიერ სამინისტროებსა და უწყებებს დაებრუნებინათ ძველი სამეურნეო ფუნქციები, რამაც უკვე არსებული სახელმწიფო-ბიუროკრატიული წნეხი კიდევ უფრო გაზარდა.

სახელმწიფომ, გაზარდა რა ყველა მიმართულებით (გადასახადებით დაბეგვრა, რეპრესიული ფულადი პოლიტიკა, რეგულირება და სხვა) ეკონომიკური დატვირთვა

კერძო სექტორზე. ამით შეზღუდა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ეკონომიკური თავისუფლება. მიახლოებითი გაანგარიშებით გადასახადების სახით სახელმწიფო თავის განკარგულებაში მოაქცევდა კერძო სექტორის საერთო შემოსავლების 85%-ზე მეტს. სახელმწიფო რეგულირების და სხვა სახის, ხელოვნურად მოგონილი ბარიერების მასშტაბები (ლიცენზირება, ქვოტირება, სავალუტო და საბაჟო რეგულირება, ბიზნესის რეგისტრაციის ნებადართვის ხასიათი და სხვა) არსებითად გაიზარდა. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, მათ შორის ეკონომიკურ სფეროში დასაქმებული მუშაკების მნიშვნელოვანი შემცირების პარალელურად ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს მართვის იერარქიის სხვადასხვა დონეზე აპარატის მუშაკთა რაოდენობა. მოხდა არა იმდენად ეკონომიკის ლიბერალიზაცია,რამდენადაც სახელმწიფოსი. დასახელებულ პროგრამაში მოტანილი მონაცემებით, სახელმწიფო ხარჯებმა (სახელმწიფო ინვესტიციების გამოკლებით) მშპ-თან მიმართებაში შეადგინა 1996 წ – 7,7%, 1997 წ. – 10,2%, 1998 წ. – 9,9% და 1999 წ. – 11,2%.

შეიქმნა და მოქმედებს სამეურნეო მექანიზმის ისეთი სისტემა, რომელიც საფუძველშივე კლავს ნებისმიერი საქმიანობის წამოწყების ინიციატივას.

ამას ემატებოდა მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამმართველო აპარატის უუნარობა და სურვილის არქონა, იმუშაონ ახლებურად. ანაქრონიზმია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ თითქმის ყველაფერი მატერიალური და სოციალური სიკეთე მოვშალეთ და გავანადგურეთ, რაც კი გაგვაჩნდა სოციალისტური ეკონომიკის პირობებში, გარდა ეკონომიკის მართვის პრინციპების, ფორმების და მექანიზმებისა. მთელი ვერტიკალური იერარქიული კავშირების მიხედვით და არც თუ იშვიათად, ჰორიზონტალური კავშირების მიხედვითაც, სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა ადმინისტრირება, მართვის ადმინისტრაციულ–მბრძანებლური მეთოდები, დადგენილებების, კანონების და სხვათა სახით. ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით იმ აუცილებელ ცვლილებებს, რომლებიც თან უნდა მოჰყვეს ძველი სისტემის ეკონომიკური ბაზისის მოშლას, ვერ ვხედავდით, ან არ გვინდოდა დაგვენახა იმ შედეგების უპირატესობა, რომელიც თან სდევს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო ეკონომიკურ კავშირებს, პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის დროს სახელმწიფო მეურვეობის თუნდაც მცირედით შესუსტებას მაინც და სხვა.

აი ასეთ პირობებში გაუმართლებლად მიგვაჩნდა და დღესაც ამ მოსაზრებაზე ვართ საკონსტიტუციო ცვლილებები რათა შექმნილიყო მინისტრთა კაბინეტი. მინისტრთა კაბინეტი ხომ კიდევ ერთი მონსტრია, ბიუროკრატიული ინსტიტუტია თავისი უამრავი საშტატო ერთეულებით და მათ შენახვასთან დაკავშირებული ზღვარს გადასული ხარჯებით. მარტო სახელმწიფო მოხელეთა და მათი ოჯახის წევრების პირადი დაცვისა და კომფორტული მანქანებით გადაადგილების ხარჯები რომ ავიღოთ, მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს.

თუ მუშაობა გვინდა და განზრახული გვაქვს საზოგადოებისათვის რაიმე ღირებულის გაკეთება, მინისტრთა კაბინეტის უქონლობა არაფერს არ გვიშლიდა. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ვერ იქნა და ვერ შევცვალეთ ჩვენი მუშაობის სტილი, ძველი მანკიერი პრაქტიკა და ისევ ვაგრძელებდით კომუნისტურ-კომკავშირულ სისტემაში ჩამოყალიბებული მენტალიტეტით მუშაობას, როდესაც ყველას და ყველაფრის გაკეთება დამოკიდებული იყო ერთი კაცის ნებასურვილზე, (უკეთეს შემთხვევაში, ცენტრალურ კომიტეტზე და პოლიტბიუროზე). იმ დროს თუ ეს მკაცრად სავალდებულოდ ითვლებოდა, დღეს ხომ კონსტიტუციის ძალით შეზღუდულნი არა ვართ. მაგრამ, სამწუხაროდ, სამინისტროებში, უწყებებში რეგიონული მართვის სტრუქტურებსა და სხვა

დონის სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მოხელეები, პრეზიდენტის არაერთჯერადი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად გამოიჩინონ ინიციატივა და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები, მაინც უმოქმედოდ იყვნენ და იძულებულს ხდიდნენ მას (პრეზიდენტს) ჩართულიყო თითოეული საწარმოს პრობლემების მოგვარებაშიც კი.

მაშასადამე, მთავარია არა მინისტრთა კაბინეტის უქონლობა, არამედ ჩვენი მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლა, ისეთი სამეურნეო მექანიზმის შექმნა, რომელიც საფუძველშივე არ ჩაკლავს ნებისმიერი საქმიანობის წამოწყების ინიციატივას, არ შეგვიქმნის ხელოვნურ ბარიერებს. გასაკეთებელი კი ამ მიმართულებით ძალიან ბევრია. მაგალითის სახით დავასახელებთ ბაზარზე (დარგში) თავისუფალი შესვლის და იქ კონკურენციულ გარემოში ფუნქციონირების წინაშე სახელმწიფოს მხრიდან შექმნილ ბარიერებს. უამრავი რეგლამენტაციები, კანონმდებლობაში არსებული უზუსტობანი, მათი წაკითხვის მრავალვარიანტულობა ყოველ ნაბიჯზე შექმნილი დროებითი «კომისიები», «შტაბები», «შემსწავლელი ჯგუფები», «მებრძოლი კომისიები», როდესაც მათ შემადგენლობაში ისევ სახელმწიფო ნომენკლატურის წარმომადგენლები იყვნენ («მგელო ცხვარი გებარებოდესო») და სხვა ხელს უშლიდა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. განა შეიძლება რეალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე ლაპარაკი ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომელსაც, როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემები გვიდასტურებენ, კანონით აღჭურვილი ასზე მეტი მაკონტროლებელი ორგანო ჰყავდა? (ვიდრე ამის შესახებ მსოფლიო ბანკი არ გვეტყოდა, ხომ შეგვეძლო ჩვენ თვითონ დაგვეთვალა ისინი და შესაბამისი ღონისძიებები მიგვეღო?) ასეთ პირობებში საქმე იქამდის იყო მისული, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ინსტიტუტები ვეღარ უზრუნველყოფდნენ კანონების აღსრულებას, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მათი საკუთრების უფლების დაცვას. ხელისუფლება ისე იყო გადაჯაჭვული უკანონო წარმომავლობის ბიზნესთან, რომ ძალაუფლების მქონე პირები ან ოლიგარქების ნების აღმსრულებელნი იყვნენ, ან მისი წარმომადგენლები, კანონის საწინააღმდეგოდ თვითონ ეწეოდნენ ბიზნესს, უგულვებელყოფდნენ რა საზოგადოებრივ ინტერესებს.

სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი საქმიანობის გარშემო შემოჯარული კანონიერი თუ უკანონო ბორკილები ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდნენ კორუფციისა და ქაოსისათვის. საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადებით (17.VIII.2000) ქვეყანაში ყოველწლიურად იკარგებოდა 1 მილიარდ 700 მილიონი ლარი. გავიხსენოთ თუ როგორ შეფასებას აძლევდა ასეთ სიტუაციას ლაო ძი (VI-V ს-ში ძვ. წ.): «როდესაც ქვეყანაში ამკრძალავი კანონები ბევრია, ხალხი ხდება ღარიბი. როდესაც იზრდება კანონები, ბრძანებები, იზრდება ქურდებისა და ყაჩაღების რიცხვი» საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, რეფორმების განვლილ პერიოდში მოხდა მოსახლეობის ბუნებრივი ნიშნის მიხედვით მკვეთრად განსხვავებულ ფენებად დაყოფა. კერძოდ, მდიდრები მოსახლეობის 3-4%_ს შეადგენენ. ეს არის უმაღლესი რანგის პოლიტიკური ელიტა, ბიზნესის ელიტა და მსხვილი მესაკუთრეები. საშუალო ფენა შეადგენს 35-40%-ს. იგი ორ ჯგუფად იყოფა პირველი ე.ი. «ჩრდილოვანი» საშუალო კლასი (20-25%). ესენი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელმაც შეინარჩუნა ადმინისტრაციული ფუნქციები და შესაძლებლობა აქვთ სისტემური კორუფციის პირობებში ჩრდილოვანი საქმიანობითა და კორუფციით მიიღონ დამატებითი «მარცხენა» შემოსავალი. მეორე ჯგუფი, ახალი საშუალო კლასია, რომელიც ნაკლებია ჩრდილოვან საშუალო კლასზე (10-15%). ეს ჯგუფი ძირითადად, დასაქმდა კერძო სტრუქტურებში, ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებში, ვაჭრობისა და

საექსპორტო დარგებში, საბანკო საფინანსო სფეროში და ა. შ. ღარიბები მოსახლეობის დიდ ნაწილს 60-65%-ს შეადგენენ, მათ რიცხვშია სამეცნიერო ინტელიგენცია, კვალიფიციური მუშები და სოციალურად დაუცველი ფენა – პენსიონერები, ლტოლვილები, ინვალიდები და ა. შ.

საქმე იმაშია, რომ მდიდართა ჯგუფებში შემავალი ადამიანები იმიტომ კი არ მოხვდნენ ამ ჯგუფში, რომ მეტად ჭკვიანები, გულმოდგინე მოღვაწეები, გერგილიანები, მეწარმეობრივი უნარით დაჯილდოებული არიან და ამიტომ გაიჭრნენ წინ ბუნებრივ ეკონომიკურ შეჯიბრში. ძალიან ბევრი დიდი ქონების პატრონი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სსრკ-ის დაშლამდე დაკავებული თანამდებობის წყალობით მათ საშუალება მიეცათ, ჯერ-ერთი შეენარჩუნებინათ ეს თანამდებობები და, მეორე, ესარგებლათ კანონებში, უწინარეს ყოვლისა კი, პრივატიზაციის შესახებ სხვადასხვა ეტაპზე მიღებულ კანონში ჩადებული მანიპულირების შესაძლებლობით, აგრეთვე, სახელმწიფო მოხელეების კორუმპირებულობით. ნამდვილი მუშაკი ეკონომიკურად განთავისუფლების მაგიერ დამოკიდებული გახდა ფინანსურ სპეკულიანტებზე და კრიმინალურ წრეებზე.

ნუ დაგვავიწყდება, რომ საზოგადოება რაც უფრო მეტ სახსრებს გამოყოფს მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის შემქმნელი ადამიანებისათვის, მით მეტ სარგებელს მიიღებს. ა. მარშალის მტკიცებით, ქვეყნის სიმდიდრის განაწილებაში ყოველგვარმა ცვლილებამ, რომელიც გამოყოფს დიდ ნაწილს მუშების ხელფასებისათვის და ნაკლებს კაპიტალისტებისათვის, სხვა თანაბარ პირობებში უნდა დააჩქაროს მატერიალური წარმოების ზრდა, თანაც იგი რამდენადმე შესამჩნევადაც კი არ შეაფერხებს მატერიალური დოვლათის დაგროვებას.[1]

უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო მართვის იერარქიის ყველა დონეზე ბიუროკრატიული აპარატის რაოდენობისა და მათზე გაწეული ხარჯების მაქსიმალური შემცირება (აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ პარლამენტის წევრების რაოდენობასაც და მათზე გაწეულ ხარჯებსაც). ამასთან, ყოველივე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაირღვეს ადამიანთა უფლებები შრომაზე.

«ვარდების რევოლუციის» შემდეგ განხორციელებული სტრუქტურული გარდაქმნები, რომელსაც მოსდევს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე სამმართველო აპარატის მუშაკთა გამოთავისუფლება და მათი უშუალო ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმა, გვაფიქრებინებს, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდება საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობა, რაც ეკონომიკური დემოკრატიის გამოვლინებაა. აქვე უნდა შევნიშნოთ საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრის არაადექვატური პოზიციის შესახებ: მთავრობა, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად აყენებს მარეგულირებელი კომისიების რიცხვის შემცირებას, მათი, როგორც ბიუროკრატიული ორგანოდან (არც თუ იშვიათად კორუფციული) ქმედით ორგანოდ გარდაქმნის აუცილებლობას. პარლამენტი არა ღებულობს ამ წინადადებებს.

ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს, დაჩქარდეს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპების დანერგვა, შეიქმნას ნამდვილად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, ყველასათვის ერთნაირად მისაღები სამართლიანი კანონებით და ამ კანონების სამართლიანი აღსრულებით. ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად უნდა «დამარცხდეს ფიზიკური აუცილებლობის დესპოტიზმი და შესუსტდეს ეკონომიკური სისტემების ბორკილები» (ფ. ჰაიეკი).

[1] А. Маршал. Принципы экономической науки. м. 1993. Книга 1. стр. 308.

ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად სახელმწიფო სტრუქტურებში თავი უნდა დაანებონ ეკონომიკაში ტოტალურ ჩარევას და მთავარი აქცენტი გადაიტანონ ისეთი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებაზე, როგორიცაა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ბაზრის მონაწილეთა საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათთვის სამეურნეო ცხოვრების ერთიანი, თანაბარი, გამჭვირვალე და სტაბილური პირობების შექმნა და ამ პირობების კანონმდებლობის სახით გაფორმება, ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას მათთვის ხელოვნური, ბიუროკრატიული შეზღუდვების მოსპობა, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა, სამეურნეო კონტრაქტების აღსრულების უზრუნველყოფა, კანონების პატივისცემის დამკვიდრება.

უნდა მოხდეს საკანონმდებლო აქტების რევიზია და იმ დებულებების და ნორმატივების გაუქმება, რომელშიც სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეზე მოკალათებულ ჩინოვნიკებს ხელში უგდებს უამრავი საკითხების გადაწყვეტას სუბიექტური შეხედულებების მიხედვით. ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა შორის შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურების კიდევ უფრო გამარტივება, ნებართვის გამცემი ინსტანციების მინიმუმამდე დაყვანა ისეთნაირად, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მეწარმეობის დაწყების ნებართვის მისაღებად სათანადო დოკუმენტების შესაქმნელად და ხელმოწერებისათვის სიარული არ დასჭირდეს ათობით დაწესებულებებში უნდა შემოღებული იქნეს «ერთი ფანჯრის პრინციპი», სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის შესაბამისი ლიბერალური კანონების დამუშავება, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების მკვეთრი გაიაფება და სხვა.

ლიცენზირებული საქმიანობის სახეების მინიმუმამდე შემცირება. საკანონმდებლო აქტებით აიკრძალოს ლიცენზირების სერტიფიკაციის და სხვათა შემოღების ნებისმიერი ღია თუ ფარული ხერხების გამოყენება, თუ ამას არ ითვალისწინებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი.

ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში სტრუქტურული რეფორმების განხორციელება ისეთნაირად, რომ მისგან გამოიყოს ყველა ის საქმიანობა, რომლის რეალიზაციაც ხდება კონკურენტულ გარემოში ისეთი პირობების შექმნა, რომ გამჭვირვალე იყოს კომპანიამონოპოლისტების საქმიანობა, სავალდებულო იყოს მათი ანგარიშების პრესაში გამოქვეყნება.

საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის. ამ მიზნით ყველასათვის ხელმისაწვდომი რეესტრის შექმნა, კომპანიებისათვის და მათი საქმიანობის საჯაროობის მიღწევა.

ყბადაღებული საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია; ყური უნდა დავუგდოთ ცნობილ ეკონომისტებს (და არა მარტო მათ) და გავითვალისწინოთ მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. ნობელის პრემიის ლაურეატის ფიშერის შეფასებით, საქართველოს პირობებში საერთო შემოსავლიდან 18%-იანი გადასახადის დაკანონების შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლები სამჯერ გაიზრდება. (იხ. ჟ. «გზა» 16-22 ნოემბერი 2000 წელი). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აშშ-ის 43-ე პრეზიდენტმა თეთრ სახლში მისვლის პირველსავე დღეს (18.12.2000 წ.) განაცხადა გადასახადების შემცირების აუცილებლობის შესახებ. უფრო ადრე ასევე მოიქცა რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი. ჩვენ კი უკვე რამდენი წელია, თავი ვერ დავაღწიეთ ძველი «საგადასახადო კოდექსის» კაბალური უღლისაგან. კოდექსის ათასობით შესწორება იყო მიღებული და ყოველ შესწორებას მისი კიდევ უფრო გამკაცრება მოსდევდა.

პარლამენტის მიერ ახლად მიღებული საგადასახადო კანონი ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა მისი მოქმედებაში შესვლამდე უკვე გამოვლინდა მრავალი უარყოფითი მომენტი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბუღალტრო აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მასიურ დანერგვას.

საკანონმდებლო აქტებში არსებული ხარვეზები, ბუნებრივია, ხელს უშლის ისეთი მატერიალური პირობების შექმნას რომლებიც ესაჭიროება ეკონომიკური დემოკრატიზაციის პრინციპების რეალიზაციას. სამწუხაროდ დღეს ჩვენთან არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას არა აქვს იმის საშუალება, რომ საკმარისად უზრუნველყოს ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები. კონსტიტუციურად აღიარებული ეკონომიკური თავისუფლება ჯერ ვერ არის მატერიალური პირობებით განმტკიცებული. იგი ჯერ რეალური თავისუფლება არ არის. იგი მხოლოდ ორიენტაციას იძლევა ამისათვის. ნამდვილი თავისუფლების გზა გადის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. პიროვნების სრული განთავისუფლება და თავისუფლების გრძნობა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევით. თავისუფლება დეკლარაცია არ არის. იგი რეალობაა და მიღწევადია მხოლოდ ეკონომიკის აღმავლობისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხის, განვითარებული მეცნიერების, კულტურის და ხელოვნების პირობებში, მკაცრი სამართლიანი საკანონმდებლო წესრიგის დროს.

უნდა შეიქმნას ფასეულობების ჩამოყალიბებისა და დომინირებისათვის ისეთი პირობები, რომლებიც მოქალაქეებს აუმაღლებს შემოქმედებითი ძიებისაკენ და გერგილიანობისაკენ სწრაფვას, გაუზრდის პასუხისმგებლობას და მოთხოვნილებას თავისი თავის მიმართ, გაუძლიერებს სხვების აზრისა და უფლებების მიმართ პატივისცემას.

4.2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე როგორც ეკონომიკური დემოკრატიის შემაფერხებელი ფაქტორი

4.2.1. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი

ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განმტკიცების გზაზე ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად განვიხილავთ ქართული სახელმწიფოს სისუსტეს, მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს.

ზემოთ ჩვენს მიერ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ მოტანილი დასკვნების ფონზე უცნაურად რომ არ გვეჩვენოს ეს დებულება, მივყვეთ მსჯელობას და განვიხილოთ, თუ რას ვგულისხმობთ ქართული სახელმწიფოს სისუსტეში.

საქართველოს არსებობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ადამიანების ცნობიერებაში ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობას გადაცემული რწმენა მეფეთა უძლეველობის შესახებ, მათი საყოველთაო სიკეთისა და ქველმოქმედების შესახებ, იმის შესახებ, რომ ისინი ბრძოლებში თუ მშვიდობიან პერიოდში ხალხთან იყვნენ, ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. გასაკვირი არ არის რომ დღევანდელი საზოგადოების უმეტეს ნაწილს მაინც სახელმწიფოს იმედი აქვს ყველაფერში, მას სჯერა, რომ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის წინაშე მდგომი ყველა პრობლემა და იმედი აქვს მისი. აღნიშნულს თუ იმასაც დავამატებთ, რა როლს ასრულებდა სახელმწიფო ეკონომიკაში, ყოველი ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევამდისაც კი სოციალიზმის მშენებლობის 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ბუნებრივად გვეჩვენება ქართველი საზოგადოებრიობის

შეგნებაში დირიჟირიზმისაკენ მიდრეკილება, რაც იმას ემსახურება, რომ სახელმწიფომ აქტიური, წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკაში, და აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ამაღლების მომხრეები თვლიან, რომ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდა, მისი სტიმულირება შესაძლებელია მიღწეული იქნეს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური სამრეწველო პოლიტიკის, ძირითად და საბრუნავ კაპიტალში სახელმწიფო ინვესტიციების, პრივატიზაციის შედეგებისა და ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის განმტკიცების გზებით და მეთოდებით. მათი აზრით, ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს საგარეო–ეკონომიკურ ურთიერთობებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, რომელიც შეზღუდავდა იმპორტული საქონლის და მომსახურების მხრიდან კონკურენციას. ასეთი კონცეფციის შესაბამისად მთელი მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ამაღლება მიიღწევა სოციალური გარანტიებისა და შეღავათების არსებული სისტემის შენარჩუნებით, მოსახლეობის ნომინალური შემოსავლების გაზრდის გზით მოთხოვნის სტიმულირებით, რეფორმების განვლილ პერიოდში სხვადასხვა ფორმით უკვე არაერთხელ დაკარგული დანაზოგების ბიუჯეტის ხარჯზე უკან დაბრუნებით და სხვა. აღნიშნული კონცეფციის უსაფუძვლობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქვეყანაში მთლიანად შეგროვილი გადასახადების ჯამი ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ყველა ჩანაფიქრის რეალიზაციას. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ძირეულად ეწინააღმდეგება ა. სმითის ეკონომიკური თავისუფლების იდეას და არავითარი სარგებელი არ მოაქვს ქვეყნისათვის[1].

განვლილი თხუთმეტი წლის პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის რეფორმირების დირიჟორული მოდელი არ გამოგვადგება ქვეყნის აღმავლობისათვის, ვერ უზრუნველყოფს იგი დასახული მიზნების შესრულებას. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ითვალისწინებს არსებულ რეალურ შეზღუდვებს, რესურსების უკმარისობას. განვლილ პერიოდში ისიც ნათლად დავინახეთ, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ნებისმიერ გაფართოებას თან სდევდა ბიუროკრატიზმის გაძლიერება. სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე კორუფციის აყვავება, პირადი ინტერესების სასარგებლოდ სახელმწიფო ინტერესებისათვის ღალატი, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის გაღატაკება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება, მისი საერთაშორისო დონეზე იმიჯის გაუარესება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

აღნიშნულის დასახასიათებლად გავაანალიზოთ ეკონომიკური ზრდის ორი ინტეგრალური მაჩვენებელი - რეალური მშპ-ის ინდექსი და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ.

უკანასკნელ წლებში უცხოურ წყაროებში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ის ქვეყნებში (სულ 26 ქვეყანა საქართველოს ჩათვლით) რეალური მშპ-ის დინამიკა 1989-1998 წლების განმავლობაში არასახარბიელო სურათს იძლევა. მაგრამ, თუ არ გავითვალისწინებთ იუგოსლავიას, სადაც ცნობილი მიზეზების გამო 1998 წელს კატასტროფული მოვლენები განვითარდა, განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა საქართველოში აღინიშნა. 1989 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი საქართველოსათვის შეადგენდა (%-ში): 1990 წ. – 84,9; 1991 წ. – 67,0; 1992 წ. – 36,9; 1993 წ. – 26,1; 1994 წ. – 23,4; 1995 წ. – 24,0; 1996 წ. – 26,6; 1997 წ.- 29,6; 1998 წ. – 30,0. ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე პოლონეთს იგი ჩამორჩებოდა 1990 წ. 1,04-ჯერ, 1991 წ. – 1,23-ჯერ, 1992 წ. – 2,29-ჯერ, 1993 წ. – 3,36-ჯერ, 1994 წ. – 3,94-ჯერ, 1995 წ. – 4,11-ჯერ, 1996 წ. – 3,93-ჯერ, 1997 წ. – 3,75-ჯერ, 1998 წ. – 3,84-ჯერ. საქართველოს

[1] დაწვრილებით იხ. ა. სმითის დასახელებული შრომა. წიგნი IV. თავი II და III. თ. 1935 წ. (რუსულ ენაზე)

შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანას კი (მოლდოვა) – 1,15-ჯერ, 1,20-ჯერ, 1,55-ჯერ, 2,16-ჯერ, 1,77-ჯერ, 1,60-ჯერ, 1,33-ჯერ, 1,21-ჯერ, 1,08-ჯერ შესაბამისად.

მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით (ისევ 1989 წელთან მიმართებაში) რუმინეთის, სლოვენიისა და ხორვატიის გარდა ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით საქართველოს უკეთესი სასტარტო მახასიათებლები ჰქონდა. მაგალითად 1980-1989 წ.წ. თუ იგი საქართველოში შეადგენდა 1980 წ. – 79,4; 1985 წ. – 100,0; 1986 წ. – 98,8; 1987 წ. – 103,6; რუმინეთში უდრიდა (შესაბამისად): 88,5; 103,4; 105,8; 106,7; 106,7; 106,2. სლოვენიაში: 98,9; 100,9; 104,1; 103,5; 100,5. ხორვატიაში: 99,0; 99,8; 102,5; 101,1. დსთ-ის ქვეყნებში მშპ-ის მოცულობა 2000 წელს 1990 წელთან მიმართებაში საშუალოდ შეადგენდა 62,2%, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 55,0%, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით) 62,0%, ძირითად კაპიტალში ინვესტიციები (ფინანსირების ყველა წყარო) 29,0%, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებლებით საქართველო უკანასკნელ ადგილზე იმყოფებოდა და შესაბამისად შეადგენდა: 37,8%; 18,0%; 58,0%; ყაზახეთისა და უკრაინის გარდა. ორივეგან – 52%; 7,0%[1]. რაც შეეხება საანალიზოდ აღებულ მეორე მაჩვენებელს – მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულ მშპ-ს, ამის მიხედვითაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფონზე (15 ქვეყანა) საქართველოში ყველაზე უარესი მდგომარეობა იყო. 1999 წლის მონაცემებით მხოლოდ ტაჯიკეთს და მოლდავეთს ვუსწრებდით, ისიც მცირედით (1202 დოლარით და 205 დოლარით შესაბამისად). მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში შეადგენდა 1950 დოლარს, ტაჯიკეთში – 748 დოლარს და მოლდავეთში - 1745 დოლარს. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებათ (45 ათას დოლარზე მეტი): ესტონეთს (9096 დოლარი), ლატვიას (6341 დოლარი), ბელორუსიას (5722 დოლარი) და რუსეთს 4539 დოლარი).[2] რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები წინ გვისწრებენ შესაბამისად: 4,66-ჯერ; 3,25-ჯერ; 2,93-ჯერ; 2,32-ჯერ.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია «ცხოვრების ხარისხი». ცნობილია, რომ მსოფლიო მასშტაბით «ცხოვრების ხარისხის» ყოველწლიურ შეფასებას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობა, უმუშევრობის დონე, ფასების სტაბილურობა, ხელფასებისა და პენსიების ვალები, საგარეო დავალიანებების მომსახურების ანაზღაურების წილი სახელმწიფო ხარჯებში, საგარეო სავაჭრო ბალანსი და ა. შ. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყნად არის შეფასებული (იხ. ცხრილი 4.1).

ცხრილი 4.1.

ცხოვრების ხარისხის რეიტინგის შეფარდებითი
მაჩვენებლები ყოფილი სსრკ-ის ზოგიერთ რესპუბლიკაში 2000-2001 წწ. (ბალებში)[3]

	2000	2001
ესტონეთი	54	44
ლიტვა	54	47
ლატვია	63	50
ბელორუსია	59	51

[1] ევროპის ეკონომიკური მიმოხილვა. ჟენევა, ნიუ-იორკი, 1999 წ. სექტემბერი (ინგლისურ ენაზე). მასალები ჩვენ ნასარგებელი გვაქვს ჟურნალიდან. «Вопросы экономики», №6, 2000. стр. 46.

[2] იხ. «Российский экономический журнал», №5-6, 2001, стр. 62, 64.

[3] ბალების რიცხვი მიუთითებს მოცემული ქვეყნის მიერ დაკავებულ ადგილს მსოფლიოში.

რუსეთი	62	55
უკრაინა	91	74
საქართველო	85	76
აზერბაიჯანი	103	79
უზბეკეთი	92	99
ყირგიზეთი	97	92

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, 2000 წელს საქართველოს ეკავა ოცდამეხუთე ადგილი, ხოლო 2001 წელს სამოცდამეთექვსმეტე ადგილი მსოფლიოში. 2000 წელს საქართველოსთან შედარებით ცხოვრების უფრო მაღალი რეიტინგით გამოირჩეოდნენ ესტონეთი (54-ე ადგილი), ლიტვა (54-ე ადგილი), ლატვია (63-ე ადგილი), ბელორუსია (59-ე ადგილი), რუსეთი (62-ე ადგილი). მიუხედავად იმისა, რომ 2001 წელს 2000 წელთან შედარებით საქართველომ 85-ე ადგილიდან 76-ე ადგილზე გადაინაცვლა, მაინც მასზე უფრო მაღალი საფეხური უკავია ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას, ბელორუსიას, რუსეთს, უკრაინას (44-ე 47-ე, 50-ე, 51-ე 55-ე 74-ე ადგილები შესაბამისად) და მხოლოდ სამ რესპუბლიკას უსწრებდა წინ: აზერბაიჯანს (79-ე ადგილი), ყირგიზეთს (92-ე ადგილი) და უზბეკეთს (99-ე ადგილი).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ «ცხოვრების ხარისხის» მაღალი რეიტინგი წარმოადგენს ერთგვარ სიგნალს იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და იქ დაბანდებული კაპიტალი შედარებით დაბალ რისკს შეიცავს. გარდა ამისა, «ცხოვრების ხარისხის» მაღალი რეიტინგი გვიჩვენებს, რომ მოცემულ ქვეყანაში შედარებით უფრო შემსუბუქებულია სავალო ტვირთი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე მიგვანიშნებს აგრეთვე სხვა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა (მთლიანი შიდა პროდუქტი, სამრეწველო პროდუქცია, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, სატრანსპორტო საწარმოთა მიერ ტვირთების გადაზიდვა და საცალო საქონელბრუნვა) შედარება დსთ-ს ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან 2000 წელს 1990 წელთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 4.2).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველო ყველა დასახელებული მაჩვენებლით ჩამორჩება დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს: მშპ-ის მიხედვით – 24,4 პროცენტული პუნქტით, სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით – 37 პროცენტული პუნქტით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციით – 4 პროცენტული პუნქტით, საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვით – 10 პროცენტული პუნქტით, საცალო საქონელბრუნვით – 46,8 პროცენტული პუნქტით. 2000 წელს 1990 წელთან შედარებით საქართველო ჩამორჩება მშპ-ის მაჩვენებლით დსთს ყველა ქვეყანას, მოლდავეთის გარდა; სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით ყველა ქვეყანას; სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციით – ყველა ქვეყანას, ყირგიზეთის, მოლდავეთის და ტაჯიკეთის გარდა; საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვით – ყველა ქვეყანას, სომხეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთის და ტაჯიკეთის გარდა; საცალო საქონელბრუნვით ყველა ქვეყანას ყაზახეთის, მოლდავეთის და ტაჯიკეთის გარდა.

ცხრილი №4.2

ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მნიშვნელობები დსთ-ს ქვეყნებში 2000 წელს 1990 წელთან შედარებით (% შესადარ ფასებში)[1]

[1] წყარო: Д. Мацнев, Макроекономика СНГ. Десятилетие реформ, ,,Росийский экономический журнал» №5-6, 2001, გვ.62 და 64

მაჩვენებლები / ქვეყნები	მშპ	სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა	სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა (მეურნეობის ყველა კატეგორიები)	საერთო სარეზერვო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა (მილსადენების გარეშე)	საცალო საქონელ ბრუნვა (რეალიზაციის ყველა არხები)
საშუალოდ დსთ-ს ქვეყნებში	62.2	55.0	62.0	22.0	68.8
მსშ აზერბაიჯანი	59.1	32.0	62.0	26.0	92.2
სომხეთი	67.8	51.0	112.0	2.0	44.6
ბელორუსია	87.9	96.0	71.0	17.0	100.9
საქართველო	37.8	18.0	58.0	12.0	22.0[1]
ყაზახეთი	69,4	58,0	52,0	37,0	15,0[3]
ყირგიზეთი	66,1	59,0	93,0	6,0	44,4
მოლდავეთი	33,7	34,0	50,0	9,0	10,8[3]
რუსეთი	64,6	54,0	62,0	19,0	86,4
ტაჯიკეთი	57,8[2]	41	38.0	5.0	0.7[3]
თურქმენეთი	-	-	-	-	-
უზბეკეთი	98.7	133	97	69.0	97.2
უკრაინა	43.3	58	52	15.0	32.4[3]

1 – სავაჭრო ორგანიზაციები;

2-3. - 2000 წ. 1992 წელთან

საქართველოში შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით ანალოგიურად არასახარბიელო ტენდენციაა:

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონემ (აშშ-ის დოლარებში) საქართველოში 1990 წ. შეადგინა 12500 დოლარი. შემდგომ წლებში იგი იკლებს და 1995 წელს შეადგენდა 4000 დოლარს, ხოლო 1997 წლისათვის უმნიშვნელოდ გაიზარდა და გახდა 5250 დოლარი. აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში ყველაზე დაბალი მნიშვნელობისაა როგორც მთელი მსოფლიოს მრეწველობაში დაფიქსირებული შრომის ნაყოფიერების დონესთან შედარებით, ისე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან, აშშ-სთან, «დიდ შვიდეულთან», განვითარებად ქვეყნებთან, ლათინურ ამერიკასთან, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის და დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით (იხ. ცხრილი 4.3).

ცხრილი №4.3

საქართველოს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონესთან მიმართებაში 1990 წ. ფასებით (%)[1]

წლები / ქვეყნები	1990	1995	1997
საქართველო	100	100	100
მთელი მსოფლიო	150,6	481,3	375,2
დასავლეთის განვ. ქვეყნები	349,6	1126,3	881,0

[1] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ. წყარო: Мировая экономика. тенденции 90-х годов, М. 1999, გვ.286.

აშშ	468,0	1592,5	1282,0
«დიდი შვიდეული»	366,4	1172,5	926,7
განვითარებადი ქვეყნები	84,0	313,8	245,7
ლათინური ამერიკა	106,2	358,8	287,6
ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, ბალტიისპირეთი	129,6	347,5	301,9
დსთ-ს ქვეყნები	103,6	225,0	180,9

ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ეკონომიკის დაცემის ერთ-ერთი გამოვლინებაა უმუშევრობის მაღალი დონე და საგარეოეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული უარყოფითი მოვლენები. თუ 1991 წელს ამ მაჩვენებელმა საქართველოში შეადგინა 0,1%, 2000 წელს იგი უდრიდა 14,9%. ამასთან, საქართველო ამ მაჩვენებლით დსთ-ს ყველა ქვეყანას ჩამორჩება.

კერძოდ, უმუშევრობის დონე 0,8 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალია, ვიდრე ყაზახეთში, 1,0 პროცენტული პუნქტით, ვიდრე აზერბაიჯანში, 3,2 პროცენტული პუნქტით, ვიდრე რუსეთში, 3,1 პროცენტული პუნქტით, ვიდრე სომხეთში, 10,6 პროცენტული პუნქტით, ვიდრე უკრაინაში, 12,8 პროცენტული პუნქტით, ვიდრე ბელორუსიაში, 12,9 პროცენტული პუნქტით, ვიდრე მოლდავეთში, 13,1 პროცენტული პუნქტით, ვიდრე ტაჯიკეთში, 14,3 პროცენტული პუნქტით, ვიდრე უზბეკეთში (იხ. ცხრილი 4.4).

ცხრილი 4.4.

უმუშევრობის მაჩვენებელი დსთ-ს ქვეყნებში (%)[1]

ქვეყნები \ წლები	1991	2000
აზერბაიჯანი	-	13,9
სომხეთი	-	11,6
ბელორუსია	0,1	2,1
საქართველო	0,1	14,9
ყაზახეთი	0,1	14,1
ყირგიზეთი	-	-
მოლდავეთი	0,0	2,0
რუსეთი	-	11,7
ტაჯიკეთი	0,0	1,8
თურქმენეთი	2,0	-
უზბეკეთი	0,0	0,6
უკრაინა	0,0	4,3

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2001 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 11,4 პროცენტი უმუშევარი იყო. უმუშევართა 45,6% ქალია. უმუშევრობის დონე ქალაქად უფრო დიდია, ვიდრე სოფლად. უმუშევრობის დონემ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით, სოფლად – 2,7%, ქალაქად – 22,7%, საერთოდ ქვეყანაში კი – 11,4% შეადგინა.

რაც შეეხება დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული უმუშევრების რიცხოვნობას, 2001 წლის ცხრა თვეში იგი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 34,1%-ით გაიზარდა და საშუალოდ 108,4 ათასი კაცი შეადგინა.

[1] წყარო: Н. Зиядуллаев, Современная экономическая ситуация в СНГ, ж, «Экономист» №1, 2002, გვ. 82.

ამავე პერიოდში რეგისტრირებული თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა თითქმის 28%-ით შემცირდა და 2,5 ათასი შეადგინა.[1]

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებშიც სახეზეა სირთულეები, რაც უწინარეს ყოვლისა, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მონაცემების გაუარესებაში გამოიხატა. კერძოდ: 2001 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1004,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რომელშიც მხოლოდ 320,0 მლნ. დოლარი, ანუ 31,9% მოდის ექსპორტზე (წინა წლის 97,0%), ხოლო 68,1) – იმპორტზე.

2001 წლის საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითი იყო და შეადგინა 364,1 მლნ. აშშ დოლარი.

ქვეყნის სავაჭრო ბალანსში ჩამოყალიბებული უარყოფითი ტენდენციის შესახებ განზოგადებულ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი ცხრილის მონაცემები (იხ. ცხრილი 4.5).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ქვეყნების რაოდენობა, რომლებთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა, 2001 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 9 ერთეულით, ანუ 111,8%-ით, ხოლო დადებით სავაჭრო ბალანსის ქვეყნების რაოდენობა 36-დან შემცირდა 30-მდე. 2001 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 85 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტმა 384,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 76 ქვეყნისა და 334,5 მლნ. დოლარისა 2000 წელს, სულ დეფიციტი წლის განმავლობაში უდრიდა 364,1 მლნ. აშშ. დოლარს.

ცხრილი 4.5

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 2000-2001 წლებში[2]

ქვეყნები / წლები	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი, მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2000 წ.	76	334,5
2001 წ.	85	384,2
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2000 წ.	36	13,6
2001 წ.	30	20,1
სულ		
2000 წ.	112	-320,9
2001 წ.	115	-364,1

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის შეზღუდულობაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, საქართველოში წარმოებული საზღვარგარეთ გადატვირთული პროდუქციის დაბალი ხვედრითი წილი. 2000 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 25,9%, ხოლო 2001 წ. -31,8%[3].

[1] წყარო: საქართველოს სსდ (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი), საქარ-თველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2001 წელს, თბ. 2001. გვ. 44-45.

[2] წყარო: საქართველოს სსდ, საქართველოს სოციალური მდგომარეობა 2001, თბ. 2001 წ. გვ.45

[3] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სსდ-ს შესაბამისი წლების მონაცემების საფუძველზე.

1996-2001 წწ. საგრძნობლად გაიზარდა სამართალდარღვევები, ავტოსაგზაო შემთხვევები და ხანძრები საქართველოში (იხ. ცხრილი 4.6)

ცხრილი 4.6

სამართალდარღვევები, ავტოსაგზაო შემთხვევები და ხანძრები საქართველოში 1996-2001 წწ. (%)[1]

წლები / მაჩვენებლები	1996	1997	1998	1999	2000	2001
რეგისტრირებული დანაშაული სულ	100,0	95,8	102,7	97,7	103,8	108,1
აქედან:						
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, შენახვა, გასაღება	100,0	97,2	99,3	113,3	138,4	147,7
ეკონომიკის დარგში ჩადენილი დანაშაული	100,0	130,5	144,1	171,2	239,4	299,1
ავტოსაგზაო შემთხვევა	100,0	101,0	107,7	109,5	105,0	119,1
მომხდარი ხანძარი	100,0	99,3	122,5	146,5	154,8	147,7

ზემოაღნიშნული ციფრობრივი მასალა ცხადყოფს საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს, და, მაშასადამე, მის წინაშე არსებულ საფრთხეს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საქართველოს რეგიონებში.

ჩვენს მიერ საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს მხოლოდ სამ რეგიონს (ქ. თბილისი, იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონები) გააჩნია გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების შედარებით უპირატესი პირობები. ამ სამ რეგიონზე მოდის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოტენციალის უმეტესი ნაწილი. კერძოდ, სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის 80,7%, სამრეწველო საწარმოების მიერ საკუთარი წარმოების გადატვირთული პროდუქციის 80,6%, საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვის 68,2%, საწარმოებში და ორგანიზაციებში მომუშავეთა 61%, სამომხმარებლო საქონლის წარმოების 66%, საცალო ვაჭრობის მოცულობის 78,4%, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 62%, გასავლების - 62,1%, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების 78,3%. და ბოლოს ამ სამ რეგიონში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 53,8%. მათ შორის მარტო ქ. თბილისის ხვედრითი წილი ჩამოთვლილ მაჩვენებლებში შეადგენს შესაბამისად (%): 42,3; 38,0; 43,8; 45,7; 48,4; 59,4; 46,4.

ერთი შეხედვით, ეს თითქოს კარგია. მართლაც, განა ცუდი რით უნდა იყოს, რომ ეკონომიკის განვითარების საერთო ჩამორჩენილობის ფონზე რამდენიმე რეგიონი მაინც გამოირჩევა შედარებით მაღალი მაჩვენებლებით? თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით აღნიშნული მდგომარეობა შეიცავს დიდ საშიშროებას, რადგან ქვეყნის უთანაბრო განვითარების ტენდენცია, რომელიც კანონზომიერად და შეგნებულად

[1] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სსდ-ს შესაბამისი წლების მონაცემების საფუძველზე.

ინერგებოდა ბოლო 200 და მეტი წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება, მისი სრული აღმოფხვრა კი მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შეუძლებელია. თბილისი, როგორც სამეურნეო სუბიექტი, დღეს ყველაზე ტევადი ბაზარია. აქ წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების უმეტეს რაოდენობაზე მოთხოვნა, იგი ხასიათდება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ყველაზე მაღალი დონით, სამუშაო ძალის საუკეთესო კვალიფიკაციით. აქ განთავსებულია საზღვარგარეთისა და სამამულო წამყვანი კომპანიების შტაბბინები, უცხო ქვეყნების საელჩოები, წარმომადგენლობები და სხვა. ქ. თბილისში, ქვეყნის სამრეწველო და სავაჭრო ობიექტების გარდა, თავმოყრილია სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, პოლიტიკური, მმართველობითი ორგანოებისა და სხვა ამგვარი სტრუქტურების და დასაქმებული ადამიანების უდიდესი უმრავლესობა. ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებასა და ქვეყნის უთანაბრო განვითარების კიდევ უფრო გაღრმავებას.

აქედან გამომდინარე, რეგიონების უთანაბრო განვითარება, განსაკუთრებით, დედაქალაქის «თავკომბალად» გადაქცევა მიგვაჩნია ქვეყნის დიდ საფრთხედ, ასეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა – ეს პროცესი შეიძლება ხვალ და ზეგ დამღუპველიც აღმოჩნდეს.

უფრო მეტიც, როგორც ეკოლოგიის სფეროში მომუშავე მეცნიერები ამტკიცებენ, ქვეყნის უთანაბრო განვითარება და რომელიმე რეგიონში მთელი ქვეყნის სამრეწველო თუ კულტურულ-სოციალური ინფრასტრუქტურების თავმოყრა ობიექტურად იწვევს მთელი რიგი ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სოციალურეკო-ლოგიური პრობლემების წარმოქმნას.[1]

უნდა მოველოდეთ, რომ ქვეყნის ცალკეული ტერიტორიის (განსაკუთრებით ქ. თბილისის) გადატვირთვა დააჩქარებს გეოლოგიური (სეისმური) პროცესების განვითარებას. საქართველო ხომ ამ პროცესების აქტიურ ზონაში იმყოფება.

ერთი მომენტიც: საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონულ ჭრილში ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ნათლად გვიჩვენებს, რომ ქ. თბილისში უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმებით (უმუშევარი ეძებს სამუშაოს, მზად არის დაიწყოს მუშაობა) შეადგენს 32,2%-ს, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. კერძოდ, კახეთში – 9,9%, შიდა ქართლში – 10,9%, ქვემო ქართლში – 9%, სამცხე-ჯავახეთში – 7,1%, აჭარის ა/რ-ში – 13,1%, გურიაში – 8%, სამეგრელოში – 9,7%, იმერეთში – 15 2%, საშუალოდ საქართველოში – 15,7%.[2]

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას (სულ 22 მაჩვენებელი), დეპრესიულ რეგიონთა ჩამონათვალში მოხვდნენ: სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონები. ამათგან ზედეპრესიულ რეგიონებად მიჩნეულია: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონები.

აღნიშნული დასკვნების სისწორე შემოწმებულია 1996-2000-2001 წლებში ჩატარებული ექსპერტული შეფასებებით. რესპოდენტები გამოვკითხეთ ქ. თბილისში, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ქალაქებში და სოფლებში. ნიშანდობლივია, რომ 1996 წელს რესპოდენტთაგან მიღებული შედეგები უმნიშვნელო გადახრებით ემთხვევა 2000-2001 წწ. მიღებულ შედეგებს. 1996 წელს გამოკითხული იყო 1200 რესპოდენტი, 2000-2001 წწ. – 500. საერთო შედეგები ასეთია: რესპოდენტთა 75%

[1] წყარო: Мамчия И.М., Паробецкий М.Н. Региональные особенности решения проблем социальной экологии. Тезисы на тему докладов «Проблемы социальной экологий», часть 1, Львов, 1986, стр. 82.

[2] წყარო: ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობ-ლემები, ნაწ.III, თბ. 2001. გვ. 415.

მხარს უჭერს დეპრესიულ რეგიონებად ჩვენს მიერ დასახელებული რეგიონების სიას, ხოლო 86% - ზედეპრესიული რეგიონების სიას[1].

მოტანილი მონაცემები საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ღრმად კრიზისულია და მაშასადამე, მეტად საშიში.

რა უნდა გავაკეთოთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის? არის კი გადარჩენის შანსი?

ჩვენი ღრმა რწმენით, არის, თუმცა ამჯერად კრიზისის დაძლევის კონკრეტულ გზებზე არ შევჩერდებით. ნაწილობრივ მათ შესახებ მსჯელობა, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ გვექნება. შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოსაზრებით:

<u>პირველი</u>. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკური კრიზისი შეიცავს მისგან თავის დაღწევის მექანიზმებსაც. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ამან ასახვა ჰპოვა ჩინურ იეროგლიფებშიც. იეროგლიფი, რომელიც აღნიშნავს «კრიზისს», შედგება ორი ნიშნისაგან: ერთი მათგანია «საფრთხე», ხოლო მეორე «შანსი».[2]

<u>მეორე</u>. ეკონომიკური განვითარების ციკლური თეორიაც ამას ასაბუთებს, იგი იმაზე მიუთითებს, რომ კრიზისს მოსდევს გამოცოცხლება და შემდეგ აღმავლობა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია პირდაპირ გვიჩვენებს, რომ კრიზისიდან გამოსვლა ყოველთვის ემორჩილება სრულიად გამოკვეთილ კანონზომიერებას: ჯერ იწყება წარმოების გამოცოცხლება, განსაზღვრული დროის შემდეგ მას მოჰყვება აღმავლობა. გვჯერა, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაც ამ კანონზომიერებით წავა.

<u>მესამე</u>. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დამფუძნებელმა უილიამ პეტმა (1623-1687) თავის შრომებში წამოაყენა, მართალია, ფრაგმენტული, მაგრამ არაერთი საყურადღებო იდეა ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური მეცნიერების შექმნის გზების შესახებ. ჩვენი ამოცანებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მისი ერთ-ერთი შრომის პირველი თავი «პოლიტიკური არითმეტიკა», პეტი ქვეყნის სიმდიდრის გაზრდის შესახებ საუბრობს პატარა ქვეყნის მაგალითზე, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ხელსაყრელი პირობები გააჩნია ვაჭრობის, ნაოსნობის, სიმდიდრითა და ძლიერებით შეუძლია ექვივალენტური იყოს იმ ქვეყნისა, რომელსაც უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს და დიდი ტერიტორია უკავია.

XVII საუკუნეში უ. პეტის მიერ გამოთქმული მოსაზრება გასათვალისწინებელია დღევანდელი საქართველოსთვის, რომელიც ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო (კონტინენტის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის უმოკლესი შემაერთებელი წერტილი) მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ცენტრშია მოქცეული.

სწორად აგებული და რეალიზებული ეკონომიკური პოლიტიკით, მცირერიცხოვანი მოსახლეობითა და ტერიტორიით პატარა საქართველოს ყველა პირობა გააჩნია უმოკლეს პერიოდში სიმდიდრითა და ძლიერებით ექვივალენტური იყოს იმ ქვეყნების, რომელთაც გაცილებით ჭარბი მოსახლეობა ჰყავთ და დიდი ტერიტორია უკავიათ. უფრო მეტიც, საქართველოს მცირერიცხოვანი მოსახლეობა და პატარა ტერიტორია, ფიზიკის კანონის

---

[1] საქართველოს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაწვრილებითი ანალიზი იხ.: მ. თეთრუაშვილი-ქარდავა. რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხო-ება: დეპრესიული რეგიონების სანაციის ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები საქართველოში თბ. 2002 წ.

[2] П. Фишер, Как превратить Россию в привлекательный рынок для иностранных инвесторов, ж. ,,Вопросы экономики»,№2, 2002, стр. 84.

საფუძველზე, მას ადვილად დინამირებადს ხდის და ესეც გასათვალისწინებელია კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებისას.

<u>მეოთხე.</u> კრიზისიდან თავის დაღწევის ფაქტორია ადამიანების რწმენა უკეთესი მომავლისადმი. ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებიდან ჩანს, რომ რესპოდენტთა (810 ადამიანი) 65%-ს სჯერა, რომ საქართველო მალე გამოვა კრიზისული მდგომარეობიდან და მოწინავე განვითარებული ქვეყნების რიგებში ჩადგება; 30%-ს არ სჯერა; 5%-მა – კითხვას ვერ უპასუხა, ნიშანდობლივია, რომ 65%-ის ფარგლებში მოქცეული ადამიანების უდიდესი უმრავლესობა (79%) ახალგაზრდობაა (25-40 წლის ასაკის).

<u>მეხუთე.</u> ეკონომიკური საფრთხიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის გაძლიერება, ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და რეგულირება.

<u>მეექვსე.</u> უკვე ვთქვით და გავიმეორებთ, რომ კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა ეკონომიკური დემოკრატია. «ვარდების რევოლუციის» შემდეგ საქართველოში დაწყებული მრავალმხრივი და მიზანმიმართული გარდაქმნები საფუძველს გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის დღემდის მიღწეული დონით არ დავკმაყოფილდებით და შემდგომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ, რაც შექმნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის რეალურ პირობებს, საქართველო ღირსეულ ადგილს დაიკავებს ღირსეული ქვეყნების გვერდით. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბება და განმტკიცება, ბუნებრივია, უცებ ვერ გამოიღებს რაღაც სასწაულ შედეგს. მაგრამ უზრუნველყოფს რა სამართლებრივ სტაბილურობას და ეკონომიკური საქმიანობის ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნას ამასთან, აღარ დაუშვებს რა სახელმწიფოს მხრიდან ამ საქმიანობაში ყოველდღიურ ჩარევას, ეკონომიკური დემოკრატია შეჰქმნის კერძო ინიციატივისა და მეწარმეობრივი უნარის გამოვლენისათვის საუკეთესო პირობებს და, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის გარანტირებულ საფუძველს. ამის რწმენის საფუძველს გვიღრმავებს «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ქვეყანაში დაწყებული ყოვლისმომცველი რეფორმები.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური დემოკრატიისათვის გვესაჭიროება მძლავრი სახელმწიფო, რომელიც ეფექტურად შეასრულებს თავის ფუნქციებს, მაგრამ გვესაჭიროება არა ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება ნებისმიერი დონის ბიუროკრატზე. ძლიერი სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, ერთიანი, ყველასათვის მისაღები სამართლებრივი ეკონომიკური სივრცის შექმნა, კანონების (ამასთან სამართლიანი კანონების) განუხრელი შესრულება. ამ მიმართულებით სახელმწიფო ხელისუფლების ქმედითობა, აქტიურობა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ხარისხის ამაღლების და, მაშასადამე, ეკონომიკური დემოკრატიის განმტკიცების აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში სახელმწიფოს სისუსტის გამო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ინსტიტუტებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ უზრუნველყონ კანონების აღსრულება, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უსაფრთხოება, მათი საკუთრების უფლების დაცვა.

4.2.2. საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი

ენდოგენური და ეგზოგენური, საშინაო და საგარეო, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, საქართველოში ინვესტიციური პროცესები, ინვესტიციური აქტივობა,

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება კვლავ ერთ-ერთ მტკივნეულ სფეროდ რჩება. რუსეთიდან, თურქეთიდან, ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდან ბიზნესწრეების მასობრივად მოწვევა, მათ მიერ დღემდე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები მიგვანიშნებს, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში დაგროვილი ნეგატიური მოვლენების გამო, ინვესტორები ჯერ კიდევ სიფრთხილით ეკიდებიან ინვესტიციების დაბანდებას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ჯერ ერთი, არ შეგვიმუშავებია ერთიანი ფინანსურ-ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკა (მარტო იმის გაცხადება და აფიშირება, რომ «ყველაფერი უნდა გავყიდოთ, სინდისის გარდა», არც ფინანსურ-ეკონომიკური და არც საინვესტიციო პოლიტიკა არ არის). აღნიშნულის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ 2004 წელს დაწყებული დიდი პრივატიზაციის პირველი ეტაპი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, სამწუხაროდ, ჩავარდა. საქართველოს სანაოსნოსა და «ჭიათურმანგანუმის» ახალმა მეპატრონეებმა თითქმის უკვე ნაყიდ ობიექტებზე უარი თქვეს («კვირის პალიტრა», 2005 წ, 22-28 აგვისტო). და მეორე, ინვესტორებისათვის ჯერ კიდევ არა გვაქვს შექმნილი მყარი სამართლებრივი გარანტიები და შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის კანონები, კანონქვემდებარე აქტები, რომელთა ძალაში შესვლით მათ საშუალება მიეცემოდათ იმუშაონ თანაბარ, კონკურენციულ გარემოში, ნაკლები რისკით და მეტი უსაფრთხოებით. ფაქტობრივი მდგომარეობა მეტად კრიზისულია, ქართული ეკონომიკა მწვავე ინვესტიციურ შიმშილობას განიცდის.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1996-2003 წწ. მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საინვესტიციო საქმიანობის თანამედროვე დონე, ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციები ვერ პასუხობს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის მოთხოვნებს. აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც ძირითადი ფონდების ამოქმედებას, ასევე ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებს და შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. ინვესტიციების საერთო მოცულობა და ხვედრითი წილი (ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით) არადამაკმაყოფილებელია და მკვეთრად ჩამორჩება დსთ-ს სივრცის ქვეყნებს; ინვესტიციების ზრდის ტემპები ზოგადი შეფასებით მაღალია, მაგრამ იგი გამოწვეულია შესადარი ბაზის მეტად დაბალი დონით, ამასთან, ზრდა წლების განმავლობაში არათანაბარი და ზიგზაგური ხასიათისაა; საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების სტრუქტურა მოკლებულია ყოველგვარ ოპტიმალურობას; საანალიზო პერიოდში მოხდა დაფინანსების დარგების სტრუქტურაში დეცენტრალიზაცია – სახელმწიფო (ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების) სახსრების მონაწილეობის შემცირება და საწარმოთა ფონდებისა და უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილის ზრდა; ერთის მხრივ, კარგია, რომ გაიზარდა უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში (თუმცა, ვერც მათი აბსოლუტური და შეფარდებითი მოცულობა ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის ინვესტიციურ მოთხოვნილებას). მაგრამ, მეორე მხრივ, სამამულო ეკონომიკის მარტო უცხოელი ინვესტორების იმედად დატოვება ყოველთვის ვერ მოგვცემს სასურველ შედეგებს (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება მიეჩვევა სხვის ხელშემყურეობას), რადგან ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას თან ახლავს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები; არადამაკმაყოფილებელია ინვესტორი ქვეყნების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობა ქართულ ეკონომიკაში, მცირე მასშტაბიანია მათ მიერ დაბანდებული ინვესტიციები, გამოკვეთილი არ არის ლიდერი ინვესტორი ქვეყანა; არარაციონალურად, არაეფექტიანადაა განაწილებული ინვესტიციები, უწინარეს ყოვლისა, უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით; უყურადღებოდ არის მიტოვებული საქართველოსათვის ისეთი სასიცოცხლოდ

აუცილებელი დარგები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, ხელოვნება, ტურიზმი, სპორტი და სხვა უამრავი დარგი და სფერო, რომელთა აღმავლობის უდიდესი პოტენციალი არსებობს, მაგრამ ფინანსური საშუალებების უკმარისობის გამო ისინი განადგურების პირამდე არიან მისულნი. დღეს საქართველოს თუ შეუძლია მსოფლიო კონკურენტუნარიანი პროდუქციის (მომსახურების) გატანა საზღვარგარეთ, ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩამოთვლილი დარგების პროდუქციაზე (მომსახურებაზე) ითქმის. არასაკმარისია ინვესტიციები ელექტროენერგიის წარმოებასა და მიწოდებაში, გაზით და წყლით მომარაგებაში, ხოლო ის, რაც დაბანდებული იყო განვლილ პერიოდში, კორუფციის წყალობით, უშედეგო აღმოჩნდა. ინვესტიციები არ წარიმართება ენერგიის არატრადიციულ, განახლებადი წყაროების გამოყენების სფეროში, მეცნიერებატევად დარგებში; შემუშავებული არ გვაქვს საინვესტიციო პოლიტიკის ხანგრძლივვადიანი პროგრამა, რომელიც მიმართული იქნებოდა საბაზო, მასალა და შრომატევადი დარგების დინამიკური შეკვეცისაკენ და გამონთავისუფლებული შრომისა და კაპიტალის მეცნიერებატევად დარგებში გადანაწილებისაკენ და რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მენეჯმენტის მაღალ დონეზე და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში ახლად შექმნილი ღირებულების მნიშვნელოვან ხვედრით წონაზე.

ეკონომიკურ თეორიაში და პრაქტიკაში საინვესტიციო საქმიანობის შეფასების ყველაზე საიმედო მაჩვენებლის – მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული ინვესტიციების, ანუ ინვესტიციების ხვედრითი დონის მიხედვითაც საქართველო ძალიან ჩამორჩება არა თუ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ დსთ-ს სივრცეში შემავალ ქვეყნებსაც. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ 1996-2000 წ.წ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა: ძირითადი ფონდების ამოქმედების მიმართულებით – 180,45 ლარი (109,06 დოლარი); ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები – 247,28 ლარი (149,45 დოლარი); სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმართულებით – 137,23 ლარი (76,89 დოლარი). ამავე მაჩვენებელმა საშუალოდ წლიურად შეადგინა: 36,09 ლარი (21,81 დოლარი); 49,46 ლარი (29,89 დოლარი); 27,45 ლარი (16 60 დოლარი) შესაბამისად.

<u>შედარებისათვის</u>: 2001 წლის ბოლოსათვის ინვესტიციების ხვედრითი დონის მაჩვენებელმა შეადგინა (დოლარებში): რუსეთში – 379; ყაზახეთში – 356,5; ბელორუსიაში – 208,3; უზბეკეთში – 176,5; აზერბაიჯანში – 149,6; უკრაინაში – 101,4; სომხეთში – 50,6; ყირგიზეთში – 41,0; მოლდოვაში – 34,7; ტაჯიკეთში – 10,4[1].

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მოსახლეობის ერთ სულზე 1998 წლის მონაცემებით შეადგენდა (აშშ დოლარი): ლიტვაში – 249; ლატვიაში – 145,1; ესტონეთში – 396,3[2].

როგორც ვხედავთ, ინვესტიციური საქმიანობით საქართველო მხოლოდ მოლდოვას და ტაჯიკეთს უსწრებს. დანარჩენ ჩამოთვლილ ქვეყნებში აღნიშნული საქმიანობა საქართველოსთან შედარებით ყველგან მაღალია, კერძოდ: რუსეთში – 10,9-ჯერ; ყაზახეთში – 10,3-ჯერ; ბელორუსიაში – 6,0-ჯერ; უზბეკეთში - 5,1-ჯერ; აზერბაიჯანში – 4,3-ჯერ; უკრაინაში – 2,9-ჯერ; სომხეთში – 1,5-ჯერ; ყირგიზეთში – 1,2-ჯერ; ლიტვაში – 1,7-ჯერ; ლატვიაში – 7,16-ჯერ; ესტონეთში – 11,40-ჯერ.

უაღრესად მწვავე, კრიზისული მდგომარეობაა საქართველოში. ინვესტიციური საქმიანობა რეგიონების დონეზე, სადაც ინვესტიციები ძირითად კაპიტალში უკიდურესად

[1] В. Комаров, Инвестиции в СНГ, ж. «Экономист», №11. 2002 №11, стр. 83.
[2] ინტერნეტ ვებ-გვერდი, 1999

არათანბრადაა განაწილებული და არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ინვესტიციების საერთო მოცულობის 82%-ზე მეტი მოდის მხოლოდ ოთხ რეგიონზე (ქ. თბილისი, გურია, იმერეთი, ქვემო ქართლი), ხოლო დანარჩენი – შვიდ რეგიონზე. აქედან სამ რეგიონში ინვესტიციების ხვედრითი წილი მერყეობს 3,5%-დან 5,1%-მდე, დანარჩენ ოთხ რეგიონში – 0,2-2,5%-ის ფარგლებშია. ამასთან, ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წილის მქონე რეგიონებშიც კი წლების მიხედვით ინვესტიციები სრულიად არათანაბრადაა განაწილებული. განსაკუთრებით კი დაბალი საინვესტიციო აქტიურობით გამოირჩეოდნენ მთელ საანალიზო პერიოდში რაჭალეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა–მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები. არადა, გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სწორედ აღნიშნული რეგიონები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მიეკუთვნებიან ზედეპრესიულ რეგიონებს. საინვესტიციო საქმიანობის მკვეთრად გააქტიურება კი მათი ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის აუცილებელი პირობაა. აღნიშნული რეგიონები მოსახლეობის ერთ სულზე მოსული ინვესტიციების მოცულობით (ინვესტიციები ძირითად კაპიტალში) ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე გურიის რეგიონს ჩამორჩებიან: 28,35-ჯერ; 17,84-ჯერ; 36,13-ჯერ შესაბამისად.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საანალიზო პერიოდში მოხდა ინვესტიციურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროების დეცენტრალიზაცია: სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხვედრითი წილის შემცირება და უცხოური ინვესტიციების, საწარმოთა ფონდების და კერძო კაპიტალის ხვედრითი წილის ზრდა. აღნიშნული თითქოს დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო სახსრების უკმარისობა, ან უქონლობა უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციური საქმიანობის გაფართოებაზე და შემდგომ გააქტიურებაზე, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს[1].

4.2.3. საფინანსო-საბიუჯეტო მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე განაპირობა საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში დამკვიდრებულმა ღრმა კრიზისულმა მოვლენებმა, დაშვებულმა შეცდომებმა, ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უქონლობამ და სხვა ფაქტორებმა. აღნიშნული კი წარმოადგენს ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების მნიშვნელოვან წინააღმდეგობას.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ მიმართულებით საქართველოში შექმნილი მდგომარეობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებიდან შემდგომ განვლილ პერიოდში.[2]

წინასწარვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის რეალური შემოსავლების აბსოლუტური ზრდა, თუ არ ჩავთვლით 2004 და 2005 წლების ბიუჯეტებს, დამოუკიდებელ საქართველოში მიღწეული არასდროს ყოფილა.

პირველი ბიუჯეტი, რომელშიც მთლიანად აკუმულირდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საბიუჯეტო სახსრები, 1991 წლის ბიუჯეტი იყო. მას უნდა შეექმნა მტკიცე ფინანსური ბაზა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი

[1] ინვესტიციური საქმიანობის დაწვრილებითი ანალიზი იხ. მ. თეთრუაშვილი-ქარდავა, ინვესტიციური პროცესების რეგულირების საკითხები საქართველოში. თბ. 2003.

[2] ციფრობრივი მონაცემები გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს ეკონომი-კური განვითარების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევაზ კაკულიას.

განვითარებისათვის. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე ღრმა ეკონომიკური კრიზისის, ინფლაციური პროცესების გამო ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მხოლოდ 92,3%-ით შესრულდა, რითაც სერიოზული საფრთხე შეექმნა საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებას, გეგმასთან შედარებით შემცირდა: სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები (24,7%-ით); სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები (23,6%-ით) და სხვა.

ასევე სერიოზული ნაკლოვანებები იყო 1992; 1993 და 1994 წლების ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების საქმეში.

შედარებითი პოზიტიური ძვრები საქართველოს ეკონომიკაში 1995 წლიდან დაიწყო, მაგრამ ბიუჯეტი მაინც არ შესრულებულა. და გეგმიურთან შედარებით, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილმა 95,7% შეადგინა.

საბიუჯეტო შემოსავლები, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა 1996-1997 წწ-ში, მაგრამ ის გეგმიურს მაინც ჩამორჩა და 1996 წ. მხოლოდ მისი 92% შეადგინა, ხოლო 1997 წელს – 87,6% ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები კი, შასაბამისად, - 95,1 და 90,3 პროცენტით შესრულდა.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი 1998 წლის დასაწყისშიც. აღნიშნული წლის პირველი 5 თვის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტით შემოსავლების პირველი 5 თვის გეგმა 103,3 პროცენტით შესრულდა, სრულდებოდა ხარჯების გეგმაც. შემოსავლების ზრდის ტენდენცია შენელდა 1998 წლის მეორე ნახევარში და მან გეგმიურის 86,1% შეადგინა. რაც განპირობებული იყო წარმოების ვარდნით.

საბიუჯეტო კრიზისი 1998 წელს არ დამთავრებულა და იგი მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

1999 წლის ნაერთი ბიუჯეტით საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შესრულებამ მხოლოდ 77,9 პროცენტი შეადგინა, რაც 8,2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია, ვიდრე 1998 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტით კი საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შესრულდა მხოლოდ 70,5%-ით. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ვერ შესრულდა ვერც მომდევნო წელს, მან 2000 წელს გეგმიურის 96,2% შეადგინა; 2001 წელს – 96,2%; 2002 წელს 95,6%, 2003 წელს 85%.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2000 წლის ნაერთი ბიუჯეტით, ფაქტობრივი შემოსავლები ნაკლები იყო 1999 წელთან შედარებით 1,3%-ით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე მთელ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ერთმნიშვნელოვნად მზარდი არ ყოფილა.

რაც შეეხება 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, ის იყო პირველი შემთხვევა, როცა შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით და თანაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა (103,0%). თუმცა აქაც ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებდა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ეფექტურ ეკონომიკასთან: ჯერ ერთი ბიუჯეტი დაიგეგმა და დამტკიცდა გვიან. მეორეც – მისი შემოსავლების ნაწილის ზრდა, კერძოდ საგადასახადო შემოსავლების ზრდა გამოწვეული იყო არა ეკონომიკის გაჯანსაღების, წარმოების ზრდის და სხვა მსგავსი ფაქტორებით, არამედ წმინდა პოლიტიკური საკითხებით.

ასევე უზრუნველყოფილი არ იყო საგადასახადო შემოსავლების გეგმური ზრდა2000 და 2001 წლებში. 2000 წელს საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 99,4 პროცენტით, 2001 წელს კი – 98,4 პროცენტით. 2000 წელს უზრუნველყოფილი არ იყო დამატებული ღირებულების გადასახადის (99,6%), აქციზის (87,1%), მიწის გადასახადის (68,7%); ქონების გადასახადის (89,6%), მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადის (78,4%) და ადგილობრივი გადასახადების (94,1%) გეგმები; 2001 წელს –

მოგების გადასახადის (89,5%), აქციზის (70,6%), მიწის გადასახადის (76,3%), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის (88,9%) გეგმები. 2002 წელს, მთლიანად, საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 101,3 პროცენტით, მაგრამ უზრუნველყოფილი არ იყო საშემოსავლო გადასახადის (97,0%), აქციზის (84,0%), საბაჟო გადასახადის (91,7%), მიწის გადასახადის (83,9%) და ადგილობრივი გადასახადების (89,5%) გეგმების შესრულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქციზის გეგმის ყოველწლიური შეუსრულებლობა. ამ გადასახადის გეგმა 1995 წლიდან დაწყებული 2002 წლამდე ჩათვლით არ შესრულებულა.

მნიშვნელოვანია საბიუჯეტო შემოსავლების ხვედრითი წილის ცვლილება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საბიუჯეტო შემოსავლები 1990 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 33,3 პროცენტს შეადგენდა, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები – 21,2 პროცენტს, 2000 წელს კი ამ მაჩვენებლების შესაბამისად 15,1 და 11,6 პროცენტი და 2002 წელს 16,1 და 12,1 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში ძირითადი ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებს უკავია. 2000 წელს (სპეციალური სახელმწიფო ფონდების გარეშე) 75,9 პროცენტი, 2001 წელს – 73,6 პროცენტი და 2002 წელს – 73,9 პროცენტი; სპეციალური სახელმწიფო ფონდების ხვედრითი წილი შესაბამისად, 17 პროცენტს, 14,6 პროცენტს და 17,7 პროცენტს შეადგენდა; არასაგადასახადო შემოსავლისა კი 5,5, 2,6 და 6,6 პროცენტს; ძალზე მცირეა გრანტების ხვედრითი წილი (1,6 4,5 და 1,8 პროცენტი). ცალკეული სახეობის გადასახადების მიხედვით საბიუჯეტო შემოსავლებში აღსანიშნავია ისეთი არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი, როგორიცაა: დამატებული ღირებულების გადასახადი (2000 წ. – 30,4%; 2001 წ. – 32,7%; 2002 წ. – 33,8%) აქციზი შესაბამისად, (9,8%, 8,2% და 7,4%), საბაჟო გადასახადით (5,8%; 5,2% და 4,8%); პირდაპირი გადასახადებიდან უნდა აღინიშნოს საშემოსავლო გადასახადი (11,8%, 12,9% და 11,7%), მოგების გადასახადი (8,6%, 6,1% და 6,7%).

ამასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ბიუჯეტში <u>პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გონივრული შეხამების</u> საკითხი. საქართველოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ძალზე დიდია არაპირდაპირი გადასახადების (აქციზი, დღგ, საბაჟო გადასახადი) ხვედრითი წილი, თანაც იგი 2002 წლისათვის, 2000 წელთან შედარებით, გაზრდილია. თუ 2000 წლის არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში 60,6 პროცენტს შეადგენდა, 2001 წელს 62,6 პროცენტი და 2002 წლისათვის 62,4 პროცენტი შეადგინა. ისეთი პირდაპირი გადასახადის ხვედრითი წილი კი, როგორიც მოგების გადასახადია, 2000 წელს 11,4 პროცენტი, 2001 წელს – 8,3 პროცენტი, 2002 წელს 9,1 პროცენტი; 2003 წელს 8,9% შეადგინა. ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოდის ისეთ გადასახადებზე, რომლებსაც ფაქტობრივად მომხმარებელი იხდის ფასზე წანამატის სახით. აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი მოქალაქეთა შემოსავლებიდან ამოიღება სამომხმარებლო ფასების საშუალებით, რასაც მივყევართ განსაკუთრებით დაბალი უზრუნველყოფის მქონე მოქალაქეთა კეთილდღეობის შემცირებისაკენ. <u>ფინანსური უსაფრთხოების</u> თვალსაზრისით კი მიღწეული უნდა იქნეს, რომ საბიუჯეტო შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი სჭარბობდეს არაპირდაპირი გადასახადების ხვედრით წილს. ამასთან, მოგების გადასახადის დაბალი ხვედრითი წილი უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, რომ ბევრი საწარმოს რენტაბელობა ძალზე დაბალია და ცხადია, მოგება მცირეა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში გარკვეული ხვედრითი წილი არასაგადასახადო შემოსავლებს უკავია. ამ გადასახადის გეგმა 2000 წელს 115,4

პროცენტით შესრულდა, მაგრამ მისი შესრულება უზრუნველყოფილი არ იყო: 2001 წელს (შესრულდება 98,1%) და 2002 წელს (85,7%). არასაგადასახადო შემოსავლებში დიდი ხვედრითი წილი უკავია სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მოგებიდან შემოსავალს. 2001 წელს ეს შემოსავალი დაგეგმილი იყო 10,0 მლნ. ლარის ოდენობით, ფაქტობრივად კი შემოვიდა გეგმის 90,5 პროცენტი. 2003 წელს ამ მაჩვენებელმა 73% შეადგინა.

სპეციალური სახელმწიფო ფონდების გეგმის შესრულება უზრუნველყოფილი არ იყო 2000 წელს (შესრულება 90,4%) და 2001 წელს (92,5%,). 2002 წელს გეგმის შესრულებამ 100,5 პროცენტი შეადგინა.

წლითი წლობით არ სრულდება გრანტების გეგმა. 2000 წელს ეს გეგმა შესრულდა 39,3 პროცენტით, 2001 წელს – 75,9 პროცენტით და 2002 წელს მხოლოდ 28,9 პროცენტით. საჭიროა თანდათანობით შემცირდეს გრანტების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში საკუთარი შემოსავლების ზრდის ხარჯზე, რაც მიღწეული უნდა იყოს გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებით.

ტრანსფერები ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა, რომელიც ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა, მაგრამ ცენტრალური ბიუჯეტი, საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის გამო რაიონებისა და ქალაქებისათვის ბიუჯეტით დამტკიცებული ტრანსფერების სრულად გამოყოფას ვერ უზრუნველყოფს. 1995 წელს გამოყოფილი იქნა გეგმით გათვალისწინებული ტრანსფერების 96,6 პროცენტი, 2000 წელს – 79 პროცენტი. 2001 წელს – 93 პროცენტი და 2002 წელს – 96,5 პროცენტი. მაგრამ, ამასთან, გადარიცხული ტრანსფერების მოცულობა არ შეესაბამება ტერიტორიულ ერთეულებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯების გამოთანაბრების პოლიტიკას. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე გამოსათანაბრებლად თანხები დააკლდათ: ქ. ზუგდიდს და ზუგდიდის რაიონს, კასპის, გარდაბნის რაიონებს. რაიონების უმეტესობამ ტრანსფერი გადაჭარბებული ოდენობით მიიღო (თელავის, ლანჩხუთის, დუშეთის, ამბროლაურის რაიონები და სხვა.).[1]

მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი საბიუჯეტო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობის, დაგეგმვის, უზრუნველყოფის და მთლიანად საბიუჯეტო პროცესის საკითხებში. 2005 წელი, ამ კუთხით ბევრ სიახლეს გვპირდება, დაიხვეწება და დამტკიცდება კანონი «ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ». იგივე კანონი დაარეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებს შორის.

საბიუჯეტო შემოსავლების გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლავ რჩება <u>ფარული ეკონომიკის</u> არსებობაც, დიდ მასშტაბიანი აღურიცხავი პროდუქცია, საქონელი, სამუშაოები და მომსახურება, ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპების პირობებშიც იყო და არის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის დიდი რეზერვი, რომლის მობილიზაცია ფინანსური უსაფრთხოების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ლიკვიდირებული არ არის შემოსავლების გადამალვის, გადასახადებისაგან თავის არიდების, სახსრების გამოყენებისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები და სხვა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, კორუფცია მაღალ დონეზე რჩება, თანაც სუსტია კონტროლი საგადასახადო შემოსავლების სრულად გამოვლენასა და ბიუჯეტში ამოღებაზე;

საბიუჯეტო კრიზისის ერთ-ერთ ძირითადი მიზეზია <u>საკანონმდებლო ბაზის სისუსტე</u>.

[1] საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოხსენება 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, თბ., 2004, გვ. 85.

საბიუჯეტო შემოსავლების შეუსრულებლობა ავტომატურად იწვევდა საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსების შეფერხებას. საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც 2004 წლამდე გრძელდებოდა, ხარჯების შეუსრულებლობა გამოიწვია. 1998 წელს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შესრულდა მხოლოდ 85,2 პროცენტით, სახელმწიფო ბიუჯეტისა – 84,3 პროცენტით და ტერიტორიული ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტისა – 95,3 პროცენტით. 1999 წელს საგასავლო ნაწილის შესრულებამ შეადგინა, შესაბამისად, 76,4 პროც., 73,5 პროც. და 98,6 პროც., 2000 წელს – 87,9 პროც., 84,0 პროც., 92,1 პროც. 93,0 პროცენტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 12 წლის მანძილზე (1991-2002 წ.წ.) ბიუჯეტი გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების გეგმა ნაერთი ბიუჯეტით და ცენტრალური ბიუჯეტით არ შესრულებულა, არც 1998 წლამდე. ტერიტორიული ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტით კი შესრულება აღინიშნა მხოლოდ 2001 წელს (128,8%), 2004 წელს კი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების მიერ გაწეული ხარჯები 2003 წელთან შედარებით 37,3% -ით გაიზარდა.

4.2.4. ეკონომიკური დემოკრატია ვერ განვითარდება ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე [1]

ეკონომიკური დემოკრატია გულისხმობს თვითმმართველობის განვითარებას. საქართველოში დღეს ჩვენ უკვე გვაქვს სოფლის, დაბის, თემის დონეებზე თვითმმართველობა, რომლებსაც აქვთ თავიანთი ბიუჯეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დონეებზე უკვე გვყავს არჩეული საკრებულოები და მათ ჰყავთ ამ საკრებულოს მიერ დანიშნული გამგებელი. იგი უზრუნველყოფს ფინანსების მობილიზებას და შემდგომ უკვე დახარჯვას. ამაზე მეტი დემოკრატია უკვე აღარ არსებობს, თუ არ ჩამოვიტანთ თვითმმართველობას ოჯახების, ეზოს და უბნის დონეზე. ანუ, ჩვენთან ადგილებზე არსებული სისტემა უკვე დემოკრატიულია, მაგრამ ამან თითქოს, ჯერჯერობით, არ გაამართლა ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. დღეს ისევ დავაა იმის თაობაზე, როგორი უნდა იყოს საქართველო, როგორც სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერალური. მაგრამ ჩვენი აზრით, არ შეიძლება სადავო იყოს ის, რომ საბიუჯეტო მოწყობა უნდა იყოს აუცილებლად ფედერალური, იმის მიუხედავად, თვითონ ქვეყანა იქნება უნიტარული თუ ფედერალური. დღეს არსებული სისტემით ბიუჯეტები აქვთ თვითმმართველობებს პირველ დონეზე – სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის საკრებულოების დონეზე და შემდეგ უკვე მეორე – რაიონულ დონეზე. რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულს, ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოსვლა ქვემოთ და არა თვითმმართველობის რომელიმე დონე. ანუ, პრაქტიკულად თვითმმართველობის ორდონიანი სისტემა გვაქვს. გვინდა გამოვყოთ ეკონომიკური და ფინანსური ასპექტები და მივანიშნოთ იმაზე თუ რა ხდება საკრებულოების დონეზე ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. მოვიტანოთ გორის რაიონის სოფლების მერეთის, ტინისხიდის, საყევრის და მღებრიანის მაგალითები. მერეთს აქვს თავისი საკრებულო, თავისი გამგეობა. 2004 წლის მონაცემებით, მერეთის ბიუჯეტში გასავლები მთლიანად განისაზღვრა 9400 ლარით, აქედან 7264 ლარი დასჭირდა თვითმმართველობის მართვის ხარჯებს, ხოლო, კომუნალური მომსახურებისათვის კი დაიხარჯა 500 ლარი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის რაიონში 2004 წელს ყველა ბიუჯეტი დეფიციტური იყო (ასეა მთელი საქართველოს უმეტეს რაიონებში.). ბიუჯეტის შევსება ზოგან 80%-ით, ზოგან 100%-ით და უკეთეს

[1] იხ. მ. თეთრუაშვილი. თვითმმართველობამ ცარიელი ჯიბით არ გაამართლა. გაზ. «24 საათი», 1 ივლისი 2005 წ. №2.

შემთხვევაში, 60%-ით მაინც ხდება სახელმწიფო ტრანსფერების ხარჯზე. ეს ნიშნავს, რომ თვითონ პირველი დონის საკრებულოებს არა აქვთ საკუთარი შემოსავლები ბიუჯეტში.

სოფ. ტინისხიდში, სადაც არსებობს საკრებულო, შემოსავალი არის 7961 ლარი, თვითმმართველობის ხარჯები არის 5282 ლარი. კომუნალურ მომსახურებაზე დახარჯულია სულ 1000 ლარი. ეს ნიშნავს, რომ ტინისხიდის საკრებულოს მცხოვრებლების კეთილდღეობაზე რომ დახარჯულიყო 1000 ლარი, ამის ადმინისტრირებას დასჭირდა 5282 ლარი. ასეთი და კიდევ უარესი მაგალითები ბევრია. არის საკრებულოები, სადაც არც ერთი თეთრი არაა დახარჯული კომუნალურ მომსახურებაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ამ დროს მთლიანად ბიუჯეტის შემოსავლების 80-90% თვითონ ამ თვითმმართველობის შენახვას სჭირდება. კიდევ მეტს ვიტყვით: საყავრეში და მღებრიანში – ამ ორ სოფელში არც ერთი მოსახლე არ ცხოვრობს, მაგრამ საკრებულო არის. ვინ აირჩია ეს საკრებულო, ან ვის სჭირდება – გაუგებარია. რადგან საკრებულო არსებობს, მას ჰყავს თავმჯდომარე, ვინ აირჩია – ღმერთმა უწყის, არსებობს ბიუჯეტი – რა თქმა უნდა მწირი, მაგრამ მაინც, ვისთვის იხარჯება ეს ფული, გაუგებარია. გვგონია პატივმოყვარეობას ვიკმაყოფილებთ ამ შემთხვევაში და მეტი არაფერი, 500 და 1000 ლარის ადმინისტრირებაზე 7000-8000 ლარს ვხარჯავთ. ეს იმ საბჭოთადროინდელ ანეკდოტს ჰგავს, კაცმა სიბნელეში ოც კაპიკიანი რომ დაკარგა და ათ მანეთიანს მოუკიდა ასანთი მის მოსაძებნად. ხომ შეიძლებოდა, რომ ეს თანხა ადმინისტრირებაზე კი არა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის დახარჯულიყო?

გორის რაიონის მონაცემები გამონაკლისი არ არის. საქართველოში თითქმის ყველგან ასეა. ვინაიდან სტრუქტურაა ასეთი – საკრებულო ხომ უნდა ავირჩიოთ, საკრებულოს გამგეობა ხომ უნდა ავირჩიოთ. პატარა სოფლის დონეზე ხომ უნდა იყოს 10 კაცი მაინც, მათი ხელფასები, მომსახურება, ოფისი, განათება, ათასი რამ. ბიუჯეტი სულ 9 ათასი ლარია, ეს რომ იყოს 90 ათასი, მაშინ დასახარჯავი მოსახლეობისთვისაც საკმაოდ დარჩებოდა, მაგრამ აღარაფერი რჩება. ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნით მაინც, სანამ ღატაკები ვართ, თვითმმართველობის ქვედა დონის ბიუჯეტმა უნდა აიწიოს რაიონის დონემდე. არ იქნება ეს ტრაგედია, თუმცა კიდევ ვიმეორებთ, ამ შემთხვევაში (ცოტა უხერხული სათქმელია) ჩვენ დემოკრატიის დოზას ვამცირებთ. არსებობს ასეთი კონტრარგუმენტი, რომ ეს მოსაზრება ანტიდემოკრატიულია, რომ სოფლის ნებისმიერი მოსახლე, თემის ნებისმიერი მოსახლე იფიქრებს, თითქოს ის არ არის ჩართული საქმიანობაში. მაგრამ თუ ეს მოსახლე ირჩევს იმ რაიონის საკრებულოს, ეს ხომ ნიშნავს, რომ მის ხმას მნიშვნელობა აუცილებლად აქვს ამ თვითმმართველობის შექმნაში. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სოფელი, დაბა, თემი სულ მივატოვოთ. ვფიქრობთ, რომ ადმინისტრირება ისევ უნდა დარჩეს სოფელში, მაგრამ არა – ბიუჯეტი. რაიონის გამგებელს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, თუნდაც კურატორი დავარქვათ, მამასახლისი, გნებავთ – ხევისბერი. ის უნდა იყოს რაიონული თვითმმართველობის წარმომადგენელი სოფელში, რომ სოფელი არ დაშორდეს რაიონს, თუ თვითმმართველობას ავწევთ რაიონის დონემდე. აუცილებლად უნდა იყოს შუამავალი, რომელიც ადგილზე პრობლემების ეპიცენტრში იტრიალებს და მიიტანს ამ ყველაფერს რაიონამდე, აგრეთვე, ადგილზე რაიონის საკრებულოდან წამოსული გადაწყვეტილებების განხორციელებას შეუწყობს ხელს. კონსტიტუციით, ადამიანი რომ იბადება, იმ წუთიდან მას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ, ერთი დღის ბავშვი, ექვსი თვის ბავშვი, ერთი წლის ბავშვი, რახან თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს, თქვენ ნებას აძლევთ მას გააკეთოს ის, რაც უნდა? ანუ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ ის მყარად დადის, ხომ აშველებთ ხელს. თქვენ, პრაქტიკულად, პირველივე წუთიდანვე არღვევთ კონსტიტუციას ამ ბავშვისთვის. მაგრამ ის ჯერ უსუსურია და მას თქვენი დახმარება სჭირდება. ასე წარმოგვიდგენია იმ სოფლის

საკრებულოების დემოკრატიულობა. კი, დემოკრატია უნდა მივანიჭოთ, მაგრამ სანამ უსუსურია, აუცილებლად უნდა წავაშველოთ ხელი. არის მოსაზრება, რომ თვითმმართველობა ავიტანოთ რეგიონის დონეზე. რეგიონი უფრო ძლიერია და გამოთანაბრება რაიონებს შორის რეგიონის ხარჯზე მოხდება უფრო ადვილად. მაგრამ ეს უკვე ძალიან საშიშია, რადგან რეგიონი ძალიან შორია იმისთვის, რომ დაინახოს სოფლის პრობლემები.

ვინც ამ საკითხებზე მუშაობს, ყველა აღიარებს თვითმმართველობისთვის საფინანსო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თვითმმართველობა რამდენიმე წელია არსებობს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ რეალურად ვერ მუშაობს. ამის მიზეზი არის ის, რომ საკრებულოებს დავაკისრეთ პასუხისმგებლობა, მაგრამ არ მივეცით შემოსავლის რეალური წყარო. ჩვენ უკვე გვქონდა დემოკრატიული მოწყობა – თვითმმართველობა მაქსიმალურად ქვედა დონეზე განხორციელებული. მაგრამ ცარიელი ჯიბით ამან არ გაამართლა. ამიტომ არჩევანის წინაშე ვდგავართ: რა გვინდა, რა გვაძლევს ხელს, ის რომ პატივმოყვარეობა დავიკმაყოფილოთ, ვთქვათ, რომ ქვედა დონეზე გვაქვს თვითმმართველობა და მოვიტყუოთ თავი, თუ ის, რომ ბიუჯეტი ავიტანოთ რაიონის დონემდე, ვთქვათ, რომ სოფელში ვერ შევძელით თვითმმართველობის ჩატანა, მაგრამ რეალურად ფული დავხარჯოთ ამ სოფლის მოსახლეობის საკეთილდღეოდ და მათი პრობლემების გადასაწყვეტად. ჩვენ ამას ვემხრობით.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ კარგი არგუმენტია ქონების განაწილების საკითხიც. წარმოიდგინეთ, რომ პირველ დონეზე დავტოვეთ ისევ ბიუჯეტები. არის პატარპატარა სოფლები, რომლებიც დიდ სოფელთან ერთიანდებიან ერთ საკრებულოში, არის სოფლები, რომელთაც დამოუკიდებლად აქვთ საკრებულოები და დამოუკიდებელი გამგეობა – აქ კიდევ ადვილი გადასაწყვეტია ქონების გადაცემა, მაგრამ რამდენიმე სოფელი რომ იყო გაერთიანებული ერთ საკრებულოში და დადგა საკითხი ქონების გამიჯვნაზე, აქ უკვე ძალიან რთული იქნება სოფელსა და სოფელს შორის ამის განხორციელება, საზღვრების დადგენა მართლა ძალიან რთულია. თუ ეს საკრებულოები რაიონში შევლენ, რაიონი უფრო მსხვილია და ადვილად გადაიტანს შიდა წინააღმდეგობებს, თუმცა საზღვრებთან დაკავშირებით შესაძლოა, მასაც შეექმნას გარკვეული პრობლემები მომიჯნავე რაიონთან. მაგრამ აქ გამიჯვნა უფრო ადვილად მოხდება. დაუშვათ, ბიუჯეტები ავწიეთ რაიონის დონემდე, მასაც აქვს პრობლემა, თუ ადგილზე მართლა არ გადავეცით ქონება, არ მივეცით ფინანსური რესურსები, რაიონის თვითგანვითარება არ მოხდება.

საქართველოს რეგიონების, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტესობა დეპრესიული და ზედეპრესიულია. ე.ი. წამოშველება მაინც დასჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა ტრანსფერები აღარ იქნება მხოლოდ ხელფასებზე გათვლილი, დაცულ მუხლებზე გათვლილი, ანუ თუ ბიუჯეტი მისცემს საშუალებას, რომ იქ რაღაცა ფინანსური სახსრების კაპიტალიზაცია მოხდეს, ეს ხვალ თუ არა, ზეგ, მაზეგ აუცილებლად მოიტანს ეკონომიკურ შედეგს. დღეს, პრაქტიკულად, იშვიათად გვეგულება რეგიონები, რომ დაცული მუხლების გარდა (პენსია, ხელფასი) რაიმე სხვა ხარჯების დაფინანსება შეძლონ. ფინანსური რესურსების კაპიტალიზაცია არ ხდება. პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები რომ რჩებოდეს და მისი კაპიტალიზაცია ხდებოდეს ადგილზე, ეს რა თქმა უნდა, უფრო გრძელვადიანია ეკონომიკური ეფექტის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ხომ რეალური და მყარი საფუძველი იქნება ეკონომიკის განვითარებისათვის, სოფლებში ძალიან ადვილია მცირე და საშუალო ბიზნესის, შინამეურნეობების განვითარება. შინამეურნეობები თუ განვითარდა, ბაზარს თვითრეგულირების ძალიან დიდი უნარი აქვს და მერე უკვე აღარ დასჭირდება ადმინისტრირება და ხელოვნური ჩარევა.

4.3. სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა როგორც ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების მთავარი ორიენტირი

4.3.1. ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა: არსი, დამუშავების ეტაპები და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა

როგორც წინა პარაგრაფიდან დავინახეთ საქართველო თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ს სახელმწიფოებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მაღალგანვითარებულ დასავლეთის ქვეყნებზე და აშშ-ზე.

შექმნილი მდგომარეობის მიზეზად ზოგიერთი ავტორი, მათ შორის ბევრი მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელე, ეგზოგენურ ძალებს ასახელებს. გავიხსენოთ საქართველოში 1998 წლის სექტემბრის შემდგომ პერიოდში განვითარებული ინფლაციური პროცესები და მისი თანამდევი ეკონომიკური კრიზისი (რომელსაც, რატომღაც, შერბილებული სახე რომ მიეცათ, საბიუჯეტო კრიზისად ნათლავდნენ). მის გამომწვევ მიზეზად ხელისუფლები ერთგვარი შინაგანი კმაყოფილებითაც კი ასახელებდნენ აზიის ქვეყნებს, რუსეთს, ბრაზილიას და ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ საკუთარ შეცდომებზე, საკუთარ უსუსურობაზე, თავიდან აეცილებინათ, ან თუნდაც რამდენადმე მაინც შეესუსტებინათ მართლაც მსოფლიო მოვლენად მონათლული ინფლაციის ზეგავლენა ჩვენს ეკონომიკაზე.

რა თქმა უნდა ეგზოგენური ძალების ზეგავლენის უარყოფა, უგულებელყოფა არ შეიძლება. არავითარი ილუზია არა გვაქვს იმისი, რომ გარეგანი ფაქტორები კვლავაც არ იმოქმედებენ ჩვენს ეკონომიკაზე, რომ ეს ზემოქმედება დროებითია, თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტორის გამო რომ, მსოფლიო სამეურნეო ბრუნვაში ვართ ჩაბმული და ეს პროცესები მომავალში უფრო მეტად გაღრმავდება და გაფართოვდება. მაგრამ, ამავე დროს ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ და განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად არ ვაქციოთ ენდოგენური ძალები. მათ შორის ჩვენ წინა პლანზე ვაყენებთ ძველი სოციალ-ეკონომიკური წყობიდან ახალ, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ წყობაზე გადასვლის შორს გამიზნული, ხანგრძლივვადიანი, თეორიულად დასაბუთებული, ხალხის მიერ განხილული და მოწონებული, ადგილობრივი ეროვნული თავისებურებების და მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების ამსახველი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობას. ეკონომიკურ პოლიტიკას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების, სოფლების, დაბების, რაიონების, რეგიონების, სახელმწიფოს მიერ დასახულ და გადასაწყვეტ ეკონომიკურ მიზნებს და ამოცანებს, რომლებშიც ასახულია მათი კონკრეტული ინტერესები. ეს არის მეთოდების, საშუალებებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდება, კონკრეტდება და ხორციელდება ეს ინტერესები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცნობილმა პოლონელმა მეცნიერმა ლეშეკ ბალცეროვიჩმა საქართველოში ჩამოსვლის პირველსავე დღეს გვითხრა ქართველი ეკონომისტების (და არა მარტო ეკონომისტების) მიერ არაერთხელ თქმული და დაწერილი («შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს») სიმართლე იმის შესახებ, რომ შემუშავებული არა გვაქვს სამოქმედო პროგრამა, განსაზღვრული არა გვაქვს როგორი საზოგადოების შექმნა გვინდა.

ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს და განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: <u>პირველი</u>. მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ეკონომიკის ახლად შექმნა

და მისი გაძღოლა ემსგავსება უკომპასო გემის მართვას. იგი იმის რაციონალური განსაზღვრაა თუ საით წავიდეს მთლიანად ქვეყანა და მისი ცალკეული რეგიონი, რა მიმართულებით ვფიქრობთ განვითარებას. ვიდრე ასეთნაირად არ დაისმება და გადაწყდება საკითხი, მანამდე ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენი ძალისხმევა სწორი მიმართუებისაა. თუ სენეკას (რომაელი ფილოსოფოსი, დრამატურგი და პოლიტიკური მოღვაწე) ნათქვამს მოვიშველიებთ: «როცა არ იცი, რომელი ნავთსაყუდელისაკენ გაქვს გეზი აღებული, არცერთი ქარი არ დაუბერავს საჭირო მიმართულებით»;

<u>მეორე.</u> ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა განიხილება როგორც საზოგადოების მწარმოებლური ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების, მისი ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. გავიხსენოთ, ჯერ კიდევ დ. რიკარდოს (1772-1823) მიერ, პოლიტიკური ეკონომიკის წინაშე მდგარი ამოცანების ფორმულირება, როდესაც იგი ამ მეცნიერების ამოცანად თვლიდა ეკონომიკური კანონების შეცნობის პარალელურად, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებას. თითქმის ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ა. მარშალი[1]. იგი მიუთითებს, რომ ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაში შედის... პრაქტიკულ ცხოვრებაში, უწინარეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმძღვანელოს გამომუშავება. ასეთი სახელმძღვანელოს საჭიროება არასოდეს არ ყოფილა ასე აუცილებელი, როგორც ამჟამად;

<u>მესამე</u>. უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში მიმდინარე საწარმოო ძალთა ე.წ. «თაობათა ცვლის» ფაქტორი. ის რაც გვქონდა წარმოების საშუალებების სახით, ან განადგურებულია მთლიანად, ან მორალურად და ფიზიკურად არის მოძველებული. საწარმოო ძალთა მთავარი შემადგენელი ნაწილი – ადამიანები თავიანთი სამუშაო ძალით იცვლებიან. მოდის სრულიად ახალი თაობა საშუალო მეწარმეთა ფენის სახით, რომელთაც არასოდეს არ ჰქონიათ შეხება საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რაიმე პრაქტიკული საქმიანობის წამოწყებასთან. უფრო მეტიც, მათ არც წინა თაობების გამოცდილება და მაგალითი გამოადგებათ ცნობილი მიზეზების გამო;

<u>მეოთხე</u>. ცვალებადი სამეურნეო გარემო ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ თვით გამოცდილ ხელმძღვანელებსაც აიძულებს ახლებურად იაზროვნონ, ახლებურად გაიაზრონ თავიანთი სამეურნეო საქმიანობის მომავალი და გაემზადნონ, რათა ადგილი იპოვონ დღემდე მათთვის უჩვეულო საქმისათვის – კონკურენტებთან საბრძოლველად. საბაზრო ეკონომიკა ხომ კონკურენტებთან ცივილიზებული წესით ბრძოლაა ყოველდღიურ საქმიანობაში;

<u>მეხუთე</u>. მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელი ინსტრუმენტია ქვეყნის რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში მოსაქცევად და პირიქით ხომ ცნობილია, რომ მარტო საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით არც ერთ ქვეყანას არ მოუღწევია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგებისათვის. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელსაც შეეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი მრავალმხრივი მოთხოვნილებები მხოლოდ საკუთარი რესურსებით.

მსოფლიო გლობალური განვითარების ტენდენციები იქითკენ მიდის, რომ მოცემული ქვეყნის შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება სხვა ქვეყნების რესურსებთან. ყოველივე ეს კი ასახული და დასაბუთებული უნდა იყოს ქვეყნის ფინანსურეკონომიკურ პოლიტიკაში. ეს

[1] А. Маршал, Принципы экономической науки, м. 1993 г. книга 1. стр. 100

პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსების, მათ შორის, ადამიანთა რესურსების, მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში აქტიურად ჩართვის პროცესი;

მეექვსე. ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება მრავალფაქტორული და მრავალმასშტაბიანი ამოცანაა. მას ჩვენ განვიხილავთ როგორც ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობას, ამ ინტერესთა დაბალანსებულობას, ჰარმონიულ შეთანაწყობას. ქვეყნის უსაფრთხო განვითარება უნდა ითვალისწინებდეს მისი ცალკეული რეგიონების უსაფრთხო განვითარებას და პირიქით. გაუმართლებელია ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და ვერასოდეს ვერ მოგვიტანს იგი დადებით შედეგებს, თუ მასში ორგანულად არ იქნება ასახული ცალკეული რეგიონების უსაფრთხო განვითარების ამოცანები და მიზნები. ასევე უშედეგო იქნება ნებისმიერი ზრუნვა რეგიონის უსაფრთხო განვითარებაზე. თუ იგი არ ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ერთიან ეროვნულ ინტერესებს. უფრო მეტიც, ნებისმიერი გადახვევა ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრის ჰარმონიული ბალანსიდან, თვითონ გადაიქცევა ქვეყნისა და რეგიონების უსაფრთხო განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად, საშიშროებად.

ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის ის ფუნდამენტალური ამოცანები, რომელთა შესრულებაც გარანტია იქნება ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებისა.

უახლოესი პერიოდისათვის ეს ამოცანებია:

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება განვითარებული ქვეყნების საშუალო დონემდე მაინც; საზოგადოებაში ქონებრივი დიფერენციაციის შემცირება; საშუალო კლასის (მესამე ფენა), როგორც სტაბილურობისა და დემოკრატიის საყრდენის ჩამოყალიბება იმ დონით, რომ ისინი შეადგენდნენ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს და ღებულობდნენ საზოგადოებაში შექმნილი მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის უდიდეს ნაწილს; ეკონომიკური განვითარების ტემპების ყოველწლიური ზრდის ისეთ დონემდე უზრუნველყოფა, რომელიც მიგვაახლოებს განვითარებული ქვეყნების ცხოვრების საშუალო ხარისხს («ვარდების რევოლუციის» შემდეგ მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები ამ ამოცანის შესრულებას რეალურს ხდის); სამოქალაქო საზოგადოების, სამართლებრივი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარანტი; ქვეყნის რეგიონების განვითარებაში მკვეთრი დისპროპორციების აღმოფხვრა, მათი დეპრესიული (ზედეპრესიული) მდგომარეობიდან გამოყვანა და სხვა.

მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინსვლას, თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების ფუნდამენტის შემქმნელ ორიენტირს, ვინაიდან, როგორც ზევით იქნა აღნიშნული, კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური მიმართულება იყო, არის და მომავალშიც იქნება ეკონომიკური დემოკრატია.

ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება რთული პროცესი და მრავალწახნაგოვანი ამოცანაა. ჩვენი აზრით, იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

I ეტაპი – განისაზღვროს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი. ეს მიზანი უნდა ასახავდეს:

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის (განვითარების) ამოცანებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის იმ რაოდენობით წარმოებას, რომ მიღწეულ იქნას ადამიანთა ცხოვრების მაღალი ხარისხი. ამოცანები

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგ ჯგუფებად: სტრატეგიულად ქმედითი ხასიათის (დეპრესიული, ჩამორჩენილი მდგომარეობიდან გამოსვლა, სამეურნეო სფეროს ტრანსფორმაცია, უპირატესად საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე ორიენტაცია და ა. შ.); სტრატეგიულად სტაბილიზაციური ხასიათის (არსებული სიტუაციის შენარჩუნება, ევოლუციური გარდაქმნები ეკონომიკურ სფეროში, და ა. შ); საშუალოვადიანი დარგობრივი და ფუნქციონალური ხასიათის (სოციალური სფეროს კომერციალიზაცია, დასაქმების რეგიონული სამსახურების შექმნა, რეგიონულ დაქვემდებარებაში არსებული დარგების მხარდაჭერა და ა. შ.); ტაქტიკური ხასიათის (ცალკეული სამსახურების, რეგიონული მეურნეობის სისტემების, მისი ობიექტებისა და რგოლების განვითარების კონკრეტული დავალებები). შეზღუდული ფინანსურ-ეკონომიკური რესურსების პირობებში ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის გზებსა და საშუალებებს;

მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის, როგორც საქონლის ფასების სტაბილურობის შენარჩუნების გზებს; ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა იმდენად იქნება სწორი, რამდენადაც გამორიცხავს ფასების მნიშვნელოვან ზრდას, ან გაუმართლებელ შემცირებას. ეკონომიკისათვის გარკვეულ ნორმებს ზევით გასული არც ინფლაციაა გამართლებული და არც დეფლაცია.

ეკონომიკური თავისუფლების მიღწევას; ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში აღჭურვილი უნდა იყვნენ თავისუფლების მაღალი ხარისხით.

სრული დასაქმების მიღწევას; მან უნდა უზრუნველყოს ყველა შრომისუნარიანი ადამიანისათვის მისთვის შესაფერისი და ხელსაყრელი სამუშაოთი დაკმაყოფილება.

შემოსავლების სამართლიან განაწილებას და გადანაწილებას; იგი უნდა ითვალისწინებდეს შემოსავლების ისეთ განაწილებასა და გადანაწილებას სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის, რეგიონებს შიგნით ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულებს შორის, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, თვით ადამიანებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან ფუნქციონირებას, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას. მიუღებელია ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ცალკეული რეგიონები, მისი მოსახლეობა გაჭირვებაში ცხოვრობს, ხოლო სხვები უზომო სიმდიდრეში იმყოფებიან.

სოციალური ფონდების ეკონომიკურ უზრუნველყოფას; ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ავადმყოფი, შრომისუუნარო, მოხუცი და სხვა ამგვარი კატეგორიების ადამიანთა შენახვას, მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

სავაჭრო ბალანსის დაცვას; იგი უნდა ითვალისწინებდეს მთელი ქვეყნის, მისი რეგიონების საერთაშორისო ვაჭრობაში და საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკურ გარიგებებში აქტიურ მონაწილეობას და აქ მისაღები ბალანსის მიღწევას.

<u>მეორე ეტაპი</u> – დასახული მიზნის მიღწევის ალტერნატიული ვარიანტის შედეგების შესწავლა. უნდა განისაზღვროს, შესწავლილი და აღიარებულ იქნას მიზნის მიღწევის ალტერნატიული ვარიანტების შედეგები. ამისათვის საჭიროა ყოველი ალტერნატიული ვარიანტის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორების შედეგების, სარგებლის, ხარჯების ნათელი წარმოდგენა, მათი გათვლა და შედარებითი უპირატესობის მეთოდის გამოყენებით საუკეთესო ვარიანტის შერჩევა.

<u>მესამე ეტაპი</u> – არსებული გამოცდილების შეფასება. შესწავლილი უნდა იქნას ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის გამოცდილება, ნაჩვენები და შეფასებული იქნეს რა შედეგები გამოიღო ამ პოლიტიკამ მთლიანად ქვეყნისათვის და ცალკეული რეგიონებისათვის.

მხოლოდ ასეთი შეფასებით შეგვიძლია განვსაზღვროთ შეთავაზებული ვარიანტის სარგებლიანობა. საჭიროა მივმართოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და

ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შემუშავდეს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა.

როდესაც ქვეყნის განვითარების საკუთარი მოდელის, საკუთარი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობაზე მივუთითებთ, არ უნდა გამოვრიცხოთ მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება, რადგანაც ყველა განვითარებულმა ქვეყანამ განვითარების საკუთარი გზების ძიებისას, საკუთარი მოდელის შექმნისას გაითვალისწინა მსოფლიო გამოცდილება, გაითვალისწინა ადგილობრივი სპეციფიკური ფაქტორები და მხოლოდ ასეთი გზით მიაღწიეს განვითარების თანამედროვე დონეს.

ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, უწინარეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, მის გაძლიერებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და განმტკიცებას, საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას და განვითარებას. აქ პასუხი უნდა იყოს გაცემული საზოგადოებრივი წარმოების ფუნდამენტურ კითხვებზე: ქვეყნის და რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხის მისაღწევად, შეზღუდული რესურსების პირობებში, რა სახის და რა რაოდენობით ვაწარმოოთ მატერიალური დოვლათი და სოციალური სიკეთე; როგორი ტექნოლოგიით, შრომის ორგანიზაციის როგორი დონით ვაწარმოოთ ყველაფერი ეს; როგორ გავანაწილოთ წარმოებული მატერიალური დოვლათი და სოციალური სიკეთე მოცემული რეგიონის მოსახლეობაზე ისე, რომ ნაკლებად დაირღვეს ცალკეული რეგიონების განვითარების დონეებს შორის სასურველი პროპორცია, ოპტიმალური ბალანსი.

ეს პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფორმიანობას (შერეული ეკონომიკური წყობა), რომელთაც განვითარების თანაბარი პირობები ექნებათ შექმნილი და უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ. იგი უნდა უზრუნველყოფდეს რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის შემქმნელი სფეროების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, რომელიც დაფუძნებული იქნება მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონებისათვის დამახასიათებელ სპეციალიზაციაზე, იქ მაცხოვრებელი ადამიანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ შრომით და საწარმოო ჩვევებზე, მატერიალურ რესურსებზე, ეკოლოგიურ გარემოზე და სხვა; უნდა უზრუნველყოფდეს მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლებას, კონკურენციის განვითარებას, ბაზარზე თავისუფალ მეწარმეთა გაზრდას, მესამე ფენის ჩამოყალიბებას, აგებული უნდა იყოს ანტიმონოპოლიურ პრინციპზე. უნდა ითვალისწინებდეს პირადი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, რადგანაც საბაზრო ურთიერთობები წარმოადგენს ინდივიდუალური სისტემების ერთობლიობას. გასაგებია, რომ ამ პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს მეწარმეთა პირადი ინტერესების სტიმულაცია. აქ ხომ ყოველი ეკონომიკური ერთეული იღწვის იმისათვის, რომ აკეთოს ის, რაც მისთვის სარგებლიანია, ამიტომ მეწარმეების მიზანი იქნება თავიანთი ფირმების მოგების მაქსიმიზაცია, ხოლო მისი ვარიანტი-დანახარჯების მინიმიზაცია.

მატერიალური რესურსების მფლობელები, სხვა თანაბარ პირობებში, ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ რესურსებზე მაღალ ფასებს; სამუშაო ძალის გამყიდველები თავის მხრივ იღწვიან, მიიღონ შრომის მაღალი ანაზღაურება; მომხმარებლები შეისყიდიან რა გარკვეული სახისა და რაოდენობის მატერიალურ დოვლათს, სოციალურ სიკეთეს, ცდილობენ, შეიძინონ ისინი დაბალი ფასებით; საბოლოო ჯამში, ყველა ეკონომიკური ერთეულის პირადი ინტერესი აყვანილ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივ დონეზე და ფოკუსირებული - ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, როგორც ამ ეკონომიკურ ერთეულთა მოქმედების ფუნდამენტურ სახეში, როდესაც ისინი რეალიზაციას უკეთებენ

თავიანთ თავისუფალ არჩევანს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული ეკონომიკური ერთეულების პირადი ეკონომიკური ინტერესების დაცვა არ უნდა ისახავდეს ეგოისტურ მიზნებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის საერთო ინტერესებს.

როდესაც ვასაბუთებთ, რომ ფინანსურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ვგულისხმობთ, რომ მან უნდა უზრუნველყოს რესურსების გამოყენების ან განაწილების ეფექტიანობის მაღალი ხარისხი. რაკი ეს ასე უნდა იყოს, იქმნება იმის ილუზია, რომ მცირდება სახელმწიფოს როლის აუცილებლობა ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ასეთი წარმოდგენა ძირშივე მცდარია და ეწინააღმდეგება მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას რის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. პირიქით, საბაზრო ურთიერთობების რეგულირება, მაგალითად, რეგიონებს შორის, თვით რეგიონების შიგნით, რეგიონების ურთიერთობა ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან და სხვა ამგვარი რეგიონთაშორისი და რეგიონული ურთიერთობანი საჭიროებენ, (განსაკუთრებით ამ ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე), სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რეგულაციის როლის შესრულების მაღალ დონეს. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას ამ ურთიერთობათა შეხამების, მათი სრულყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელი გარემო, მან უნდა შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის განხორციელებისა და რეალიზაციის ისეთი ტაქტიკური ხერხები (შესაბამისი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურებით, საკანონმდებლო ბაზით და სხვა), რომელიც რეგიონის შეთანაწყობილი განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანას და მსოფლიო მეურნეობის დონეზე განვითარებას. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში უფრო იზრდება და მეტ დატვირთვას იძენს რეგიონულ დონეზე, განსაკუთრებით ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა ინოვაციური და ინვესტიციური პროცესების დაჩქარება; რეგიონებში უმუშევრობის დონეებს შორის განსხვავების შემცირება, სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების დაახლოების გზით, ქალაქი-გიგანტების (თავკომბალების) ზრდის შეზღუდვა, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების შერბილება, ქვეყნის მთიანი, განაპირა მხარეების გაუკაცრიელების პროცესების შეჩერება და სხვა.

ბოლოს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს მისი სოციალური ორიენტაცია. იგი უნდა ითვალისწინებდეს: ადამიანების ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურ ამაღლებას, მისი მიღწევის ეფექტიანი გზებისა და საშუალებების ძიებას, მტკიცე სოციალური გარანტიების შექმნასა და სხვა.

საქართველოში დღეს ყველა პირობაა იმისათვის, რომ შემუშავებული და რეალიზებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული, მაღალეფექტური სოციალურად ორიენტირებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა. ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ მრავალი ადამიანის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა დაუღალავ შრომას ძალუძს. საჭიროა შეირჩეს მეთაური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია მისი დამუშავებისათვის.

ამ ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო. ზოგიერთი ამ სამუშაოთაგანი, ჩვენი აზრით, შემდეგია: წინადადებების დამუშავება ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსისა და კონკრეტული მიმართულებების შესახებ, ქვეყნის განვითარების ყველაზე რთული სიძნელეების გადალახვის გზების შესახებ და ყოველივე ამის შეთანხმება ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების სუბიექტებთან, რათა ისინი შემდგომ წარედგინოს მთავრობასა და პარლამენტს;

მთავრობისა და პარლამენტისათვის ყოველწლიური მოხსენების შედგენა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი მოხსენებები წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის (რეგიონული, დარგობრივი, საფინანსო-საბიუჯეტო, საინვესტიციო, სოციალური და სხვა) ფორმირების საკვანძო ელემენტს; მსხვილი, განსაკუთრებით პრიორიტეტული პროექტების ექსპერტიზა; ქვეყნის დონეზე კანონების, დადგენილებების და სხვა ნორმატიული აქტების მისაღებად მასალების მომზადება ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მონაწილეობით; ნორმატიულ-მეთოდური მასალების დამუშავება, რომლებიც ეხება ცალკეული რეგიონების და მთლიანად ქვეყნის განვითარების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაზე კონტროლს, ოპერატიული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტების მიღება პარლამენტის დონეზე სასწრაფო ზომების მისაღებად პრობლემების მოსაგვარებლად, რეფორმების გასატარებლად; სამეცნიერო სამუშაოების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა და წინადადებების ექსპერტიზა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გასაფართოებლად, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას ექვემდებარება.

ვინაიდან არა გვაქვს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ეს იმას ნიშნავს, რომ არა გვაქვს, აგრეთვე, მისი შესაბამისი სამართლებრივი ბაზაც. ფაქტიურად ჩვენ დღეს ვიმყოფებით სამართლებრივი ვაკუუმის გარემოში, არ გაგვაჩნია არც ერთი ზოგად-ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც ასახავდა ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების პროცედურას და მისი რეალიზაციის ხერხებს. აუცილებლად მიგვაჩნია, მოხდეს შესაბამისი კანონების, მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების კოდიფიკაცია, შეიქმნას განსაკუთრებული რეგიონული (ადგილობრივი) სამართალი.

სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით საჭირო იქნება დაძაბული, კოორდინირებული მუშაობა რამდენიმე მიმართულებით.

<u>პირველი:</u> გაშლილი და ერთიანი სამეურნეო კანონმდებლობის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლის მწყობრ კოდიფიცირებულ სისტემაზე და დამუშავებული იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სამუშაო პროგრამის ჩარჩოებში. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების უმაღლეს და რეგიონულ დონეებს შორის კოორდინაციას;

<u>მეორე</u>: კანონმდებლობის გაანალიზებისა და სრულყოფის გზით მკვეთრად უნდა შევამციროთ ეკონომიკაში ბიუროკრატიული სტრუქტურების ბატონობა, გამოვავლინოთ და გეგმაზომიერად მოვსპოთ ადმინისტრაციული სისტემის რეციდივები, დროა უკვე სამართლებრივ საფუძველზე განვახორციელოთ სამეურნეო სუბიექტების თანაბარი პირობებისა და კონკურენციის პრინციპები როგორც ბაზარზე, ისე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში.

<u>მესამე</u>: საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების მჭიდრო ურთიერთმოქმედებით უნდა სამეურნეო განვითარების პროგნოზირებიდან ფართოდ გადავიდეთ ინდიკატური დაგეგმვის სისტემაზე.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებას წინ უნდა უძღოდეს ეკონომიკურ ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირება საკუთრებით ურთიერთობათა სფეროში. ეს უკანასკნელი კი საჭიროებს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ: ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე სახელმწიფო საკუთრების (მათ შორის ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების), კონცეფციის დამუშავება; საკუთრებითი ურთიერთობის ზოგადი პრინციპებისა და ეკონომიკური საფუძვლის განვითარების განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო

საკუთრება და მუნიციპალური საკუთრება; პრივატიზაციის პროცესის დეცენტრალიზაციის საკითხის გადაწყვეტა და სხვა.

პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა უნდა მოიცავდეს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას და სხვა შემთხვევებში ატარებდეს სარეკომენდაციო ხასიათს.

4.3.2. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავება მოიცავს, აგრეთვე, სრულიად ახალ პრინციპებზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და მის პრაქტიკაში წარმატებით დანერგვას. საქმე ეხება სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტის რეგიონულ ბიუჯეტთან და, პირიქით, რეგიონული ბიუჯეტების ერთიმეორესთან და საზღვარგარეთის პარტნიორი ქვეყნების ბიუჯეტებთან ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ ურთიერთობათა საფუძველზე ისეთი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ერთნაირად შეუწყობს ხელს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების (მხარეების) ეფექტიან ფუნქციონირებას. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული პრობლემა, სამწუხაროდ, გადაწყვეტილი არა გვაქვს დღემდე არა მარტო ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ჩვენს ქვეყანას მთელი 200 და მეტი წლების განმავლობაში, ცნობილი მიზეზების გამო, არ გააჩნდა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა. თვითონ იგი იყო ამ პოლიტიკის სუბიექტი და იმპერიული წნეხის ქვეშ მოქცეულს არავითარი საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება არ შეეძლო.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ამ პოლიტიკის ერთ-ერთი რთული, მრავალასპექტიანი და მრავალფაქტორიანი ფენომენია. იგი არის შესაბამისი სახელმწიფოებრივი დონის სისტემების ნაკრები, ერთიანი ნაწილი, რომელიც ამ სახელმწიფო სისტემებთან როგორც გენეტიკურად, ისე სტრუქტურულად არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, თუ ავტონომიურობის რა ზომით არის წარმოდგენილი. იგი, სწორედ რომ მთლიანის, ერთიანის ნაწილია და თავისებურად ასახავს ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის თანაფარდობას, მიმდინარე ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ტენდენციებს.

ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა უნდა წარმოადგენდეს ცალკეული რეგიონების, მასში შემავალი რაიონების, ქალაქების, დაბების, სოფლების, თემების და ა. შ. პერსონალური განკერძოებულობის, დამოუკიდებლობის, თავისთავადობის და პასუხისმგებლობის სიმბოლოს და გარანტს. სწორედ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ავხსნათ ფორმულის: «ძლიერი (დამოუკიდებელი) ბიუჯეტის – ძლიერი (დამოუკიდებელი) რეგიონის» არსი. თავის მხრივ, რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა საზოგადოების ტერიტორიული (თავისი ქვედონეებით) ორგანიზაციის საფუძველზე დაბადებული და ამ ორგანიზაციის არსებობის შედეგია. ასეთი სისტემა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს, სადაც კი არსებობს საზოგადოების თუნდაც ელემენტარული ტერიტორიული ორგანიზაცია და მისი შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები. ეს ისევე გავრცელებული საზოგადოებრივი

ფენომენია, როგორც ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკა, ასევე ძველი და მუდმივად განახლებადია, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგიონალიზაცია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა თავისი სტრუქტურით (ქვესისტემებით, ქვერგოლებით) და შინაგანი ურთიერთკავშირებით მთლიანად იმეორებენ, (მეტნაკლები სიზუსტით), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სტრუქტურებს და ურთიერთკავშირებს, მათ დონეებს და მართვის მეთოდებს, მართვის ორგანოებს. იგი წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივი მოწყობის ორგანულ ნაწილს და ხელს უწყობს მთელი ქვეყნის, მისი ცალკეული ნაწილების ეფექტიან განვითარებას იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება სახელმწიფო ტერიტორიული ორგანიზაციის შინაარსს. იგი მექანიკური, ხელოვნური და ნაკლებ ეფექტურია, თუ ფორმალურად პასუხობს ამ ორგანიზაციის შინაარსს, ან თუ ეს უკანასკნელი არის არა ისტორიული გამოცდილების და საღი აზრის, არამედ კონიუნქტურული პოლიტიკის გადაწყვეტილებების შედეგი.

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა «საბიუჯეტო სისტემის და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილია აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების (რაიონული) ქალაქის, რაიონის (საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, თემის, სოფლის, დაბის) ბიუჯეტების სახით. მიგვაჩნია, რომ იგი სრულად ვერ ასახავს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სურათს. მასში არა ჩანს ის ძვრები და ტენდენციები, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ცნება ვერ ავლენს და ჩქმალავს რეგიონების (მხარეების), ქალაქების, რაიონების, სოფლების, დაბების, სათემოების და ა. შ. «წვლილს»და ადგილს» საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში და გაუპიროვნებელს სტოვებს მათ «წვლილს» და «ადგილს» სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ხარჯვაში.

ვიმედოვნებთ, საქართველოს პარლამენტი დააკანონებს ქვეყნის მოწყობის დღეს არსებულ, უკვე მოქმედ სქემას და მაშინ, ჩვენი აზრით, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ექვსი დონით (იხ. სქემა 1).

<u>უმაღლესი დონე</u> – საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტი;

<u>პირველი დონე</u> – რეგიონული ბიუჯეტები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. თბილისის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ბიუჯეტები;

სქემა 1

საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის
იერარქიული სქემა

უმაღლესი დონე	საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტი
პირველი დონე	რეგიონული (სამხარეო) ბიუჯეტები
მეორე დონე	რაიონების, ქალაქების ბიუჯეტები
მესამე დონე	ქალაქის, რაიონების, დაბების ბიუჯეტები
მეოთხე დონე	თემის, სოფლის ბიუჯეტები
მეხუთე დონე	სახაზინო საწარმოების, ორგანიზაციების ბიუჯეტები
მეექვსე დონე	სახელმწიფო მოხელეების ბიუჯეტები

<u>მეორე დონე</u> – რეგიონში შემავალი რაიონების, ქალაქების ბიუჯეტები; შიდა ქართლის რეგიონში მაგალითად, ასეთი ბიუჯეტები იქნება: ქ. გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის რაიონების ბიუჯეტები;

<u>მესამე დონე</u> – ქალაქში შემავალი რაიონების, დაბების ბიუჯეტები;

<u>მეოთხე დონე</u> – თემის, სოფლის ბიუჯეტები;

<u>მეხუთე დონე</u> – სახაზინო საწარმოების, დაწესებულებების (მაგალითად, სკოლების, ინსტიტუტების, ტექნიკუმების, საბავშვო ბაგების და ბაღების, საავადმყოფოების, თეატრების, ბიბლიოთეკების) ბიუჯეტები;

<u>მეექვსე დონე</u> – სახელმწიფო მოხელეთა ბიუჯეტები.

პარლამენტის მიერ საქართველოს სამხარეო დაყოფის კონსტიტუციით დაკანონებას უნდა მოჰყვეს რეგიონალური ბიუჯეტების (საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის პირველი დონე), საკუთარი ეკონომიკური ბაზის, ფინანსური ბაზის, ფინანსური წყაროების შექმნის, ასევე კანონმდებლური გადაწყვეტა. დღეს რეგიონებს (მხარეებს) ფაქტიურად არ აქვთ საკუთარი ფინანსური ბაზა. თუ არ ჩავთვლით ბიუჯეტის გეგმის 102,5%-ით შესაძლო შესრულების ზევით მის სასარგებლოდ დატოვებულ მცირეოდენ თანხებს (გადაჭარბებული თანხის 10%).

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის რეგიონალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე რადიკალურად უნდა შეიცვალოს ქვეყნის მმართველობის სტრუქტურა მისი ხარისხობრივი სრულყოფისა და გაიაფების თვალსაზრისით მართვის იერარქიის ყველა

დონეზე. გამოთავისუფლებული სახსრები უნდა იყოს რეგიონული ბიუჯეტების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა მრავალფუნქციური მექანიზმია. ზოგიერთი ამ ფუნქციათაგანი შემდეგია:

საბიუჯეტო-საგადასახადო შემოსავლებისა და გასავლების ნაკადების მოძრაობაში წესრიგის დამყარება;

მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკის საფუძველზე სახელმწიფოს, რეგიონული დონეების მიხედვით საბიუჯეტო-საგადასახადო შემოსავლების და გასავლების ნაკადების მიმართულებების, მათი განაწილების და გადანაწილების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების და ა. შ. რეგულირება;

საბიუჯეტო-საგადასახადო შემოსავლებისა და გასავლების ნაკადების მოძრაობაში წარმოშობილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების შესაბამისი პროცესების და პროცედურების რეგულირება;

რეგიონში (მის ქვესისტემებში) წარმოქმნილი და ამ რეგიონის (მისი ქვესისტემების) საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში შემოსული სახსრების აკუმულაცია, კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების მიხედვით მათი საერთო საქვეყნო მიზნებისათვის გამოყენება და სხვადასხვა დონის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემებს შორის გადანაწილება;

საბიუჯეტო-საგადასახადო სახსრების ნაწილის (რომელიც აკუმულირდება ზემდგომ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში) გადანაწილება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების მიხედვით ქვემდგომი რეგიონული სისტემის სასარგებლოდ:

ცენტრსა და რეგიონს შორის, რეგიონსა და მის ადგილობრივ ერთეულებს შორის. ერთის მხრივ, და რეგიონებსა და მათ ადგილობრივ ერთეულებს შორის, აგრეთვე, რეგიონსა და უცხო ქვეყნების პარტნიორ სუბიექტებს შორის, მეორეს მხრივ, წარმოშობილი ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, მათი სრულყოფა;

სახელმწიფოსა და რეგიონის ინტერესების ურთიერთმიმართებაში ბალანსის შენარჩუნება სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობის პირობებში;

ხელისუფლების და მართვის რეგიონული ორგანოების მიერ თავიანთი წარმომადგენლობითი და საშემსრულებლო უფლებამოსილების შესრულება ზემდგომი დონეებისაგან მათი პოლიტიკის ფორმალური დამოუკიდებლობის მოთხოვნილების დაცვით;

შიდა რეგიონული სოციალური პროგრამების თვითანაზღაურება (მთლიანად ან ნაწილობრივ);

რეგიონის (მისი ქვემდგომი დონეების) ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების ფორმირება და განვითარება, როგორც შიდა რეგიონული კავშირების ჩამოყალიბების და განვითარების უმნიშვნელოვანესი აუცილებელი პირობა;

ქვეყნის და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება;

სახელმწიფოს დემოკრატიული მშენებლობის, მისი გაძლიერების, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და განმტკიცების უზრუნველყოფა;

ბუნებრივი რესურსების და ეკოლოგიური პოტენციალის როგორც ქვეყნის და ტერიტორიული ერთეულის არსებობის ბუნებრივი ბაზისის მდგომარეობისა და გამოყენების რეგულირება;

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახალხო მეურნეობის დარგთა (მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროს) სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფა, ამ დარგებში ინვესტიციების სტიმულირება, ინვესტიციური მიმზიდველობის გააქტიურება, რეგულირება;

რეგიონის სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველყოფა, ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება;

რეგიონის ტერიტორიიდან მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შეჩერება;

აგრესიული სეპარატიზმის შედეგად ლტოლვილი მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ხელშეწყობა;

ეროვნული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანა, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან მისი ინტეგრაცია;

ეკონომიკური პროტექციონიზმის განხორციელება სუსტად განვითარებული რეგიონების (პირველ რიგში მთის რეგიონების) მიმართ. «გათანაბრების» ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც, ჯერ ერთი, ეფექტურად მუშაობის სტიმულს არ დაუკარგავს ეკონომიკურად ძლიერ რეგიონს და მეორე, მუდმივად სხვის კმაყოფაზე ცხოვრების სურვილს არ გაუჩენს ეკონომიკურად დაბალი დონის განვითარების რეგიონს.

იმის მიხედვით თუ რამდენად მოფიქრებულად, მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტილად იქნება ჩამოთვლილი ფუნქციები და რამდენად ლოგიკურად იქნება ისინი ჩამჯდარი საერთო სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში, ბევრად არის დამოკიდებული საერთო სახელმწიფო და რეგიონული ინტერესების რეალური ბალანსის მიღწევა და მაშასადამე, სახელმწიფოს მთლიანობა, საზოგადოების მდგრადობა, მისი შემდგომი აღმავლობა.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩამოთვლილი ფუნქციების რეალიზაციისათვის საჭიროა, როგორც მთელი ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე განხორციელებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

ბიუჯეტის ყველა დონის საშემოსავლო ბაზის კანონმდებლური გამიჯვნა, კანონებისა და კანონქვემდებაზე აქტების დამუშავება, მათი სრულყოფა; ყოველი ბიუჯეტის დონისათვის შემოსავლების სტაბილური ნორმატივების დადგენა;

რეგიონებსა და ცენტრს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საფუძველზე ბიუჯეტების ხარჯების კანონმდებლობით დაკისრება ყოველ რეგიონზე და მათი ფინანსირების აუცილებელი მექანიზმების დამუშავება;

რეგიონებისათვის «გათანაბრების პრინციპის» (ანუ «გამთანაბრებელი ტრანსფერების» გამოყოფის) მექანიზმების კანონმდებლური გაფორმება და იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც რეგიონებს უფლება ექნებათ მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მოხმარების მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად პრეტენზია განაცხადონ ასეთი ტრანსფერტების მიღებაზე;

სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში უკმაყოფილებისა და კრიტიკის საგანია. იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უკმაყოფილების მიზეზები, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს, რომელთაგან გამოვყოფთ შემდეგს:

უნდა იყოს მიზნობრივი რეგიონული ორიენტაციის; ამის გარეშე იგი გადაიქცევა ტოტალიტარულ-სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო მეურნეობის დანამატად, ჩვეულებრივ, დაბალ დონედ;

უნდა ემყარებოდეს სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემასთან თანაარსებობის მკაცრ და სტაბილურ წესს;

თავის თავში უნდა ასახავდეს ყველაფერ იმას, რაც კი კანონით ეკუთვნის, მეურნე სუბიექტებს, რეგიონებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;

ერთიმეორეს უნდა უხამებდეს რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ სოციალურ, ეროვნულ-ეთნიკურ, ინფრასტრუქტურულ, ბუნებრივ-რესურსულ და ეკოლოგიურ პოტენციალს მთელი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;

გარდა აღნიშნული მოთხოვნებისა, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა უნდა იყოს:

მარტივი (ადვილად შესრულებადობის მოთხოვნა);

გასაგები (სისტემის აგების ლოგიკურობისა და ლაკონურობის მოთხოვნა სახსრების ფორმირებისა და ხარჯვის დასაბუთებულობის პრინციპი);

სამართლიანი (რეგიონული და სახელმწიფო ინტერესების, მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებების ურთიერთ-გათვალისწინების, შეხამების მოთხოვნა);

ადვილად მართვადი და სტაბილური (კაპიტალდაბანდებათა ფართო მასშტაბებით განხორციელებისა და ბიზნეს-გეგმებისაფუძველზე წინასწარი დაგეგმვის მოთხოვნა).

4.4 ეკონომიკის რეგიონული (სამხარეო) მართვა როგორც ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების პირობა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში შექმნილი კრიზისული მოვლენები განპირობებულია მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით. მაგრამ ყველაზე მთავარია ძველი სოციალური წყობიდან ახალ სოციალურ წყობაზე გადასვლის შორს გამიზნული, ხანგრძლივვადიანი, თეორიულად დასაბუთებული და ადგილობრივ ეროვნულ თავისებურებებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის უქონლობა, რომლის მთავარ მიმართულებასაც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული (სამხარეო) მართვა.

ცნობილია. რომ XX ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე მსოფლიოში მიმდინარეობს სახელმწიფო მოწყობისა და მართვის დემოკრატიული პრინციპების დაჩქარებული განვითარება. მთელ რიგ ქვეყნებში დემოკრატიული სახელმწიფო მოწყობის აუცილებელ, სავალდებულო კომპონენტად იქცა ადგილობრივი თვითმმართველობა. მისი ძირითადი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მმართველობას ახორციელებს მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, მათ მიერვე დემოკრატიული პრინციპით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.

ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული პროცესების განვითარების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ-რეგიონულ, სამხარეო, ტერიტორიულ ორგანოებს შორის ურთიერთმიმართების, მათ შორის უფლებებისა და მოვალეობის გამიჯვნის ხარისხი, უწინარეს ყოვლისა ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აღჭურვილნი არიან განსაზღვრული ქონებრივი, ეკონომიკური, საფინანსო-ბიუჯეტური, იურიდიული და სხვა უფლებებით. აღნიშნული იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნის განვითარების რეგულირების ფუნქციები ერთიანი სახელმწიფო ცენტრალური ორგანოებიდან სულ უფრო მეტად ინაცვლებს ადგილობრივ, რეგიონულ (სამხარეო) დონეზე. სწორედ ასეთ უფლებამოსილების გამიჯვნას ითვალისწინებს ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახურის რეკომენდაცია საქართველოს მომავალი ეკონომიკური ზრდის შესახებ, სადაც უმთავრეს და აუცილებელ პირობად მიჩნეულია მთავრობის მიდგომის შეცვლა ქვეყნის ეკონომიკის მართვის მიმართ. ამ რეკომენდაციებით მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ყველანაირი მიკროეკონომიკური ჩარევა და კოცენტრაცია მოახდინოს მხოლოდ ისეთ ასპექტებზე როგორიცაა: სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, სახალხო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და მართვისა და სამართლებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება თანასწორუფლებიანი კერძო

მეწარმეობის განსავითარებლად. აღნიშნული რეკომენდაციების გამოძახილად უნდა შეფასდეს ეკონომიკური რეფორმების დასაწყის ეტაპზე ქვეყნის მცდელობა «ცენტრსა» და რეგიონებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ, რომელიც საბიუჯეტო უფლებამოსილებათა სრულყოფის კანონის მიღებით დასრულდა. დასახული იყო ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა უფლებების გაფართოება, მათი ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სამართლებრივი ბაზის საფუძველზე სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გამიჯვნა, ადგილობრივი საწარმოო პოტენციალისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მუნიციპალური სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მუნიციპალურ-საინვესტიციო პროგრამების რეალიზებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

ამავე მიმართულების ღონისძიებად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის ოქტომბერში მიღებული ორგანული კანონი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ», რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მოწოდებულია საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის საფუძვლები.

მიუხედავად აღნიშნული ქმედებებისა, დღევამდელ საქართველოში ცენტრისა და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი და ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობა არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. იგი ვერ პასუხობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის ამოცანებს. ნაკლებად ითვალისწინებს ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარე ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგანმაპირობებელ პროცესებს. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ერთის მხრივ, ხდება ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების ინტეგრაციის პროცესი. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, მაგალითად, ერთიანდებიან ერთიან კავშირში ერთიანი სამთავრობო პოლიტიკით; ასევე ხდება სამხრეთ ამერიკაში; ინტეგრაციის მაგალითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (მიუხედავად იქ შექმნილი რთული წინააღმდეგობებისა), რომელიც განპირობებულია ველიკოდერჟავული პრინციპების გატარებით, სუუამის ქვეყნების კავშირი, ტრასეკას და ბისეკას ქვეყნების ერთობლივი საქმიანობა, ევროპის ეკონომიკური საბჭოს ქვეყნების მოღვაწეობა, რომლებიც იქამდეც კი არიან მისული, რომ ერთიანი ვალუტა-ევრო (EURO) აქვთ და სხვა. მეორეს მხრივ, მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის შიგნით რეგიონებისადმი, მხარეებისადმი, ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისადმი ამავე ასპექტების, უწინარეს ყოვლისა ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების მართვის სადავეების გადაცემის პროცესი.

აღნიშნული პროცესები XXI საუკუნეში სულ უფრო მეტ სიღრმისეულ განზომილებას იძენს და მათი მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად ფართოვდება. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ამ პროცესებს მოცული აქვთ დედამიწის ზედაპირის 52% და მსოფლიო მოსახლეობის 40% (გ. ხუბუა).

საქართველოს პირობებში უნდა მოხდეს ფინანსურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გამიჯვნა. ერთის მხრივ, სახელმწიფოსა (ცენტრს) და რეგიონებს შორის; მეორეს მხრივ, რეგიონებს შიგნით რეგიონებსა და მასში შემავალ რაიონებს (ქალაქებს) შორის; მესამე, რაიონსა და რაიონში შემავალ სოფლებს, დაბებს, თემებს, საკრებულოებს შორის; მეოთხე ქალაქსა და ქალაქში შემავალ რაიონებსა და საკრებულოებს შორის.

რამდენადაც თამამი არ უნდა იყოს ჩვენი განცხადება, აფხაზეთსა და შიდა ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში დღეს შექმნილი მწვავე კონფლიქტური სიტუაციები, რამაც

საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დროებითი დაკარგვა გამოიწვია, სხვა ფაქტორებთან ერთად იმის შედეგიც არის, რომ მკვეთრად არ იყო გამიჯნული და ფაქტობრივად შეზღუდული იყო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ეკონომიკური უფლება-მოვალეობები. ვფიქრობ, რომ იმავე მიზეზით ხდებოდა ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის პერიოდული მწვავე (ზოგჯერ ხელოვნური) დაპირისპირება ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე მათ შორის პერიოდული, (განსაკუთრებით საარჩევნო ციებცხელების დროს), თანხმობის გამონახვამ ღირებული ვერაფერი მოუტანა ქვეყანას. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა რომელიც რეგიონს (მხარეს), ქალაქს, სოფელს, დაბას, საკრებულოს რეალურად მისცემს შესაძლებლობას ზემდგომი ორგანოს დიქტატის გარეშე საერთო სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობის პირობებში განსაზღვროს რესურსების გამოყენების ეფექტიანი გზები, თვითონ განახორციელოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ანტიკრიზისული მართვა თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, ეკოლოგიური, ეთნიკური და სხვა სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ ცენტრისაგან დამოუკიდებლად განახორციელონ ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერ-ტექნიკური, ინვესტიციურ-ინოვაციური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, კულტურული და სხვა კავშირები ფედერაციული ქვეყნების სუბიექტებთან და უცხოეთის ქვეყნების სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებთან, დადონ მათთან ხელშეკრულებები, გახსნან წარმომადგენლობები.

აღნიშნული მიმართულებით გატარებული საკანონმდებლო ღონისძიებები განამტკიცებენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას.

თეორიულად დასაბუთებულია და განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაც ამას გვიდასტურებს, რომ რეგიონებისათვის და მისი ქვემდგომი დონეებისათვის მეტი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა დემოკრატიის განვითარების პირობაა. «დემოკრატიის ყველა ფორმებს შორის ყველაზე ადექვატური ქმედითი აღმოჩნდა ფედერაცია... ფედერაციული სისტემა ზღუდავს უმაღლეს ხელისუფლებას, აღჭურავს რა მთავრობას მკვეთრად შემოფარგლული უფლებებით» (ლორდი ეკტონი).

როდესაც რეგიონალიზაციის პროცესის გაღრმავებაზე ვსვამთ საკითხს, ამასთან არ გვავიწყდება ისიც, რომ როგორც სოციალური თანაცხოვრების ყველა ფორმა ისიც არ არის იდეალური მოდელი, არც იგია დაზღვეული ცალკეული ანტინომიებისაგან, გააჩნია გარკვეული უარყოფითი მომენტები. მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოებები:

ჯერ ერთი, რეგიონალიზაციის შედეგად ხდება ეკონომიკის მართვის სახელმწიფო (ცენტრალური) სისტემის ტრანსფორმაცია, რაც გარკვეულ საზოგადოებრივ (განსაკუთრებით სოციალურ) ხარჯებს იწვევს;

მეორე, ხდება შესაბამისი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული რესურსების ფლობის პრინციპის რღვევა. რეგიონულ დონეზე რესურსების საკუთრების პრობლემა მართალია კანონმდებლური აქტებით ადვილად გადასაწყვეტი არაა, მაგრამ უფლების მიღების პრობლემის ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს რეგიონში შემავალი რაიონების, ქალაქების და სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისაკენ;

მესამე, რეგიონალიზაციის პროცესს არასწორი მართვის პირობებში შესაძლებელია თან მოჰყვეს საერთო სახელმწიფო ინტერესების გარკვეული შელახვა. მაგალითად, რეგიონის ეკონომიკური აღმავლობით დაინტერესებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოისურვებენ მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებელ გასვლას და ეს ბუნებრივიც არის. მაგრამ ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე ფასების მკვეთრი დაცემა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ იმავე საქონლის რეალიზაციის

შედეგად შემოსავლების შემცირება, უცხოეთის ბანკებში რეგიონების მიერ ვალუტის მოთავსება და სხვა.

მეოთხე, მიმდინარეობს ბრძოლა რეგიონების მიერ დაუსაბუთებელი შეღავათების, დოტაციების და სხვა სახის ინექციების მისაღებად, განსაკუთრებით საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სახით;

აღნიშნული და სხვა შესაძლო ნეგატიური მოვლენები, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იქნას. მაგრამ, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის განხორციელება და ყველა რეგიონის მიმართ სწორი, კანონმდებლობაზე დაფუძნებული, სამართლიანი პოლიტიკის გატარება მათ გამოვლინებას შეასუსტებს ან სულაც აღკვეთს. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონალიზმი სრულებითაც არ გამორიცხავს ცენტრალიზებული მართვის ელემენტებს, მართვის ისეთი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის, მისი ცალკეული რეგიონის, რეგიონის შიგნით რაიონების, ქალაქების, დაბების, სოფლების ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას ქვეყნის ინტერესების პრიმატის პირობებში.

ქვეყნის რეგიონული მართვის მოდელი უნდა ითვალისწინებდეს მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფუნქციონირებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. ისინი პასუხისმგებლობებით თანაბარნი უნდა იყვნენ ცენტრის წინაშე და ასევე თანაბარნი – უფლებებით. არ შეიძლება ერთი რომელიმე სუბიექტისათვის მეტი უფლებების მინიჭება და სხვებისთვის ნაკლები და პირიქით – ერთი რომელიმე სუბიექტის მეტი პასუხისმგებლობა და სხვებისათვის – ნაკლები. პრესაში და რადიო-ტელევიზიაში ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ აფიშირებული იდეა აფხაზეთისათვის და შიდა ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრები ოსებისათვის საქართველოს შემადგენლობაში ყველაზე დიდი სტატუსის, (რაც კი მსოფლიო გამოცდილებას ახსოვს), მოძებნისა და მინიჭების შესახებ. ამ ეტაპზე მკვეთრად გართულებული ურთიერთობების პირობებში, პოლიტიკურად მისაღებია და საჭიროებს მის დროულ რეალიზაციას. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, ამ განცხადებებს ასევე დროულად უნდა მოჰყვეს მოკლე და საშუალოვადიანი სპეციალური, საგანგებოდ დამუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელების დაწყება. ეს პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს შეღავათიან საგანგებო საგადასახადო, საბაჟო, საკონტრაქტო, საგანმანათლებლო-კულტურული, სოციალური და სხვა სისტემების შემოღებას.

ამავე დროს მათთვის «ყველაზე დიდი სტატუსის» მინიჭება, ამ სტატუსის მუდმივ რეჟიმში არსებობა, სავარაუდოა, რომ როგორც კონსტიტუციურად, ისე სამეურნეო-პრაქტიკული და წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც ხანგრძლივვადიან პერიოდში ეფექტური შედეგების მომტანი ვერ აღმოჩნდება. <u>ჯერ ერთი</u>, დაირღვევა საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრები ადამიანების კონსტიტუციური უფლება. კონსტიტუციით ხომ საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი თანაბარი და თავისუფალია. რის გამო ვანიჭებთ უპირატესობას ამ რაიონებში მცხოვრებ ადამიანებს სხვებთან შედარებით? იმიტომ ხომ არარომ ოღონდ დათანხმდნენ, აღიარონ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა? ეს ხომ აბსურდია, ანაქრონიზმია; <u>მეორე</u>, მათთვის უპირატესი სტატუსის მინიჭება გამოიწვევს საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ქვეყნისშიგნით მიგრაციას და მაშასადამე რეგიონული შრომითი ბალანსის აუცილებელ დარღვევას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. <u>მესამე,</u> უპირატესი სტატუსი თავისთავად გამოიწვევს აფხაზების და ოსების როგორც ეთნიკური ჯგუფის ხელოვნურ გაზრდას და ამის საპირისპიროდ ქართველების შემცირებას თავისი შორს გამიზნული შედეგებით. ამის ნათელი მაგალითი მოგვცა საბჭოთა პერიოდმა, რომლის «ტკბილი» ნაყოფი დღესაც კბილს

გვჭრის. სწორედ საბჭოური «უპირატესობების» წყალობით არის რომ დღეს ძმათაშვილების ერთი წარმომადგენელი ქართველად იწერება, ხოლო მეორე – აფხაზად.

საქართველოს ეკონომიკური მართვის რეგიონული იდეის მოწინააღმდეგეები საქართველოში ფეოდალური ხანის აღდგენად, ფეოდალურ სამთავრობოებად დაყოფის და დაქუცმაცების ცდად მიიჩნევენ. ასეთი მოსაზრება ეფუძნება მცდარ დებულებას იმის შესახებ, თითქოს დეცენტრალიზებული სახელმწიფო დასუსტებული, სამთავრობოებად დაშლილი სახელმწიფოა და მისი სიძლიერე ცენტრალიზაციის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ამ დებულების მცდარობას ისევ ჩვენი ქვეყნის აწმყო და წარსული ადასტურებს: ჯერ ერთი, ცენტრალიზაციის ხარისხი და ქვეყნის სიძლიერე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში რომ იყვნენ, მაშინ, მიუხედავად დეცენტრალიზაციის გზაზე გადადგმული ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯებისა, საქართველო ფაქტიურად კვლავ რჩება ზეცენტრალიზებული სისტემის მქონე ქვეყნად და უძლიერეს სახელმწიფოთა რიგებში უნდა იყოს, აღარ უნდა სტანჯავდეს გაჭიანურებული და ყოვლისმომცველი კრიზისი; მეორე, რომელი ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ გაძლიერებული სამთავროები სუსტ ქართულ სახელმწიფოს ნიშნავს. პირიქით, ზოგიერთი ფეოდალის პერიოდული თავნებობის მიუხედავად, ძლიერი ფეოდალების არსებობა ყოველთვის იყო ძლიერი სახელმწიფოს არსებობის საფუძველი.

მოწინააღმდეგეებს ალბათ ისიც აღუძრავს ეჭვს, რომ როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიოს აღდგენაზე იწყება ხოლმე საუბარი რუსეთის პოლიტიკური წრეები აშკარად უჭერენ მხარს საქართველოს ფედერაციული მოწყობის იდეას.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც განიხილებოდა გერმანიის სახელმწიფო მოწყობის საკითხი. საფრანგეთი, მაგალითად, გერმანიის არა თუ ფედერაციული, კონფედერაციული მოწყობის მომხრეც კი იყო იმ იმედით, რომ ეს დაასუსტებდა, დაშლიდა და წელში არ გამართავდა გერმანიას. თუ როგორ «დასუსტებულია» იგი დღეს ფედერაციული მოწყობის შედეგად, ყველა ვხედავთ.

ერთი მომენტიც, დღეს საქართველო ისევ უბრუნდება თავისი ბუნებრივი განვითარების გზას – საბაზრო ურთიერთობის მშენებლობას, რომელიც ხელოვნურად გადაუკეტეს საუკუნეების წინ. ლოგიკური იქნება რომ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების დამუშავებისას გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ ჩვენი სამშობლოს წარმომავლობის ასევე ბუნებრივი სათავეები: უძველესი დროიდანვე ხომ საქართველო რამოდენიმე «ქვეყნისაგან» შედგებოდა, რომელთაც თავიანთი სახელები ერქვათ და შესაბამისად თავიანთი საზღვრებიც გააჩნდათ.[1]

რეგიონალიზაციის პროცესების გაღრმავება მსოფლიოში კანონზომიერ მოვლენად არის ჩამოყალიბებული (ამის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ). მაგრამ საქართველოში მისი განხორციელება ერთჯერადი აქტის სახით არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა თანმიმდევრული, სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებად ქცეული, საზოგადოების ყველა ფენასთან შეთანხმებული ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის დაუღალავი მუშაობა.

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესებმა საბოლოოდ ბოლო უნდა მოუღონ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დარღვევის მომიზეზებით, საქართველოს ტერიტორიების «უომრად» ანექსიას, რომელიც უკვე მერამდენე საუკუნეა გრძელდება. მარტო XX ს-ის პირველ მეოთხედში, 1918 წლისათვის ერთა ლიგის მიერ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფართობი 107,6 ათასი კმ^2,

[1] მიქაელ ტაკესონი. ქართული კულტურის ორი ნახევარსფერო. გაზეთი «არგუმენტი» №1 (001), 20-21 ივნისი, 1995.

დღეს 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრიღა არის. დაკარგული 37,9 ათასი კმ^2 «უომრად» გადანაწილებული აქვთ: რუსეთს (4,4 ათასი კმ^2), აზერბაიჯანს (6,0 ათასი კმ^2), სომხეთს (4 ათასი კმ^2) და თურქეთს (23,5 ათასი კმ^2).

სამწუხაროდ, რეალობაა ისიც, რომ ჩვენს საზღვრებში აღნიშნული ტერიტორიიდან საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება 10,0 ათას კმ^2-ზე (70 ათას კმ^2-ს აკონტროლებს სეპარატისტული აფხაზეთი, ხოლო 3,0 ათას კმ^2-ს ე. წ. «სამხრეთ ოსეთი»). ჩვენს იურისდიქციაში საქართველოს ტერიტორიიდან დე ფაქტო მხოლოდ 59,7 ათასი კმ^2 რჩება[1].

საქართველო ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, მრავალეროვნული ქვეყანაა. აქ მცხოვრები მცირე ერები რაც არ უნდა კომპაქტურად იყვნენ განსახლებული საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ერებთან ერთად უნდა ემსახურებოდნენ საქართველოს ინტერესებს, ქართულ ჯარში უნდა მსახურობდნენ, ქართულად უნაკლოდ უნდა ლაპარაკობდნენ, მზად უნდა იყვნენ ამ მიწისათვის დადონ თავი, რომელიც მათ ასაზრდოებს, ასულდგმულებთ, შვილებიც ამ შეგნებით უნდა გაზარდონ. ამას მოითხოვს დემოკრატიული საზოგადოების ურთიერთთანაცხოვრების პრინციპები, სადაც წახვალ ყველგან რომ საკუთარი სახელმწიფოს შექმნას, მეზობლად მდებარე სახელმწიფოსთან შეერთებას რომ მოითხოვ, ამით შენსავე ერის ისტორიულ კულტურას აკნინებ, შეფარული აგრესორის ინსტინქტებს ავლენ. დემოკრატია სხვისი ტერიტორიების უკანონო მითვისებას არ გულისხმობს.

გვახსოვდეს! რომ არა დიდი კულტურისა და ტოლერანტობის გასაოცარი უნარი, მსოფლიოში რამდენი ებრაული სახელმწიფო იარსებებდა. საქართველო «არც ერთი გოჯი მიწის სხვისთვის დათმობას აღარ შეეგუება» (მ. სააკაშვილი).

4.5. «ერის ეკონომიკური აღზრდა», ანუ ეკონომიკური ცოდნის გავრცელების საკითხები საქართველოში

ცალკე უნდა აღინიშნოს ადამიანთა ცნობიერებაში დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრების სფეროში არსებულ პრობლემებზე.

სამწუხაროდ, საზოგადოების ცნობიერება ჯერ ვერ არის ნამდვილი დემოკრატიული, ადამიანები ურთიერთდამთმობები ვერ არიან, მათი შეხედულებები ვერ წარმოადგენენ ურთიერთშემავსებელ ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, ხელს შეუწყობენ, დემოკრატიულ გარდაქმნებს. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, თვით მის ინტელექტუალურ ფენებსაც კი დღეს ხშირად ამ ღირებულებებისათვის სულაც არ სცალიათ. მათი უპირველესი საზრუნავი გახდა ელემენტარული ფიზიკური გადარჩენა. ცალკეული დემოკრატიული იმპულსები და მოქმედებები შესაფერის გამოხმაურებას ვერ პოულობენ. ნაკლებად არის საზოგადოების განვითარების პერსპექტივების შესახებ მსჯელობები. საქმე იქამდისაც კი არის მისული, რომ ქვეყანას ჯერ განსაზღვრული არა აქვს თუ როგორი საზოგადოების აშენებას იწყებს. ვერ ჩამოყალიბდა და განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენად ვერ იქცა ღრმა დემოკრატიული იდეური და პოლიტიკური მიმდინარეობები. თვით დემოკრატიის შესახებ ცნება საზოგადოებაში აბსტრაქტული და დეკლარაციული ხასიათისაა. პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებული გახდა ლიდერების ხელისუფლების იერარქიაში მაღალი ადგილებისათვის ბრძოლა, ხოლო ხელთ იგდებენ თუ არა ამ ადგილებს ისინი არსებითად კარგავენ ინტერესს მათ მიერვე გამოცხადებული

[1] გაზ. «კვირის პალიტრა», 23-29 მაისი. 2005 წ.

სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიმართ, ივიწყებენ თავიანთ დაპირებებს. საარჩევნო კანონში შეტანილი ხელოვნური ბარიერების გამო პარლამენტში ვერ ჩამოყალიბდა ნამდვილი მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა რომლის შიგნითაც გაიმართებოდა საკუთარი პროგრამების რეალიზაციისათვის ჯანსაღი კონკურენციული ბრძოლა. იქ კი სადაც უკონკურენციო გარემოა, საზოგადოება კვდება. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა და განმტკიცებულია დარვინიზმით.

ეკონომიკური დემოკრატიის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანთა ცნობიერებაში ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება - «ერის ეკონომიკური აღზრდა» (ფრიდრიხ ლისტი – გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენელი).

ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები თავისთავად გულისხმობს, საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ეკონომიკურ აზროვნებაში ძირეული ცვლილებების ობიქტურ აუცილებლობას. ახალ წარმოებით ურთიერთობებზე გადასვლა, ამ ურთიერთობის ადექვატური ინფრასტრუქტურის შექმნა, წარმოების საშუალებების განსახელმწიფოებრივობა, პრივატიზაცია და სხვა ამგვარი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც ჯერჯერობით ვერ ამაღლებულა მოსახლეობის ცნობიერების დონე, იწვევს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების და ფენების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას. ახალი რეალიები ხშირად არ შეესაბამება ადამიანების ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ ცნებებს ეკონომიკის შესახებ. ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირება კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიმდინარეობს წინააღმდეგობით აღსავსე პირობებში, დიდი სოციალური დანახარჯებით და რა თქმა უნდა ართულებს ახალი აზროვნების ნორმალურ განვითარებას, ახდენს მის დეფორმაციას.

ეკონომიკუირი აზროვნება, როგორც წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ჩაბმული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, წარმოადგენს ინდივიდის, სოციალური ჯგუფის, მთელი საზოგადოების ეკონომიკური სინამდვილის შეცნობის პროცესს, ამ სინამდვილეში აღნიშნული სუბიექტების მიერ თავიანთი ადგილის, უფლებებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერების რაციონალური მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების ათვისების, საკუთარი და სხვების მიზნების მიღწევის გზების გამომუშავების პროცესს.

ეკონომიკური სინამდვილის ასახვა, შეცნობა ხორციელდება ეკონომიკური აზროვნების მოცემული ტიპით. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ეკონომიკური ცნობიერების, ეკონომიკური ცოდნის ხასიათს, მის მიზნებს და ამოცანებს, ეკონომიკური აზრობნების ამ ტიპის შედეგად ყალიბდება ეკონომიკური სინამდვილის შესაბამისი შეხედულებები, პოზიციები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოტივები.

ეკონომიკური აზროვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები, რომელთა შედეგადაც მართალია ნელი ტემპით, სირთულეებით და წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ მაინც იქმნება კონკურენციული გარემო, ყალიბდება მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ვითარდება ადამიანების, სოციალური ჯგუფებისა და სხვა ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლება, ფეხს იკიდებს დამოუკიდებლობა, გერგილიანობა, ინიციატივიანობა, მოხერხებულობა, გამომგონებლობა, რისკისათვის მზადყოფნა და სხვა.

ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ თავისებურებების გათვალისწინებას და გამომზეურებას რაც დამახასიათებელია მეწარმეებისა და დაქირავებული მუშების საქმიანობისათვის.

ზევითაც ითქვა და აქაც გავიმეორებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული მესამე ფენა – მეწარმეებისა და ბიზნესმენების ისეთი რაოდენობა,

რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას. მიუხედავად ამისა უკვე შეიმჩნევა მათი რაოდენობის ზრდა, მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით: კომპეტენტურობა, ინფორმირებულობა, პარტნიორებთან საქმიანი, სასარგებლო ურთიერთობის დამყარების უნარი, თავიანთი საქმიანობის მიზნების ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირება, პროდუქციის (მომსახურების) ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა, აწინდელი საქმიანობის წინასწარ განჭვრეტის უნარი, მენეჯმენტის და მარკეტინგის ძირითადი საფუძვლების დაუფლება და სხვა.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეფორმების განვლილ პერიოდში გამოვლენილი წინააღმდეგობები ხელს უწყობს მეწარმეთა ფენის ეკონომიკური აზროვნების დეფორმაციას, განაპირობებს მათი მოქმედების ისეთ არაცივილიზებული ფორმების არსებობას, რომლებიც დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებში კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პერიოდისათვის. მათ საქმიანობას არც თუ იშვიათად მედროვეობის სპეციფიკური ხასიათი აქვს: სწრაფად გამდიდრებისაკენ ლტოლვა, როგორც წესი საქონლის (უწინარეს ყოვლისა ნედლეულის) პირდაპირ ყიდვა-გაყიდვა, კრიმინალიზაცია, კანონების მოთხოვნათა უგულვებელყოფა, სხვა ადამიანების ინტერესების იგნორირება, გადასახადებისაგან თავის არიდება, თავის ბიზნესის ლობირებისათვის პარლამენტში და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში მოხვედრის (მათ შორის უკანონო გზებით) დაუოკებელი სწრაფვა და სხვა.

მართალია, აღნიშნული დეფორმაციული გამოვლინებები გამოწვეულია ქვეყანაში სწორი, ეკონომიკურ დემოკრატიაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის არ არსებობით, მაღალი გადასახადებით, კორუფციით, კანონების არასრულყოფილებით, პოლიტიკური და სამოქალაქო არასტაბილურობით და სხვა. «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ქვეყანაში დაწყებული აქტიური საქმიანობა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების, საკანონმდებლო და აღმსრულებელ ხელისუფლებას შორის პასუხისმგებლობის ახალი გადანაწილების, ბიუჯეტის ახალი პრიორიტეტების და ახლებური მიდგომების და სხვათა დამუშავების მიმართულებით დადებით გავლენას მოახდენს ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამასთან ასევე აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეკონომიკური აზროვნების ზნეობრივი ნიშნები, აღორძინდეს ქართული მეწარმეობის საუკეთესო ტრადიციები, ამაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საქმიანი ადამიანების კავშირებს, ასოციაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მათ უნდა შექმნან საზოგადოებრივი აზრი, რომელიც წინ აღუდგება კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, კრიმინალურ გამოვლინებებს, კორუფციას, კლანურობას და მხარს დაუჭერენ კონსტრუქციულ მეწარმეობას, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე ძირითადი სოციალური ჯგუფის დაქირავებული შრომის მუშაკებში თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ფორმირებას. ასეთი აზროვნების დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობებში ჩაბმის სურვილიც, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის და დახმარების პატერნალიზმის გამოვლინებაც, მორალური ნორმების და კანონიერების პატივისცემაც, კომპეტენტურობაც, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სწრაფვაც და სხვა.

ამ ჯგუფის ადამიანების ეკონომიკური აზროვნების თავისებურებას საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, ენერგიულობა, თავდადება, სხვისი ინტერესებისადმი პატივისცემა და სხვა. თუმცა გამოვლინდებოდა ხოლმე ნეგატიური ნიშნებიც: დაუინტერესებლობა, უინიციატივობა, გულგრილობა. მაგრამ, ეკონომიკურ აზროვნებაზე ზემოქმედების მათი გაზვიადება არ შეიძლება. ეკონომიკური პირობები ძირეული ცვლილებების, ცივილური შრომის ბაზრის ჩამოყალიბების

კვალობაზე აღნიშნული და სხვა ნეგატიური მოვლენები უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანა პლანზე გადავლენ.

ორივე სოციალური ფენის ეკონომიკურ აზროვნებაზე კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის მთავარ მიზნად გამოცხადდება არა პრივატიზაცია, ინფლაციასთან ბრძოლა, კრიზისული მოვლენების გადალახვა და სხვა, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა. უნდა გაძლიერდეს რეფორმების სოციალური ორიენტაცია, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, ახალი ეკონომიკური აზროვნების ისეთი თვისებების ფორმირება როგორიცაა არაკონფრონტაციულობა, საერთო და პირადი ინტერესების დაცვის აუცილებლობა და შესაძლებლობა. ვფიქრობთ ყოველივე ამას ხელი უნდა შეუწყოს კოლექტიური ხელშეკრულებების დანერგვამ, სახელმწიფოებრივი მართვის იერარქიის სხვადასხვა დონეზე მუშაკების მართვაში მონაწილეობამ, შრომითი დავების ცივილიზებულმა გადაწყვეტამ და სხვა.

ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკურმა მეცნიერებამაც თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკური გამოკვლევების, სწორი ეკონომიკ,ური პოლიტიკის შემუშავების, აგრეთვე ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის სხვადასხვა ფორმირების და მეთოდების დანერგვის მეშვეობით.

ეკონომიკური თეორიის ყურადღების ცენტრში დღეს არსებულ საკითხებს (საკუთრებითი ურთიერთობების ახალი ფორმების კვლევა; მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიება; ახალი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა: მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ცივილიზებული ეკონომიკური «თამაშის წესების» დამუშავება; ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების შედეგების შესწავლა აგრარულ სექტორში სოციალურ ინფრასტრუქტურაში, რეგიონული ეკონომიკის სფეროში; ქვეყნის და მისი რეგიონების, რაიონების, ქალაქების, სოფლების, დაბების, ცალკეული საწარმოების და ორგანიზაციების დონეზე ანტიკრიზისული მართვის პრობლემების დამუშავება და სხვა) პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნების ფორმირებისათვის.

არანაკლები მნიშვნელობისაა ეკონომიკური ცოდნის მიღება უმაღლეს, საშუალო-პროფესიულ და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში, ამ დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური თეორიის, ან ეკონომიკური თეორიის საფუძვლების, (ეკონომიკური ცოდნის საფუძვლების) სწავლების გზით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში არაეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე ეკონომიკური თეორიის საფუძვლების იგნორირება, თანაც ამ ფაკულტეტების დეკანების და კათედრის გამგეების ხელშეწყობით.

ეკონომიკური ცოდნის ამაღლებას და შესაბამისად ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას უსათუოდ ხელს შეუწყობს საქართველოში დაწყებული ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები განათლების სფეროში, მის ყველა დონეზე. აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია, რომელიც, თავისთავად, დროული და აუცილებელი ღონისძიება იყო, ვერ ჩატარდა შეცდომების თუ გადახვევების გარეშე.

ეკონომიკური განათლების უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს ეკონომიკური მომზადება წარმოებაში, უშუალოდ შრომით კოლექტივებში. მიუხედავად გარკვეული

უარყოფითი მხარეებისა ახალი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ახალი შინაარსით უნდა აღდგეს საწარმოებში საწარმოო-ეკონომიკური სწავლების არსებული სისტემა, რომელიც საწარმოს ხელმძღვანელებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მუშებს სისტემატურად მიაწვდის აუცილებელ ეკონომიკურ ინფორმაციას, შეასწავლის მათ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინვესტიციების საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის და სხვა დარგების სიახლეებს. აღნიშნული სისტემა, სამწუხაროდ, ჩვენთან განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთეულ საწარმოებში თუ გამოიყენება. განვითარებული ქვეყნების ფირმებში, (აშშ, იაპონია, ევროპის ქვეყნები) ფართოდ არის გავრცელებული ხარისხის წრეები, ფირმის შიდა გადამზადების სხვადასხვა ფორმები. მაგალითად, საბერძნეთში (ა. არხიპოვი) მოქმედებს: სამუშაო ძალის დასაქმების ორგანიზაცია, რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად აწარმოებს პერსონალის გადამზადებას საწარმოთა დაკვეთით; მწარმოებლურობის ბერძნული ცენტრი, რომელიც მუშაკთა მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით ახდენს მათ გადამზადებას; მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზაცია, რომელიც ასწავლის მეწარმეებსა და მუშაკებს; უმაღლესი განათლების შემდგომ პერიოდში სწავლების სპეციალური ცენტრები უნივერსიტეტებთან; სწავლების ცენტრები მსხვილ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან; სასოფლო-სამეურნეო განათლების ცენტრები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პერსონალის საერთო გადამზადებას და მათ შორის ეკონომიკური ცოდნის ამაღლებასაც.

შრომით კოლექტივებში ეკონომიკური მომზადების სისტემის აღორძინებისას უნდა გათვალისწინებული იქნეს საწარმოთა საკუთრების ფორმა, მსმენელთა ინტერესები, პროფესიული და ეკონომიკური მომზადების ერთიანობა და სხვა სპეციფიკური თავისებურებები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას საწარმოებში და ორგანიზაციებში პერსონალის ეკონომიკური განათლების ასევე ეკონომიკური მომზადების ახალი ფორმების-ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სკოლების, უნივერსიტეტების მუშაობის საკოორდინაციო რეგიონული, რაიონული, საქალაქო ორგანოები, სპეციალური საბჭოები, ცენტრები, ასოციაციები, მათ მუშაობაში წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების არასახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანოების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით.

ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირებაში ეკონომიკურ განათლებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს ეკონომიკური აღზრდა, რაც ითვალისწინებს საზოგადოების წევრებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას მათში ეკონომიკური მოვლენების შეფასებებში და შესაბამისი სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებაში სწორი შეხედულებების, წარმოდგენების, მიდგომების გამოსამუშავებლად.

ეკონომიკური აღზრდის ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ახალი ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ ცოდნის მიღების საფუძველზე ადამიანმა გამონახოს თავისი ადგილი, თავისი უფლებები და პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობებში და გამოიმუშაოს მოქმედების შესაბამისი მეთოდები და ფორმები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

ეკონომიკური აღზრდა უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე: ოჯახში, სკოლაში, საშუალო და საშუალო-პროფესიულ სასწავლებელში, ლიცეუმში, კოლეჯში, უმაღლეს სასწავლებელში, საწარმოში, საცხოვრებელ ადგილზე.

ეკონომიკური აზროვნების საფუძვლები ყალიბდება აღმზრდელობითი მუშაობის მსვლელობაში, სკოლიდან დაწყებული. დღეს მაღალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში იზრდება დრო, რომელიც გამოყოფილია ეკონომიკის

შესასწავლად, დამუშავებულია შესაბამისი პროგრამები, გამოქვეყნებულია სასწავლო პროგრამები და სასწავლო სახელმძღვანელოები ეკონომიკის საფუძვლების შესახებ.

ჩვენს ხელთ არსებული პუბლიკაციებით (ჟ. «ეკონომისტი») დასტურდება, რომ აშშ-ში ეკონომიკური აღზრდის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭო - არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც სთავაზობს სკოლებში ეკონომიკური განათლების სწავლების სტრატეგიას, უზრუნველყოფს მათ სასწავლო მასალებით და მეთოდური სწავლებით, ეროვნული მასშტაბით სტანდარტიზირებული ტესტებით სწავლების შესაფასებლად. იგივე ორგანიზაცია უზრუნველყოფს სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადებას. მოსწავლეთა ეკონომიკურ განათლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არასამთავრობო პროგრამებს. მათგან ყველაზე მეტად ცნობილი და ფართოდ გავრცელებულია «ახალგაზრდობის მიღწევები».

უეჭველია, რომ საქართველოში ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის დანერგვა, მისი მთელი სიმძლავრით ამუშავება, ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირება ხელს შეუწყობს ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

С о д е р ж а н и е

Аннотация;
Введение;

Глава 1
Экономическая демократия как экономическая категория: сущность, содержание, противоречия

1.1. Сущность экономической демократии;
1.2. Экономическая демократия как цивилизационно социо-культурный феномен;
1.3. Свобода экономического выбора как проявление экономической демократии: сущность и формы;
1.4. Свобода выбора невозможна в усливиях экономического контроля и тоталитаризма;
1.5. Правовые объязанности и ответственности юридических и физическых лиц в условиях экономической демократии;

Глава 2
Экономическая роль государства в условиях экономической демократии

2.1. Краткий обзор экономической роли и функции государства;
2.2. Экономическая роль и функции государства в условиях экономической демократии;
2.3. Количественная оценка участия государства в экономике или индекс экономической демократии;
2.4. Вольнообразний характер закона соотношения рыноч-ных и государственных методов регулирования эконо-мики (краткая характеристика);
2.5. Два примера регулирующей роли государства;
2.5.1. Опыт древного Китая;
2.5.2. Об усилении регулирующей роли государства в инвестиционной деятельности Грузии;

Глава 3
Экономическая демократия как магистральное направление экономического роста

3.1. Краткый обзор факторов экономического роста;
3.2. Ограничения применяемые государством в области экономической демократии;
3.3. Эмпирическое обоснование связы между экономическим ростом и экономической политикой государства;
3.4. экономическая демократия и рост благосостаяния народа;
3.5. Дополнительние данные подтверждающие связи между экономической демократии и экономическим ростом;

Глава 4
Сдерживающие фактори развития экономической демократии в Грузии

4.1. Общая характеристика факторов;
4.2. Низкий уровень экономического развития;
4.2.1. Макроэкономический анализ;
4.2.2. Анализ инвестиционной деятельности;
4.2.3. Анализ финансово-бюджетного состояния;
4.2.4. Развитие экономической демократии требует финансового обеспечения;
4.3. Финансово - экономическая политика государства как главный ориентир развития экономической демократии;
4.3.1. Финансово-экономическая политика: сущность, этапы разработки, создание организационно-правовой базы;
4.3.2. Бюджетно-финансовая система как составная часть финансово-экономической политики;
4.4. Региональное (краевое) управление как условие развития экономической демократии;
4.5. «Экономическое воспитание нации», или вопросы распростронения экономическых знаний в Грузии;

გამომცემელი:
შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის
კომპიუტერული ცენტრი

დირექტორი: ზაურ (ბაჩო) თეთრუაშვილი

ლიტერატურული რედაქტორი:

ევგენია ჩუხრუკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თეა ფხალაძე

ტირაჟი: 500 ეგზემპლიარი